# ჯოზეფ კონრადი

# ბყვდიადის გული

## და ორი მოთხრობა

ჯოზეფ კონრადი

# წყვდიადის გული

## და ორი მოთხრობა

ინგლისურიდან თარგმნეს
პაატა და როსტომ ჩხეიძეებმა

გამომცემლობა არგანეჯი
თბილისი

ჯოზეფ კონრადი
წყვდიადის გული

JOSEPH CONRAD
HEART OF DARKNESS

Translated by Paata Chkheidze and Rostom Chkheidze

Georgian Edition: ARTANUJI Publishing

რედაქტორი
ნინო გურასპაული

დამკაბადონებელი
ვიოლა ფულუში

გარეკანის დიზაინერი
თეონა ჭანიშვილი

ამკრეფი
თამარ ჩიხლაძე

ISBN 978-9941-478-64-2

© პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე, 2018.
© გამომცემლობა „არტანუჯი", 2018.

შარავანდი ჯოზეფ კონრადისა
(როსტომ ჩხეიძე) | 5

წყვდიადის გული | 19

პრინცი რომანი | 169

დუელი | 205

ნათელი წყვდიადს მიღმა
(პაატა ჩხეიძე, როსტომ ჩხეიძე) | 328

# შარავანდი ჯოზეფ კონრადისა

– ახლა რამე სახელიც უნდა მოვიგონოთ, – ურჩევდნენ პოლიციელები სალმან რუშდის.

მწერალს ფსევდონიმი უნდა აერჩია, თანაც სასწრაფოდ და აუცილებლად.

სასწრაფოდ და აუცილებლად რატომ, ანდა ეს პოლიციელები რაღა შუაში იყვნენ მწერლის ფსევდონიმის არჩევასთან?

„ეშმაკეული აიების“ დაწერას არ აპატიებდა რუშდის აიათოლა ჰომეინი და... სულაც სიკვდილს მიუსჯიდა ისლამის, წინასწარმეტყველისა და ყურანის წინააღმდეგ მიმართული რომანის შექმნისათვის.

პირველად მაშინ უნდა გაეგონა მწერალს სიტყვა „ფათვა“.

ულმობელი განაჩენი გამოტანილიყო:

ვინც თავს სდებდა მართლმორწმუნე მუსლიმანობა, შეეძლო სიცოცხლე მოესწრაფებინა სალმან რუშდისათვის, სადაც წააწყდებოდა. ის კი არა, საგანგებოდაც მოეძებნათ და მწარედ ეზღვევინებინათ...

დევნილის ყოფა აიძულებდა მწერალს გაუთავებლად ეცვალა ადგილსამყოფელი და პოლიციელთა დაცვის გარეშე ფეხიც არ გადაედგა.

მაშინაა, ფსევდონიმის შერჩევაზეც რომ დააფიქრებ-
დნენ.

ამასაც დასძენდნენ: აზიური ყაიდისა არ ივარგებს,
ემანდ ვინმემ რამე არ იგუმანოსო.

ისიც საყვარელ მწერალთა გვარ-სახელებს გადახე-
დავდა და ათასნაირ შეჯვარება-გადაკეთებას მიჰყოფ-
და ხელს: ეს ვლადიმირ ჯოისიო, ეს მარსელ ბეკეტიო,
ეს ფრანც სტერნიო...

და ისეთი შთაბეჭდილება დარჩებოდა: ძალიან სუ-
ლელურად მოისმისო.

მაგრამ ძიებას მაინც გააგრძელებდა, გააგრძელებ-
და და... ბოლოს ჯოზეფ კონრადისა და ანტონ ჩეხოვის
გვარ-სახელთა თავისებურ კომბინაციაზე შეჩერდებო-
და: ჯოზეფ ანტონი.

და შვებით ამოისუნთქებდა: თითქოს არა უშავსო.

– ძალიან კარგი, – მოუწონებდნენ მცველებიც, –
შეიძლება უბრალოდ ჯო დაგიძახოთ?

მოკლედ, ამაზე შეთანხმდებოდნენ.

მთელი ცხოვრება გამოგონილ გმირებს არქმევდა
გვარ-სახელებს სალმან რუშდი, ამჯერად კი თვითონ
უნდა ქცეულიყო არარსებული გვარ-სახელის მატარე-
ბლად.

კონრად ჩეხოვი? არა, არაფრად ივარგებდა. აი ჯო-
ზეფ ანტონი კი... მართლაც შეიძლება არსებულიყო
და... აჰა, უკვე არსებობდა კიდეც.

მოგვიანებით ამ გვარ-სახელით გამოქვეყნდებოდა
სალმან რუშდის ავტობიოგრაფიული რომანი, რომე-
ლიც ხელმისაწვდომი გახდებოდა ქართველი მკითხვე-
ლისთვისაც მთარგმნელთა ტანდემისა – ზაზა ჭილაძე



და გია ჭუმბურიძე – და გამომცემლობა „დიოგენეს“
წყალობით, და რომელიც მხატვრული ძალმოსილებით
აშკარად აღემატება „ეშმაკეულ აიებს“: დრამატიზ-
მითაც, ექსპრესიითაც, ხასიათთა გამოკვეთითაც და
ფონის უჩვეულობითაც და სიღრმითაც, საბოლოოდ
ყოველივე კომპოზიციური ხელოვნებით მარჯვედ რომ
იყრის თავს, აღარაფერი რომ არც ითქვას მწვავე პო-
ლიტიკურ ქვეტექსტებსა და საპროტესტო სულისკ-
ვეთებაზე უსამართლო დევნის წინააღმდეგ, რაკილა
„ეშმაკეული აიები“ არ ყოფილა მიმართული ისლამის,
წინასწარმეტყველისა და ყურანის დასამცირებლად თუ
სახელის გასატეხად.

ამას დაბრალებით თუ დააბრალებდი მწერალს –
რომანის არასწორი წაკითხვის გამოისობით, ანდა ყურ-
მოკრულით.

თუმც ეს ყოველივე სიტყვას მოჰყვა, თორემ ამ
მცირე ჩანაწერის მიზანი მხოლოდ იმ ვითარების წარ-
მოჩენაა, რაოდენ მნიშვნელოვანი სახელია ჯოზეფ კონ-
რადი დღესდღეობითაც, აგერ სალმან რუშდი სულაც
მას რომ შეეფარებოდა, და იქვე ამასაც მიადევნებდა:
ბოლო-ბოლო სწორედ კონრადს დავესესხე რაღაც დე-
ვიზისმაგვარს, რაც მომდევნო წლებში ნამდვილ მაშველ
რგოლად მექცაო.

შეგვახსენებდა მის არაპოლიტკორექტულსათაური-
ან (შემოგვლიმის კიდეც რუშდი?) რომანს „ზანგი გემ
„ნარცისიდან“, რომელშიც მეზღვაური სწორედ ამ
ზანგს ეკითხებოდა:

– თუ იცოდი, რომ ჭლექი გჭირდა, რაღას ჩაეწერე
ამ რეისზე?

ის კი პასუხობდა:

– ვიდრე ფეხებს გაჭიმავდე, ცხოვრება ხომ გინდა?

სალმან რუშდის ახლანდელ მდგომარეობაში ეს სიტყვები რაღაც ლოცვისმაგვარ ელფერს შეიძენდა:

– ასე, ჯოზეფ კონრად, ვიდრე ჩაძაღლდებოდე, უნდა იცხოვრო, – შეუძახებდა თავს.

თავდაპირველად აპირებდა ეს რომანი ასე დაესათაურებინა – „სამყაროს უკანა კარი“, რადგან წინა კარიდან შესვლა ყველას შეეძლო, და მხოლოდ მას უწევდა – ყოველწამიერად სიკვდილის მომლოდინეს – სამზარეულოსა თუ მომსახურე პერსონალისათვის განკუთვნილი შესასვლელით სარგებლობა და ფანჯრებიდან ძრომიალიც კი...

ეს სახელწოდება მთლად გადასაგდებად დაენანებოდა და პასაჟად ჩართავდა თხრობისას, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ავტობიოგრაფიული რომანი საბოლოოდ მაინც ასე უნდა დასათაურებულიყო – „ჯოზეფ ანტონი (მემუარები)“.

სალმან რუშდი მუსულმანი კი არის სარწმუნოებით, მაგრამ დაბადებით ინდოეთშია დაბადებული, ისევე როგორც არუნდატი როი, რომლის ნახევრად ავტობიოგრაფიული რომანიც – „წვრილმანების ღმერთი“ – ასევე გამოიწვევდა აგრესიულ დამოკიდებულებას თავის სამშობლოში, მაგრამ ფათვა საერთოდ არ შეეხებოდა, რაკიღა სარწმუნოებრივი აღმსარებლობით არა ყოფილა ისლამის მიმდევარი.

ფარზე აზიდავდა დასავლური ლიტერატურული კრიტიკა ამ რომანს, ყოველმხრივ გამორჩეულ შედევრად რომ შერაცხავდნენ და ამიტომაც ითარგმნებოდა



ქართულადაც თამარ ჯაფარიძის მიერ, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ რომ ითავებდა მის გამოცემას.

მწერალი შეეცდებოდა შიგნიდან დაენახვებინა ჩვენთვის ინდოეთი და არ მორიდებოდა ტაბუდადებულ თემებსაც, თავისი ერის სულის ხვეულებსა და ლაბირინთებში ჩაღწევის მცდელობისას კი საგანგებოდ უნდა შემოეტანა თხრობაში ჯოზეფ კონრადის ეს რომანიც – „წყვდიადის გული“, და მისი მთავარი გმირის სახელიც – კურცი, და იქ სათაურადაც შერჩეული მეტაფორა აქ რეფრენადაც უნდა გამოჰყოლოდა სიუჟეტს, რათა მკითხველს უფრო ღრმად და კანთიელად შეეცნო ინდოეთის იდუმალება, მისი პრეისტორიული თუ ისტორიული ფესვები.

არუნდატი როის ისევე სჯერა, კონრადის ეს ნაწარმოები ყველა განათლებული მკითხველისათვის რომ არის არამარტო ცნობილი, არამედ გაშინაგანებულიც, როგორც თავის დროზე ტომას სტერნზ ელიოტს არ ეპარებოდა ეჭვი ამაში, და ციტატს რომ მოიხმობდა „წყვდიადის გულიდან“ – ეპიგრაფად ლექსისათვის „კაცის ფიტულები“: მისტერ კურცი – იგი მკვდარიაო, – „ბერნი მიწის“ ერთ პასაჟს კი კონრადული ასოციაცია-ალუზიებით აავსებდა, ორივე შემთხვევაში ზედმეტად მიიჩნევდა პირველწყაროს მითითებას, რაკიღა მკითხველი ისედაც იოლად უნდა მიმხვდარიყო.

„წვრილმანების ღმერთში“ ჩაკომ ტყუპებს – ესტასა და რაჰელს – უნდა ამცნოს: სამწუხაროდ ჩვენ ყველა ანგლოფილები ვართ, ანგლოფილთა მთელი ოჯახიო.

ანუ ის ადამიანები:

მცდარი გზით რომ წავიდნენ, საკუთარი ისტორიიდან სხვის ისტორიაში გადაინაცვლეს და ახლა უკან

ველარ ბრუნდებიან, რადგან მათი ნაკვალევი უკვე წაშლილია.

და დასძინოს:

ისტორია ღამეში გამოკიაფებულ ძველ სახლსა ჰგავს, რომელშიც ყველა სინათლე აუნთიათ და შიგნით წინაპრები ჩურჩულებენო.

ეგ ისტორია როგორ უნდა გაეგოთ?

იმ სახლში უნდა შესულიყვნენ და მოესმინათ, რაზე საუბრობდნენ მათი წინაპრები, იქაური წიგნები დაეთვალიერებინათ, იქაურ კედლებზე ჩამოკიდებული სურათები შეესწავლათ და იქაური სურნელი შეესუნთქათ.

ესტა და რაჰელი სავსებით დარწმუნებულნი არიან, რომ ჩაკო კონკრეტულ სახლს გულისხმობს – მდინარის გაღმა ნაპირზე მიტოვებული კაუჩუკის ფერმას, რომელშიც ისინი არასოდეს შესულიყვნენ; შავი საჰიბის (ბატონის), კარი საიბუს სახლს – იმ ინგლისელის, რომელიც „აბორიგენად" გადაქცეულიყო, მალაიალამზე ლაპარაკობდა და მუნდუს ატარებდა.

– შავი საჰიბი, ასე ვთქვათ, აიემენემის ადგილობრივი კურცი ბრძანდებოდა, რომელმაც იქაურობა პირად „წყვდიადის გულად" აქცია.

ათი წლის წინათ იგი შუბლში ტყვიას რომ დაიხლიდა (მიზეზი აქ გასახსენებელი აღარ არის, რაკიღა კონრადის მოთხრობასა და მის გმირთან საერთო არაფერი აქვს), მის ქონებაზე დიდი სასამართლო ატყდებოდა მის მზარეულსა და მდივანს შორის. მთელი ათი წელი სახლი მიტოვებული იდგებოდა და ძალიან ცოტა თუ ნახავდა, შიგნით რა ხდებოდა, მაგრამ ტყუპებს მაინც თვალნათლივ წარმოედგინათ, როგორი იქნებოდა ის სახლი.



– ისტორიის ჭეშმარიტი სავანე.

ქალმა-მიწამ საკმაოდ დიდი შთაბეჭდილება უნდა მოახდინოს ტყუპებზე, მაგრამ ისტორიის სავანე – იქვე, ორ ნაბიჯში რომ იყო – ბევრად უფრო მიმზიდველი და საინტერესო აღმოჩნდებოდა. იმ სავანეზე ხშირად ეფიქრებოდათ; იმ სახლზე, მდინარის გაღმა ნაპირზე რომ იდგა.

– მოღუშულ სახლზე, „წყვდიადის გულში".

და მალევე კვლავ უნდა იელვოს ისტორიის სუნმა.

თხრობა გრძელდება და:

გაღმა ნაპირიდან ოდნავ მოშორებით ხუთვარსკვლავიან სასტუმროდ გადაკეთებული „წყვდიადის გული" დგას.

ძირძველ ოჯახთა ეს საგვარეულო სახლები სასტუმროს მეპატრონეებს შთამომავალთაგან უყიდიათ და აქ გადმოუტანიათ, „წყვდიადის გულში". მოკლედ, ისტორიაც და ლიტერატურაც კომერციის სამსახურში ჩაუყენებინათ და:

ნავსაყუდელთან კურცი და კარლ მარქსი ხელიხელჩაკიდებულნი დგანან მდიდარი სტუმრების მოლოდინში.

ხედავთ, რარიგ განზოგადებულა და გასიმბოლოვებულა კურცის სახელი? პერსონაჟი კი აღარ არის, არამედ რეალური პიროვნება. გული კი გწყდება, რაღა მაინცდამაინც მარქსის გვერდით ახსენესო, მაგრამ ინდოელ მწერალს ამდენს ნუღა მოვთხოვთ.

მერე უნდა გვამცნონ, რომ ერთადერთი, რაც ყოვლისმცოდნე ველია პააპანმა არ იცის, ისაა, კარი საიბუს სახლი რომ ისტორიის სავანეა.

მერე ტყუპები მდინარეს ახალაღმოჩენილი ძველი ნავის თვალით რომ გახედავენ, იმ ადგილიდან, სადაც

ისინი დგანან, ისტორიის სავანე არ მოჩანს – მხოლოდ რაღაც წყვდიადს ხედავენ ჭაობის მიღმა, მიტოვებული კაუჩუკის პლანტაციის გულში.

„წყვდიადი“ აქ თითქოს ყოფითი სურათია, მაგრამ შემზადებულნი ვართ, რომ ამ სიტყვაში არეკლილი სიმბოლო კიდევ ერთხელ აღვიქვათ, ისევე როგორც იმ პასაჟში, აიემენების ტაძარში მოცეკვავეები იმ დამცირების ჩამოსარეცხად რომ ცეკვავენ, რომელსაც წყვდიადის გულში განიცდიან, როდესაც, ლუკმაპურის საშოვნელად, უმოწყალოდ შეკვეცილ წარმოდგენებს მართავენ საცურაო აუზში მოჭყუმპალავე ტურისტებისათვის.

და მალევე უნდა შევიტყოთ წუთისოფლის ის პარადოქსიც:

დიადი ისტორიების საიდუმლო სწორედ ის არის, რომ მათში არავითარი საიდუმლო არ იმალებაო.

მერე კვლავ წყვდიადის გულმა უნდა ამოჰყოს თავი:

უნდა გაეფრთხილებინათ იქ მიმავალი მეგობარიო.

გაფრთხილება რა არის და:

ერთი ის, ნებისმიერ ადამიანს ნებისმიერ დროს ნებისმიერი რამ შეიძლება დაემართოსო;

მეორე კი ის – ყველაფერს აჯობებს ყველაფრისათვის მზად იყოო.

მერე ისტორიასთან წინასწარ შეუთანხმებელი პაემანიც უნდა ახსენოს რომანისტმა და... აჩქარებული ნაბიჯით გაძუნძულებაც პერსონაჟისა წყვდიადის გულისაკენ, მარტოხელა მგელივით.

და აქვე უნდა მოედევნოს „დანაკარგების ღმერთისა“ და „წვრილმანების ღმერთის“ ხსენებაც, გამჭვირ-



ვალე მინიშნება, რომ „წყვდიადის გულის“ მხატვრულ მრწამსთან ახლოა „წვრილმანების ღმერთი“ – არუნდატი როი ჯოზეფ კონრადის იმ რომანის ხაზს აგრძელებს, რაც ისედაც საცნაურია, ბარემ ამ დეტალითაც მინიშნებულიყო.

მერეც, პოლიციელთა რაზმი უსაშველოდ მოდიდებულ, მდორე მინაჩელს რომ გადაჰკვეთს და სველი ჯაგნარის გავლით პირდაპირ წყვდიადის გულს მიაშურებს.

მერე ამ ნეოლოგიზმმაც უნდა იჩინოს თავი:

წყვდიადგულიანებიო.

ცალკე აბზაცადაც რომ გამოიყოფოდა, რათა მკითხველს კარგად შეეგრძნო ამ ნეოლოგიზმის შექმნის მნიშვნელობაც და ღრმააზროვნებაც.

მერე კი:

წყვდიადგულიანები ფეხაკრეფით უნდა შეიპარნონ წყვდიადის გულში.

ისტორიის ხვრელიც უნდა ახსენოს მწერალმა ორჯერ, ამ მეტაფორას თითქოს ყოფითი, მაგრამ კვლავინდებურად სიმბოლური სურათი რომ უნდა მოჰყვეს: საათი, რომელიც ყველას მიავიწყდება და იქვე რჩება, ისტორიის სავანეში, მოვლენათა არასწორად აღმბეჭდავი დროით.

წერს ავტოგრაფიული ყაიდის რომანს არუნდატი როი და... თვალწინ ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გული“ აღმართვია თავისებურ გზამკვლევად – საკუთარი არსებისა და თავისი ქვეყნის სულიერ ხვეულებში რომ ჩაიძიროს და დაფარულ საიდუმლოებებს მიაგნოს, ხელის შეხებისას იდუმალებას რომ ჰკარგავენ, რა-რა და სწორედაც გაინგლისელებული პოლონელი მწერ-

ლის მოთხრობა ესაჭიროება, რათა ხელისცეცებით არ მოუხდეს სვლა ფრიალოებზე, ყოველწამიერი გადაჩეხვის შიშითა და მოლოდინით.

ჯოზეფ კონრადის სახელი თილისმასავითაა არუნდატი როისათვის.

სალმან რუშდიც რა, თილისმასავით არ გამოიყენებდა, მას რომ შეეფარებოდა და შვებით ამოისუნთქებდა, ადვილად ველარ მომაგნებენო?!.

უკეთესი პოპულარიზატორები ვინ შეიძლება ყოფილიყვნენ ჯოზეფ კონრადის სახელისა, ვიდრე ეს ორი ინდოელი მწერალია, ხელშესახებად რომ ადასტურებენ, დღესდღეობით თუ ვინმე, კონრადი რომ ტრიალებს მკითხველის ცნობიერებასა და სალიტერატურო მიმოქცევაში, კლასიკოსის მანტიითაც რომ შემოსილა და კვლავინდებურადაც ცოცხლობს და ფეთქავს, გავსებს და გაგულიანებს, გზას გიკაფავს სულიერი სილრმეებისაკენ და შესაძლოა საკუთარი თავისაგან აღარც გამოგერჩეოდეს, ისე შეეთვისო და შეერწყა მის მხატვრულ სამყაროს, მის სულს, მის არსებას.

ფსევდონიმის შერჩევისასაც მას დაესესხო.

რეფრენადაც მის სიმბოლიკას მიმართო.

ასე რომ:

ჯოზეფ კონრადის ამა თუ იმ თხზულების გამოქვეყნებას – გარდა დიდებულ მწერალთა აღტაცებული შეფასებებისა: ტომას ელიოტი იქნება, უილიამ ფოლკნერი თუ ერნესტ ჰემინგუეი – ყოველთვის გვერდით ამოუდგება სალმან რუშდის ავტობიოგრაფიული რომანიც „ჯოზეფ ანტონი“ და არუნდატი როის „წვრილმანების ღმერთიც“, როგორც იმ წიგნების სულ ახალი ამწევნი ფარზე.



და რაოდენ საგულისხმოა, რომ სწორედ ასე მოხდებოდა ჩვენს ლიტერატურულ-კულტურულ სინამდვილეში: ეს ორი რომანი და ჯოზეფ კონრადის პროზაული კრებული – „წყვდიადის გულთან“ ერთად „პრინცი რომანი“ და „დუელიც“ რომ შედის, ალექსანდრე ორბელიანის საზოგადოებისა და „ჩვენი მწერლობის“ მიერ მომზადებული – თითქმის ერთდროულად რომ გამოიცემოდა, პაატა ჩხეიძესთან ერთად თქვენი მონა-მორჩილიც რომ მონაწილეობდა კონრადის ამ სამი ნაწარმოების ქართული ვერსიის შექმნაში.

თითქოს შეთანხმებულნი ვყოფილიყავით ზაზა ჭილაძესა, გია ჭუმბურიძესა და თამარ ჯაფარიძესთან, ერთდროულად შემოგვეტანა ჩვენი მკითხველის თვალსაწიერში ჯოზეფ კონრადისა და მისი ორი დიდი დამფასებლის – სალმან რუშდისა და არუნდატი როის – წიგნები.

არადა თავისთავად უნდა მომხდარიყო ასე, რაღაც შემთხვევითობით.

თუმც... შემთხვევითობით რატომ – რაღაც იდუმალი კანონზომიერებით უფრო, ერთგული მეაბჯრეებივით რომ ახლავან დიდ ინგლისელს ჩვენი დროის თვალსაჩინო მწერლები, მათთვის ისევე რომ რჩება ორიენტირად და თამასად ჯოზეფ კონრადიც და მისი მხატვრული მონაპოვარიც, როგორც უილიამ ფოლკნერისათვის, მთელი ცხოვრება რომ შენატროდა „წყვდიადის გულის“ შემოქმედს...

და როგორც ერნესტ ჰემინგუეისათვის, რომელსაც ვერაფერი, რაც ოდესმე წაეკითხა, ვერ მისცემდა იმდენს, რამდენსაც კონრადის თვითეული წიგნისაგან შეიძენდა.

* * *

სალმან რუშდის რეფრენი რომ დაესაჭიროებინა, უკეთესს რას იპოვნიდა სასესხებლად წინამორბედთა თხზულებებში, თუ არა ჯოზეფ კონრადისეულ სიმბოლოს, მეტაფორას, გამოთქმას, ფრაზას...

და არუნდატი როისათვის ფსევდონიმის შერჩევა რომ ერჩიათ გარეშე თვალისათვის დასამალად – მაინც არ აკლდა გაგულისებული მკითხველები და... არამკითხველები – თანაც სასწრაფოდ და აუცილებლად, სავსებით მოსალოდნელია, რომ ისიც ჯოზეფ კონრადის სახელს შეფარებოდა – ბარემ ბოლომდეც შენ დამიცავი, შენ მიმფარველე, შენ მემშობლიურეო.

* * *

არა, ამ იდუმალმა კანონზომიერებამ ყველაზე უკეთ რომ უწყის, როდის იჩინოს თავი, და არც ინაღვლოს, შემთხვევითობა თუ გეგონება!..

**მინაწერი:**

ჰარუკი მურაკამის რომანში „ნორვეგიული ტყე" – თამარ სუბელიანი რომ აამეტყველებდა ქართულად და მკითხველს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა" მიაწვდიდა – ტორუ ვატანაბემ უნივერსიტეტში უნდა



გაიცნოს უცნაური ბიჭი ნაგასავა, რომელიც მათზე მეტს კითხულობს, მაგრამ ერთი წესი აქვს: არასოდეს წაიკითხოს იმ ავტორის წიგნი, რომლის სიკვდილიდანაც ოცდაათი წელი მაინც არ გასულა.

ფრიად დამაფიქვრელი მიზეზიც და არგუმენტებიც მოეპოვება საამისოდ:

– განა თანამედროვე ლიტერატურას არ ვენდობი. უბრალოდ არ მინდა ისეთი წიგნები ვიკითხო, რომლებსაც დროის გამოცდა არ ჩაუბარებია. ცხოვრება მეტისმეტად ხანმოკლეა.

– რომელი მწერლები მოგწონს? – მოწინებით უნდა ეკითხა ვატანაბეს ამ თავისზე სულ ოთხი წლით უფროსი ბიჭისათვის.

– ბალზაკი, დანტე, ჯოზეფ კონრადი, დიკენსი, – იმას დაფიქრებაც არ დასჭირდებოდა პასუხის გასაცემად.

ხედავთ, როგორ გარემოცვაში, როგორ ოთხეულში წარმომდგარა კონრადი ჩვენი თანამედროვე იაპონური მწერლის რომანში?

სადამდეა აზიდული არამარტო პერსონაჟის, არამედ თვით მწერლის თვალშიც, მხატვრულ-ესთეტიკურ ორიენტირადაც რომ დაისახავდა მის მოთხრობებსა და რომანებს.

და თუ ვატანაბე გაიკვირვებდა ნაგასავას ამგვარ პასუხს: ვერ იტყვი, მოდური მწერლებიაო, – ის მტკიცედ ალაპარაკდებოდა და შეეცდებოდა უმცროსი მეგობრისათვის შეეგონებინა, რომ:

– როგორ გგონია, აბა რატომ ვკითხულობ? თუ მხოლოდ იმ წიგნებს წაიკითხავ, რომლებსაც სხვები კითხუ-

ლობენ, შენც დანარჩენებივით იფიქრებ. ეს სოფლელებისა და უსაქმურების სამყაროა. ღირსეულ კაცს ამის შერცხვებოდა. ვატანაბე, აქ, ამ საერთო საცხოვრებელში მხოლოდ ჩვენ ვართ ღირსეული ხალხი. დანარჩენები სანაგვეზე უნდა მოისროლო.

გარემოცვა და ასეთი?

ონორე დე ბალზაკი, დანტე ალიგიერი, ჯოზეფ კონრადი და ჩარლზ დიკენსი.

**როსტომ ჩხეიძე**

# წყვდიადის გული

# თავი I

კრეისერულ კარჭაპ „ნელის“ ღუზა ჩაეშვა, აფრებს აღარ ატყლაშუნებდა, ირწეოდა და ისვენებდა. მოქცევა იყო, ქარი თითქმის არ ქროდა მდინარის ჩაყოლებაზე და ისღა რჩებოდა, მჯდარიყავი და მიქცევის დაწყებას დალოდებოდი.

ჩვენ წინაშე გაშლილიყო ტემზის შესართავი, როგორც სასრულმიუწვდომელი საზღვაო გზა. ჰორიზონტთან ცა და ზღვა ერთურთს შეერწყმოდა უნაწიბუროდ და განათებულ სივრცეში მუქად მოჩანდა, თითქოსდა უძრავად, წითელ ჯგუფებად ჩამომწკრივებული, მოდრეიფე ბარჟების წაწვეტებული აფრები, მბზინავი რანგოუტებით კაშკაშებდნენ. მთვლემარი მოსვენება გაწოლილიყო ჩადაბლებულ სანაპიროზე, ზღვაში რომ გადაჰქონდა და კარგავდა ურყევ სიბრტყეს. მოღრუბლული ცა დაჰყურებდა გრეივსენდს და სიღრმეებშიც მგლოვიარე სიბნელე მოჩანდა, თავს რომ დასწოლოდა უდიდეს და უდიადეს ქალაქს დედამიწის ზურგზე.

ჩვენი კაპიტანი და მასპინძელი კომპანიათა დირექტორიც გახლდათ. ჩვენ ოთხივე კეთილგანწყობით ვუყურებდით მის ზურგს, გემის ცხვირზე რომ იდგა გადახრილი და ზღვას ჩაჰყურებდა. მთელ მდინარეზე

არაფერი გახლდათ ისეთი, ამის ნახევრად ზღვაოსნური რომ ყოფილიყო. იგი მოგაგონებდათ შტურმანს, რომელიც მეზღვაურისათვის ნდობის განსახიერებაა. ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ მისი საქმე იქ კი არ იყო გაკაშკაშებულ შესართავში, არამედ მის უკან, იმ ჩალუსკუმებულ სიბნელეში.

ჩვენ, ადრე როგორც მითქვამს სადღაც, ზღვით ვიყავით შეკავშირებულნი. გარდა იმისა, რომ ჩვენი გულები დაახლოებული იყვნენ დიდი ხნით განცალკევებისას, ისიც ამისაგან იყო, რომ შემწყნარებლობას ვიჩენდით ერთმანეთის ლაყბობისა და ახირებულობათა მიმართაც. მხოლოდ ვექილს ჰქონდა – საუკეთესოს ძველ ამფსონთა შორის – ასაკისა და ღირსებათა გამო გემბანზე ერთადერთი ბალიში და ერთადერთ ნოხზეც იწვა. მოანგარიშეს უკვე ამოეტანა დომინოს ყუთი და კოჭებით არქიტექტურული თამაშით ერთობოდა.

მარლო კიჩოსთან ფეხმორთხმულიყო და მცირე ანძას მიყრდნობოდა. ჩავარდნილლოყებას მოყვითალო ფერი გადასდევდა, წელგამართული, ასკეტურგამომეტყველებიანი, ხელებდაშვებული და მტევნებგადმობრუნებული კერპს მოგაგონებდათ. დირექტორი დარწმუნდა, ღუზა კარგადაა მოკიდებულიო, კიჩოსაკენ გამოემართა და ჩვენ შორის ჩამოჯდა. ზანტად გავცვალეთ ორიოდ სიტყვა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა იახტის გემბანზე. რაღაც მიზეზის გამოისობით დომინოს თამაშს არ შევუდექით. ფიქრმა წაგვიღო და დინჯადღა მიმოვატარებდით თვალს. დღე იწურებოდა მშვიდი და დახვეწილი ბრწყინვალებით; წყალი წყნარად ბზინავდა; კრიალა ცა კეთილი სიდიადით ასხივებდა უმანკოშუქს; ესექსის ჭაობის ნისლი, ქათქათა და გამჭვირვალე, ხეთაგან გადმოსული ქსოვილივით დაბალ ნაპირებს ნაოჭებად დაჰფენოდა. მხოლოდ დასავლეთის მოღრუბლულობა იჭმუხნებოდა მაღლობებისაკენ და სულ უფრო პირქუშდებოდა, თითქოს მზის მოახლოებას განურისხებიაო.



და ბოლოს მზე გადაიწვერა და შეუმჩნეველი რკალით დაეშვა, და მოკაშკაშე სითეთრის ნაცვლად გამეწამულდა, აღარც აცხუნებდა, აღარც სხივები გააჩნდა, თითქოს უეცრად სადღაც გაეშურა თავზარდაცემული სიბნელის შეხებით, კაცთა ბრბოს თავზე რომ ეშვებოდა ჩაფიქრებული.

მაშინვე შეიცვალა წყალიც, წყნარი დარჩა, მაგრამ ნაკლებ ბზინვარე და უფრო ღრმა. ბებერი მდინარე მთელი სიგრძე-სიგანით უძრავად გაწოლილიყო და ისვენებდა დღის მიწურულს, საუკუნეები ერთგულად ემსახურა იმ რასისათვის, მის ნაპირებზე რომ დასახლებულიყვნენ, მშვიდი ღირსებით გადაჭიმულიყო საზღვაო გზად, დედამიწის უშორესი კუთხეებისაკენ რომ მიემართებოდა. შევცქეროდით ამ კეთილშობილ მდინარეს, არა ვითარცა ამ მოკლე დღის კანთიელ გამონათებას, რომ მოვა და გაქრება სამუდამოდ, არამედ მეფურ შუქში წარუშლელ მოგონებათა. და მართლაც არაფერია უფრო იოლი კაცისათვის, ვისაც, როგორც იტყვიან, „ზღვები მოუვლია“ ღირსებითა და მგზნებარებით, გამოაღვიძოს წარსულის სული ტემზის შესართავის დაბლობებზე. განუწყვეტლივ მიიქცევიან და მოიქცევიან ტალღები, რომელთაც ახსოვთ ადამიანები და გემები, შინისაკენ რომ აბრუნებდა ან ზღვისაკენ, ბრძოლისაკენ

მიუძღოდა. იცნობდა და ემსახურებოდა ყოველ დიდ კაცს, ვისითაც ამაყობს ერი, სერ ფრენსის დრეიკიდან მოყოლებული სერ ჯონ ფრანკლინამდე, რაინდებს ყველას, ტიტულოვანსა და უტიტულოს – ზღვის მოგზაურ დიად რაინდებს. მასზე გაუვლია გემებს, რომელთა სახელებიც ძვირფასი თვლებივით ციმციმებენ ღამეში, „ოქროს ირმიდან“ მოყოლებული, განძით ავსებულნი, გაბერილგვერდებიანნი რომ დაბრუნებულან და მათი უდიდებულესობა დედოფალს სტუმრებიან და ამით მოუხვეჭავთ დიდი სახელი, „ერებუსითა“ და „ტერორით“ დამთავრებული, სხვა ლაშქრობაში რომ წასულან და აღარასოდეს დაბრუნებულან. იცნობდა გემებსა და კაცებს. მათ გაუცურავთ დეპტფორდიდან, გრინვიჩიდან, ერითიდან – თავგადასავალთა მოყვარულებსა და ახალმოსახლეთ; სამეფო გემებსა და სხვადასხვა კაცთა გემებს, კაპიტნებისა, ადმირალებისა, ბნელი „მეტიჩრებისა“, აღმოსავლეთის ვაჭრობაში რომ ეჩრებიან, და ისტინდოეთის ფლოტისათვის „გენერლის“ უფლებამოსილებით აღჭურვილი პირებისა. გაუცურავთ ოქროსა ან სახელის მაძიებლებს, ყველა დაჰყოლია ამ დინებას, მახვილებმომარჯვებულნი, ხშირად ხელჩირაღდნიანნი, ქვეყნად ძლევამოსილების შიკრიკნი, წმინდა ღვინის შუშხუნა შხეფები. რა სიდიადე არ ჩაჰყოლია ამ მდინარის დინებას – დედამიწის შეუცნობელი იდუმალებისაკენ მიმავალი. ...ადამიანთა ოცნებანი, სახელმწიფოთა საფუძველნი და ჩანასახნი იმპერიათა.

მზე ჩავიდა, ბნელმა მოიცვა მდინარე, სინათლეები აინთო ნაპირის გასწვრივ. ჩეპმენის სამფეხა შუქურა, მოქცევა-მიქცევის შუაგულში წამომართული, მძლავრად



აკაშკაშდა. ფარვატერში მოჩანდა გემთა სანათურები – აღმა-დაღმა მოძრავი სინათლენი. და უფრო დასავლეთით მდინარის ზემოწელისაკენ უზარმაზარი ქალაქი ჯერაც ბუნდოვნად ილანდებოდა ცის კაბადონზე, და მზის ნათებისას მასზე დაწოლილი ბურუსი ფერმკრთალ ნათებად გადაიქცა ვარსკვლავთა ქვეშ.

„და ესეც“, უეცრად ალაპარაკდა მარლო, „ერთ-ერთი წყვდიად ადგილთაგანი იყო დედამიწის ზურგზე“.

იგი ერთადერთი გახლდათ ჩვენ შორის, ვინც ჯერაც „დადიოდა ზღვაზე“. ყველაზე უარესი, რაც მასზე შეიძლება ითქვას, ისაა, რომ იგი ყოფილა თავისი კლასის წარმომადგენელი. ზღვაოსანი იყო, მაგრამ მოხეტიალეც იმავდროულად, მაშინ როცა ზღვაოსანთა უმრავლესობა, თუ შეიძლება ასე ითქვას, დაფუძნებულ ცხოვრებას ამჯობინებს. მათი გონება მუდამ შინ დარჩენას ჰკარნახობთ, და მათი სახლი, გემი, ყოველთვის მათთანაა; და ასევე მათი სამშობლოც – ზღვა. ერთი გემი მეორესა ჰგავს და ზღვაც ყველგან იგივეა. მის გარშემო არსებული უცვლელობა, უცხო ნაპირები, უცხო სახეები, ცხოვრების უსაზღვრო ცვალებადობა წარსულში გადალაგდება და შემოხვეულია არა იდუმალების განცდით, არამედ მცირედ საძულველი უვიცობით; და არაფერია იდუმალი ზღვაოსანში, თუ არა თვით ზღვა, მისი ცხოვრების მეუღლე და ბედისწერასავით გამოუცნობი. დასვენების ჟამს, საათობით მუშაობის შემდგომ, დაუდევარი ხეტიალი და მხიარულება სანაპიროზე კმარა მისთვის მთელი კონტინენტის შესაცნობად, და საერთოდაც ისეთ საიდუმლოებებს მიაგნებს ხოლმე, არავის რომ არ სჭირდება. ზღვაოსნის

დანაყბედი ამბები მარტივია და მთელი მისი აზრი ჩირადაც არა ღირს. მაგრამ მარლო არ ყოფილა მათი ტიპური წარმომადგენელი (თუკი არად ჩავაგდებთ თხრობისადმი მის მიდრეკილებას), და მისთვის ეპიზოდის აზრი არა შიგნით, ნაჭუჭში სუფევდა, არამედ გარეთ, ამოტანილ ამბავს ისე გამოახვევდა, ვით სხივს მსუბუქ ნისლში, იმ ბუნდოვანი შარავანდივით, ხანდახან მთვარის შუქის სპექტრული ილუმინაციისას რომ ჩნდება.

მისი შეკითხვა დიდად არავის გაჰკვირვებია. ასეთი იყო მარლო. ხმა არავის გაუღია. არც კი ჩაუხველებია ვინმეს; და მანაც განაგრძო ძალიან ნელა –

„უძველეს დროზე ვფიქრობ, როცა რომაელები მოვიდნენ აქ, ათას ცხრაასი წლის წინათ – იმ დღეს... შუქი მოეფინა ამ მდინარეს – რაინდებიო, ამბობთ? დიახ; მაგრამ ეს იყო მინდორზე გასრიალებული ალივით, ღრუბლებში ელვის გამონათებასავით. გამონათებებში ვცხოვრობთ და დაე, გაგრძელებულიყოს მანამდე, სანამ ბებერი დედამინა ბრუნავს! მაგრამ აქ გუშინ წყვდიადი ჩამოწოლილიყო. წარმოიდგინე განცდები იმ მშვენიერი – რას ეძახით? – ტრირემისა ხმელთაშუა ზღვაში, უეცრად ჩრდილოეთით წასვლა რომ უბრძანეს, გალების მიწა გადააატარეს და ლეგიონერთა მრავალმხრივი ოსტატობის მეოხებით, მართლაც ყოჩაღი კაცები რომ იყვნენ, ორ-სამ თვეში ააგეს, თუკი დავუჯერებთ, რასაც ვკითხულობთ. წარმოიდგინეთ ის აქ, ქვეყნიერების დასალიერში, ტყვიისფერ ზღვაში, კვამლისფერი ზეცის ქვეშ, რაღაც ისეთი, კონცერტინასებრი მოუხეშავი გემით, მდინარეს რომ აუყვება ბრძანებითა თუ მარაგებით, ან რაც გენებოთ, იმით აღჭურვილი. ქვიშიან ნაპირთა, ჭაობთა, ველურებით სავსე ტყეთა გასწვრივ, სადაც ცივილიზებული ადამიანისათვის თითქმის არ მოიპოვება საკვები და ტემზის წყალიღა აქვს დასალევად. არც ფალერნული ღვინოა და არც ნაპირზე გადასვლა შეიძლება. აქა-იქ სამხედრო ბანაკები ჩაკარგულა უდაბურებაში, ქინძისთავივით თივის ზვინში – სიცივე, ნისლი, ქარიშხლები, სნეულება, გადაკარგვა და სიკვდილი, სიკვდილი ჰაერიდან, წყლიდან, ბუჩქებიდან მოპარებული. ალბათ აქ ბუზებივით იხოცებოდნენ. დიახ, დიახ, მან ეს შეძლო.

და უთუოდ ძალზე კარგადაც შეძლო, და ისე, ბევრი რომ არც უფიქრია, მაშინღა დაფიქრდა, როცა მოგვიანებით, ალბათ სატრაბახოდ გაიხსენა თავგადასავალი. საკმაო ვაჟკაცობა ჰქონდათ საიმისოდ, რომ წყვდიადისათვის გაესწორებინათ თვალი. მას კი, ალბათ, ფრთებს ასხამდა სამსახურში თანდათანობითი დაწინაურების შანსი რავენას ფლოტილიაში, თუკი კარგი მეგობრები ეგულებოდა რომში და საშინელ კლიმატსაც გადაურჩებოდა. ან წარმოიდგინეთ ტოგაში გამოწყობილი ღირსეული ახალგაზრდა მოქალაქე – გეცოდინებათ ალბათ, რა ქიშპობაც ტრიალებდა – აქ რომ ამოჰყვებოდა რომელიმე პრეფექტს, ან გადასახადთა ამკრეფს, ანდა ვაჭარს, ბედ-იღბლის საძიებლად. ჭაობებში დაბინავებულს ტყეების გავლა უწევს და სიღრმეში შესული გრძნობს, რომ ირგვლივ ველურებია, მათი ხმები ესმის, გარს ეხვევა მთელი ის გამოუცნობი ცხოვრება ტყეში, ჯუნგლებში, ველური ადამიანის მკერდში რომ ფუთფუთებს. არც ზიარება შეიძლება შეუცნობელთან. უნდა იცხოვროს მიუწვდომლის შუაგულში, რაც ასევე

შემზარავია. და გარკვეული ხიბლიც ახლავს მის ყოფას. ხიბლი ზიზღისა – იცით? წარმოიდგინეთ მზარდი სინანული, გაქცევის ნატვრა, უძლური ზიზღი, სიძულვილი".

შეჩერდა.

„იცოდეთ", ხელახლა დაიწყო, იდაყვში მოხრილი ხელი წამოსწია და ხელისგული მოგვაშვირა ისე, რომ ფეხებმოკეცილი ევროპულ სამოსში გამოწყობილ, მოქადაგე ბუდას დაემსგავსა, ლოტოსიღა აკლდა – „ვერცერთი ჩვენგანი ამას ვერ შეიგრძნობს. ჩვენ შედეგიანობა გვშველის – სწრაფვა შედეგიანობისაკენ. ეს ჯეელები კი დიდად არას დაგიდევდნენ. ისინი კოლონისტები არ ყოფილან; ვეჭვობ, მათი ადმინისტრაცია მხოლოდ თრგუნავდა და მეტი არაფერი. ისინი დამპყრობნი იყვნენ, ამისათვის კი უხეში ძალა თუ გჭირდება – და არაფერია თავმოსაწონებელი ძალ-ღონეში, რადგანაც შენი ძალა მხოლოდ სხვისი სისუსტისაგან აღძრული შემთხვევითობაა. ისინი იტაცებდნენ ყველაფერს, რასაც მოიხელთებდნენ და რისი აღებაც შეეძლოთ. ძარცვავდნენ დაუნდობლად, ულეტდნენ შეუბრალებლად და ამას სჩადიოდნენ ბრმად – რაც სჩვევიათ იმათ, წყვდიადის დამორჩილებას ვინც მოინდომებს. მიწის დაპყრობა, რაც ნიშნავს, წაართვა მას, ვისაც განსხვავებული აგებულება და უფრო გაბრტყელებული ცხვირი აქვს, არცთუ ისე რიგიანი საქმეა, თუ კარგად დავუკვირდებით. და გამოსყიდვას იდეაღა შეგაძლებინებს. იდეა, ამეებს მიღმა რომ დგას; და უანგარო რწმენა იდეისა – რაც შეგიძლია დააფუძნო, მის წინ დაემხო და მსხვერპლი შესთავაზო..."



შეჩერდა. სხივები დასრიალებდნენ მდინარეზე, პატარა მწვანე სხივები, თეთრი სხივები, ერთმანეთს მისდევდნენ, ეწეოდნენ, უერთდებოდნენ, კვეთდნენ, მერე ცილდებოდნენ ნელა ან სწრაფად. დიდი ქალაქის მოძრაობა გრძელდებოდა კუნაპეტ ღამესა და უძილო მდინარეზე. ვუმზერდით, მშვიდად ველოდით, სხვას ვერას ვიქმოდით, ვიდრე მოქცევა დამთავრდებოდა; და კარგა ხნის დუმილის შემდეგღა ყოყმანით ამოიღო ხმა, „ვგონებ გახსოვთ, ბიჭებო, ერთხელ ცოტა ხნით მტკნარ წყალზე მეზღვაურობა მოვსინჯე", და მივხვდით, განწირულნი ვიყავით, ვიდრე მიქცევა დაიწყებოდა, გვესმინა მარლოს დაუსრულებელ თავგადასავალთაგან ერთ-ერთისათვის.

„არ მინდა თავი მოგაბეზროთ პირადად ჩემს თავს გადახდენილის თხრობით", დაიწყო მან და ამ ფრაზით მიანიშნა მრავალი მთხრობელის სისუსტეზე, ხშირად რომ არ იციან, რისი გაგონება სურთ მსმენელთ; „და მაინც, იმის გასაგებად თუ რა ზეგავლენა მოახდინა ჩემზე იქაურობამ, ნანახმა, როგორ ავუყევი მდინარეს იმ ადგილისაკენ, სადაც პირველად შევხვდი საწყალ ყმანვილკაცს. ეს იყო ჩემი გამოცდილების მწვერვალი და ზღვაოსნობის უშორესი წერტილი. თითქოსდა რაღაცნაირად ნათელი მოეფინა ყოველივეს ჩემზე და ჩემს ფიქრებს. ეს ყოველივე იყო პირქუში, სავალალო, არც არაჩვეულებრივი და არც გასაგები. ჰო, გაუგებარი იყო. და მაინც თითქოსდა რაღაც ნათელი მოჰფინა.

„როგორც გახსოვთ, მაშინ ახალი დაბრუნებული ვიყავი ლონდონში, მას შემდეგ რაც მოვიარე ინდოეთისა და წყნარი ოკეანეები, ჩინეთის ზღვები, საკმარი-

სად შევითვისე აღმოსავლეთი ექვს წელიწადში და ახლა უსაქმოდ დავეხეტებოდი, საქმეში გეჩრებოდით, ბიჭებო, სახლში გეჭრებოდით, თითქოსდა ზეციური მისია დამკისრებოდა, ცივილიზაცია მომეტანა თქვენთვის. ერთიხანობა სასიამოვნო იყო, მაგრამ მერე და მერე მომბეზრდა დასვენება და გემის ძებნა დავიწყე, ყველაზე ძნელი საქმე რაცაა დედამიწის ზურგზე. მაგრამ გემები ყურადღებას არ მაქცევდნენ. და ამ თამაშმაც დამღალა.

ყმაწვილობისას რუკების თვალიერება მიყვარდა. საათობით ვუცქერდი სამხრეთ ამერიკას, აფრიკასა თუ ავსტრალიას, და თავდავიწყებაში ვეფლობოდი აღმოჩენებით მოპოვებული დიდების წარმოსახვით. იმ დროს ბევრი თეთრი ლაქა იყო დედამიწაზე, და როცა შევყურებდი რუკაზე რომელიმეს, თითქოს პირადად მე მეპატიჟებოდნენ (და ყველა ლაქა ასე მეპატიჟებოდა), დავადებდი თითს და ვამბობდი, „როცა გავიზრდები, იქ წავალ“. მახსოვს, ჩრდილოეთის პოლუსი ერთი ასეთ ადგილთაგანი იყო, ჯერ არ ვყოფილვარ იქ და ახლა უნდა ვცადო. მიმზიდველობა დაიკარგა. სხვა ადგილები წაიშალნენ ნახევარსფეროებიდან. ზოგან ვიყავი კიდეც, და... არ გვინდა ეს ლაპარაკი. მაგრამ ერთი რჩებოდა, ასე ვთქვათ, ყველაზე დიდი თეთრი ლაქა, საითაც გული მიმიწევდა.

„მართალია, იმ დროისათვის აღარსად მოიძებნებოდა თეთრი ლაქები. ისინი ჩემი ბავშვობის დროიდან ივსებოდა მდინარეებით, ტბებითა და სახელებით. გათავდა თეთრ ლაქათა დამატკბობელი იდუმალება, ბიჭის ოცნებათა აღმტაცი თეთრი ლაქების დიდება გარდავიდა. წყვდიადის ადგილად გადაიქცა. და განსაკუთრებით ერთი მდინარე იყო ასეთი, დიდი, მძლავრი მდინარე, რუკაზეც ასე აღვიქვამთ, უზარმაზარ გაშლილ გველს მოგვაგონებს, თავი რომ ზღვაში ჩაურგავს, სხეული მიიკლაკნება ვრცელ ქვეყანაში და კუდი კი ხმელეთის სიღრმეში იკარგება. და შევყურებდი ვიტრინაში გამოკიდებულ რუკაზე და მნუსხავდა ვით გველი ჩიტს, პაწია სულელ ჩიტს. მერე გამახსენდა, რომ არსებობდა დიდი კონცერნი, სავაჭრო კომპანია, ამ მდინარეზე რომ საქმიანობდა. ავფორიაქდი! ვფიქრობდი, ვერ დავექირავები ამგვარ მტკნარ წყლებში მოცურავე ორთქლის გემთა მართვის უცოდინარი-მეთქი! რატომაც არ უნდა მეცადა რომელიმეს გავძღოლოდი? ფლიტ სტრიტს მივუყვებოდი და თავიდან ვერ ამოვიგდე ეს აზრი. გველმა მომნუსხა.

ალბათ ხვდებით, კონტინენტური კონცერნი რომ იყო, სავაჭრო საზოგადოება; და მე უამრავი ნათესავი მყავს კონტინენტზე, ეს ხომ იაფია და, როგორც ამბობენ, არც ისეთი საძაგლობა, გარეგნულად რომ ჩანს.

„უკაცრავად კი ვარ, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ მათ შენუხებას შევუდექი. ესეც ახალი თავგადასავალი ჩემთვის. ხომ იცით, ასეთ რამეებს არ ვიყავ ჩვეული. ყოველთვის ჩემი გზით დავდიოდი და საკუთარ ფეხებზე მდგომი იქით მივეშურებოდი, საითაც მენება. თვითონაც არ მსურდა დამეჯერებინა, მაგრამ მაშინ, იცით, როგორღაც მეგონა, მოხერხებულობითა და ეშმაკობით უნდა მოვხვედრილიყავი იქ. და დავიწყე მათი შენუხება. კაცებმა, „ძვირფასო მეგობაროო“, მითხრეს და თითიც არ გაუნძრევიათ. მერე, დაიჯერებდით?

ქალს მივმართე. მე, ჩარლი მარლომ, ქალი გავსარჯე, რომ სამუშაო მეშოვნა. ღმერთო! ჰო, იცით, რაღაც შთაგონება მამოძრავებდა. მამიდა მყავდა, ძვირფასი, მგზნებარე ბუნების ადამიანი. მომწერა: „მეტად მოხარული ვიქნები. მზად ვარ ყველაფერი ვილონო შენთვის. დიდებული იდეაა. მაგ ადმინისტრაციაში ერთი მაღალი თანამდებობის პირის ცოლს ვიცნობ და ერთ გავლენიან კაცსაც“, და ასე შემდეგ. გადაწყვეტილი ჰქონდა ყველა უარი გადაელახა და ჩემთვის შკიპერის ადგილი ეშოვნა მდინარის ორთქლმავალზე, თუკი ასე ძალიან მეწადა“.

„ცხადია, მივიღე ეს ადგილი და ძალზე სწრაფადაც მივიღე. გაირკვა, რომ კომპანიისათვის უცნობებიათ მათი ერთი კაპიტნის მკვლელობის შესახებ, ადგილობრივებს წაჰკიდებია. ეს იყო ჩემი შანსი და უფრო მეტად განვიმსჭვალე ნასვლის სურვილით. თვეების მერელა შევეცადე გამერკვია, თუ რა დაემართა გვამს; როგორც შევიტყვე ჩხუბი ქათმების გამო წარმოშობილ გაუგებრობას მოჰყოლია. დიახ, ორი შავი ქათმის გამო. ფრეშლევენს – ასე უწოდებდნენ ამ დანიელ ყმაწვილს – მოეჩვენა, მომატყუეს ვაჭრობაშიო, ამიტომაც სანაპიროზე გავიდა და სოფლის ბელადს ჯოხით დაუწყო ცემა. ოჰ, ამის გაგება სულაც არ გამკვირვებია, და ამასთან ისიც მითხრეს, ფრეშლევენი უკეთილშობილესი და უმშვიდესი ქმნილება იყო, მათ შორის, ვისაც კი ორ ფეხზე უვლიაო. უეჭველად ასეთი იქნებოდა, მაგრამ უკვე ორიოდე წელია იქ ცხოვრობდა და, ხომ გესმით, შეიგრძნობდა თავის უპირატესობას, და ალბათ მიიჩნია, რომ საჭირო იყო რაღაცნაირად განემტკიცებინა საკუთარი თავისადმი პატივისცემა. ამიტომაც



გვემა დაუნდობლად მოხუცი ზანგი მისივე ზარდაცემული ხალხის თვალწინ მანამდე, სანამ რომელიღაცა, როგორც მითხრეს, ბელადის ვაჟმა, გადარეულმა მოხუცებულის კვნესის მოსმენით, გაბედავდა შუბი ჩაეცა თეთრი კაცისათვის, ცხადია, იოლად რომ გაიარა ბეჭის ძვლებში. მერე მთელი მოსახლეობა ტყეში გაიკრიფა, რაკი ელოდნენ, დიდი უბედურებანი დატრიალდებაო; იმავდროულად ორთქლმავალიც, ფრეშლევენი რომ მეთაურობდა, პანიკური შიშით მიატოვეს, მგონი, ინჟინრის ანაბარა. მერე აღარავის უზრუნია ფრეშლევენის ნარჩენებზე, მანამდე, სანამ მივიდოდი და მის ფეხსაცმელებს წავადგებოდი. ასე ვერ დავტოვებდი. და როცა საშუალება მომეცა ჩემი წინამორბედის ნახვისა, იმხელა ბალახი ამოსულიყო მის ნეკნებს შორის, ძვლები დაეფარა. ხელუხლებელი იყო. აღარავინ შეხებია ზებუნებრივ არსებას მას შემდეგ, რაც დაეცა. სოფელი კი გაპარტახებულიყო, ქოხებს შავად დაეღოთ პირი, იშლებოდა, ყველა ერიდებოდა აქაურობას. მართლაც დიდი უბედურება ჩამოწვა. ხალხი გაქრა. გიჟურმა შიშმა გაფანტა კაცები, ქალები და ბავშვები ტყეში, საიდანაც აღარც დაბრუნებულან. ქათმებისა არაფერი ვიცი. უნდა ვიფიქრო, მათაც მონახეს გზა. რაც უნდა იყოს, ამ გახმაურებული ამბის შედეგად მივიღე ადგილი მანამდე, სანამ იმედი გამიჩნდებოდა.

გიჟივით ვაწყდებოდი აქეთ-იქით მოსამზადებლად და ორმოცდარვა საათი არ გასულიყო, რომ სრუტის მეორე მხარეს გადავდიოდი დამქირავებელთა გასაცნობად და ხელშეკრულებაზე ხელმოსაწერად. ორიოდე საათში იმ ქალაქში ვიყავი, რომელიც მუდამ შეთეთრებულ აკლდა-

მას მაგონებდა, რაც უთუმცაო ცრურწმენა გახლდათ. კომპანიის ადგილსამყოფლის ნახვა არ გამჭირვებია. ყველაზე დიდი შენობა იყო ქალაქში, ყველას პირზე ეკერა, ვისაც კი შევხვდი. კომპანია იმპერიას ქმნიდა ცხრა ზღვას იქით და დაუსრულებლივ მოჩხრიალებდა ფული. ვიწრო და ცარიელი ქუჩა გზას მიიკვლევდა მაღალ, ჩრდილის დამფენ სახლებს შორის, უამრავი ვენეციური დარაბებით მორთული ფანჯარა გადმოჰყურებდა სამარისებურ სიჩუმეს, ბალახი ამოწვერილიყო მარჯვნივ და მარცხნივ, უზარმაზარი ორფრთა კარი მძიმედ შეიღებოდა. ერთ-ერთ ამ ჭრიალში გავძვერი, ავუყევი სადა და სუფთა, უდაბნოსავით მშრალ კიბეს და პირველივე კარი შევაღე. ორი ქალი, ერთი მსუქანი და მეორე გამხდარი, იჯდა ჩალისაგან დაწნულ სკამებზე და ქსოვდა შავ შალს. გამხდარი წამოდგა და ჩემკენ გამოემართა, თან თავაუღებლივ ქსოვდა, და როგორც კი გავიფიქრე, გავეცლები-მეთქი, მთვარეულს რომ უნდა გაეცალო, შედგა და თავი ასწია. ქოლგის შალითასავით სადა კაბა ეცვა, ხმაამოუღებლივ შებრუნდა და მოსაცდელ ოთახში შემიძღვა. თავი წარვუდგინე და მივიხედ-მოვიხედე. ხის მაგიდა იდგა შუაგულში, სადა სკამები კედლების გასწვრივ ჩაემწკრივებინათ, ერთზე დიდი, კაშკაშა რუკა ეკიდა, ცისარტყელას ყველა ფერით აჭრელებული. წითელი ჭარბობდა, ყოველთვის სასიამოვნოდ აღსაქმელი, რადგან იცი, რომ იქ საქმიანობაა გაშლილი, ბლომად ლურჯი, ცოტა მწვანე, აქა-იქ ნარინჯისფერი და აღმოსავლეთის სანაპიროზე მეწამული ლაქა, იმის მაჩვენებელი, რომ იქ პროგრესის ხალისიანი პიონერები მხიარულად მიირთმევენ ლუდს. მაგრამ არცერთისაკენ



არ მქონია გზა. მე ყვითლისაკენ მივდიოდი. ზუსტად ცენტრში. იქ იყო მდინარე, გველივით მომაჯადოებელი და მომაკვდინებელი.

უჰ! კარი გაიღო, გამოჩნდა მდივნის ჭაღარა თავი, კეთილგანწყობილი სახე და გამხმარმა საჩვენებელმა თითმა მიმანიშნა ტაძრისაკენ. ბნელოდა, მძიმე საწერი მაგიდა ოთახის შუაგულში ჩამჯდარიყო. ამ მოწყობილობის მიღმიდან გამოვიდა ფერმკრთალი გამომეტყველების, სერთუკში გამოწყობილი სისავსე. თვით დიდი ადამიანი. ჩემი აზრით, ხუთი ფუტისა და ექვსი ინჩის სიმაღლე იქნებოდა, და უთვალავი მილიონი მოექცია მარწუხებში. ხელი ჩამომართვა, მგონი, რაღაცას ვლულლუღებდი, კმაყოფილი დარჩა ჩემი ფრანგულით. V.

ორმოცდახუთიოდე წამის შემდეგ ისევ მოსაცდელ ოთახში ამოვყავი თავი კეთილგანწყობილ მდივანთან, ვინც, განმაიარაღებელი თანაგრძნობით რაღაც დოკუმენტებზე მომაწერინა ხელი. მგონი, ვივალდებულე, სხვათა შორის, არ გამემჟღავნებინა საქმიანობის საიდუმლოებანი. და არც ვაპირებ.

ოდნავ შებოჭილად ვიგრძენი თავი. ხომ იცით, მიუჩვეველი ვარ ამგვარ ცერემონიებს და რაღაც ავისმომასწავებელიც ცნაურდებოდა. თითქოს რაღაც შეთქმულებაში გავერიე – რა ვიცი – რაღაც არცთუ ისე კარგში; და შვებით ამოვისუნთქე, რომ გამოვედი. გარე ოთახში ორი ქალი შავი მატყლის ძაფით ქსოვდა ციებაშეყრილივით. ხალხი შემოდიოდა და ახალგაზრდას აქეთ-იქით სიარული უხდებოდა მათ დასაკვალიანებლად. მოხუცი სკამზე იჯდა. სქელი ქსოვილის ფლოსტები ეცვა და ფეხის დასათბილებელზე შე-

მოეწყო, კალთაში კატას მოეკალათებინა. თავი გახამებული თავსაბურავით შეემკო, ერთ ლოყას ხალი უმშვენებდა და ცხვირზე ვერცხლისჩარჩოიანი სათვალე დაეკოსებინა. სათვალის ზემოდან შემომხედა. მზერის სისწრაფემ და უარაფრო სიმშვიდემ შემაშფოთა. მხიარული და სულელური იერის ყმაწვილი გაისტუმრა სწორედ იმ სწრაფი და უზრუნველი მზერით. ეტყობოდა ყველაფერი იცოდა მათზეც და ჩემზეც. ავისმომასწავებელი გრძნობა დამეუფლა. ეს ქალი ზებუნებრივსა და საბედისწეროს ჰგავდა. უკვე შორს მყოფს ხშირად მიფიქრია ამ ორ არსებაზე, წყდიადის კარს რომ დარაჯობდნენ და შავი შალის სუდარას ქსოვდნენ. ერთი, გამუდმებით რომ მიუძღვებოდა შეუცნობლისაკენ, და მეორე, ბეჯითად რომ აკვირდებოდა სულელურ სახეებს უგრძნობი ბებერი თვალებით. AVE! შავი შალის ბებერო მქსოველო. MORITURI TE SALUTANT. მრავალთ, რომელთაც თვალი გააყოლა, აღარასოდეს უხილავს იგი, ნახევარსაც კი არა, დიდი ხნის განმავლობაში.

ახლა ექიმთან უნდა წავსულიყავი. „უბრალო ფორმალობაა“, დამარწმუნა მდივანმა, ისეთი გამომეტყველებით, თითქოს დიდად თანაუგრძნობდა ჩემს საწუხარს. და მარცხენა წარბზე ქუდჩამოფხატული ყმაწვილკაცი, ალბათ რომელიღაცა კლერკი – კლერკები ამ საქმიანობაში უთუოდ ეყოლებოდათ, თუმც შენობაში ისეთი სიჩუმე იდგა, მკვდართა ქალაქში რომ სუფევს, – საიდანღაც ზემოდან ჩამოვიდა და წინ გამიძღვა. გაქუცული და დაუდევარი ჩანდა, პიჯაკის სახელოზე მელნის ლაქები ემჩნეოდა, დიდსა და ამოჩაჩულ საყელოში ძველი ფეხსაცმელივით ჩაერგო ნიკაპი. ექიმისათვის ჯერ ადრე



იყო, დალევა შევთავაზე და აშკარად გამხიარულდა. და როცა ვისხედით და ვერმუტს ვწრუპავდით, კომპანიის საქმიანობას ასხამდა ხოტბას, და მეც ნელ-ნელა შევაპარე, მიკვირს თქვენ რატომ არ მიემგზავრებით იქითმეთქი. უცებ მოეგო გონს და დასერიოზულდა. „ისეთი სულელიც არა ვარ, როგორც გამოვიყურები, უთხრა პლატონმა თავის მოწაფეებს“, დამრიგებლურად თქვა მან, მტკიცე გამომეტყველებით გამოცალა ჭიქა და ავდექით.

მოხუცმა ექიმმა პულსი ისეთი იერით გამისინჯა, ცხადი იყო, სხვა რამეზე ფიქრობდა. „კარგია, კარგია საიმისოდ“, – ჩაიბურტყუნა და მერე ერთგვარი მგზნებარებითაც მკითხა, თავის გაზომვის ნებას თუ დავრთავდი. დიახ-მეთქი, გაკვირვებულმა მივუგე, მაშინ რაღაც ცირკულის მსგავსი ხელსაწყო ამოიღო და გამზომა წინ და უკან, ყოველმხრივ, თან ბეჯითად იწერდა. პატარა კაცი იყო, გაუპარსავი, გაცვეთილი, გაბარდინის პალტო ეცვა, ფეხები ფლოსტებში წაეყო, უვნებელი მასხარაა-მეთქი, ვიფიქრე. „მეცნიერების ინტერესებისათვის, ყოველთვის ვთხოვ ნებართვას, გამაზომინონ თავის ქალა, ვინც იქით მიემგზავრებიან“, თქვა მან. „და მაშინაც, როცა ბრუნდებიან?“ ვკითხე მე. „ეჰ, აღარასოდეს მინახავს“, აღნიშნა მან; „და, გარდა ამისა, ცვლილებანი, ხომ იცით, შიგნით ხდება“. ისე გაიცინა, თითქოს ეხუმროს. „მაშ იქით მიემგზავრებით. შესანიშნავია, საინტერესოც“. ყურადღებით დამაკვირდა და კვლავ ჩაიწერა. „სიგიჟის შემთხვევა ხომ არ ყოფილა თქვენს ოჯახში?“ ცივად ჩამეკითხა. ავენთე. „ეგ შეკითხვაც მეცნიერების ინტერესებიდანაა?“ „საგულისხმო უნდა

იყოს“, ისე მიპასუხა, რომ ჩემი უკმაყოფილება არად ჩააგდო, „მეცნიერებისათვის ინდივიდთა მენტალურ ცვლილებებზე დაკვირვება იმ წუთს და იქვე, მაგრამ“... „ფსიქიატრი ხართ?“ შევაწყვეტინე. „ყველა ექიმი უნდა იყოს ცოტაოდენ ფსიქიატრი“, აღუშფოთებლად მიპასუხა ამ ახირებულმა კაცმა. „ერთი პატარა თეორია მაქვს, რის დამტკიცებაშიც თქვენ უნდა დამეხმაროთ, ბატონებო, ვინც იქით მიემგზავრებით. ეს იქნება ჩემი წვლილი იმ წარმატებაში, რასაც ჩემი ქვეყანა მოიწევს ამ შთამაგონებელი, დაქვემდებარებული ტერიტორიიდან. ნივთიერი სიმდიდრე სხვებისათვის დამიტოვებია. მომიტევეთ შეკითხვები, მაგრამ თქვენ პირველი ინგლისელი ხართ, ვისზე დაკვირვებაც შემიძლია...“ ავჩქარდი, რომ დამერწმუნებინა მცირეოდენ ტიპურ ნიმუშადაც არ გამოვდგები-მეთქი. „ასეთი რომ ვიყო“, ვუთხარი, „მასლაათს არ გაგიბამდი-მეთქი“. „თქვენი ნათქვამი ღრმა კია, მაგრამ, სავარაუდოდ, მცდარი“, მითხრა ღიმილით. „გაღიზიანებას უფრო მეტად მოერიდეთ, ვიდრე მზეზე დგომას. ადიუ. თქვენ როგორ ამბობთ, ინგლისელები, ჰა? გუუდ ბაი. ეჰ, გუუდ ბაი. ადიუ. ტროპიკებში კაცმა ყველაზე მეტად სიმშვიდე უნდა შეინარჩუნოს...“ თითი აწია გაფრთხილების ნიშნად. „სიმშვიდე, სიმშვიდე. ადიუ“.

ერთი რამ დამრჩა გასაკეთებელი – უნდა დავმშვიდობებოდი ჩემს ჩინებულ მამიდას. ტრიუმფატორივით გამოიყურებოდა. ჩაი დავლიე – მრავალი დღე გავიდა, ვიდრე კიდევ მეღირსებოდა წესიერი ჩაის დალევა – და სწორედ ისეთ დამამშვიდებელ ოთახში, როგორსაც ყველაზე მეტად მოელი, რომ ქალბატონის



სასტუმრო ოთახი უნდა იყოს, დიდხანს ვისაუბრეთ ბუხრის პირას. აქ გამიმხილეს და ნათელი გახდა, რომ წარვუდგენივართ ერთი მეტად დიდი ჩინოვნიკის მეუღლისა და, ღმერთმა უწყის, თუ კიდევ რამდენი ვინმესათვის, როგორც გამორჩეულად ნიჭიერი ქმნილება – ვისი შოვნაც დიდი იღბალი იყო კომპანიისათვის – კაცი, როგორსაც ყოველდღე ვერ შეხვდები. ღმერთო მაღალო! და მუშაობას უნდა შევდგომოდი გროშის საღირალ სამდინარო ორთქლმავალზე, ნახევარგროშიანი საყვირით რომ აღჭურვილიყო! თუმცა აღმოჩნდა, რომ ასომთავრულით აღსანიშნი ერთ-ერთი მუშაკი გახლდით, ხომ გესმით. რაღაც სინათლის ემისარივით, რაღაც დაბალი რანგის მოციქულივით. იმ დროს ამგვარ ჭუჭყს ხშირად შეხვდებოდით ზეპირ გამოსვლებსა თუ ბეჭდვით სიტყვაში და ეს დიდებული ქალიც ასეთ აბდაუბდაში ცხოვრობდა და ფეხსაც უწყობდა. იგი ლაპარაკობდა „იმ უვიც მილიონებზე, რომლებიც უნდა გადაგვერჩინა საშინელი ცხოვრებისაგან“, ლაპარაკობდა მანამ, სანამ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ, არ შემაწუხა. გავბედე და სიტყვა ჩავაგდე, კომპანია მოგებისათვის მუშაობს-მეთქი.

„ძვირფასო ჩარლი, შენ გავიწყდება, რომ მშრომელი იმას იღებს, რასაც იმსახურებს“, ნათლად განმიმარტა ქალბატონმა. უცნაურია, რარიგ დაშორებულნი არიან ქალები სიმართლისაგან. საკუთარ სამყაროში ცხოვრობენ, სადაც ისეთი არაფერი ხდება და არც შეიძლება მოხდეს. ყველაფერი მშვენიერია და თუ შესწორებას მოინდომებენ, მზის პირველ ჩასვლამდე ნაწილებად დაიშლება. რომელიმე ჩახლართული ფაქ-

ტი, რომლითაც ჩვენ, კაცები, შეხმატკბილებულნი ვცხოვრობთ შექმნის დღიდან, გამოჩნდებოდა და ყველაფერს გადაუტრიალებდათ.

ამის შემდგომ გულში ჩამიკრა, დამარიგა, ფლანელი ატარეო, ხშირად მოიწერეო და ამისთანები, და წამოვედი. ქუჩაში, არ ვიცი რატომ, ახირებული გრძნობა ამეკვიატა, რომ თვითმარქვია ვიყავი. უცნაურია, რომ მე, რომელსაც შემეძლო მსოფლიოს ნებისმიერი ნანილისათვისაც ალღო ამეღო ოცდაოთხ საათში, იმაზე ნაკლებ დროში, ვიდრე სხვა ქუჩის გადაკვეთას მოანდომებდა, რაღაც წამებში, ვერ ვიტყვი შევყოყმანდი-მეთქი, მაგრამ შევკრთი ამ ბანალური ფაქტის წინაშე. ყველაზე გასაგებად ამას იმით აგიხსნით, რომ ორიოდე წამს მეგონა, რომ იმის ნაცვლად, კონტინენტის შუაგულისაკენ წავსულიყავი, დედამიწის ცენტრისაკენ მივდიოდი.

გავემგზავრე ფრანგული ორთქლმავლით, რომელიც ყველა დაწყევლილ პორტში შევიდა, რაც კი შემოეყარა გზაზე, როგორც ვხვდები, ერთადერთი მიზეზით – ჯარისკაცთა და საბაჟო ოფიცრების გადასაშვებად მიწაზე. სანაპიროს ვათვალიერებდი. ნაპირისაკენ ცქერა, როდესაც გემი შორდება, გამოცანის ამოხსნაზე ფიქრსა ჰგავს. აი, ის შენ წინაა, გიღიმის, წარბს იკრავს, გიწვევს, დიადი, საბრალო, უგემოვნო თუ ველური და მუდამ მდუმარე, თითქოს გეჩურჩულება, „მოდი და ამომხსენი“. ეს ნაპირი თითქმის უსახური იყო, თითქოს ჯერაც იქმნებაო, დაუნდობელი ერთფეროვნების იერი აღბეჭდოდა. უზარმაზარი ჯუნგლების პირას ისეთი მუქი მწვანე იყო, შავი გეგონებოდა, თეთრი მოქცევა



ფოჩებივით რომ შემოწყობოდა, სწორი იყო, უნაკლოდ გავლებული ხაზივით, შორს გადაჭიმულიყო ლურჯი ზღვის გასწვრივ, რომლის ბზინვარებას მომპარავი ნისლი აქრობდა. მზე სასტიკობდა, მიწა თითქოს ნაპერწკლებს ისროდა, დუღდა და დნებოდა. აქა-იქ გამოკრთებოდა თეთრ-ნაცრისფერი ლაქები და თეთრსავე მოქცევაში გროვდებოდა და თითქოს დროშასავით წინ მიუძღოდა. საუკუნოვანი დასახლებანი ჯერაც ქინძისთავებივით მოჩანდა მათ უკან გადაშლილი ხელუხლებელი სივრცის ფონზე. შევივლიდით, შევჩერდებოდით, გადავცლიდით ჯარისკაცებს; გზას გავაგრძელებდით, გადავცლიდით საბაჟოს კლერკებს ხარკის ასაკრეფად, თითქოსდა ღვთისაგან მიტოვებული უდაბურებაო, თუნუქის სახურავი და დროშის ტარი რომ ჩაკარგულიყო; უფრო მეტ ჯარისკაცს გადავცლიდით, სავარაუდოდ, საბაჟოს კლერკების დასაცავად. გავიგე, ზოგიერთი მოქცევაში დამხრჩვალიყო; მაგრამ ასე იყო თუ არა, დიდად არავის ადარდებდა. მხოლოდღა გადავცლიდით და გზას ვაგრძელებდით. დღეები ერთმანეთს ებმოდა და ნაპირი არ იცვლებოდა, თითქოს ადგილიდან არ ვიძროდით; არადა, მრავალი ადგილი გავიარეთ – საჭირო ადგილები – მაგალითად, სახელად გრან ბასამი და ლიტლ პოპო; ეს სახელები ბინძური ფარსივით მოჩანდა ავისმომასწავებელი დეკორაციის ფონზე. მგზავრული უქმობა, განდეგილობა მთელ ამ ხალხში, რომლებთანაც არაფერი მქონდა საერთო, გაქონილი და ზანტი ზღვა, ერთგვაროვნად პირქუში სანაპირო, თითქოს საგანთა სიმართლეში წვდომას მიშლიდნენ, არ მიშვებდნენ ამ ჭაპანწყვეტის მოწყენილი და უგრძნო-

ბი სიცრუის სილრმეში. მოქცევის ხმა უკვე ისმოდა და მოჰქონდა უშუალო შვება, მსგავსი ძმასთან საუბრისა. ეს რაღაც ბუნებრივი იყო, რასაც ჰქონდა მიზეზიც და აზრიც. დროდადრო ნაპირიდან მომავალი ნავი წამიერად გაკავშირებდა რეალობასთან. ნიჩბებს შავი ჯეელები უსვამდნენ. შორიდანვე გაარჩევდი მათ თვალთა თეთრი რქოვანას ბზინვას. ისინი ყვიროდნენ, მღეროდნენ; ოფლი ღვარად სდიოდათ ტანიდან; სახეები გროტესკულ ნიღბებს მიუგავდათ; მაგრამ ჰქონდათ ჩონჩხი, კუნთები და ველური სიცოცხლის უნარი, ძლიერი ენერგია მოძრაობისათვის, ისეთივე ბუნებრივი და ჭეშმარიტი, ვით მოქცევის ტალღები მათ სანაპიროზე. ნებართვა არ სჭირდებოდათ აქ ყოფნისათვის. მეტად საამონი იყვნენ საცქერად. ცოტა ხანს კიდევ შემეძლო მეგრძნო, რომ უშუალო ფაქტების სამყაროს ვეკუთნოდი; მაგრამ ამ შეგრძნებამ დიდხანს არ გასტანა. რაღაცა გაჩნდა ამის დასაფრთხობად. ერთხელ, მახსოვს, ღუზაჩაშვებულ სამხედრო გემს წავაწყდით სანაპიროსთან. ნაპირზე ქოხიც კი არსად ჩანდა და ბუჩქებს ესროდნენ ზარბაზნებიდან. ეტყობა ფრანგები თავიანთებურ ომს აწარმოებდნენ ახლომახლო. ალამი ჩვარივით ჩამოძაძღულიყო; გრძელ, ექვსდუიმიან ზარბაზანთა დრუნჩები ყოველმხრივ გამოჩრილიყო გემის დაბალი კორპუსიდან; მარილიანი, ბლანტი ღელვა ზანტად აქანავებდა აქეთ-იქით, არხევდა მის თხელ აფრებს. ცარიელ უსაზღვროებაში დედამიწისა, ცისა და წყლისა, გემი იდგა, მიუწვდომელი, და კონტინენტს ბომბავდა... ბუჰ, გაისროდა ერთ-ერთი ექვსდუიმიანი ზარბაზანი; გამოვარდებოდა მცირე ცეცხლი და გაჰქრებოდა, გაიფანტებოდა ერთიბეწო თეთრი ბოლი, სუსტად დაიწივლებდა პატარა ყუმბარა და არაფერიც არ ხდებოდა. იყო რაღაც სიგიჟის ნაწილი მთელ ამ ქმედებაში, განცდა სევდიანი ცელქობისა იმაში, რასაც ვხედავდით და სრულებითაც ვერ მიფანტავდა ამ განცდას რომელიღაცა თანამგზავრის თავგამოდებული მტკიცება, იქ ადგილობრივთა ბანაკიაო, მტრებს რომელთაც ეძახდა! სადღაც, თვალსაწიერის მიღმა მიმალულთ.



გემს თავისი წერილები გადავეცით (გავიგე, რომ ამ მარტოხელა ხომალდზე ციებ-ცხელებისაგან დღეში სამი კაცი კვდებოდა) და გზა განვაგრძეთ. შევივლიდით სხვადასხვა ადგილზე, სასაცილო სახელები რომ ერქვათ, სადაც მხიარული ცეკვა გაეჩაღებინათ სიკვდილსა და ვაჭრობას ამ მდუმარესა და მიწიერ, გადახურებული ქვაბულის მსგავს გარემოში; მთელ ამ უფორმო სანაპიროს სახიფათო მოქცევის ზოლი საზღვრავდა, თითქოს თვითონ ბუნება ცდილობდა მომხვდურთა მოგერიებას; მდინარეთა ნაპირები ტალახში ლპებოდნენ, სიცოცხლეში სიკვდილის ნაკადს მოგაგონებდნენ, ლამით გასქელებულნი, დაგრეხილ მანგროებში შეჭრილიყვნენ, რომელნიც თითქოს უძლური სასოწარკვეთილების უსაზღვროებით გვეხვეოდნენ გარს. იმდენხანს არსად გავჩერებულვართ, რომ გარკვეული შთაბეჭდილება შემქმნოდა, ბუნდოვანი და დამთრგუნველი საერთო განცდა იზრდებოდა ჩემ ირგვლივ. რაღაც დამღლელ პილიგრიმობასა ჰგავდა, ღამეული კოშმარებით გაჯერებულს.

მხოლოდ ოცდაათი დღის თავზე დავინახე დიდი მდინარის შესართავი. ღუზა სახელმწიფო დაწესებულე-

ბის გვერდით ჩავუშვით. სამუშაოს ვერ შევუდგებოდი, რადგან ორასი მილის მოშორებით მდებარეობდა. ასე რომ, რაც შეიძლებოდა მარდად გავუდექი გზას მდინარის აღმა ოცდაათ მილზე მდებარე ადგილისაკენ.

პატარა საზღვაო ორთქლმავლით მივცურავდით. კაპიტანი შვედი გახლდათ და, რომ გაიგო, მეზღვაური ვიყავი, ხიდზე მიმიპატიჟა. ახალგაზრდა კაცი იყო, ხმელი, ქერა და პირქუში, გრძელი თმა გაჩეჩოდა და ფეხების ფრატუნით დადიოდა. პატარა, საცოდავ ნავმისადგომს რომ გავცდით, ნაპირისაკენ ზიზღით მიაბრუნა თავი. „აქ გიცხოვრიათ?“ მკითხა. „დიახ-მეთქი“, მივუგე. „რა ხროვაა ამ მთავრობის კაცებისა, არა?“ გააგრძელა მან, დიდი სიზუსტით არჩევდა ინგლისურ სიტყვებს და მწარე-მწარეებს ამბობდა. „სასეიროა, რას არ ჩაიდენენ ადამიანები თვეში ორიოდე ფრანკისათვის. ნეტა იქ ქვეყნის სიღრმეში როგორ იქცევიან ასეთები?“ მე ვუთხარი, ეტყობა, მალე ვნახავ-მეთქი. „ა-ა-ასე!“ წამოიძახა, გვერდზე წაფრატუნდა, თან ფხიზლად იყურებოდა წინ. „ძალზე დარწმუნებული ნუ იქნებით“, გააგრძელა მან. „ამას წინათ ერთი კაცი წავიყვანე, გზაზე თავი ჩამოიხრჩო. ისიც შვედი იყო“. „თავი ჩამოიხრჩო! რატომ, ღვთის გულისათვის?“ წამოვიძახე მე. იგი კვლავ ფხიზლად იყურებოდა წინ. „ვინ იცის? იქნებ მზემ დასცადა, ან ეგებ ქვეყანამ“.

როგორც იქნა მდინარე გაფართოვდა. გამოჩნდა ციცაბო კლდე, ათხრილი მიდამო მიწაყრილებით მოფენილიყო, ბორცვზე სახლები იდგა, ზოგს თუნუქის სახურავიც კი მოუჩანდა ამ აღმართ-დაღმართისა და ნათხართა უდაბურობაში. ზემოდან ჩანჩქერის განუწყვეტელი



ხმა უერთდებოდა ამ დასახლებულ პარტახს. უამრავი ხალხი – ძირითადად შავი და შიშველი ჭიანჭველებივით – მოსდებოდა იქაურობას. ნავმისადგომი შეჭრილიყო მდინარეში. დროდადრო უეცარი გაელვებით თვალისმომჭრელ მზის შუქში იძირებოდა ყოველივე ეს. „აგერ თქვენი კომპანიის სადგური“, მითხრა შვედმა და კლდოვან ფერდობზე მდებარე სამ ხის ქოხმახზე მიმითითა. თქვენს ნივთებს იქით გავგზავნი. ოთხი ყუთი არ მითხარით? ასე. მშვიდობით“.

ბალახებში ჩაიდანს წავაწყდი, მერე ბორცვისაკენ მიმავალი ბილიკი ვიპოვე, ქვებს შორის რომ მიიკვლევდა გზას და გარს უვლიდა მცირე ვაგონს რკინიგზისას, უკუღმა რომ ეგდო და ბორბლები ჰაერში აეშვირა. ერთი ბორბალი მოეძროთ. მკვდარი ცხოველის ჩონჩხსა ჰგავდა. მანქანის დაზიანებული ნაწილები ეყარა, გზაზე ჯანგიან რელსთა წყებაც ჩარიგებულიყო. მარცხნივ ხეთა კორომის ჩრდილი მოჩანდა და რაღაც საგნები მოძრაობდნენ დუნედ. შევყოვნდი, ბილიკი დაფერდდა. მარჯვნიდან საყვირის ხმა გაისმა, დავინახე, როგორ მორბოდნენ შავკანიანები. მძიმე და ჩლუნგმა აფეთქებამ შეარყია მიწა, კლდის მიღმა კვამლის გროვა გამოჩნდა და მორჩა. კლდეს არაფერი დასტყობია. რკინიგზას აშენებდნენ. კლდე ხელს არ უშლიდა; მხოლოდ ეს უმიზნო აფეთქებები იყო მთელი სამუშაო.

სუსტმა წკარუნმა მაიძულა თავი მიმებრუნებინა. ექვსი შავკანიანი მოდიოდა მწკრივად, მძიმედ მოაბიჯებდნენ ბილიკზე. ნელა მოდიოდნენ წელში გამართულნი, თავზე მიწით სავსე კალათები ედგათ და წონასწორობას იცავდნენ, წკარუნის ხმა ასდევდა მათ ნაბიჯებს.

თეძოებზე შავი ნაჭრები შემოერტყათ, მოკლე ნასკვი უკან დასთრევდათ კუდივით. ყველა ნეკნი მოუჩანდათ, კიდურთა სახსრები თოკის კვანძებს მიაგავდათ; თვითეულს კისერზე რკინის საყელური ება, ჯაჭვით გადაბმულიყვნენ, რომლის საკეტებიც მათ შუა ქანაობდა და რიტმულად წკარუნობდა. მომდევნო აფეთქებამ კლდის მიღმა უცებ ის გემი გამახსენა, კონტინენტს რომ ბომბავდა. იმგვარივე ავისმომასწავებელი ხმა იყო; მაგრამ ამ ადამიანებს წარმოსახვის ვერანაირი დაძაბვით ვერ დაარქმევდი მტრებს. დამნაშავეებს უწოდებდნენ; და კანონი, რომელიც დაარღვიეს, აფეთქებული ყუმბარებივით ზღვიდან დაატყდათ თავს ვით აუხსნელი საიდუმლო. ყველას ერთობლივ უთრთოდა მკერდი, იხრჩობოდნენ, უკიდურესობამდე გაფართოებული ნესტოები უკანკალებდათ, თვალები გაქვავებოდათ და ზევით მიეპყროთ, ბორცვისაკენ. არ შემოუხედავთ, ექვსი დუიმის მოშორებით ჩამიარეს იმ სრული, სამარისებური განურჩევლობით ველურებისა. ამ გაურკვეველ არსებათა უკან ზანტად მოსეირნობდა და თოფს მოაკონწიალებდა ერთი მოშინაურებულთაგანი, ახალი ძალების მიერ დასაქმებული ნაწარმი; უნიფორმის ქურთუკზე ერთი ღილი აძრობოდა; თეთრი კაცი რომ დაინახა, ცოცხლად ასწია თოფი და მხარზე მიიყუდა. უბრალო სიფრთხილე გახლდათ, თეთრები ხომ ყველანი ერთმანეთს ჰგვანან შორიდან და რა იცოდა, ვინ ვიყავი. მალე გადარწმუნდა, ფართოდ, ეშმაკურად გაიღიმა, თეთრი კბილები გამოაჩინა, სამწყემსურს გადახედა და თანაც თითქოს შემიამხანაგა კიდეც თავის ამაღლებულ მოვალეობაში. ბოლოსდაბოლოს, მეც ხომ ნაწილი ვიყავი დიადი



მიზნით წარმართული ამაღლებული და სამართლიანი საქმიანობისა.

აღმასვლის ნაცვლად შევბრუნდი და მარცხნივ გავუყევი. აღარ მსურდა ამ დაბორკილ ტუსაღთა ცქერა ბორცვზე ასვლისას. იცით, რომ დიდი სინაზით არ გამოვირჩევი, დარტყმაც შემძლებია და თავდაცვაც. გავმაგრებივარ კიდეც და კიდეც შემიტევია – ესეც გამაგრების ერთი სახეობაა – და არც დანაკარგზე მიდარდია, იმის მიხედვით თუ რას გადავეყრებოდი ისეთ ყოფაში, როგორშიც თავი გამიყვია. სისასტიკეც მინახავს, სიხარბის საცთურიც ჩამსაფრებია და ვნებათაღელვისაც; ვარსკვლავთა მადლსა ვფიცავ, ისინი იყვნენ ძლიერი, მძლავრი, თვალებჩასისხლიანებული ეშმაკები, ადამიანებს რომ ხედნიდნენ და თრგუნავდნენ – ადამიანებსმეთქი, გეუბნებით. აქ კი, ბორცვის პირას მდგარმა, მზის თვალისმომჭრელ სხივებში განვჭვრიტე, რომ ამ მიწაზე გავეცნობოდი ჩანჩურა, მამლაყინწა, ბრუციან ეშმაკს, სიხარბისა და დაუნდობლობის ცოდვის შემყრელს. და თუ რაოდენ მზაკვარიც უნდა ყოფილიყო, რამდენიმე თვისა და ათასობით მილის გავლის მერე უნდა გამეგო. ცოტა ხანს გაოგნებული ვიდექი. ბოლოს ბორცვს ავუყევი, ირიბად რომ ვარჩევდი ხეებს შორის.

გვერდი ავუარე ფართო ხელოვნურ ღრმულს, ვიღაცას რომ ამოეთხარა ფერდობზე და რომლის დანიშნულების დადგენაც შეუძლებელი იყო. რაც უნდა ყოფილიყო, არც ქვასატეხი გახლდათ და არც ქვიშის კარიერი. ღრმული იყო, ეგაა და ეგ. შესაძლოა ერთგვარი ფილანტროპული ჟინით მოსდიოდათ, დამნაშავისათვის რაღაცის კეთება აეძულებინათ. არ ვიცი. მერე კინაღამ

ჩავვარდი მცირე ხევში, მცირე ნაიარევივით რომ აჩნდა ბორცვის ფერდობს, მეტი არაფერი. მასში უამრავი სადრენაჟო მილი ეყარა. მთელი არცერთი გადარჩენილიყო. ყველაფერი დანაშაულებრივად ნადგურდებოდა. ბოლოს ხეებამდე მივაღწიე. მინდოდა, წუთით ჩრდილს შევფარებოდი; მაგრამ შევეფარე თუ არა, მომეჩვენა, რაღაც ჯოჯოხეთურად პირქუშ წრეში შევაბიჯე. ჩქერები ახლოს იყო და წყლის ერთგვაროვანი, შეუჩერებელი, გაგრძელებული ჩხრიალი ავსებდა ჭალის სევდიან მდუმარებას, სადაც ნიავიც არ იძროდა და ფოთოლიც კი არა შრიალებდა; და გეგონებოდა, მოულოდნელად დედამიწის ტრიალის მძაფრი ხმა გავიგონეო.

შავი ჩრდილები მოკუნტულიყვნენ, იწვნენ, ისხდნენ ხეებს შორის, ხის ტანს ეყუდებოდნენ, მიწას ჩაჰკვროდნენ, ნახევრად ჩანდნენ მრუმე ნათელში, ყველაფრით ტკივილს გამოხატავდნენ, განწირულობასა და უიმედობას. კვლავ გაისმა აფეთქების ხმა კლდიდან, მცირედ შეძოძგინდა მინა ჩემ ფეხქვეშ. მუშაობა გრძელდებოდა. მუშაობა! და ამ ადგილას მუშახელის ნაწილი მოდიოდა, რათა დახოცილიყვნენ.

ნელა კვდებოდნენ – ცხადი იყო. ისინი არ ყოფილან მტრები, არც დამნაშავენი, მიწიერისა აღარაფერი ეტყობოდათ – შიმშილისა და სნეულების შავ აჩრდილებად ქცეულიყვნენ და ისხდნენ გონდაკარგულნი სიმწვანის ბინდ-ბუნდში. მთელი სანაპიროდან იყვნენ მოყვანილნი, კონტრაქტის ვადების სრული დაცვით, ჩაკარგულიყვნენ უცხო გარემოში, ჭამდნენ მიუჩვეველ საკვებს, ავადდებოდნენ, გამოუსადეგარნი ხდებოდნენ და ნება ეძლეოდათ გამოხოხებულიყვნენ და დაესვენათ.



ეს მომაკვდავი აჩრდილები ჰაერივით თავისუფალნი იყვნენ და ლამის ჰაერივით თხელნიც. ხეთა ჩრდილში მათი თვალების მინავლებული შუქის გარჩევა დავიწყე. ქვემოთ დავიხედე და დავინახე სახე ჩემს ხელთან ახლოს. შავმა ძვლებმა, ცალი მხრით მთელ სიგრძეზე რომ მიყრდნობოდა ხეს, ნელა ასწია ქუთუთოები და ჩამქრალი თვალებით შემომხედა, გამოცარიელებული დიდი თვალებით, თითქოს ბრმააო, სითეთრემ ამოანათა სიღრმიდან და ნელა ჩაკვდა. ყმაწვილკაცი ჩანდა, ლამის ბავშვი, თუმც, ხომ იცით, მათ ასაკს დანამდვილებით ვერ გამოიცნობ. მეტი ვერაფერი მოვიფიქრე, გარდა იმისა, რომ იმ კეთილი შვედის გემიდან წამოღებული ბისკვიტი შევთავაზე, ჯიბეში რომ მედო. ყოვნით მოავლო თითები და გამომართვა, მეტი არც განძრეულა და არც შემოუხედავს. კისერზე თეთრი შალის ნაჭერი შემოეხვია; რატომ? საიდან? რამე ნიშანი იყო? მოსართავი? ჯადო? დამამშვიდებელი ნივთი? რაიმე იდეა უკავშირდებოდა? გამაოგნებელი იყო მის შავ კისერზე შემოხვეული ზღვების მიღმიდან ჩამოტანილი ეს თეთრი ზოლი.

იმავე ხესთან კიდევ ორი მოკუნტულიყო, გამხდარი, წაწვეტებული სახსრები მოუჩანდათ, მუხლებმოხრილები ისხდნენ, ერთს ნიკაპი მუხლებზე დაებჯინა, არსაით რყურებოდა აუტანელი, შემზარავი მზერით; მის მოძმე მოჩვენებას შუბლი დაებჯინა მუხლებზე, გადაქანცულობით გასავათებულს; და სხვა ყველაც ირგვლივ ეყარა, ათასგვარად დაკრუნჩხულნი და განადგურებულნი, ვით სურათი ჟლეტისა თუ ჭირიანობისა. ვიდრე იქ ვიდექი შიშით მოცული, ამ არსებათაგან ერთმა

წამოიწია მუხლებსა და ხელებზე და ოთხზე გახოხდა მდინარისაკენ, დასალევად. ხელით ამოხაპა და შესვა, მზეზე დაჯდა, მუხლები გადააჯვარედინა, ცოტა ხნის მერე ხუჭუჭა თავი გამხმარ მკერდზე ჩამოუვარდა.

აღარ მინდოდა ჩრდილში გაჩერება და სადგურისაკენ გავეშურე. როცა შენობასთან ახლოს, სრულიად მოულოდნელად, ელეგანტურად გამოწყობილ თეთრკანიანს გადავეყარე, ჯერ ვიფიქრე, მომეჩვენა-მეთქი. ვხედავდი მაღალ, გახამებულ საყელოს, თეთრ მანჟეტებს, თხელ ალპაკას პიჯაკს, თოვლივით ქათქათა შარვალს, სუფთა ყელსახვევს, გაკრიალებულ ფეხსაცმელს. ქუდი არ ეხურა. თმა შუაზე გაეყო, დაევარცხნა და დაეზეთა, დიდ მწვანეზოლიან ქოლგას შეფარებოდა, რაც ვეება თეთრ ხელში ეჭირა. განსაცვიფრებელი იყო, და კალამიც გაერჭო ყურს უკან.

ხელი ჩამოვართვი ამ საოცრებას და შევიტყვე, რომ კომპანიის მთავარი ბუღალტერი ყოფილა, და რომ ყველანაირი ანგარიში ამ სადგურზე ხდებოდა. ცოტა ხნით გამოვედიო, თქვა, „სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად". სულაც არ გიხსენებდით ამ ჯენტლმენს, პირველად მისი პირიდან რომ არ გამეგონა სახელი კაცისა, ვინც განუყრელად უკავშირდება იმ დროის მოგონებებს. ამასთან, პატივისცემითაც მოვეკიდე ამ ჯენტლმენს. დიახ; პატივს ვცემდი მის საყელოს, მის ფართო მანჟეტებს, დავარცხნილ თმას. გარეგნობით მართლაც რომ პარიკმახერის მანეკენსა ჰგავდა; მაგრამ ამ სრულიად გადაგვარებულ მინაზე სახეს ინარჩუნებდა. აი, სიმტკიცე. მისი გახამებული საყელო და გამოკვეთილი გულისპირი ხასიათზე მეტყველებდა. თითქმის სამი წელია აქ იყო;



მოგვიანებით, ვერ მოვისვენე და ვკითხე, ასეთი სამოსის შენარჩუნება როგორ მოახერხე-მეთქი. ოდნავ წამოწითლდა და მორცხვად მითხრა, „ერთ აქაურ, სადგურზე მომუშავე ქალს ვასწავლე. ძნელი კი იყო. არ მოსწონდა ეს სამუშაო". ამრიგად, ამ კაცმა ჭეშმარიტად მიაღწია რაღაცას. და თავის დავთრებსაც დაჰკანკალებდა და სანიმუშოდაც მოეწესრიგებინა.

სხვა ყველაფერი უწესრიგოდ იყო სადგურზე, თავები, ნაგებობანი. მტვრიან ზანგთა მწკრივები ფეხების ფლატუნით მოდიოდნენ და მიდიოდნენ; მანუფაქტურის ნაკადი, უვარგისი ბამბეული, მძივები, ბრინჯაოს მავთულები მიედინებოდა წყვდიადის სიღრმეში და სანაცვლოდ მოდიოდა ძვირფასი ნაკადი სპილოს ძვლისა.

ათი დღე უნდა მომეცადა სადგურზე – მთელი მარადისობა. ეზოში მდებარე ქოხში ვცხოვრობდი, მაგრამ ქაოსისაგან თავი რომ დამეღწია, ზოგჯერ ბუღალტრის ოთახში შევდიოდი. ჰორიზონტალური ფიცრებისაგან იყო აგებული, და ისე ცუდად დაწყობილ-შეკრული, რომ როდესაც ბუღალტერი თავის მაღალ მერხზე მოიხრებოდა, მზის ვიწრო სხივები ზოლებად ეფინებოდა კისრიდან ქუსლებამდე. დარაბის გაღებაც არ იყო საჭირო გარეთ გასახედად. იქაც ცხელოდა; დიდი ბუზები ავად ბზუოდნენ და კი არ იკბინებოდნენ, ბასრავდნენ. ყოველთვის იატაკზე ვიჯექი, ვიდრე წუნდაუდებელი გარეგნობის კაცი (ცოტა სუნამოდაპკურებულიც კი) იჯდა მაღალ მერხზე და წერდა, წერდა. ხანდახან ადგებოდა გასავარჯიშებლად. როცა გასაშლელი საწოლი შემოიტანეს და ავადმყოფი შემოუსახლეს (ქვეყნის შიგნიდან მოყვანილი სნეული აგენტი), ოდნავი უკმაყოფილება

გამოთქვა. „ავადმყოფის კვნესა ყურადღებას მიფანტავს“, თქვა მან, უყურადღებოდ კი ძალზე ძნელია საკანცელარიო შეცდომებისაგან თავდაცვა ამ კლიმატში.

ერთ დღესაც თავაუწევლად მითხრა, „ქვეყნის სიღრმეში, ეჭვგარეშეა, მისტერ კურცს შეხდებით“. მისტერ კურცი ვინ არის-მეთქი, რომ ვკითხე, მომიგო, პირველი კლასის აგენტიაო, და ჩემი იმედგაცრუება რომ დაინახა, კალამი დადო და ნელა დაამატა „მეტად ღირსშესანიშნავი პიროვნებაა“. მომდევნო შეკითხვებით ის გამოვწურე, რომ მ-რ კურცი ამ დროისათვის ძალზე მნიშვნელოვან სავაჭრო სადგურს ხელმძღვანელობდა, „იქ, ზევით, სულ სიღრმეში, და იმდენ სპილოს ძვალს აგზავნიდა, რამდენსაც სხვა დანარჩენები ერთად...“ წერა განაგრძო. სნეული მეტად ავად იყო, რომ ეკვნესა. ბუზები მშვიდობიანად ბზუოდნენ.

მოულოდნელად გაისმა მზარდი ხმაური და ნაბიჯების ხმა. ქარავანი შემოვიდა. ფიცრების მეორე მხრიდან იჭრებოდა მკვეთრი, უხეში ხმებისაგან წარმოქმნილი ბურდღუნი. ყველა მზიდავი ერთად ლაპარაკობდა და ამ გუგუნლრიალის შუიდან გამოიჭრებოდა მტირალა ხმა უფროსი აგენტისა, „ვზარალობთ“, დღეში ოცჯერ მაინც... იგი ნელა წამოდგა. „რა შემზარავი აურზაურიაო“, თქვა. მსუბუქად გადაჭრა ოთახი, რათა სნეულისათვის დაეხედა და უკან დაბრუნდა, „არ ესმის“, მითხრა, „რა! მოკვდა?“ ვკითხე შეშფოთებულმა. „არა, ჯერ არა“, მშვიდად მიპასუხა. შემდეგ თავი გადააქნია სადგურის ეზოსაკენ, საიდანაც ყვირილი მოისმოდა, „როცა სწორი რიცხვები გაქვს შესატანი წიგნში, კაცს შეგძულდება ეს ველურები, მათი გაჟუჟვა მოგინდება“.



წუთით ჩაფიქრდა. „როცა მ-რ კურცს ნახავთ“, განაგრძო მან, „ჩემგან გადაეცით, რომ აქ ყველაფერი“ იატაკს მოავლო თვალი“, ყველაფერი ძალზე დამაკმაყოფილებლადაა. არ მინდა წერილი მივწერო ამ ჩვენ შიკრიკთა გადამკიდე, არ იცი, ვის ჩაუვარდება ხელში შენი წერილი, ცენტრალურ სადგურზე“. წუთით მიყურებდა თავისი მშვიდი, გადმოკარკლული თვალებით, „ოო, იგი შორს ნავა, ძალზე შორს“, წამოიწყო კვლავ. „ძალიან მალე ადგილს დაიკავებს ადმინისტრაციაში. მათ, ზევით, საბჭოში, ევროპაში, ხომ იცით, ასე სურთ“.

სამუშაოს მიუბრუნდა. გარედან ხმა შეწყდა და გარეთ გასვლას რომ ვაპირებდი, კარში შევდექი. შინ დასაბრუნებელი აგენტი მოთავებული და უგრძნობელი იწვა ბუზების შეუწყვეტელ ზუზუნში; მეორე წიგნებზე დახრილიყო, სწორი რიცხვები შეჰქონდა სრულყოფილად სწორი გადარიცხვებიდან; ორმოცდაათი ფუტით ქვევით კი ჯერაც ვხედავდი ხეთა კენწეროებს სიკვდილის ჭალისა.

მეორე დღეს, როგორც იქნა, დავიძარი სადგურიდან, სამოცკაციან ქარავანთან ერთად, ორასი მილი უნდა გაგვევლო ფეხით.

არ ღირს ბევრის თხრობა ამის შესახებ. ბილიკები, ყველგან ბილიკები; ბილიკთა ქსელი აღბეჭდილიყო უდაბურ მიწაზე, მაღალ ბალახებში, გადამწვარ ბალახებში, ჯაგნარში, ქვევით და ზევით, ცივ ხეობებში, აღმა-დაღმა სიცხით გავარვარებულ კლდეებზე; და უკაცურობა, უკაცურობა, ერთი ქოხიც კი არა ჩანდა ირგვლივ. მოსახლეობა დიდი ხნის წინათ გადაიხვეწა. რას იზამ, თუ მრავალი, ყველანაირი, შიშისმომგვრე-

ლი ი:რაღით აღჭურვილი ზანგი მოულოდნელად გამოჩნდება დილსა და გრეივსენდს შორის გზაზე, ყოველი მხრიდან გამოირეკავს გლეხებს და აიძულებს მძიმე ტვირთი ათრიონ, დარწმუნებული ვარ, ყველა მეურნეობა და ქოხი მალე გაპარტახდებოდა. მაგრამ აქ სახლებიც გამქრალიყო. და მაინც, რამდენიმე მიტოვებულ სოფელს ჩავუარე. იყო რაღაც პათეტიკურად ბავშვური ბალახის კედელთა ნანგრევებში. დღითი დღე მესმოდა ჩემ უკან სამოცი წყვილი შიშველი ფეხის ხმა, თვითეული 60 ფუნტ ტვირთს მოათრევდა. დაბანაკება, ჭამა, ძილი, ბანაკის აშლა, სვლა. დროდადრო მკვდარ მზიდავს გადავაწყდებოდით მაღალ ბალახებში, ბილიკის გვერდით, იქვე გრძელი ჯოხი და აყიროს მათარა ეგდო. გარშემო და ზევით მკვდარი სიჩუმე იდგა. ხანდახან წყნარ ღამეში ისმოდა ჟრუანტელისმომგვრელი ხმა შორეული დაფდაფებისა, მიინავლებოდა, გაიბუქებოდა, აცახცახდებოდა, ჩაქრებოდა; ეს უცნაური ველური ხმა გიხმობდა, რაღაცას გეუბნებოდა და ალბათ ისეთივე ღრმა მნიშვნელობა ჰქონდა, ვით ზარის რეკვას ქრისტიანულ ქვეყანაში. ერთხელაც თეთრ კაცს შევხვდით, ღილშეხსნილი უნიფორმა ეცვა, ბილიკზე დაბანაკებულიყო ხმელ-ხმელ შეიარაღებულ ზანზიბარელებთან ერთად, მხიარული და ხელგაშლილი გახლდათ, მთვრალი რომ არა ვთქვა. გზის წესრიგიანობის მეთვალყურეობა მევალებაო, გამოგვიცხადა. ვერ ვიტყვი, რომ რაიმეგვარი გზა ან სამუშაოები დამენახოს, თუ არ ჩავთვლით შუახნის ზანგის გვამს, ტყვიით რომ ჰქონდა შუბლი გახვრეტილი, სამი მილის მოშორებით რომ წავადექით, შეიძლება ეს იგულისხმებოდა მუდმივ



წესრიგში. ერთი თეთრკანიანი თანამგზავრიც მყავდა, არ გახლდათ ცუდი ყმაწვილი, მაგრამ მეტად მსუქანი იყო და გამაღიზიანებელი ჩვევა ჰქონდა, ზედ გავარვარებულ აღმართზე დაჰკარგავდა ხოლმე გონებას, როდესაც წყალსა და ჩრდილს რამდენიმე მილი გვაშორებდა. ხომ გესმით, მომაბეზრებელია საკუთარი ქურთუკით მოუჩრდილო კაცს, ვიდრე გონს მოვიდოდეს. ვერ მოვითმინე და ვკითხე, აქ რამ ჩამოგიყვანა-მეთქი, „ფულის შოვნა მინდა, ცხადია, შენ რა გგონია?“ აგდებით მომიგო. მერე ციებ-ცხელება შეეყარა და იძულებულნი ვიყავით მსხვილ სარზე ჩამოკიდებული ჰამაკით გვეტარებინა. რადგან ორას ოცდაოთხ ფუნტს იწონიდა, მზიდავებთან ჩხუბს ვეღარ ავუდიოდი. ისინი ჯიუტობდნენ, გარბოდნენ, ღამით იპარებოდნენ თავიანთ ბარგთან ერთად, კინაღამ ამბოხებამდე მივედით. ასე რომ, ერთ საღამოს სიტყვით მივმართე ინგლისურ ენაზე, თან ხელებით ვანიშნებდი, და ამ მინიშნებათაგან არაფერი გამოჰპარვია ჩემზე მოჩერებულ სამოც წყვილ თვალს, და რომ ინათლა, ჰამაკი მშვიდობიანად გავაგზავნე წინ. ერთი საათის შემდეგ ყველაფერი ბუჩქებში დამხვდა მიყრილ-მოყრილი: კაცი, ჰამაკი, კვნესა, საბნები, შიში. მძიმე სარს ცხვირი გადაეხეხა საბრალოსათვის. დაჟინებით მოითხოვდა, ვიღაცა მომეკლა, მაგრამ მზიდავთა ნიშანწყალიც კი გამქრალიყო. მოხუცი ექიმი გამახსენდა, „საგულისხმო უნდა იყოს მეცნიერებისათვის ინდივიდთა მენტალურ ცვლილებებზე დაკვირვება, იმ წუთს და იქვე“. ვგრძნობდი, რომ მეცნიერებისათვის საგულისხმო ვხდებოდი. რაც უნდა იყოს, არავითარი აზრი არა აქვს. მეთხუთმეტე დღეს კვლავ დავინახე

დიდი მდინარე და მივჩლახუნდი ცენტრალურ სადგურამდე. მდინარის ყურესთან მდებარეობდა, ბუჩქნარითა და ტყით შემოსაზღვრული, ერთ მხარეს მყრალი წუმპე ერტყმოდა და სამი დანარჩენი მხარე სულელურად შემოეღობათ ლერწმით. ღიობი დარჩენოდათ და ჭიშკარიც ეს იყო, და ამ ადგილის ერთი შეხედვაც კი მიგახვედრებდა, აქაურობას სიზარმაცის დემონი დაჰპატრონებიაო. თეთრკანიანები, გრძელ ჯოხჩაბღუჯულნი, ზანტად გამოჩნდნენ შენობებს შორის, ტაატით მოვიდნენ ჩემთვის შემოსახედად, გაბრუნდნენ და სადღაც თვალს მიეფარნენ. ერთმა მათგანმა, ჩასხმულმა, ფიცხმა, შავულვაშა ჯეელმა, როგორც კი ვუთხარი, ვინც ვიყავი, დიდი სიტყვამრავლობითა და მრავალი გადახვევით მაცნობა, თქვენი ორთქლმავალი მდინარის ფსკერზეაო. თავზარი დამეცა. რაო, როგორ, რატომ? ოჰ, ყველაფერი „წესრიგში იყო". „თვით უფროსი იყო იქ. ყველაფერი სავსებით სწორად". „ყველამ დიდებულად იმოქმედა! დიდებულად!.". „თქვენ უნდა", მღელვარებით წარმოთქვა, „წახვიდეთ და ახლავე ნახოთ სადგურის უფროსი. იგი გელოდებათ!"

მაშინვე ვერ აღვიქვი ნამდვილი მნიშვნელობა ორთქლმავლის ჩაძირვისა. მეჩვენება, რომ ახლა ვხვდები, მაგრამ დარწმუნებული არა ვარ... სრულებითაც არა. ცხადია, ეს შემთხვევა მართლაც რომ მეტისმეტად ბრიყვული გახლდათ, რათა სავსებით ბუნებრივი ყოფილიყო. და მაინც... მაგრამ იმ წუთისათვის გამაოგნებელ უსიამოვნებად წარმომიდგა. ორთქლმავალი ჩაძირული იყო. ორ დღის წინათ მოულოდნელი ფაციფუცით დაძრულიყვნენ მდინარის აღმა, მენეჯერი თან ახლდათ,



ნავს ვიღაც მოხალისე შკიპერი მართავდა და სამი საათიც არ გასულიყო, ქვებს წამოედნენ, ძირი გაუგლიჯეს და სამხრეთის სანაპიროსთან ჩაძირეს. ჩემს თავს ვეკითხებოდი, აქ რაღა მესაქმება-მეთქი, ნავი დაკარგული იყო. მაგრამ აშკარაა, ბევრი საქმე მქონდა; ჩემი ორთქლმავალი მდინარის ფსკერიდან უნდა ამომეთრია. საქმეს მეორე დღესვე უნდა შევდგომოდი. ამან და კიდევ შეკეთებამ, როცა ნარჩენები სადგურზე მოვათრიე, თვეები წაიღო.

ჩემი პირველი შეხვედრა უფროსთან უცნაური გამოდგა. ოცი მილი გამოვიარე იმ დილით ფეხით, მაგრამ დაჯდომა არ შემოუთავაზებია. ყველაფერი უბრალო ჰქონდა, აღნაგობა, ნაკვთები, ქცევა და ხმაც. საშუალო ტანისა იყო და არაფრისმთქმელი აგებულებისა. თვალები – ჩვეულებრივი ლურჯი ფერის, მაგრამ ალბათ შესამჩნევად ცივი, და შეეძლო კაცისათვის ნაჯახივით ბასრად და მძიმედ დაებჯინა. მაგრამ ამ დროსაც კი თვით მისი პიროვნება გამორიცხავდა განზრახვას. სხვა მხრივ რჩებოდა მხოლოდ გაურკვეველი, მკრთალი გამომეტყველება მისი ტუჩებისა, რაღაც შეუმჩნეველი... ღიმილი... არა, ღიმილი არა... მახსოვს, მაგრამ ვერ ამიხსნია. გაუცნობიერებელი იყო ეს ღიმილის მსგავსი, თუმც რაღაცას რომ იტყოდა, წამით უმძაფრდებოდა. სათქმელის ბოლოს გაუჩნდებოდა ხოლმე და ბეჭედივით დაესმოდა მის სიტყვებს, რათა ყველაზე ბანალური ფრაზაც კი სრულიად შეუცნობელი გაეხადა. ერთი უბრალო ვაჭარი გახლდათ და სიჭაბუკიდან ამ მხარეში საქმიანობდა... მეტი არაფერი. მორჩილი იყო, ოღონდ არც სიყვარულს ამჟღავნებდა, არც შიშს და პატივის-

ცემასაც კი არა. უხერხულად გაგდებდა. აი, ეს იყო! უხერხულობა. არა განსაზღვრული უნდობლობა, უბრალოდ უხერხულობა, მეტი არაფერი. წარმოდგენაც კი არა გაქვთ, თუ რა შედეგიანი შეიძლება იყოს ასეთი... ასეთი... უნარი. მას არ გააჩნდა ნიჭი მოგვარებისა, წამოწყებისა, ან თუნდაც წესრიგისა. ეს ცხადი ხდებოდა ამ სავალალო სადგურის ნახვისთანავე. არც ცოდნა გააჩნდა და არც ინტელექტი. მაშ საიდან მიელო ეს ადგილი? ალბათ იმიტომ, რომ ავად არასოდეს ხდებოდა... სამი სამწლიანი ვადით იმუშავა აქ... რადგან მტკიცე ჯანმრთელობა, მაშინ როცა ირგვლივ ყველა მორღვეულია, ერთგვარი ძალაა თავისთავად. შვებულებაში რომ მიდიოდა, აიშვებდა და დიდ ზეიმს მართავდა. აი, მეზღვაური რომ გადადის ნაპირზე, ისეთს, ოღონდ გარეგნულად განსხვავებულს. ამას მხოლოდ დაუდევარ ლაპარაკში შეატყობდით. არაფერს ქმნიდა, მხოლოდ დინებას მიჰყვებოდა, სულ ეს იყო. მაგრამ მაინც დიდი ადამიანი გახლდათ. დიდი იმ უბრალო რამის გამო, რომ ვერ იტყოდი, თუ როგორ შეიძლებოდა ასეთი კაცის მართვა. ეს საიდუმლო არასოდეს გაუცია. ალბათ არც არაფერი იყო მასში. ასეთი ეჭვი ერთხელ გაჩნდა, იქ ხომ არაფერი ყოფილა ისეთი, რასაც მისი შეკავება შეეძლო. ერთხელ, როდესაც სხვადასხვა ტროპიკულმა სნეულებამ სადგურის თითქმის ყველა აგენტი ჩააწვინა, გაუგიათ, რომ ეთქვას, „აქ ჩამოსულ კაცებს შიგნეული არ უნდა ჰქონდეთ“. და ეს სიტყვები იმ თავისი ღიმილით დაბეჭდა, თითქოს კარი გამოაღო წყვდიადისა, რომელსაც დარაჯობდა. მოგეჩვენებოდათ, რაღაც დავინახეთო, მაგრამ უკვე ბეჭედი ედო. როცა თავი



მოაბეზრა თეთრკანიანთა ჩხუბმა, სადილობისას ვინ სად დამჯდარიყო, უზარმაზარი მრგვალი მაგიდა დაამზადებინა, რისთვისაც ცალკე შენობა გახდა საჭირო. ეს იყო სადგურის თავშეყრის ოთახი. თვითონ გამორჩეულ ადგილზე იჯდა, სხვები კი სადაც მოუხდებოდათ. მიხვდებოდი, რომ ეს იყო მისი ურყევი შეხედულება. არც აღზრდილი გახლდათ და არც გაუზრდელი. მშვიდი იყო. თავის „ბიჭს“, კარგად ნაკვებ ჭაბუკ ზანგს ზღვის ნაპირიდან, ნებას რთავდა, მის თვალწინ თეთრ კაცებს გამომწვევი ათვალწუნებით მოჰქცეოდა.

დამინახა თუ არა, ლაპარაკი დაიწყო. გზას ძალზე დიდხანს მოუნდითო. ველარ მოვიცდიდიო. უთქვენოდ უნდა შევდგომოდი საქმესო. მდინარის აღმა სადგურებს დახმარება სჭირდებოდათო. უკვე იმდენი დაგვიანება იყო, აღარ ვიცოდი, ვინ მოკვდა და ვინ გადარჩაო, და როგორ იყვნენო, და ამისთანები და ამისთანები. ჩემს განმარტებებს ყურს არ უგდებდა, დასალუქ ჯოხს ათამაშებდა, და რამდენჯერმე გაიმეორა, მდგომარეობა სადგურზე „ძალზე მძიმე, ძალზე მძიმეაო“. ხმები გავრცელდა, რომ ერთ ყველაზე მნიშვნელოვანი სადგურს საფრთხე ემუქრებოდა და რომ მისი თავკაცი, მ-რ კურცი ავად იყო. იმედოვნებდა ხმები არ გამართლდებაო. მ-რ კურცი... გადაღლილობისაგან მოთმინება მეკარგებოდა. ჯანდაბას კურცი-მეთქი, ვფიქრობდი. შევაწყვეტინე და ვუთხარი, კურცის სახელი ზღვის ნაპირზე გავიგე-მეთქი. „აჰა! იქ, ქვევითაც მასზე ლაპარაკობენ“, თავისთვის ჩაიბუტბუტა. მერე ისევ დაიწყო, მიმტკიცებდა, მ-რ კურცი საუკეთესო აგენტია, რაც კი მყოლიაო, გამორჩეული კაციაო, კომპანიისათვის დი-

დად გამოსადეგიო; ამიტომაც უნდა გამეგო, თუ რატომ ღელავდა. „ძალზე, ძალზე შეშფოთებული ვარო“, ამბობდა. მართლაც ერთხანს იბორგა სკამზე, მერე ნამოიძახა, „აჰ, მ-რ კურც!“ დასალუქი ჯოხი გადატეხა და გაოგნებული ჩანდა მომხდარით. მერე იმის გაგება მოინდომა, „რამდენი ხანი დასჭირდება“...კვლავ შევაწყვეტინე; ხომ იცით, მშიერი ვიყავი და თანაც ფეხზე მაყურყუტებდა. ვცოფდებოდი. „საიდან უნდა ვიცოდე?“ ვუთხარი, „ჯერ დაზიანება არც კი მინახავს, ალბათ, უეჭველად – რამდენიმე თვე“. მთელი ეს საუბარი უსარგებლოდ მეჩვენებოდა. „რამდენიმე თვე“, თქვა მან, „კარგი, მოდი ვთქვათ სამი თვე, ვიდრე დავიძრებით, დიახ. ასე გამოვა საქმე“. მისი ქოხიდან გამოვვარდი (მარტო ცხოვრობდა ალიზის ქოხში, რაღაც ბანივით რომ ედგა). ჩემთვის ვბურტყუნებდი, რასაც მასზე ვფიქრობდი. ყბედი იდიოტი იყო. მოგვიანებით უკან წავიღე ჩემი სიტყვები, როდესაც განცვიფრებით გავიაზრე, თუ რა ზედმიწევნით სიზუსტით განსაზღვრა „საქმისათვის“ საჭირო დრო.

მეორე დღეს სამუშაოდ გავეშურე, ასე ვთქვათ, ზურგი ვაქციე იმ სადგურს. მეგონა, მხოლოდ ამგვარად შევძლებდი ხელიდან არ გამომცლოდა სიცოცხლესთან დამაკავშირებელი რეალიები. და მაინც, კაცმა ხანდახან უკან უნდა მოიხედოს; და ამ დროს ვხედავდი სადგურს, კაცებს, უმიზნოდ რომ დაბოდიალობდნენ ეზოში, მზისგულზე. იმ სულელური გრძელი ჯოხებით ხელში დაყიალობდნენ აქეთ-იქით, იმ დამპალი ღობის შიგნით შეყრილნი, მოჯადოებული ურწმუნო პილიგრიმებივით. სიტყვა „სპილოს ძვალი“ რეკდა ჰაერში,



ჩურჩულებდნენ, ოხვრას აყოლებდნენ. გეგონებოდათ, ამაზე ლოცულობენო. ყოველივე ამას იმბეცილური სიხარბის გადამდები სენი მსჭვალავდა და გვამივით ყარდა. იუპიტერს ვფიცავ! ამაზე უფრო არარეალური არაფერი მინახავს ცხოვრებაში. გარედან, ამ ლაქას შემორტყმული მდუმარე უდაბურება მაოცებდა – რაღაც დიადი და დაუძლეველივით, ბოროტება იქნება თუ სიმართლე, მშვიდად რომ ელის ამ ფანტასტიკური შემოჭრის დასასრულს.

ეჰ, ის თვეები! ნუ შეწუხდებით. მრავალი რამ მოხდა. ერთ საღამოს ჩალის ფარდული, სავსე ბამბეულის ქსოვილით, ჩითებით, მძივებითა და, რა ვიცი, კიდევ რით, ისე უეცრად აალდა, გეგონებოდათ, მინამ პირი დააღო და შურისმაძიებელი ცეცხლი ამოაფრქვია მთელი ამ ნაგვის მოსასპობადო. ჩემი დაშლილი ორთქლმავლის გვერდით ვიდექი, ჩიბუხს ვაბოლებდი მშვიდად და ვხედავდი, როგორ დახტოდნენ ცეცხლით განათებულნი და ხელებაღმართულნი; ამ დროს ულვაშიანი, ჩასხმული კაცი ჩამოიჭრა მდინარესთან, ხელში თუნუქის სათლი ეჭირა, დამარწმუნა, ყველა „ბრწყინვალედ, ბრწყინვალედ იქცევაო“, კვარტი წყალი ამოხაპა და უკან გაქანდა. შევნიშნე, რომ სათლს ძირი გახვრეტოდა.

ტაატით ავუყევი. საჩქარო რა იყო. ისე დაიწვა, თითქოს ასანთის ყუთიაო. თავიდანვე უიმედო იყო. ალი ზევით აიჭრა და ყველა უკან დაწია, ყველაფერი გააბრდღვიალა და ჩაინავლა. ფარდული უკვე ფიცხად მოგიზგიზე ნახშირის გროვად გადაქცეულიყო. იქვე ახლოს ზანგს სცემდნენ. ამბობდნენ, რაღაცნაირად ამისი ბრალია ხანძარიო; რაც უნდა ყოფილიყო, საშინლად

ბლაოდა. მოგვიანებით, რამდენიმე დღის შემდეგ დავინახე, ჩრდილში იჯდა, ძალზედ დასნეულებული, გამოკეთებას ცდილობდა; მოგვიანებით ადგა და წავიდა... უდაბურებამ კვლავ უხმაუროდ ჩაიკრა მკერდში. სიბნელიდან ვუახლოვდებოდი ცეცხლს, როდესაც ორი კაცის ზურგში აღმოვჩნდი, ლაპარაკობდნენ. გავიგონე, კურცი ახსენეს, მერე სიტყვები „ამ უიღბლო შემთხვევის გამოყენება". ერთი მათგანი უფროსი გამოდგა. საღამო მშვიდობისა ვუსურვე. „გინახავთ რამე ამის მსგავსი, ჰა? წარმოუდგენელია", თქვა და გატრიალდა. მეორე დარჩა. პირველი კლასის აგენტი იყო, ახალგაზრდა, ჯენტლმენურად იქცეოდა, ცოტა გულდახურული ჩანდა, პატარა, ორადგაყოფილი წვერი და მოღუნული ცხვირი ჰქონდა. დანარჩენ აგენტებს ქედმაღლურად ექცეოდა, ისინი კი თავის მხრივ ამბობდნენ, უფროსის მიერ მოჩენილი ჯაშუშიაო. მე თვითონ თითქმის არც კი გამოვლაპარაკებოდი აქამდე. საუბარს შევყევით, და ნელ-ნელა გავცილდით ამ შიშინა ნანგრევს. მერე ოთახში შემიპატიჟა, სადგურის მთავარ შენობაში. ასანთს გაჰკრა და ცხადი გახდა, რომ ამ ახალგაზრდა არისტოკრატს არამარტო მოვერცხლილი საპირფარეშო მოწყობილობა ჰქონია, არამედ თვით სანთელიც კი. იმ დროისათვის მხოლოდ სადგურის უფროსს ჰქონდა უფლება სანთლის ქონისა. ალიზის კედლები ადგილობრივი ფარდაგებით მოერთოთ; და ზედ შუბების, ზუფანების, ფარების, დანების ნადავლი კოლექციები ეკიდა.

მსმენოდა, რომ ამ ჯეელს აგურების დამზადება ებარა; მაგრამ სადგურზე აგურის ნატეხს ნამლადაც ვერ იპოვიდით და უკვე მთელი წელი აქ იმყოფებოდა



და ელოდა. როგორც ჩანს, რაღაცის გარეშე აგურს ვერ დაამზადებდა, არ ვიცი, რა იყო ეს რაღაცა, ეგება ბზე. ასეა თუ ისე, აქ არ იშოვებოდა და ეტყობა, არც ევროპიდან გამოიგზავნებოდა და ვერ გამეგო, თუ რას ელოდებოდა; ეგება ნიშანს განსაკუთრებული მოქმედებისა. რაც უნდა იყოს, ყველა რაღაცას ელოდა, თექვსმეტი თუ ოცი პილიგრიმი; და მენდეთ, ეს საქმიანობა არ ეუცხოებოდათ, ისე იქცეოდნენ, თუმც, როგორც ვხედავდი, ერთადერთი, რაც მათთან მოდიოდა, სნეულება იყო. დრო გაჰყავდათ ზურგსუკან ერთმანეთის გაკილვასა და ერთურთისათვის სულელური ინტრიგების მოწყობაში. შეთქმულების სუნი ტრიალებდა სადგურზე, მაგრამ, რა თქმა უნდა, არაფერი მოჰქონდა. სხვა ყველაფერივით ესეც არარეალური იყო: მთელი კონცერნის ფილანთროპული მისწრაფებისა არ იყოს, მათი ლაპარაკის, მათი მთავრობისა და მათი ფართიფურთის. ერთადერთი ნამდვილი სურვილი იყო იმ სავაჭრო პოსტზე დანიშვნა, სადაც სპილოს ძვალი იქნებოდა, რათა პროცენტი გამოემუშავებინათ. ძირს უთხრიდნენ, ცილს სწამებდნენ, სძულდათ ერთმანეთი ამ ანგარიშებით; ხოლო თითი რომ გაენძრიათ და რამე გაეკეთებინათ, ნურას უკაცრავად. ღმერთმანი! არის რაღაც ამქვეყნად, რაც კაცს ცხენს მოაპარინებს, როცა მეორეს სადავე უმეთვალყუროდ დარჩება. ცხენი მოიპარა. ძალიან კარგი. მოახერხა. ალბათ მხედრობასაც შეიძლებს. მაგრამ ისიც ხდება, რომ სადავე უმეთვალყუროდ არ რჩება და ყველაზე ქველმოქმედი წმინდანიც კი პანღურისაგან თავს ვერ შეიკავებს.

წარმოდგენა არ მქონდა, თუ რატომ მოინდომა ურთიერთობის გაბმა, მაგრამ საუბრისას უეცრად მივხვდი, რომ რაღაცის გაგება სურდა, ფაქტობრივად რაღაცის ამოქაჩვა ჩემგან. გამუდმებით ახსენებდა ევროპას, ხალხს, რომელიც შესაძლოა მცნობოდა, კითხვებს მისვამდა ნაცნობებზე აკლდამათა ქალაქიდან და ამისთანები. მომცრო თვალები ქარსის რგოლებივით უბრწყინავდა, ცნობისწადილით, თუმც კი ცდილობდა ერთგვარი ქედმაღლობა შეენარჩუნებინა. ჯერ ძალიან გამიკვირდა, მაგრამ მალე ცნობისმოყვარეობამ შემიპყრო, თუ რისი გაგება სურდა ჩემგან. რა უნდა მცოდნოდა ისეთი, რაც მისთვის რამედ ეღირებოდა. სასეირო სანახავი იყო, თუ როგორ ეწვალებოდა, რადგან მართალი გითხრათ, ჩემს სხეულში ციებ-ცხელება ჩაბუდებულიყო და თავში კი არაფერი მომდიოდა გარდა ორთქლმავლის შეკეთებისა. ცხადია, ეგონა, მოხერხებულად და ურცხვად ვიძვრენდი თავს შეკითხვებისაგან. ბოლოს გაბრაზდა და, მძაფრი გაღიზიანება რომ დაემალა, დაამთქნარა. წამოვდექი. უეცრად ფიცარზე ზეთით შესრულებული ნახატი მომხვდა თვალში, ქალი იყო გამოსახული, ნაჭერშემოხვეული, თვალებახვეული, ხელთ ანთებული ჩირაღდნით. ფონი პირქუში იყო, თითქმის კუნაპეტი. ქალი ზვიადად წამომართულიყო, ჩირაღდნის შუქი სახეზე რაღაც ავისმომასწავებელ გამომეტყველებას ანიჭებდა.

ამან შემაყოვნა, იგი თავაზიანად იდგა იქვე, ხელში ნახევარპინტიანი ცარიელი შამპანურის ბოთლი (სამედიცინო საჭიროებისათვის) ეჭირა, რაშიც სანთელი იყო ჩარჭობილი. ჩემს შეკითხვაზე მიპასუხა, მ-რ



კურცმა დახატაო – აქ ამ სადგურზე, ერთი წლის წინათ – ვიდრე სავაჭრო სადგურზე მისი გამგზავრების საშუალება გამოჩნდებოდა. „მითხარით, გევედრებით“, ვკითხე, „ვინ არის ეს მ-რ კურცი?“

„შიდა სადგურის უფროსი“, მოკლედ მომიჭრა და განზე გაიხედა. „დიდად დამავალეთ“, გამეცინა მე. „თქვენ კი აგურებს ამზადებთ ცენტრალურ სადგურზე“. ეს ყველამ იცის. ერთხანს დუმდა. „იგი რჩეულია“, თქვა ბოლოს. „იგია ემისარი სიბრალულისა, მეცნიერებისა და პროგრესისა და ეშმაკმა იცის კიდევ რისა. საქმის წარმართვისათვის“, განაგრძო მოულოდნელი მგზნებარებით, „ რასაც ევროპა გვავალებს, ისაა, რომ ჩვენ გვჭირდება, ასე ვთქვათ, დიადი ინტელექტი, მეტი თანალმობა, მისწრაფება ერთი მიზნისაკენ“. „ვინ ამბობს ამას?“ ვკითხე. „მრავალი “, მიპასუხა მან. „ზოგი წერს კიდეც ამაზე; და აი, მოდის იგი, განსაკუთრებული არსება, როგორც მოგეხსენებათ“. „მე რატომ უნდა ვიცოდე?“ შევაწყვეტინე მართლაც გაკვირვებულმა. ყურადღება არ მომაქცია. „დიახ. დღეს იგი საუკეთესო სადგურის უფროსია, მომავალ წელს უფროსის თანაშემწე გახდება, ორი წლის მერე მეტი და... მაგრამ გავბედავ და ვიტყვი, რომ თქვენ იცით, თუ რა მოხდება ორ წელიწადში. თქვენ ახალი გუნდი ხართ სიქველის მსახურთა. იმავე ხალხმა, ვინც იგი გამოგზავნა, თქვენც განსაკუთრებული რეკომენდაცია გაგიწიათ. ოჰ, ნუ უარჰყოფთ. მე საკუთარ თვალებს ვენდობი“. გონება გამინათდა. ჩემი ძვირფასი მამიდის გავლენიანი ნაცნობები მოულოდნელ ზემოქმედებას ახდენდნენ ახალგაზრდა კაცზე. კინაღამ სიცილი წამსკდა. „კომპანიის კონფი-

დენციალურ კორესპონდენციას კითხულობთ?“ ვკითხე მე. ენა ჩაუვარდა. კაი სეირი იყო. „როცა მ-რ კურცი“, მკაცრად გავაგრძელე, „გენერალური მენეჯერი გახდება, შესაძლებლობა აღარ მოგეცემათ“.

სანთელი მოულოდნელად ჩააქრო და გარეთ გამოვედით. მთვარე ამოსულიყო. შავი ჩრდილები უხალისოდ დაბორიალობდნენ, წყალს ასხამდნენ ნაკვერჩხლებს, ისმოდა შიშინი; ორთქლი ადიოდა მთვარის შუქში, ნაცემი ზანგი კვნესოდა სადღაც. „რა აურზაურს ინვევს ეს ველური!“ თქვა დაუღალავმა ულვაშიანმა კაცმა, ახლოს რომ მოვიდა. „ღირსია. დანაშაული... სასჯელი... დაჭკა! შეუბრალებლობა, შეუბრალებლობა. ეს ერთადერთი გზაა. ეს აგვაცილებს მომავალში ხანძრებს. სწორედ ახლა ვეუბნებოდი მენეჯერს... ჩემი თანმხლები შენიშნა და მაშინვე მოიკუნტა. „ჯერ არ დაწოლილხართ“, თქვა მლიქვნელური გულითადობით; „ბუნებრივია. ჰო! საშიშროება... მღელვარება“. და გაუჩინარდა. მდინარისაკენ წავედი, თანმხლები უკან გამომყვა. ყურში ჩამესმა გესლიანი ჩურჩული „უმაქნისთა ბრბო“. მოჩანდა, თუ როგორ მსჯელობდნენ და ხელებს იქნევდნენ პილიგრიმები. ბევრს ჯოხები ისევ ხელში ეჭირა. ნამდვილად მჯერა, რომ ლოგინშიც ამ ჯოხებით წვებოდნენ. ღობის მიღმა ტყე მოჩანდა ბინდ-ბუნდად, და ამ უნიათო ჩოჩქოლის მიღმა, ამ საცოდავი ეზოს უძლური ხმაურის მიღმა ამ მინის სიჩუმე იჭრებოდა გულში, მისი იდუმალება, სიდიადე, განსაცვიფრებელი სინამდვილე მისი დაფარული ცხოვრებისა. ნაცემი ზანგი შესაბრალისად კვნესოდა სადღაც ახლოს, მერე ისეთი ღრმა ოხვრა ამოაყოლა, ნაბიჯს ავუჩქარე, იქაურობას რომ გავცლოდი. ვიგრძენი, მკლავზე ხელი შემეხო. „ძვირფასო სერ“, მითხრა ჯეელმა, „არ მინდა ჩემი აზრი გაუგებარი დარჩეს, განსაკუთრებით თქვენ მიერ, ვინც მანამდე შეხვდებით მ-რ კურცს, სანამ მე მექნება ბედნიერება. არ ვისურვებდი მცდარი შეხედულება გაუჩნდეს ჩემი პოზიციის შესახებ...



მივუშვი, რომ ამ გუდაფშუტა მეფისტოფელს გული მოეოხებინა, მეგონა, თითი რომ ვატაკო, გავხვრეტ და შიგნით არაფერი აღმოჩნდება გარდა თხევადი ჭუჭყისა-მეთქი. იგი, ხომ ხვდებით, აპირებდა დროთა განმავლობაში არსებული უფროსის თანაშემწე გამხდარიყო, და ცხადია, იმ კურცის ჩამოსვლა ცოტა არ იყოს ორივეს აფორიაქებდა. სხაპასხუპით ლაპარაკობდა და მე კი შეჩერება არც მიცდია. მხრით ჩემს დამსხვრეულ ორთქლმავალს ვეყრდნობოდი, ნაპირზე ამოთრეული რომ ეგდო მდინარის რომელიღაცა დიდი ცხოველის ჩონჩხივით. იუპიტერს ვფიცავ! პირველყოფილი ტალახის სუნი მიტრიალებდა ცხვირის ნესტოებში, ჩემ თვალწინ ხელუხლებელი ტყის სიმშვიდე აღმართულიყო; მბზინავი ლაქები ნაკერებივით მოჩანდა ბნელ ყურეზე. მთვარეს თხელი ვერცხლის ფენა გადაეფარებინა ყველაფერზე: სქელ ბალახზე, ტალახზე, ტაძრის კედელზე უფრო მაღლა აზიდულ მცენარეთა ჩახლართული კედლისათვის, დიად მდინარეზე, რომელიც პირქუშ კალაპოტში ბზინავდა, ბზინავდა და მიედინებოდა გაშლილად და უხმაუროდ. დიადი იყო ყოველივე, მომლოდინე, ჩუმი, და ეს კაცი კი ყბედობდა თავისთვის. ვფიქრობდი, ამ უსაზღვროების სახეზე აღბეჭდილი უძრაობა, რომელიც ჩვენ ორისაკენ მომართულიყო,

შთაგვაგონებდა რაიმეს თუ საფრთხეს გვიქადდა. რანი ვიყავით, ვის დავკარგვოდით? შეგვეძლო ამ მდუმარეების მართვა თუ ის გვმართავდა? ვგრძნობდი, რაოდენ დიდი, შემზარავად დიდი იყო ის, რაც ვერ ლაპარაკობდა, ან ყრუც იყო, ამასთანავე. რა იყო იქ? ვხედავდი ცოტაოდენ სპილოს ძვალს, იქიდან რომ გამოჰქონდათ, და მსმენოდა, რომ იქ იყო მ-რ კურცი. ამაზეც საკმაოდ მსმენოდა, ღმერთმანი! და მაინც, ვერაფრით წარმოვისახე იმაზე უფრო მეტად, ვიდრე რომ ეთქვათ, იქ ანგელოზი ან ეშმაკი იმყოფებაო. მისი არსებობა ისევე მჯეროდა, რომელიმე თქვენგანს რომ სჯეროდეს, მარსზე ცხოვრობენო. ერთ სკოტლენდელ მეაფრეს ვიცნობდი, რომელსაც სჯეროდა, მტკიცედ იყო დარწმუნებული, მარსზე ხალხი ცხოვრობსო. თუ გამოჰკითხავდით, როგორ გამოიყურებიან ან როგორ იქცევიანო, დაიმორცხვებდა და რაღაცას წაიბურტყუნებდა, ოთხზე დადიანო. ოდნავაც რომ გაგღიმებოდათ, თუმც სამოცი წლის კაცი იყო, ჩხუბში გამოგიწვევდათ. არ ვაპირებდი იქამდე მივსულიყავი, მ-რ კურცის გულისათვის მეჩხუბა, მაგრამ იქამდე კი მივედი, რომ ტყუილი მეგონა. იცით, რომ მძულს, მეზიზღება და ვერ ვიტან ტყუილს, არა იმიტომ, რომ ვინმე სხვაზე მართალი ვარ, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ მზარავს, საგონებელში მაგდებს. რაღაც სიკვდილის ელფერი და მომაკვდინებელი გემო დაჰკრავს ტყუილებს – და სწორედ ეს მძაგს და მეზიზღება ამქვეყნად ყველაზე მეტად – რისი დავიწყებაც მინდა. ისე მაბეჩავებს და გულს მირევს, თითქოს რაღაც დამპალი ჩამეკბიჩოს. ხასიათია, ალბათ. იქამდე მივედი, ნება მივეცი ამ ახალგაზრდა სულელს, დაეჯერებინა ყველაფერი, რაც სურდა წარმოედგინა ჩემი გავლენის შესახებ ევროპაში. წუთით ისეთივე თვალთმაქცი გავხდი, ვით ეს დანარჩენი მოჯადოებული პილიგრიმები. სწორედ ამიტომ გამიჩნდა შეგრძნება, რომ რაღაცნაირად დავეხმარებოდი იმ კურცს, ვინც ჯერ არც კი მენახა, ხომ გესმით. იგი ჩემთვის მხოლოდ სახელი იყო. მე ისევე ვერ ვხედავდი ამ სახელში კაცს, როგორც თქვენ ვერ ხედავთ. ხედავთ მას? ამ მოთხრობას ხედავთ? რამეს ხედავთ? ასე მგონია, თქვენთვის სიზმრის მოყოლას ვცდილობ, მცდელობა ამაოა, რადგან სიზმრის მოყოლა ვერ გადმოსცემს სიზმრის განცდას, ამ ნაზავს აბსურდისა, გაკვირვებისა და გაოგნებისა, როცა შეიგრძნობ, რომ შეპყრობილი ხარ იმ არარეალობით, რაც სწორედ რომ არსია სიზმრისა...“



ერთხანს გაჩუმდა.

„არა, შეუძლებელია; შეუძლებელია გადმოსცე კაცის ცხოვრებისეული შეგრძნება ამა თუ იმ ეპოქისა – ისე, რომ სიმართლე და აზრი არ დაიკარგოს – მისი მოუხელთებელი, განმსჭვალავი არსი. შეუძლებელია. ჩვენ ისე ვცხოვრობთ, თითქოს სიზმარში ვიმყოფებოდეთ, მარტონი...“

შემდეგ ისევ გაჩუმდა, თითქოს ფიქრობსო, მერე დასძინა:

„ყმაწვილებო, თქვენ, რა თქმა უნდა, მეტს ხედავთ, ვიდრე მე მაშინ. თქვენ მე მხედავთ, მიცნობთ...“

ისეთი უკუნი ჩამოწვა, რომ ჩვენ, მსმენელები, ძლივსღა ვხედავდით ერთმანეთს. ის კი, მარტო მჯდომი, უკვე დიდიხანია სხვა აღარაფერი იყო ჩვენთვის, თუ არა ხმა. სიტყვა არავის დაუძრავს. ზოგს შეიძლება ეძი-

ნა, მაგრამ მე მეღვიძა. ვუსმენდი, ყურადღებით ვუსმენდი თვითეულ ფრაზას, თვითეულ სიტყვას, რათა მომეძებნა გასაღები, რომ ამეხსნა ის მღელვარება, რაც განმაცდევინა ამ მონათხრობმა, რისთვისაც თითქოს ადამიანის ტუჩებს არც მიუნიჭებია ფორმა, მდინარეზე ჩამოწოლილ ამ ბნელ ღამეში.

„...ჰო, ნებაზე მივუშვი“, განაგრძო მარლომ, „დაე ეფიქრა, რაც მოეპრიანებოდა ჩემ უკან მდგარ ძალებზე. ჰოიდა! არაფერიც არ იდგა ჩემ უკან! არაფერი, გარდა დაფხავებული, ძველი, ნაპირზე ამოთრეული ორთქლმავალი ნავისა, რომელსაც ვეყუდებოდი, ის კი სხაპასხუპით ლაპარაკობდა, რომ „ყველას უთუოდ სურს დაწინაურება“. „და როცა აქ მოხვდები, ხომ გესმით, მთვარეს ხომ არ მიაშტერდები“. მ-რ კურცი „უნივერსალური გენიოსიაო“, მაგრამ თვით უნივერსალურ გენიოსს გაუადვილდება მუშაობა „შესაფერისი იარაღით – ინტელიგენტი ადამიანებითო“. აგურებს იმიტომ არ ვამზადებ, რომ, მოგეხსენებათ, ახლა ეს ფიზიკურად შეუძლებელიაო; და მდივნის სამუშაოს კი იმიტომ ვასრულებ უფროსისათვის, „რომ არცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი შეგნებულად უარს არ იტყვის მასზე მაღლა მდგომის ნდობაზე“. გასაგებიაო? გასაგებია-მეთქი. მაშ რა მინდოდა? ღმერთმანი, რაც ნამდვილად მინდოდა, მოქლონები იყო, რათა სამუშაოს შევდგომოდი, ბზარები ამომევსო. მოქლონები მჭირდებოდა. იქ, სანაპიროს სადგურზე მოქლონებით სავსე ყუთები ეყარა გროვად; ყუთები დამსხვრეულიყო და მოქლონები გადმოცვენილიყო! და გაფანტულ მოქლონებს ყოველ ნაბიჯზე წააწყდებოდი სადგურიდან ფერდობამდე. მოქლონები ჩაგორებულიყვნენ სიკვდილის ჭალამდე. შეგეძლო დახრილიყავი და ჯიბეები გაგევსო მოქლონებით, მაგრამ ერთი მოქლონიც კი არ მოიპოვებოდა აქ, სადაც ასე საჭირო იყო. რკინის ფურცლები გვქონდა, რაც გამოდგებოდა, მაგრამ ვერაფრით დავამაგრებდი. ყოველ კვირას შიკრიკი, აყლაყუდა ზანგი, მხარზე მოგდებული წერილების ჩანთითა და ჯოხით ხელში, სადგურიდან სანაპიროსაკენ მიეშურებოდა. კვირაში რამდენჯერმე სანაპიროდან მოდიოდა სავაჭრო საქონლით დატვირთული ქარავანი; მოჰქონდათ შემზარავად მოჩითული ბამბაზია, რომლის ჯერ მარტო დანახვაც კი შეგაშინებდათ. შუშის მძივები კვარტი ერთ პენად რომ ეღირებოდა, ლაქებით აჭრელებული ბამბეულის ხელსახოცები. და არა მოქლონები. სამი მზიდავი მოიტანდა იმდენ მოქლონს, რაც იკმარებდა ორთქლმავალი ნავის წყალში ჩასაშვებად.

იგი უკვე შინაურდებოდა, მაგრამ, მგონი, ჩემმა პასუხისგაუცემლობამ გააბრაზა ბოლოს და ბოლოს, რადგან საჭიროდ მიიჩნია ეცნობებინა, რომ არც ღმერთისა ეშინოდა და არც ეშმაკისა, მით უმეტეს – კაცისა. ვუპასუხე, მაგას ძალიან კარგად ვხედავ, მაგრამ გარკვეული რაოდენობის მოქლონები მჭირდება, და მ-რ კურცსაც მოქლონები ენდომებოდა, ამის შესახებ რომ სცოდნოდა-მეთქი. და წერილებიც ყოველ კვირას იგზავნება სანაპიროზე.... „ძვირფასო სერ“, წამოიძახა მან, „მე ვწერ იმას, რასაც მკარნახობენ“. მე კი მოქლონებს ვითხოვდი. ჭკვიანი კაცი რაღაც გზას გამოძებნიდა. ქცევა შეეცვალა, ძალზე ცივი გახდა და უეცრად ჰიპოპოტამებზე ჩამოაგდო სიტყვა; უკვირდა, ორთქლმავლის

გემბანზე ძილისას ნუთუ არ გაწუხებენო. ერთი ბებერი ჰიპო იყო და ცუდი ჩვევა ჰქონდა, ღამით ამოდიოდა და სადგურის მიდამოებში დაეხეტებოდა. პილიგრიმები გამოდიოდნენ და ჯგუფურად დააცლიდნენ ხოლმე ყველა თოფს, რაც კი ხელში მოხვდებოდათ. ზოგიერთები ღამით უყარაულდებოდნენ. თუმც ყველაფერი ამაო იყო. „ის ნადირი შელოცვილია“, თქვა მან, „მაგრამ ეს ნადირებზე ითქმის ამ ქვეყანაში. არცერთი ადამიანი – ხომ წვდებით ჩემს აზრს? – არც ერთი ადამიანი არაა აქ შელოცვილი. წუთით იდგა იქ, მთვარის შუქში, თხელი კეხიანი ცხვირი ოდნავ მობრეცოდა, მიკადოს მსგავსი თვალები დაუხამხამებლად უპრიალებდა, მერე ღამე მშვიდობისა გადმომიგდო და წავიდა. შევამჩნიე, გვარიანად იყო შეშფოთებული, რაც იმაზე მეტად მაიმედებდა, ვიდრე მანამდე იმ დღეებში. დიდი შვება ვიგრძენი, როცა იმ ჯეელისაგან შემოვბრუნდი ჩემი გავლენიანი მეგობრისაკენ, გაცვეთილი, დაჭეჭყილი, დამსხვრეული, თუნუქის ორთქლმავალი ნავისაკენ. გემბანზე ავბობღდი, ჩემ ფეხქვეშ ისე გუგუნებდა, ვით ფეხის გაკვრით რუში გადასროლილი ჰანტლი და პალმერის ცარიელი ბისკვიტის კოლოფი; ნავი არც ისეთი შეკრული და მოხდენილი იყო, მაგრამ იმდენი შრომა დავახარჯე, რომ შემიყვარდა. ვერცერთი გავლენიანი მეგობარი ვერ დამეხმარებოდა მეტად. ამ ნავმა შემაძლებინა ცოტა გამოვჯეკილიყავი – გამეგო, თუ რის მაქნისი ვიყავი. მუშაობა არ მიყვარს. მირჩევნია უქმად ყოფნა და ფიქრი იმ მშვენიერ საგნებზე, რისი შექმნაც შეიძლება. არ მიყვარს მუშაობა – არა კაცს არ უყვარს – მაგრამ მიყვარს ის, რაც შრომაშია – შანსი, იპოვო



საკუთარი თავი. შენი საკუთარი სინამდვილე – შენთვისვე, და არა სხვებისთვის – ის, რასაც ვერა კაცი ვერასოდეს გაიგებს. მათ შეიძლება მხოლოდ გარეგნულად დაინახონ, მაგრამ ვერ იტყვიან, თუ რას ნიშნავს სინამდვილეში.

გემბანზე ასულმა, არ გამკვირვებია, რომ ვიღაც დავინახე კიჩოზე, იჯდა და ფეხები გადაეკიდა ლაფის თავზე. იცით, იქ, სადგურზე ორიოდე მექანიკოსს დავუმეგობრდი, ვინც სხვა პილიგრიმებს აეთვალწუნებინათ – ალბათ მათი გაუთლელობის გამო. ეს იყო ლუმლის ოსტატი, კარგი მუშა. ხმელი, გაძვალტყავებული, ყვითელსახიანი კაცი, დიდ, მეტყველ თვალება. შეწუხებული გამომეტყველება ჰქონდა და თავი ისე მოტვლეპოდა, ჩემი ხელისგულივით; მაგრამ დაცვენილი თმა ნიკაპთან შეჩერებულიყო და ახალ ადგილას გაფურჩქნულიყო, რადგან წვერი წელამდე წვდებოდა. ქვრივი გახლდათ და ექვსი შვილი ჰყავდა (დისათვის დაეტოვებინა და აქეთ წამოსულიყო), მისი ცხოვრების მისწრაფება მტრედების გაფრენა იყო. ამ საქმის მცოდნე და ენთუზიასტი გახლდათ. ბოდავდა მტრედებზე. სამუშაო საათების შემდგომ ხანდახან თავის ქოხს ტოვებდა და აქეთ მოდიოდა, მიყვებოდა თავის შვილებსა და მტრედებზე; მუშაობისას, როდესაც იძულებული იყო ლაფში ეხოხა ნავის მუცლის ქვეშ, წვერს თეთრი ხელსახოცით აიკრავდა ხოლმე, რაც ამ მიზნისათვის მოემარაგებინა. ხელსახოცს საბმურები ჰქონდა ყურებზე ჩამოსაკიდებლად. საღამოობით ნაპირზე ჩაცუცქდებოდა და დიდი მზრუნველობით რეცხავდა სახვევს, ხოლო შემდეგ საზეიმოდ გაკიდებდა ტოტზე გასაშრობად.

ზურგზე ხელი დავკარი და შევძახე, „მოქლონები გვექნება!“ ფეხზე წამოხტა და წამოიყვირა, „მოქლონები! არაა!“ თითქოს ყურებს არ უჯერებსო. მერე ხმადაბლა წარმოთქვა, „თქვენ... რა?“ არ ვიცი, რატომ ვიქცეოდით მთვარეულებივით. თითი ცხვირთან მივიტანე და საიდუმლოდ დავუქნიე თავი! „ყოჩაღ!“ წამოიძახა, თითები თავსზემოთ გაატკაცუნა და ცალი ფეხი ასწია. შევეცადე ჯიგა ჩამომევლო. რკინის გემბანზე ვხტოდით. ნავმა საშინელი ხმა გამოსცა, უღრანმა ტყემ ყურის მეორე ნაპირიდან ექო გრგვინვით უკან გადმოაგორა და დასცა მძინარე სადგურს. ზოგიერთი პილიგრიმი ალბათ ფეხზეც წამოვახტუნეთ. უფროსის ქოხის განათებულ შესასვლელში მუქი სხეული გამოჩნდა, წამის შემდეგ გაჰქრა და კარიც დაიხურა. შევჩერდით და ჩვენი ფეხის ბრაგუნით დამფრთხალი სიჩუმე უკან დაბრუნდა მიწის სიღრმისაკენ. ტყის დიადი კედელი, უხვი და ჩახლართული სიმრავლე ტოტებისა, ფოთლებისა, რტოებისა და ლიანებისა, უძრავი მთვარის შუქში უხმაურო სიცოცხლის ამბოხებულ შემოჭრას ჰგავდა, ჰგავდა მგორავ ტალღას მცენარეებისა, წამომართული და ქაფის გვირგვინმოგდებული მზად რომ იყო გადმოელახა ყურე და წაელეკა თვითეული ქონდრისკაცის ციცქნა არსებობა. მაგრამ არ იძვროდა. შორიდან ყრუდ მოისმოდა მძლავრი ტყლაშუნი და ჩხრიალი, თითქოს იხტიოზავრი იღებდა აბაზანას დიადი მდინარის ბზინვარებაში. „ბოლო-ბოლო“, თქვა ღუმელის ოსტატმა განმსჯელი კილოთი, „რატომ არ უნდა მივიღოთ მოქლონები?“ მართლაცდა რატომ? არ ვიცოდი არცერთი



მიზეზი თუ რატომ არ უნდა მიგვეღო. „სამ კვირაში ჩამოვა“, ვუთხარი საიდუმლოდ.

მაგრამ არ ჩამოვიდა. მოქლონების ნაცვლად მოვიდა შემოჭრა, ზიანი, სასჯელი. ნაწილ-ნაწილ მოვიდა მომდევნო სამ კვირაში, თვითეულ ნაწილს წინ უძღოდა სახედარზე ამხედრებული თეთრი კაცი, ახალ სამოსსა და ყავისფერ ფეხსაცმელში გამოწყობილი, და ზემოდან თავს უკრავდა მარჯვნივ და მარცხნივ ჩამწკრივებულ, აღფრთოვანებულ პილიგრიმებს. ფეხებდახეთქილი, პირქუში, შარიანი ზანგების რაზმი კუდში მოსდევდა სახედარს; უამრავი კარავი, საბანაკე სკამი, თუნუქის ყუთი, თეთრი შეკვრა, ყავისფერი ფუთა იყრებოდა ეზოში და იდუმალებით მოცული ჰაერი მძიმდებოდა ამ აურზაურში. ხუთი ასეთი რაზმი მოვიდა, უაზრო გარეგნობა ჰქონდათ, თითქოს არაორგანიზებულად გამოქცეულიყვნენ და თან წამოელოთ ურიცხვი ნადავლი ტანსაცმლის მაღაზიებიდან და საკვების საწყობებიდან, რაც, კაცი იფიქრებდა, ლაშქრობის შემდეგ უღრანში თანაბრად გასაყოფად მოუტანიათო. ეს ხროვად დაყრილი ნივთები თავისთავად კარგი იყო, მაგრამ ადამიანური სიბრიყვის გამო ნაქურდალ გროვასა ჰგავდა.

ეს ღირსეული გუნდი საკუთარ თავს ელდორადის კვლევის ექსპედიციას უწოდებდა და მჯერა, შეფიცულები იყვნენ. თუმც ბინძური მეკობრეებივით კი ლაპარაკობდნენ; თავზეხელაღებულებს ჰგავდნენ, მაგრამ გამბედაობა არ გააჩნდათ; ხარბები იყვნენ, მაგრამ სიმამაცე აკლდათ; მთელ ამ ბანდაში ნიშანწყალიც კი არავის ეტყობოდა წინდახედულობისა თუ სერიოზული განზრახვისა და, ეტყობა, არც იცოდნენ,

რომ ეს თვისებები საჭიროა ამქვეყნად საქმიანობისათვის. განეზრახათ, განძი ამოეგლიჯათ მინის სიღრმიდან და იმაზე მეტი ზნეობრივი მიზანი არ იდგა მათი განზრახვის უკან, ვიდრე ქურდსა აქვს, სეიფს რომ ტეხავს. არ ვიცი, ვინ დააფინანსა ეს კეთილშობილური წამოწყება, მაგრამ სადგურის უფროსის ბიძა კი მეთაურობდა ამ ჯგუფს.

გარეგნობით ღარიბი რაიონის ყასაბს მოგაგონებდათ, მისი თვალები მიძინებული ცბიერებით გამოიყურებოდნენ. მსუქან ფაშვს ამაყად დაატარებდა მოკლე ფეხებით, და მთელი ის ხანი, ვიდრე ბანდა სადგურზე ფუთფუთებდა, არავის დალაპარაკებია თავისი ძმისწულის გარდა. მთელი დღე ერთმანეთზე თავმიდებულნი დადიოდნენ ყველას თვალწინ და განუწყვეტლივ ლაპარაკობდნენ.

მოვეშვი მოქლონებზე წუხილს. ამგვარ სისულელეზე წუხილის უნარი იმაზე უფრო შეზღუდულია, ვიდრე წარმოგიდგენიათ. ნუ ინაღვლი-მეთქი!.. და დაე, მოვლენები თავისი დინებით წავიდნენ. უამრავი დრო მქონდა ფიქრისათვის, და დროდადრო კურცზეც ვფიქრობდი. არა, დიდად არ მადარდებდა, მაგრამ მაინტერესებდა, თუ როგორ შეძლებდა ეს კაცი, ვინც აღჭურვილიყო ერთგვარი ზნეობრივი იდეებით, ყველას სათავეში მოქცეოდა, და თუ რარიგ გაუძღვებოდა საქმეს იქიდან.



## თავი II

ერთ საღამოს გულაღმა ვიწექ ჩემი ორთქლმავლის გემბანზე, მოახლოებული ხმები რომ მომესმა – თურმე ბიძაძმისწული ნაპირზე სეირნობდნენ. მკლავი კვლავაც თავქვეშ ამოვიდე და ის იყო ჩამთვლიმა, ვიღაცამ თითქოს ყურში ჩამძახაო, „პაწია ბავშვივით უვნებელი ვარ, მაგრამ არ მიყვარს, როცა მმბრძანებლობენ. უფროსი ვარ თუ არა? მიბრძანა იქ გამეგზავნა, წარმოუდგენელია... „მივხვდი, ეს ორნი ნაპირზე იდგნენ ნავის ცხვირის გასწვრივ, სწორედ ჩემ თავქვეშ. არ გავნძრეულვარ და არც მსურდა განძრევა, მეძინებოდა. „უსიამოვნოა“, დაიხრიალა ბიძამ. „მან ადმინისტრაციას აქ გამოგზავნა სთხოვა“, თქვა მეორემ, „რათა ეჩვენებინა თუ რა შეუძლია და მეც შესაბამისი ინსტრუქცია მივიღე. ნახე რა გავლენა აქვს ამ კაცს. განა საშიში არაა?“ ორივე შეთანხმდა, საშიშიაო, მერე რაღაც ახირებული შენიშვნები გაისმა: „წვიმის მოყვანაც შეუძლია და გამოდარებაც... ერთი კაცი... საბჭო... თავის ჭკუაზე“, ამ უაზრო წინადადებებმა გამომაფხიზლა, ისე, რომ გონება სრულად მოვიკრიფე, როცა ბიძამ თქვა, „ეს სიძნელე შეიძლება შენს ნაცვლად კლიმატმა გამოასწოროს, მარტოა იქ?“ „დიახ“ უპასუხა უფროს-

მა; „თანაშემწე მდინარით თავქვე გამოუშვა და ასეთი ბარათი გამოატანა ჩემთვის: „ეს საწყალი ჭინკა ქვეყნიდან გაისტუმრეთ და მაგისთანას გამოგზავნით თავი აღარ შეიწუხოთ. უმჯობესია მარტო ვიყო, ვიდრე თქვენი მოჩენილი კაცი მყავდეს აქ“. წელიწადი შემობრუნდა, რაც ეს მოხდა. წარმოგიდგენიათ ასეთი თავხედობა!“ „მერე რაღა იყო?“ გაისმა ჩახლეჩილი ხმა. „სპილოს ძვალი“, ამოღერღა ძმისწულმა, „უამრავი... უმაღლესი ხარისხის... ბევრი... რაც ყველაზე სამწუხაროა, მისგან. „და მასთან ერთად?“ ჩაეკითხა ბურდღუნით. „ზედნადები“, მაშინვე გაისმა პასუხი. მერე გაჩუმდნენ. კურცზე ლაპარაკობდნენ.

უკვე გვარიანად გამოვფხიზლებულიყავ ამ დროისათვის, მაგრამ, მოხერხებულად წამონოლილი, არ ვიძროდი, არაფერი მაიძულებდა ადგილის შენაცვლებას. „როგორ ჩამოიტანეს ის სპოლოს ძვალი?“ დაიხრიალა ხნით უფროსმა, ძალიან განაწყენებული ჩანდა. მეორემ აუხსნა, კანოების ფლოტი ჩამოვიდა, რასაც კურცის თანმხლები, ნახევრად ინგლისელი კლერკი ახლავს თან; კურცი, როგორც ჩანს, თვითვე აპირებდა ჩამოტანას, მის სადგურზე იმუამად აღარც საქონელი იყო და აღარც სურსათი, მაგრამ სამასი მილის გამოვლის შემდეგ მოულოდნელად გადაწყვიტა უკან დაბრუნება, და გაბრუნდა პატარა ნავით, ოთხი ნიჩბოსნით, და იმ ნახევრადთეთრს გამოატანა სპილოს ძვალი, მდინარის დაღმა. ეს ორივე ჯეელი გაკვირვებული ჩანდა ამგვარი რამით. მიზეზი ვერ გაეგოთ ასეთი ქცევისა. მე კი ალბათ პირველად წარმოვიდგინე კურცი. კანთიელად გაიელვა: კანოე, ოთხი ველური ნიჩბოსანი, და მარ-



ტოხელა თეთრკანიანი უეცრად ზურგს აქცევს მთავარ სადგურს, შვებას, ალბათ ფიქრებს სახლზე; თავს უდაბურებისაკენ მიაბრუნებს, მიაბრუნებს თავისი ცარიელი და მიტოვებული სადგურისაკენ. არ ვიცი, რა ამოძრავებდა. ალბათ უბრალოდ კარგი ყმაწვილი იყო და გადაყოლილი თავის სამუშაოს. ალბათ ხვდებით, რომ მისი სახელი ერთხელაც არ წარმოუთქვამთ. „იმ კაცით“ მოიხსენიებდნენ. ნახევრადთეთრი, ვინც, ეტყობა, ეს რთული მოგზაურობა დიდი კეთილგონიერებითა და სიმამაცით დაასრულა, უცვლელად იხსენიებოდა „იმ არამზადად“. და „არამზადამ“ აცნობათ, „კაცი“ ძალზე ავადაა და სავსებით არ გამოჯანმრთელებულაო... ჩემს ქვევით მყოფნი ორიოდე ნაბიჯით გადაადგილდნენ და წინ და უკან სიარული დაიწყეს იქვე. მესმოდა „სამხედრო სადგური... ექიმი... ორასი მილი... ახლა სულ მარტოა... გარდაუვალი დაგვიანებანი... ცხრა თვე... არავითარი ცნობები... უცნაური ხმები“. კვლავ მომიახლოვდნენ სწორედ მაშინ, როცა სადგურის უფროსი ლაპარაკობდა, „რამდენადაც ვიცი, ვერავინ აწაპნავს სპილოს ძვალს მკვიდრთაგან, გარდა იმ ურჯუკი მოხეტიალე ვაჭრისა... იმ სნების გადამდები ჯეელისა“. ამჯერად ვილაზე ლაპარაკობდნენ? ნაწილ-ნაწილ ამოვკრიფე, რომ ეს უნდა ყოფილიყო ის ვილაც კურცის სამოქმედო არეში, ვინც არ ეპიტნავებოდა უფროსს. „ჩვენ თავს ვერ დავაღწევთ უთანასწორო კონკურენციას, ვიდრე რომელიმეს ამ ჯეელთაგან სანიმუშოდ არ ჩამოკიდებენ“, თქვა მან. „უთუოდ“, დაიღრუტუნა მეორემ, „ჩამოკიდონ! რატომაც არა? ყველაფრის... ყველაფრის მოხერხება შეიძლება ამ ქვეყანაში. სწორედ ამას ვამბობ; აქ ვერა-

ვინ, გაიგე, აქ ვერავინ შეარყევს შენს მდგომარეობას. და რატომ? შენ კლიმატს უძლებ... შენ ყველას მოინელებ. საფრთხე ევროპაშია; მაგრამ ვიდრე აქ წამოვიდოდი, იქ უკვე ვიზრუნე... „ისინი დამშორდნენ და აჩურჩულდნენ, მერე ისევ აუწიეს ხმას. „მეტისმეტი დაგვიანებანი ჩემი ბრალი არ არის. მე ყველაფერი ვიღონე". მსუქანმა ამოიხვნეშა. „ძალიან სამწუხაროა". „და მისი ბრიყვული, მავნე საუბრები", გააგრძელა ძმისწულმა; „თავი მომაბეზრა, აქ რომ იყო". „თვითეული სადგური ჩირაღდანი უნდა იყოს უკეთესობისაკენ მიმავალ გზაზე, რა თქმა უნდა, სავაჭრო ცენტრიც, მაგრამ ამავე დროს ჰუმანიზმის, განათლებისა და გაუმჯობესების ცენტრიც". ჩაწვდი ხომ... ეს ვირი და სადგურის უფროსობა უნდა! არა, ეს..." – კინაღამ სული შეეხუთა მეტისმეტი აღშფოთებით და მეც ოდნავ წამოვწიე თავი. განვცვიფრდი, როცა დავინახე, რა ახლოს იყვნენ, ზედ ჩემს ქვემოთ. შემეძლო ქუდებზე დამეფურთხებინა. მიწას დაჰყურებდნენ ფიქრებში გართულნი. სადგურის უფროსი წკეპლას იტყაპუნებდა ფეხზე; მისმა შორსმჭვრეტელმა ნათესავმა თავი ასწია. „ხომ ჯანმრთელად ხარ, მას შემდეგ რაც ამჯერად ჩამოხვედი?" იკითხა მან. ძმისწული შეხტა. „ვინ? მე? ოჰ! შელოცვილი ვარ, შელოცვილი. დანარჩენები, უჰ, ღმერთმანი! ყველანი ავად არიან. ისე მალე კვდებიან, ველარც ვასწრებ, აქედან გავისტუმრო... წარმოუდგენელია!" „ჰმმმ, ასეა". წაიღრუტუნა ბიძამ. „ჰო! ჩემო ბიჭო, ამას მიენდე... გეუბნები, ამას მიენდე". დავინახე როგორ გაიშვირა მოკლე ფარფლის მსგავსი ხელი ტყისაკენ, ყურისაკენ, ტალახისაკენ, მდინარისაკენ... თითქოსდა მოღალატური მოწოდებით მოუხმო ჩასაფრებულ სიკვდილს, მიმალულ ბოროტებას, და მისი გულის უღრმეს წყვდიადს, მოდი და მდაბლად გაიფურჩქნე ამ მზით განათებულ მიწაზეო. ისეთი გამაოგნებელი იყო, ფეხზე წამოვხტი და უკან გავიხედე ტყის კიდისაკენ, თითქოსდა იქიდან რაღაცას ველოდი ამ ბნელი მოწოდების პასუხად. ხომ იცით, ხანდახან რა სულელური აზრები გაუელვებს კაცს. ღრმა სიჩუმე იდგა ამ ორი გვამის წინ და ავისმომასწავებელი მოთმინებით ელოდა, თუ როდის დასრულდებოდა ეს ფანტასტიკური შემოქრა.

ალბათ შიშით თავზარდაცემულმა, ორივემ ერთად შეიგინა, მერე, ვითომ არც დაუნახივართ და არც არაფერი გაუგიათო, ბანაკისაკენ გაეშურნენ. მზე ჩადიოდა, გვერდი-გვერდ მიიწევდნენ წინ და თითქოსდა ჭაპანწყვეტით მიათრევდნენ ბორცვზე თავიანთ სასაცილო, სხვადასხვა ზომის ჩრდილებს, რომლებიც ნელა მიჩოჩიალებდნენ უკან, მაღალ ბალახში და ფოთოლსაც არ არხევდნენ.

რამდენიმე დღეში ელდორადოს ექსპედიცია ყოვლისმთმენ უდაბურებაში ჩაიკარგა, რაც ისე შეიკრა მათ უკან, ზღვა რომ შეიკვრის ხოლმე მყვინთავის თავზე. მოგვიანებით ამბავი მოვიდა, ვირები დახოცვიათო. არაფერი ვიცი სხვა ნაკლებ ღირებულ ცხოველთა ბედისა. ეჭვგარეშეა, ჩვენსავით, ის ჰპოვეს, რასაც იმსახურებდნენ. არ გამომიძიებია. იმხანად კურცთან „ძალიან მალე" შეხვედრის შანსი მიტაცებდა. ძალიან მალეს შედარებით ვამბობ. ორი თვე გავიდა, ყურე რომ დავტოვეთ, ვიდრე კურცის სადგურის ნაპირს მივადგებოდით.

მდინარის ალმა სვლა მსოფლიოს უადრეულეს საწყისთაკენ მოგზაურობას ჰგავდა, როცა მცენარენი დათარეშობდნენ მიწაზე და ხეები მეფენი იყვნენ. მდინარე ცარიელი იყო, იდგა დიადი სიჩუმე, და გარშემო ულრანი ტყე. ჰაერი თბილი იყო, სქელი, მძიმე, ძილისმომგვრელი. მზის ნათებაში სიხარული არ იგრძნობოდა. წყლის გრძელი ზოლები იკარგებოდნენ გადაჩრდილული სიშორის წყვდიადში. ქვიშიან ნაპირებზე ჰიპოები და ალიგატორები გვერდი-გვერდ ეფიცხებოდნენ მზეს. წყალი ფართოვდებოდა და მოედინებოდა ტყიან კუნძულთა სიმრავლეში; ამ მდინარეში ისე იკარგებოდი, თითქოს უდაბნოში ხარ და მთელი დღე გზა უნდა იკვლიო თავთხელში, მთავარი ნაკადის ძებნაში, ვიდრე არ წარმოიდგენდი, მომაჯადოეს და სამუდამოდ მომკვეთეს ყოველივე იმისაგან, რაც ახლობელი იყო სადღაც შორს, ალბათ სხვა არსებობაშიო. არის წუთები, როცა წარსული გიბრუნდება და სწორედ მაშინ, საკუთარი თავისათვის წუთითაც რომ ვერ მოგიცლია; მაგრამ ის მოდის მოუსვენარი და ხმაურიანი ზმანებასავით, და გახსენდება განსაცვიფრებელი რეალობა მცენარეთა, წყლისა და სიჩუმის უცნაური სამყაროსი. და ცხოვრების უძრაობა სულაც არ გაგონებს მშვიდობას. ეს იყო უძრაობა დაუნდობელი ძალისა, გამოუცნობი განზრახვით რომ დაგტრიალებს თავს და შურისმაძიებელი თვალით გიყურებს. მოგვიანებით შევეჩვიე და უკვე აღარ ვხედავდი; დრო აღარ მყოფნიდა. მთავარ ნაკადს არ უნდა ავცდენოდი; განმეჭვრიტა, ძირითადად წარმოსახვით, ფარული თავთხელები; მედარაჯა წყალქვეშა კლდეთათვის; ვისწავლე, როგორ შემეკრა



კრიჭა, გული როცა ამოვარდნას მქონდა, იღბლად რომ ავცდებოდი ჯოჯოხეთურად ცბიერ ძველ კუნძს, რომელსაც შეეძლო გაეგლიჯა ეს თუნუქის ორთქლმავალი ნავი და ჩაეძირა მგზავრებიანად; დღისით უნდა მეძებნა ხმელი ხეები, რასაც ღამე ვჭრიდით ნავის საწვავისათვის, რათა მეორე დღეს გზა გაგვეგრძელებინა. როცა ამგვარ რამეებს შეესწრები, უბრალო ზედაპირზე მყოფ წვრილმანებს, რეალობა – გეუბნებით რეალობა – ქრება. შინაგანი სიმართლე დაფარულია ჩვენდა ბედად. და მაინც ვგრძნობდი; ხშირად ვგრძნობდი მის იდუმალ სიმშვიდეს, როცა უთვალთვალებდა ჩემს მაიმუნურ ოინებს, ისევე როგორც თქვენ გითვალთვალებთ, ყმაწვილებო, თუ რარიგ გადიხართ გაჭიმულ ბაგირზე ნახევარკრონიანი ილეთის საჩვენებლად...“

„შეეცადეთ თავაზიანობა შეინარჩუნოთ, მარლო“, – გაისმა უკმაყოფილო ხმა და მივხვდი, კიდევ თუნდ ერთ მსმენელს არ ეძინა ჩემ გვერდით.

„ბოდიშს მოგიხდით. დამავიწყდა, რომ ილეთისათვის ჯილდოდ მარტოდენ გულისტკივილს ვიღებთ. მაგრამ ნეტა რას ვაქნევთ ჯილდოს, თუკი ილეთი გაამართლებს? თქვენ კარგად ასრულებთ თქვენს ილეთებს. და არც მე შემისრულებია ურიგოდ, რაკი მოვახერხე იმ ორთქლმავალი ნავის გადარჩენა ჩაძირვისაგან პირველ მოგზაურობაში. ჯერაც მიკვირს. წარმოიდგინეთ ბრმა კაცი, რომელმაც საზიდარი უვარგის გზაზე უნდა გააატაროს. უნდა გითხრათ, ამას რომ ვაკეთებდი, კარგა გვარიანად მაკანკალებდა და ოფლს მასხამდა. სხვა თუ არაფერი, მეზღვაურისათვის, ძირის გაგდებინება იმ ჭურჭლისა, რომელსაც მისი მზრუნველობით უნდა

ეცურა, უპატიებელი ცოდვაა. შეიძლება ვერც ვერავინ გაიგოს, მაგრამ თქვენ არასოდეს დაგავიწყდებათ ის შეჯახება, უჰ! პირდაპირ გულში გირტყამთ. გახსოვთ, გესიზმრებათ, ღამე გეღვიძებათ და მასზე ფიქრობთ და წლების მერეც კვლავ აციებს და აცხელებს. არ დავიქადნებ, სულ წყალზე მივცურავდი. ერთი-ორჯერ თავთხელის გავლაც მოგვიხდა, ოცი კანიბალი დაცურავდა ნავის გარშემო და აწვებოდა. ეს ჯეელები გზად ჩავრიცხეთ ეკიპაჟში. კაი ჯეელები იყვნენ საქმეში – კანიბალები. მუშაობა შეეძლოთ და მადლობელი ვარ მათი. ბოლო-ბოლო ჩემ თვალწინ ერთმანეთი არ დაუჭამიათ: ჰიპოს ხორცი ჰქონდათ საგზლად წამოღებული და დაულპათ, და ჩემს ნესტოებში უდაბურების მისტერია შემოდიოდა. ფუჰ! ახლაც კი ვგრძნობ. გემბანზე მყავდა სადგურის უფროსი და სამი-ოთხი პილიგრიმი თავთავისი ჯოხებით – სულ ეს იყო. ხანდახან მივადგებოდით ხოლმე სანაპირო სადგურს, შეუცნობლის საზღვარზე მდგარს, და თეთრი კაცები გამოცვივდებოდნენ ფარლალალა ფარდულებიდან, სიხარულითა და გაკვირვებით გვესალმებოდნენ და ხელებს გვიქნევდნენ; უცნაურია, ისეთი გამომეტყველება ჰქონდათ, თითქოს აქ ჯადოთი დაუტყვევებიათო. სიტყვა „სპილოს ძვალი“ გაიყლერებდა ჰაერში ცოტა ხნით და ისევ გზას გავუდგებოდით სიჩუმეში, ცარიელი ჰორიზონტისაკენ, მდინარის რკალებს მივუყვებოდით, მაღალ კედლებს შორის, ჩვენი დაკლაკნილი გზის გასწვრივ აღმართულთა, ექოდ ეხმაურებოდნენ კიჩოსთან მდებარე ბორბლის მძიმე ტრიალს. ხეები, ხეები, მილიონობით ხე, უზარმაზარნი, ხელშემოუწვდენელნი, ზემოთ ატყორცნილნი; და მათ



ფერხთით, ნაპირთან ახლოს დინების საწინააღმდეგოდ მიღოღავდა პატარა, გამურული ორთქლმავალი ნავი, როგორც ზანტი ხოჭო მაღალი ნინკარის იატაკზე. და თავს ერთიციციქნად შეიგრძნობდი, სრულიად დაკარგულად, და მაინც ეს გრძნობა არ იყო პირწმინდად დამთრგუნველი. ბოლო-ბოლო სწორედ ეს გსურდა, ყოფილიყავი პატარა, მურიანი მღოღავი ხოჭო. პილიგრიმებს რა ეგონათ, თუ საით მიღოღავდა ხოჭო, არ ვიცი. დაგენაძლევებით, ალბათ იმ ადგილისაკენ, სადაც რაღაცას მოიპოვებდნენ. ჩემთვის კი ის კურცისაკენ მიღოღავდა – მხოლოდ და მხოლოდ კურცისაკენ; მაგრამ როდესაც მილებიდან ორთქლის ჟონვა დაიწყო, კიდევ უფრო ზოზინით გავღოღდით. ჰორიზონტი გადაიხსნა ჩვენ წინ და დაიხურა ჩვენ უკან, თითქოსდა ტყე აუჩქარებლად გადმოვიდა მდინარეზე, რათა უკან დასაბრუნებელი გზა გადაეკეტა. სულ უფრო და უფრო ღრმად მივინევდით წყვდიადის გულში. იქ სიმშვიდე იყო. ღამღამობით ხანდახან დაფდაფთა ხმა გადმოგორდებოდა ხოლმე მდინარეზე, ხეთა ფარდის უკნიდან და მკრთალად შემორჩებოდა; მაღლით თითქოს თავზე დაგვტრილებდა პირველ ცისკრამდე. საიდან უნდა გვცოდნოდა, ომს მოასწავებდა, მშვიდობასა თუ ლოცვას. ცისკარს სიგრილე და სიწყნარე მოჰქონდა; ხის მჭრელთ ეძინათ, ბათი კოცონები ინავლებოდა; ნაკვერჩხლის ტკაცუნი შეგახტუნებდა. დავეხეტებოდით პრეისტორიულ დედამიწაზე, მიწაზე, რომელიც უცნობ პლანეტას წააგავდა. და გვეჩვენებოდა, რომ პირველი ადამიანები ვიყავით, რომელთაც გვერგო ეს წყეული მემკვიდრეობა, რაც უნდა დაგვემორჩილებინა დიდი ტანჯვითა და ჭაპანწყ-

ვეტით. უეცრივ, რომელიმე მოსახვევს რომ დავძლევ-
დით, მძიმე და უძრავ ფოთოლთა ჩრდილში გამოჩნდე-
ბოდა ლერწმის ღობეები, ბალახის სახურავთა წვეტები,
და ამოხეთქავდა ღრიალი, შავ კიდურთა ქნევა, ტაშის
კვრა, ფეხის ბრაგუნი, სხეულთა რწევა, თვალთა ნათე-
ბა. ორთქლმავალი წვალებით მიიწევდა წინ ამ შავი და
მიუწვდომელი გახელების პირას. ვინ იტყოდა, ეს პრე-
ისტორიული ადამიანები გვწყევლიდნენ, გვლოცავდნენ
თუ გვესალმებოდნენ? ჩვენ ვერ აღვიქვამდით გარემოს;
მივცურავდით აჩრდილებივით, გაოცებულნი და ფა-
რულად შეშფოთებულნი, საგიჟეთის აღფრთოვანებულ
აფეთქებაში მოხვედრილი, საღ გონებაზე მყოფი კაცი-
ვით. ვერას ვიგებდით, რადგან ძალზე შორს ვიყავით და
აღარ გვახსოვდა, რადგან პირველ საუკუნეთა ღამეში
ვმოგზაურობდით, გარდასულ საუკუნეთა, რომელთა
არც ნიშანი შემოგვრჩენია და არც მეხსიერება.

მიწა მიწას არა ჰგავდა. ჩვენ მიჩვეულნი ვართ ხუნ-
დებში ჩაჭედილი დატყვევებული ურჩხულის ცქერას,
მაგრამ იქ თავისუფალი ურჩხულისათვის უნდა გვეცქი-
რა. არამიწიერი იყო, და კაცებიც ასეთივენი, ოღონდ
არაადამიანურნი კი არა, არამიწიერნი. ხომ იცით, ეს
ყველაზე უარესია – ეჭვი, რომ ადამიანები არ იქნებო-
დნენ. ეს აზრი კაცს ნელ-ნელა დაეუფლებოდა. ისინი
ჭყაოდნენ, ხტოდნენ და იგრიხებოდნენ, იმანჭებოდ-
ნენ; მაგრამ ყველაზე მეტად გაშინებდა ფიქრი, რომ
ადამიანები იყვნენ, შენსავით; ფიქრი იმაზე, რომ შო-
რეულად ენათესავებოდი ამ ველურსა და გახელებულ
ხმაურს. მახინჯი იყო. დიახ, საკმაოდ მახინჯი გახლ-
დათ; მაგრამ თუ კაცობა შეგრჩენოდა, უნდა შენთვის



აღგენიშნა, რომ იმ ხმაურის საშიში გულწრფელობა
შენში მკრთალი გამოხმაურების ნიშანწყალს აღძრავ-
და, ბუნდოვან ეჭვს, რომ ამაში სუფევდა აზრი, რასაც
შენ – ასე დაშორებული პირველყოფილ საუკუნეთა
სიბნელეს – შეგეძლო ჩაწვდომოდი. და რატომაც არა?
ადამიანის გონებას ყველაფერი ძალუძს, რადგან ყვე-
ლაფერი მასშია – მთელი წარსული, ისევე როგორც
მთელი მომავალი. და რა იყო ეს ბოლო-ბოლო? სიხა-
რული, შიში, წუხილი, ერთგულება, სიმამაცე, გახელე-
ბა... ვინ იტყვის?.. მაგრამ სიმართლე... სიმართლე გა-
მოსჭვიოდა მისი დროის მოსასხამიდან. დაე, ბრიყვმა
ამთქნაროს და იცახცახოს, ვაჟკაცმა იცის და შეუძლია
წარბშეუხრელად გაუსწოროს თვალი. მაგრამ იმდენად
ვაჟკაცი მაინც უნდა იყოს, ისინი როგორებიც იყვნენ,
ნაპირზე. სიმართლეს თავისი საკუთარი სიმართლით
უნდა შეხვდეს – თავისი შინაგანი სიძლიერით. პრინ-
ციპები არ გამოადგება. შენაძენი, სამოსი იქნება თუ
მოხდენილი ჭინჭები, პირველივე შეხლა-შემოხლისას
დაგცვივა. არა; გააზრებული რწმენა გჭირდება. მე ხომ
არ მიხმობენ ამ ჯოჯოხეთური ღრიალით? კეთილი
და პატიოსანი; მესმის; ვიღებ გამოწვევას, მაგრამ ხმა
მეც მაქვს და მას ვერვინ ჩაახშობს, ვერც კეთილი და
ვერც ბოროტი. მშიშარა და მოცახცახე, მგრძნობიარე
სულელი, ცხადია, მუდამ უსაფრთხოდაა. რომელი ხარ,
რომ ბურტყუნებ? გაინტერესებს, ჩავედი თუ არა ნა-
პირზე და შევუერთდი თუ არა ცეკვასა და წივილ-კი-
ვილს? არა, არ ჩავსულვარ. შენ ამბობ, დახვეწილი
გრძნობების გამოო? ჯანდაბას დახვეწილი გრძნობები!
დრო სად მქონდა. ტყვიის თეთრი საღებავითა და მაუ-

დის ქსოვილის ნაჭრებით უნდა შემეხვია დაზიანებული ორთქლის მილები, ხომ გითხარით. საჭისათვის თვალი არ უნდა მომეშორებინა, რათა კუნძებს არ გადავყროდი და ეს თუნუქის ქილა ისე მეტარებინა, ყველანაირ განსაცდელს დავძრომოდი. ყოველივე ამაში იმდენად ცხადი ჭეშმარიტება იყო, უფრო ჭკვიან კაცსაც დაიცავდა. და ამავდროულად თვალყური უნდა მედევნებინა ცეცხლფარეში ველურისათვის. დაწინაურებული გახლდათ თავისი ხელობით, შეეძლო ვერტიკალური ქვაბის გახურება. სწორედ ჩემ ქვევით იმყოფებოდა და, დამიჯერეთ, მისი თვალყურის დევნება ისეთივე აღმზრდელობითი რამ იყო, როგორც შარვალამოცმული და ბუმბულიანი ქუდით დახურული ძაღლისა, უკანა ფეხებზე რომ დადის. მართლაც რომ კარგი ყმაწვილი გახლდათ, სულ რამდენიმე თვის წვრთნა დასჭირდა. დაელმებული უშიშრად მისჩერებოდა ორთქლმზომსა და წყალმზომს. ამ საწყალ ქაჯს ჩაწიკწიკებული კბილები უელავდა, ჯაგარა თმა უცნაურად შეეკრიჭა და თვითეულ ლოყაზე სამი მოსართავი ნაჭდევი აღბეჭდვოდა. იმის ნაცვლად, ნაპირზე ხელ-ფეხი ეტყაპუნებინა, მძიმედ შრომობდა უცნაურ ჯადოსნობას დამონებული და გამოსასწორებელ ცოდნას იძენდა. სარგებლობა მოჰქონდა, რადგან დარიგებული იყო; და იცოდა, იმ გამჭვირვალე ჭურჭელში წყალი რომ გამქრალიყო, ქვებში მყოფი ბოროტ სულს მოსწყურდებოდა, გაბრაზდებოდა და საშინლად იძიებდა შურს. ამიტომაც ოფლად იღვრებოდა, ცეცხლს არ აქრობდა და შიშით მისჩერებოდა შუშას (ხელდახელ გამოგონილი, ნაკუნებისაგან შეკონწიწებული ჯადო მოება მკლავზე, ქვედა ტუჩში კი საათისხელა გაპრიალებული ძვალი გაეყარა), ამასობაში ტყიანი ნაპირები ნელა გვივლიდნენ გვერდს, ხანმოკლე ხმაური უკან რჩებოდა და სიჩუმის უსასრული მანძილის შემწეობით, კურცისაკენ მივიწევდით. მაგრამ კუნძები გამოულევლად დაცურავდნენ, წყალი თხელი იყო და მზაკვრული, ქვაბში მართლაც პირქუში ეშმაკი ჩამძვრალიყო და არც მე და არც ცეცხლფარეშს დრო აღარ გვრჩებოდა შემზარავ ფიქრებს ჩავღრმავებოდით.



შიდა სადგურიდან დაახლოებით ორმოცდაათ მილზე მივადექით ლერწმისაგან დაწნულ ქოხს, რომელზეც აღმართულიყო გადახრილი და მელანქოლიური ტარი, ზედ გამოუცნობი ქსოვილი რომ ოდესღაც ფრიალებდა, ალამი, და იქვე მწყობრად ეწყო შეშა. მოულოდნელი იყო. ნაპირს მივადექით და შეშის გროვაზე ვნახეთ ბრტყელი დაფა, გაფერმკრთალებულიყო ზედ ფანქრით ნაწერი. გაჭირვებით ამოვიკითხეთ: „შეშა თქვენთვისაა. იჩქარეთ. ყურადღებით მოგვიახლოვდით“. ხელმოწერაც მოსდევდა, გაურკვეველი... კურცი არა... უფრო გრძელი სიტყვა ჩანდა. „იჩქარეთ“. საით? მდინარის აღმა? „ფრთხილად მოგვიახლოვდით“. ასე რომ არ მოვქცეულვართ? მაგრამ გაფრთხილება შეუძლებელია ისეთ ადგილს შეხებოდა, რომელსაც მხოლოდ მიახლოებისას აღმოვაჩენდით. რაღაც ცუდი ხდებოდა ზემოთ. მაგრამ რა და რამდენად ცუდი? საკითხავი აი ეს იყო. ლაზათიანად შევამკეთ ამ ტელეგრაფული სტილის სიტუტუცე. გარსშემორტყმული ბუჩქნარი არას ამბობდა და ძალზე შორს არ შეგვახედებდა შიგნით. ქოხის შესასვლელში დახეული სარჟის ფარდა ეკიდა და სევდიანად გვიტყლაშუნებდა სახეებზე. საცხოვრებელი

მიეტოვებინათ, მაგრამ ცხადი იყო, თეთრ კაცს ეცხოვრა არცთუ დიდი ხნის წინათ. გადარჩენილიყო უხეშად ნაკეთები მაგიდა – ორ ფეხზე დაკრული დაფა; ბნელ კუთხეში ხარახურა ეყარა, კართან კი წიგნს წავაწყდი. ყდა დაჰკარგვოდა, გვერდები ნაზად ეფურცლათ და ზედ ჭუჭყი დაეტოვებინათ; მაგრამ ერთი კია, მზრუნველად აეკინძათ ხელახლა ჯერაც სუფთად გადარჩენილი ბამბის თეთრი ძაფით. არაჩვეულებრივი ნაპოვნი გახლდათ. სათაურით – „გამოკვლევა ზღვაოსნობის ზოგიერთი საკითხისა“, ავტორი – თაუსერი თუ თაუსონი, რაღაც ამგვარი სახელისა, კაპიტანი ყოფილა მისი უდიდებულესობის ფლოტისა. საკმაოდ მოსაწყენი საკითხავი გახლდათ, საილუსტრაციო დიაგრამებითა და საძაგელი დიაგრამებითა და ციფრებით გადავსებული, და სამოცი წლის წინანდელი. ამ განსაცვიფრებელ ანტიკვარს რაც შეიძლება ნაზად ვეპყრობოდი, რათა ხელთ არ ჩამშლოდა. წიგნში თაუსონი თუ თაუსერი გულმოდგინედ იკვლევდა გემთა ჯაჭვებისა და ხელსანყოთა გამძლეობასა და სხვა ამგვარ საკითხებს. ამ წიგნის კითხვა დიდად არ ჩაგითრევდათ; მაგრამ პირველივე შეხედვით დაინახავდით განსაკუთრებულ მისწრაფებას, გულწრფელ ზრუნვასა და დამოკიდებულებას სამუშაოსადმი, რამაც ეს მოკრძალებული ფურცლები, სავსე ამდენი ხნის წინათ ნაფიქრით, კიდევ უფრო მეტი რამით გაასხივოსნა, ვიდრე პროფესიული შუქია. უბრალო მოხუცი მეზღვაური მესაუბრებოდა ჯაჭვებსა და საყრდენებზე და გადამავიწყა ჯუნგლი და პილიგრიმები, იმის განცდით რაღაც შეუცდომლად ნამდვილს გადავეყარე. ასეთი წიგნის იქ ყოფნა მართლაც



საოცარი იყო; მაგრამ უფრო განსაცვიფრებელი გახლდათ კიდეებზე ფანქრით მიწერილი შენიშვნები, რაც აშკარად ტექსტს შეეხებოდა. თვალებს არ ვუჯერებდი! დაშიფრული გახლდათ! ჰო, რაღაც შიფრივით იყო. წარმოიდგინეთ კაცი, ვინც ამგვარ წიგნს წაიღებს სადღაც დასალიერში და იქ შეისწავლის, შენიშვნებს დაურთავს და დაშიფრავს! ექსტრავაგანტული მისტერია იყო.

რაღაც შემაწუხებელი ხმები ჩამესმა, ავიხედე და დავინახე, რომ შეშა წაეღოთ და უფროსი, მთელ პილიგრიმებიანად, მდინარის ნაპირიდან მეძახდა. წიგნი ჯიბეში ჩავიდე. გარწმუნებთ, კითხვა რომ შევწყვიტე, თითქოს ძველსა და ერთგულ მეგობარს გამოვეთხოვე.

დავძარი ჯაბახანა და წინ გავეშურე. „ის საცოდავი მოვაჭრე იქნებოდა აქ შემომძვრალი“, წამოიძახა უფროსმა და ბოროტად გახედა იმ ადგილს, საიდანაც წამოვედით. „ინგლისელი უნდა იყოს“, ვთქვი მე. „ეგ ვერ დაეხმარება ხიფათისაგან თავის დაღწევაში, თუ ფრთხილად არ იქნება“, პირქუშად ჩაიბურტყუნა უფროსმა. ამქვეყნად ვინ არის დაცული ხიფათისაგან-მეთქი, მოჩვენებითი გულუბრყვილობით აღვნიშნე.

დინება უფრო ასწრაფდა და ორთქლმავალი სულს ებრძოდა, ბორბალი ძლივსღა ტრიალებდა და უცებ მივხვდი, სუნთქვაშეკრული ვუსმენდი ნავის ხმას, რადგან, სიმართლე გითხრათ, ეს საცოდავი ყოველ წუთს შეიძლებოდა გაჩერებულიყო. სიცოცხლის ბოლო გაფართხალება იყო.

და მაინც მივღოღავდით. ხანდახან წინ რომელიმე ხეს ამოვარჩევდი, რათა გამეზომა ჩვენი სვლა კურცისაკენ, მაგრამ ყოველთვის მანამდე მეკარგებოდა, სა-

ნამ გავუსწორდებოდით. ერთ რაღაცაზე ასე დიდხანს მიჩერება კაცის მოთმინებას აღემატებოდა. უფროსმა გვიჩვენა, რომ მშვენივრად შეეძლო მშვიდად ყოფნა. მე ვდუღდი და გადმოვდუღდი ჩემს თავთან კამათში, შევძლებდი თუ არა კურცთან ღიად საუბარს; მაგრამ სანამ რაიმე დასკვნამდე მივიდოდი, მივხვდი, რომ ჩემი სიტყვები თუ დუმილი, რაიმეგვარი მოქმედება, ფუჭი და ამაო იქნებოდა. რა მნიშვნელობა ჰქონდა, ვიღაცა რაიმეს ხვდებოდა თუ არად აგდებდა? რა მნიშვნელობა ჰქონდა, თუ ვინ იყო უფროსი? ასე ხდება ხოლმე აზრის გამონათება. არსი ამ მოვლენებისა ზედაპირიდან მეტად ღრმად ჩაძირულიყო, მე ვერ ჩავაღწევდი და ვერც ჩარევას შევძლებდი.

მეორე დღეს, საღამოხანს ჩვენი გათვლით რვა მილიღა გვაშორებდა კურცის სადგურს. მინდოდა ავჩქარებულიყავი, მაგრამ უფროსი მოიღუშა და მაცნობა, წინ ძნელი გზაა სანაოსნოდო და რაკიღა მზე უკვე ჩადიოდა, ემჯობინებოდა აქ დაგვეცადა გათენებამდე. ამასთან, შენიშნა, რომ თუ უნდა დაგვეჯერებინა რჩევისათვის, ფრთხილად მოგვიახლოვდითო, სჯობდა დღის სინათლეში მივსულიყავით და არა მწუხრსა ან სიბნელეში. საკმაოდ საღი აზრი გახლდათ. რვა მილის გასავლელად დაახლოებით სამი საათი უნდა გვექმუტუნა, გარდა ამისა, საეჭვო ჩქერიც დავლანდე აღმა მხარეს. თუმც დაყოვნებამ ძალზედ ამაფორიაქა, რაც დიდი უგნურება გახლდათ, რადგან კიდევ ერთი ღამე არაფერს ცვლიდა ამდენი თვის შემდეგ. რაკი შეშა ბევრი გვებადა და სიფრთხილე გვმართებდა, მდინარის შუაგულში გავჩერდი. აქ დინება სწორი იყო და ვიწრო,



შემაღლებული ნაპირები რკინიგზის გასავალებს მოგაგონებდათ. მწუხრი მანამდე შემოიპარა, სანამ მზე ჩავიდოდა. მდინარე სწრაფად და გლუვად მიედინებოდა, ნაპირებზე ჩამიჩუმი არ ისმოდა, არაფერი იძროდა. ცოცხალი, ერთმანეთზე მცოცავი მცენარეებით გადაბმული ხეები, ბუჩქნარი, რტო და ფოთოლიც თითქოს გაქვავებულიყვნენ. ეს ძილს არა ჰგავდა, რაღაც არაბუნებრივი იყო, გონდაკარგვის მსგავსი. ჩქამიც კი არსაიდან მოისმოდა. განცვიფრდებოდი და ეჭვი შეგიპყრობდა, ხომ არ დავყრუვდიო, მაგრამ მერე უეცრად ღამე ჩამოწვებოდა და დაგაბრმავებდა კიდეც. დილის სამი საათი იქნებოდა, რომელიღაცა დიდმა თევზმა გაიტყლაშუნა მდინარეში და ისე წამოვხტი ფეხზე, თითქოს თოფის ხმა გამეგონოს. გამთენიისას თეთრი ნისლი ჩამოწვა, თბილი, ნებოვანი და უფრო დამაბრმავებელი, ვიდრე ღამე. არც დაძრულა და არც შეცვლილა; იქ იყო, რაღაც მკვრივივით იდგა შენ გარშემო. რვა საათსა თუ ცხრაზე დარაბასავით აიწია. დავინახეთ კოშკებივით აღმართული მრავალრიცხოვანი ხეები და უზარმაზარი ჯუნგლის სახურავი, რაზეც მზის პატარა, კაშკაშა ბურთი ეკიდა – და ყოველივე სრულყოფილ უძრაობაში გარინდულიყო – მერე ისევ დაეშვა თეთრი დარაბა, თითქოს დაზეთილ ღარებში ჩამოსრიალდაო. ვუბრძანე, ლუზის ჯაჭვი, რომლის ამოწევაც თვითონვე მოვითხოვე, უკანვე ჩაეშვათ. და ვიდრე ჯაჭვი ჩხარაჩხურით გარბოდა, ნისლიან ცაში გადიარა კივილმა, ძალზე ხმამაღალმა, უსაზღვროდ მაოხარმა კივილმა. შეწყდა. ველური უთანხმოებით აღსავსე უკმაყოფილო ხმაურმა აგვივსო ყურთასმენა. თმა ყალყზე დამიდგა

ქუდქვეშ, ისეთი უეცარი იყო. არ ვიცი, სხვებზე რარიგ იმოქმედა, მე კი მეგონა, თვითონ ნისლი ჰკივის-მეთქი, ისე მოულოდნელად აღიძრა, აშკარად ყოველი მხრიდან, ეს უწესრიგო და მგლოვიარე ღრიალი. ყველაფერი დაასრულა სწრაფმა ამოხეთქვამ თითქმის აუტანელი, უკიდურესი ბღავილისა, რაც ერთბაშად შეწყდა, და სულელურ ყოფაში გაგვყინა და მიდარაჯებულნი ვუსმენდით ასეთსავე შემზარავსა და უკიდურეს სიჩუმეს. „ღმერთო მაღალო! რა უნდა იყოს...“ წაილუღლუღა ჩემს იდაყვთან ერთ-ერთმა პილიგრიმმა, პატარა მსუქანმა კაცმა, ქვიშისფერთმიანმა და წითელქილვაშებიანმა, ვისაც მაღალყელიანი ფეხსაცმელი ეცვა და ვარდისფერი პიჟამა წინდებში ჩაეტანებინა. კიდევ ორნი ერთი წუთით პირდაღებულნი იდგნენ, შემდეგ პატარა კაბინაში შეცვივდნენ და მაშინვე უკან გამოცვივდნენ, დამფრთხალ თვალებს აცეცებდნენ ვინჩესტერმომარჯვებულნი. მაგრამ მხოლოდ იმ ორთქლმავლის დანახვა შეგვეძლო, რომელზეც ვიყავით, მისი კონტურებიც ისე იდღაბნებოდა, თითქოს უნდა გადნესო, და აგრეთვე – წყლის ნისლიანი ზოლისა, ორი ფუტის სიგანე რომ ექნებოდა და გარს გვერტყმოდა – ესაა და ეს. დანარჩენი მსოფლიო აღარსად იყო, რამდენადაც ჩვენს თვალებსა და ყურებს დაეჯერებოდათ. არსად. წავიდა, გაჰქრა, ისე გაიძურწა, ჩქამიც არ გაულია და ჩრდილიც არ დაგვილანდავს.

წინ წავდექი და ვუბრძანე ჯაჭვი მოკლეზე დაეტოვებინათ, რათა მზად ვყოფილიყავით ღუზის ამოსაწევად და ნავის დასაძრავად, თუკი საჭირო გახდებოდა. „შემოგვიტევენ?“ წაიჩურჩულა შეშინებულმა



ხმამ. „ყველას დაგვჩეხავენ ამ ბურუსში“, წაიდუდუნა მეორემ. სახეები დაძაბულობისაგან მოექცათ, ხელები ოდნავ უკანკალებდათ, თვალებს დახამხამება დაავიწყდათ. საგულისხმო გამომეტყველებათა შედარება იყო ჩვენი ეკიპაჟის თეთრი კაცებისა და შავი ჯეელებისა, ვინც ჩვენსავით უცხონი იყვნენ მდინარის ამ ნაწილში, თუმც მხოლოდ რვაასი მილის მოშორებით ცხოვრობდნენ. თეთრები, ცხადია, დიდად შეშფოთებულნი იყვნენ, ამასთან, უცნაურად იყურებოდნენ ამ აღმაშფოთებელი აურზაურით თავზარდაცემულნი. მეორენი დადარაჯებული, ბუნებრივი ცნობისწადილით იცქირებოდნენ; მაგრამ სახეები არსებითად მშვიდი ჰქონდათ, იმ ორსაც კი, ვინც კბილებდაკრეჭილნი ჯაჭვს ჩაფრენოდნენ. უმრავლესობა ერთმანეთს მოკლე დუდღუნა ფრაზებს უგდებდა, რაც, როგორც ჩანდა, ცნობისმოყვარეობას უკმაყოფილებდათ. მათი თავკაცი, ახალგაზრდა, მკერდგანიერი შავკანიანი, ლაზათიანად გამოწყობილი მუქლურჯ ფოჩებიან სამოსში, დაზეთილი თმა რომ დაეწნა და ნესტოებს ველურად ბერავდა, ჩემთან ახლოს იდგა. „აჰაა“, ვთქვი, საუბრის გასაბმელად. „დაიჭირეთ“, ამოისროლა მან, ჩასისხლიანებული თვალები გაუფართოვდა და კბილები გააელვა, „დაიჭირეთ. ჩვენ მოგვეცით“. „თქვენ?“ ვკითხე მე, „თქვენ რას უზამდით?“ „შევჭამთ!“ დაკვესა მან, და მოაჯირზე მკლავდაყრდნობილი ნისლს ჩააცქერდა ამაყი და ღრმად ჩაფიქრებული. უთუოდ გვარიანად შევშინდებოდი, რომ არ მივმხვდარიყავი, თვითონაც და მისი ამხანაგებიც ძალზე მშიერნი უნდა იყვნენ და ამ ბოლო თვეში უფრო დაიმშეოდნენ-მეთქი. ექვსი თვით იყვნენ დაქი-

რავებულნი (არა მგონია, რომელიმეს ნათელი წარ-
მოდგენა ჰქონოდა დროზე, ჩვენც რომ არ გვექნებოდა
უხსოვარ დროში. ისინი კი ჯერაც დროის საწყისებთან
იყვნენ და გამოცდილება ჯერ ვერ დაეგროვებინათ),
და, რასაკვირველია, რაკიღა არსებობდა ქაღალდის ნა-
გლეჯზე დაწერილი რაღაც ცრუკანონი, ამ მდინარეზე
რომ მოქმედებდა, არავის შეუწუხებია თავი იმაზე
ფიქრით, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ. ჰო, ჰიპოპოტა-
მის დამპალი ხორცი კი ჰქონდათ წამოღებული, რაც
დიდხანს მაინც ვერ გაძლებდა, მათი აღშფოთებული
ღრიანცელის მიუხედავად პილიგრიმებს რომ არ გა-
დაეყარათ ნავიდან. თვითნებურ საქციელს ჰგავდა, მა-
გრამ სინამდვილეში კანონიერი თავდაცვა იყო. აუტა-
ნელია იყნოსო დამპალი ჰიპოს სუნი ძილში, ღვიძილში
თუ ჭამისას და ამავე დროს გადარჩენის იმედიც არ
დაკარგო. ამასთან, ყოველ კვირას დაახლოებით ცხრა
მისხლის სიგრძის სპილენძის სამ მავთულს აძლევდ-
ნენ; მათი განსჯით, ამით მდინარისპირა სოფლებში
სანოვაგე უნდა ეყიდათ. ხომ ხედავთ, როგორც აუხ-
დათ ვარაუდი. ან სულ არ იყო სოფლები, ან ხალხი
გვხვდებოდა მტრულად, ანდა უფროსს, ვინც დანარ-
ჩენებივით კონსერვებით, ან შემთხვევით მოპოვებული
თხის ხორცით იკვებებოდა, არ სურდა ორთქლმავლის
გაჩერება რაღაც გაუგებარი მიზეზის გამო. ამიტომ,
თუ იმ სპილენძს არ გადაყლაპავდნენ, ან ყულფებს არ
გააკეთებდნენ თევზის დასაჭერად, ვერ წარმომედგი-
ნა, რაში უნდა გამოეყენებინათ ეს უცნაური ჯამაგი-
რი. უნდა ითქვას, ჯამაგირს წესისა და რიგის მიხედ-
ვით იხდიდნენ, როგორც შეჰფეროდა ასეთ დიდსა და



ღირსეულ სავაჭრო კომპანიას. მეტი რა, ერთადერთი
საკვები – თუმც საკვებს არა ჰგავდა – რაც მათ ხელ-
ში დამინახავს, იყო პატარა ნაჭრები ნახევრად გამომ-
ცხვარი ჭუჭყიანი ლავანდისფერი ცომისა, ფოთლებში
გახვეულს ინახავდნენ და დროდადრო ყლაპავდნენ, მა-
გრამ ისეთი პაწიები იყო, მხოლოდ მოსაჩვენებლად თუ
გამოდგებოდა და არა თავის გასატანად. დასწყევლოს
ღმერთმა ყველა კბილდაკრეჭილი და მშიერი ეშმაკი,
რატომ არ დაგვესხნენ თავს – ოცდაათნი იყვნენ ხუთის
წინააღმდეგ – და ერთი კაი ქეიფი რატომ არ მოიწყეს,
დღესაც მიკვირს, როდესაც ვიხსენებ. დიდი, ძლიერი
კაცები იყვნენ, გაბედულება არ აკლდათ და შედეგის
გასააზრებლად ჭკუა არ ეყოფოდათ, ძალა ახლაც კი
შერჩენოდათ, თუმც მათ კანს ელვარება დაეკარგა და
კუნთებიც მოეშვათ. და მივხვდი, რაღაც აკავებდათ,
ერთი იმ ადამიანურ საიდუმლოებათაგანი, რაც აკავებს
შესაძლებლობას, ხდებოდა იქ. ცოცხალი ცნობისმოყვა-
რეობით ვაკვირდებოდი, და იმიტომაც განვეწყვე ასე,
რომ შეიძლებოდა დიდი ხნის წინათ შევეჭამეთ, თუმც,
უნდა გითხრათ, სწორედ მაშინ მივხვდი, გონება გამი-
ნათდა, რომ პილიგრიმები ძალზე დაჭიანებულნი ჩანდ-
ნენ, და დიახ, იმედი მქონდა, ჩემი გარეგნობაც, როგორ
გითხრათ, ჰო, მადისაღმძვრელი ვერ იქნებოდა; ასეთი
იყო წარმოუდგენელი ამაო, მოჩვენებითი განცდა, რა-
საც მაშინ მოეცვა ჩემი არსება. ალბათ ცოტა სიცხეც
მქონდა. კაცი ვერ შეძლებს გამუდმებით პულსის სინ-
ჯვით ცხოვრებას. მე ხშირად მქონდა ცოტა სიცხე, ან
სხვა რამ მცირე სენი – უდაბურება თათს მითათუნებ-
და, წინასწარ, მართლა დამესხმოდა თავს, რაც მოხდა

კიდეც თავის დროზე. ჰო; მათ ისე ვუყურებდი, თქვენ როგორც უყურებთ ადამიანებს, ცნობისწადილით ვსწავლობდი მათ იმპულსებს, მოტივებს, შესაძლებლობებს, სისუსტეებს, როდესაც დაუძლეველი ფიზიკური მოთხოვნილება გამოცდას უწყობდათ. თავშეკავება! როგორ უნდა შეეკავებინათ თავი? რა იყო ეს, ცრურწმენა, ზიზღი, მოთმინება, შიში... თუ ერთგვარი პრიმიტიული სიამაყე? ვერანაირი შიში ვერ დაძლევს შიმშილს, ვერანაირი მოთმინება ვერ გაცვეთს მას, ზიზღის ადგილი აღარ რჩება იქ, სადაც შიმშილია; ხოლო აი ცრურწმენები და ის, რასაც ჩვეულებრივ პრინციპებს ვუწოდებთ, ხავსადაც არ გამოდგება მოსაჭიდებლად. არ იცნობთ ჯადოს ხანგრძლივი შიმშილისა, მისგან მოგვრილ აუტანელ ტანჯვას, შავბნელ ფიქრებს, პირქუშსა და შეფარულ სისასტიკეს? მე ვიცნობ. მთელი შინაგანი ძალა უნდა გაიღოს კაცმა, შიმშილს რომ გაუმკლავდეს. გაცილებით იოლია დანაკარგის, შეურაცხყოფისა და სულის ნაწყმედის ატანა, ვიდრე ამგვარი გაჭიანურებული შიმშილისა. სამწუხაროა, მაგრამ სიმართლეა. და ამ ჯეელთ კი არავითარი ამქვეყნიური მიზეზი არ გააჩნდათ სინდისის ქენჯნისა. თავშეკავება! რა თავშეკავებას უნდა სთხოვდე აფთარს, ბრძოლის ველზე დაცემულ გვამებს შორის რომ დაიძურწება. მაგრამ ფაქტი ჩემ წინაშე იყო, ცხადზე უცხადესი, როგორც ზღვის სიღრმეებზე მომდგარი ქაფი, როგორც ჩაუწვდომელ სიღრმეზე გადავლილი ტალღა; ვფიქრობ, უფრო დიდი საიდუმლო, ვიდრე ის უცნაური, აუხსნელი ბგერა სასოწარკვეთილი სევდისა, იმ ველურ კივილში, მდინარის ნაპირიდან, ნისლის დამაბრმავებელი სითეთრიდან რომ მოდიოდა.



ორი პილიგრიმი კამათობდა ჩურჩულითა და გაცხარებით, თუ რომელი ნაპირიდან მოდიოდა ხმა. „მარცხენა“. „არა, არა; რას ამბობ? მარჯვენა, მარჯვენა, რა თქმა უნდა“. „საქმე ძალზე ცუდადაა“, გაისმა უფროსის ხმა ჩემ უკან; „დავიღუპები, თუ მისტერ კურცს რამე დაემართება ჩვენ მისვლამდე“. შევხედე და ეჭვიც არ შემპარვია, რომ გულწრფელი იყო. ისეთი კაცი გახლდათ, ვინც წესიერების შენარჩუნებას ცდილობს. ეს იყო მისი თავშეკავება. მაგრამ როცა ნაიდუდღუნა, ახლავე ნავიდეთო, პასუხის გაცემაც კი არ მიცდია. მეც ვიცოდი და მანაც იცოდა, რომ ეს შეუძლებელი გახლდათ. ღუზა რომ ამოგველო, ერთიანად ჰაერში აღმოვჩნდებოდით – კოსმოსში. იმასაც კი ვერ ვიტყოდით, საით მივდიოდით – აღმა თუ დაღმა მდინარისა – ვიდრე რომელიმე ნაპირს არ მივაწყდებოდით და ისიც არ გვეცოდინებოდა, რომელი იყო. ცხადია, ადგილიდან არ დავძრულვარ. ნავის დამსხვრევას არ შევეგუებოდი. ვერ წარმოიდგენთ ამაზე უფრო საშინელ ადგილს დასამსხვრევად. მაშინვე თუ არ დავიხრჩობოდით, დიდხანს მაინც ვერ გადავრჩებოდით ცოცხალი. „უფლებას გაძლევთ ყველანაირი რისკისა“, მითხრა მცირე ხნის დუმილის შემდეგ, „უარს ვამბობ გავრისკო“, მივუგე მოკლედ; და სწორედ ამ პასუხს ელოდა, თუმც შეიძლება ტონმა გააკვირვა. „შაშ თქვენს გადაწყვეტილებას უნდა დავემორჩილო. კაპიტანი თქვენა ხართ“, მითხრა ხაზგასმული თავაზიანობით, მისკენ შევბრუნდი მადლობის ნიშნად და ნისლს ჩავაცქერდი. რამდენ ხანს გასტანდა? ყოვლად უიმედო სანახაობა გახლდათ. ამ საშინელი ბუჩქნარის გავლით იმ სპილოს ძვლის მხვეჭავ კურცთან მიღწე-

ვას იმდენი ხიფათი ახლდა, თითქოს ზღაპრულ კოშკში მძინარე, მოჯადოებული პრინცესა ყოფილიყოს. „თქვენ ფიქრობთ, რომ თავს დაგვესხმიან?“ საიდუმლოდ ჩამეკითხა უფროსი.

ვფიქრობდი, თავს არ დაგვესხმოდნენ რამდენიმე მიზეზის გამო. პირველი – სქელი ნისლი იყო. დატოვებდნენ თუ არა ნაპირს თავისი კანოეებით, ერთბაშადვე ნისლში დაიკარგებოდნენ, რაც ჩვენც გველოდა თუ დაძვრას შევეცდებოდით. ამასთან, ორივე ნაპირზე გაუვალი ჯუნგლი იყო, თუმც თვალები ესხათ, თვალები, რომლებიც გვხედავდნენ. მდინარის გასწვრივ მართლაც გაუვალი ბუჩქნარი იყო; მაგრამ მის მიღმა ტყეში მოძრაობა, ცხადია, შეიძლებოდა. რაც უნდა იყოს, იმ მოკლე ხანში, ნისლი რომ აიკრიფა, ორთქლმავლის ახლო-მახლო ერთი კანოეც არსად ჩანდა. მაგრამ თავდასხმის იდეა უსაფუძლოდ სწორედ ხმაურის ბუნების გამო მიმაჩნდა – იმ ყვირილისა, რაც გვესმოდა. მას ჰქონდა სასტიკი და პირდაპირ მტრული განზრახვის ბუნება. უეცარი კი იყო, ველური და მძაფრი, მაგრამ სიბრალულის დაუოკებელ განცდას აღმიძრავდა. ორთქლმავალი ნავის დანახვა ამ ველურებში რატომღაც დაუოკებელ წუხილს აღძრავდა. საშიში ის არის, ვუხსნიდი, რომ ჩვენ ახლოს დიდი ადამიანური ვნება დუღს. და უსაზღვრო მწუხარებაც კი შეიძლება გადაიზარდოს ძალადობაში – თუმც უფრო ხშირად აპათიის ფორმას იძენს...

უნდა გენახათ, როგორ მომჩერებოდნენ პილიგრიმები. სად ჰქონდათ გამბედაობა, დაეცინათ ან ვეგინებინეთ, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ეგონათ, ალბათ შისაგან გაგიჟდაო. მთელი ლექცია წავუკითხე. ნეტა რა მრჯიდა. ყურადღებით ვყოფილიყავი? ალბათ ხვდებით, ისე ვუდარაჯებდი ბურუსის აკრეფას, ვით კატა უდარაჯებს თაგვს; მაგრამ ჩვენი თვალები იმაზე მეტს ვერას ხედავდნენ, კილომეტრობით ბამბის ქსოვილში ჩამარხულნი რომ დაინახავდნენ. სწორედ ასეთ დღეში ვიყავი, ვიხრჩობოდი, ვიხუთებოდი, მცხელოდა. ამასთან, ყველაფერი, რაც ვთქვი, ეგებ უცნაურად ჟღერდა, მაგრამ სრული სიმართლე გახლდათ. რაც თავდასხმა გვეგონა, მხოლოდ მოგერიების მცდელობა იყო. ქმედება შორს სცილდებოდა აგრესიულობას, თავდაცვითიც კი არ ყოფილა, ჩვეულებრივი აზრით, სასოწარკვეთილი ნაბიჯი იყო და არსებითად დაცვას ისახავდა მიზნად.

უნდა გითხრათ, განვითარდა კიდეც ნისლის აწევიდან ორი საათის შემდეგ და დაიწყო კურცის სადგურიდან დაახლოებით მილ-ნახევარის დაშორებით. ის იყო მოსახვევში შევრახრახდით, მდინარის შუაგულში დავინახე პატარა კუნძული, ხასხასა მწვანე ბალახიანი ბორცვი. თითქოს ერთადერთი, მაგრამ როცა მივუახლოვდით, შევნიშნე, რომ ეს მხოლოდ დასაწყისი გახლდათ გრძელი, ქვიშიანი თხემისა, უფრო სწორად, ჯაჭვი თავთხელში ამოჩრილი ქვიშის ზოლისა, მდინარის შუაგულში რომ წაგრძელებულიყო. უფერული იყო, მდინარ ზედაპირს არც სცილდებოდა და წყლის ქვეშ ისე მოჩანდა, კაცის ზურგზე რომ მოჩანს კანქვეშ ხერხემალი. ამას, როგორც ვხედავდი, მარჯვნიდანაც შემოვუვლიდი და მარცხნიდანაც, თუმც არცერთი არხის ასავალ-დასავალი არ ვიცოდი. ნაპირები ერთმანეთს ჰგავდა, სიღრმეც ერთგვარი ჩანდა; მაგრამ როგორც მითხრეს,

სადგური დასავლეთით იყო და, ბუნებრივია, დასავლეთის ტოტისაკენ გავუყევი.

შევედით თუ არა, მივხვდი, გაცილებით ვიწრო იყო, ვიდრე მეგონა. მარცხნივ გრძელი მთლიანი მარჩხობი მოგვყვებოდა; მარჯვნივ – მაღალი, ფრიალო, უხვი ბუჩქნარით სავსე სანაპირო. ბუჩქების ზემოთ ხეები აღმართულიყვნენ მტკიცე რიგებად. ტოტები მდინარეზე უხვად გადმოკიდებულიყვნენ, აქა-იქ დიდი ტოტები უხეშად გამოჩრილიყო ნაკადში. უკვე ნაშუადღევი იყო, ჩამუქებული ტყე ჩრდილთა ფართო ზოლებს ჰკიდებდა წყალზე. და ამ ჩრდილში მივჩუქჩუქებდით, წარმოიდგინეთ, ზოზინ-ზოზინით. ნაპირთან ახლოს მიმყავდა, აქ ყველაზე ღრმა იყო წყალი, როგორც წყლისმზომმა აჩვენა.

ჩემს მშიერ და ამტან მეგობართაგან ერთ-ერთი სწორედ ჩემ ქვემოთ ზომავდა სიღრმეს. ეს ორთქლმავალი ნავი სწორედ რომ ბანიან ბარჟას ჰგავდა. ბანზე ორი პატარა ტექის ხის ქოხი იდგა კარფანჯრებით. ქვაბი ცხვირზე მოერგოთ, სამანქანე კი უკან, კიჩოზე. თავიდან ბოლომდე გადაფარებული იყო მსუბუქი სახურავით, რომელსაც ბიგები ჰქონდა შეყენებული. საკვამური სახურავში გადიოდა და საკვამურის წინ მდგარი, თხელი ფიცრებით აგებული პატარა ქოხი მესაჭისათვის განკუთვნილიყო. აქ იდგა ტახტი, ორი საველე სკამი, პატარა მაგიდა, კუთხეში მიყუდებულიყო გატენილი მარტინი-ჰენრი, და საჭეც აქვე ემაგრა. ფართო კარი ებნია წინ და ფართო დარაბები ორივე მხარეს. ეს ყველაფერი სულ ღია იყო, ცხადია. მთელ დღეებს იქ ვატარებდი სახურავის ბოლოში, კარწინ. ღამით მეძინა, ან ვცდილობდი დამეძინა ტახტზე. ბრგე შავკანიანი, სანაპიროს რომელიღაც ტომიდან, ჩემს საწყალ წინამორბედს გამოეწვრთნა მესაჭედ. სპილენძის წყვილი საყურე ეკეთა, ლურჯი ქსოვილი შემოეხვია წელიდან კოჭებამდე და მთელი ქვეყანა თავისი ეგონა. ყველაზე გაუწონასწორებელი ბრიყვი იყო, რაც კი მინახავს. თუ იქ იყავი, თავდაჯერებული და გაბღენძილი მართავდა; მაგრამ თვალს თუ მოაცილებდი, მაშინვე მდაბალი შიში შეიპყრობდა და ამ ჩვენს საცოდავ ორთქლის ნავს ვეღარაფრით დაიმორჩილებდა.



წყლის საზომს ვაკვირდებოდი და სულ უფრო ვწუხდი, რადგან ყოველ ჩაზომვაზე ცოტა აკლდებოდა სიგრძე, და ამ დროს დავინახე, მზომველმა საქმე მიატოვა და და გემბანზე გაწვა ისე, რომ საწომი წყლიდან არც ამოუღია. თუმც კი ხელიდან არ გაუშვია და წყალზე მოსთრევდა. ამავდროულად ცეცხლფარეში, ვისაც ასევე ვუყურებდი, ღუმელის წინ ჩაცუცქდა და თავი ხელებში ჩარგო. განვცვიფრდი. მსწრაფლ გავხედე მდინარეს, რადგან წინ კუნძი მოჩანდა. ჯოხები, პატარა ჯოხები მოფრინავდნენ, უამრავი; ჩემ ცხვირწინ სტვენდნენ, ჩემ წინ ეცემოდნენ, მესაჭის ჯიხურს ეჯახებოდნენ ჩემ უკან. ამ დროს მდინარეც, ნაპირიც, ტყეც წყნარი იყო – მთლად უხმაურო. მხოლოდ ნავის ბორბლის მძიმე ტყლაშუნი მესმოდა და ამ ჯოხების ტკაცუნი. ძლივძლივობით ავუარეთ გვერდი კუნძს. ისრები, იუპიტერს ვფიცავ! გვესროდნენ! საჩქაროდ მივბრუნდი, რათა ნაპირის მხარის დარაბა დამეხურა. ამ ბრიყვ მესაჭეს ხელები საჭის მანებზე ეწყო, მუხლებს მაღლა სწევდა, ფეხებს სცემდა და პირს აწკლაპუნებდა

ლაგამმოდებული ცხენივით. ჯანდაბას მაგის თავი! ამ დროს ათ ფუტზე ვიყავით ნაპირიდან. სარკმელში თავი გავყავი მძიმე დარაბის დასახურად და დავინახე სახე, ჩემ გასწვრივ ფოთლებში, დაუნდობლად და დაჟინებით მომჩერებოდა და მერე, თითქოს უეცრად, ფარდა გადამაცალეს თვალებიდან, გავარჩიე იმ ჩაბნელებული ხლართების სიღრმეში შიშველი სხეულები, მკლავები, ფეხები, მოგიზგიზე თვალები – ბუჩქები გაივსო ადამიანის მოძრავი, ბრინჯაოსფრად მბზინავი კიდურებით. ტოტები კრთოდნენ, ირხეოდნენ და ტყდებოდნენ, ისრები იქიდან მოფრინავდნენ; დარაბა დავხურე ვაინაჩრობით. „პირდაპირ ატარე", ვუთხარი მესაჭეს. თავი გაშეშებოდა, სახე წინ მიემართა, მაგრამ თვალებს ატრიალებდა, ფეხებს ნაზად სწევდა და უშვებდა, პირზე ცოტა დუჟი მოსდგომოდა. „დამშვიდდი" – დავუყვირე გაბრაზებულმა. ასე ხისთვისაც შემეძლო მებრძანებინა, რომ ქარში არ შერხეულიყო. გარეთ გამოვვარდი. ჩემ ქვევით ფეხების ბრაგაბრუგი ისმოდა რკინის გემბანზე; არეულ-დარეული ძახილი; ვილაც ყვიროდა, „უკან ვერ მიაბრუნებ?" წინ, წყალში, ისრის წვერის მსგავსი ტალღა დავინახე. რაო? კიდევ ერთი კუნძი! ჩემ ქვემოთ სროლა ატყდა. პილიგრიმებმა დაცალეს თავიანთი ვინჩესტერები, დაუმიზნებლად უშენდნენ ბუჩქებს, დაწყევლილი კვამლი დაიძრა და ნელა გაეფინა წინ. შევიგინე. ახლა ველარც ტალღას ვხედავდი და ველარც კუნძს. კარში ვიდექი, ვაკვირდებოდი და ისრები წვიმასავით მოდიოდა. ალბათ მონამლული იყო, ისე კი, გეგონებოდა, კატასაც ვერას დაუშავებსო. ბუჩქები აბღავლდა. ჩვენმა ტყისმჭრელებმა საომარი ყიჟინა დასცეს;



ზედ ჩემ ზურგსუკან დაცლილი თოფის ხმამ დამაყრუა. თავი მოვაბრუნე და რას ვხედავ, მესაჭის ჯიხური სავსეა ხმაურითა და კვამლით, მე საჭეს მივვარდი. ამ სულელ ზანგს ყველაფერი დაუყრია, გაუღია დარაბა და მარტინი-ჰენრიდან ისვრის. ღიობში იდგა და მთელი ტანით ჩანდა, ვუყვიროდი, დაიმალე-მეთქი, ვიდრე ორთქლის ნავს გავასწორებდი. ვერსად მივაყენებდი, ძალიანაც რომ მომენდომებინა, კუნძი სადღაც ძალზე ახლოს ტივტივებდა, იმ დამაბრმავებელ კვამლში, დასაკარგი დრო სადღა მქონდა და პირდაპირ ნაპირისაკენ წავიყვანე, სადაც, ვიცოდი, წყალი ღრმა იყო.

ნელა მივიკვლევდით გზას გადმოკიდებულ ბუჩქებში, დამტვრეულ ტოტებსა და მფრინავ ფოთლებში. ქვევით სროლა შეწყდა, როგორც ვივარაუდე, სავაზნეები დაცალეს. თავი უკან გადავწიე, როდესაც რაღაცამ გაიწუილა მესაჭის ჯიხურში, ერთი დარაბიდან შემოიჭრა და მეორეში გავარდა. ვხედავდი იმ შეშლილ მესაჭეს, დაცლილ თოფს იქნევდა და ღრიალებდა ნაპირისაკენ პირმიქცეული, ვხედავდი ადამიანთა გაურკვეველ სხეულებს, მოკუზულები გარბოდნენ, ხტოდნენ, მისრიალებდნენ, გამოჩნდებოდნენ და ჰქრებოდნენ. რაღაც დიდმა გაიელვა დარაბასთან, თოფი ბანს იქით გადავარდა, კაცმა მსწრაფლ დაიხია უკან, მხარს იქიდან არაჩვეულებრივად ღრმა, ნაცნობი მზერით გამომხედა და ჩემს ფეხებთან დაეცა. თავი ორჯერ მიარტყა საჭეს, რაღაც გრძელი ჯოხის ბოლო დატრიალდა და საველე სკამი გადააყირავა. თითქოს ვილაცას გამოგლიჯა ხელიდან და წონასწორობა დაკარგა. სქელი კვამლი გაიფანტა, კუნძს ავცდით, წინ რომ გავიხედე, დავინახე,

დაახლოებით ასიოდე იარდის შემდეგ ხელ-ფეხი მეხსნებოდა და შემეძლო ნაპირს მოვშორებოდი; ფეხზე ისეთი სითბო და სისველე ვიგრძენი, რომ ქვევით დავიხედე. კაცი პირაღმა იწვა და პირდაპირ მე შემომყურებდა; ორივე ხელით იმ ჯოხს ჩაფრენოდა. ეს იყო შუბის ტარი, ღიობში შემოფრენილიყო და გვერდში ჩასობოდა, ნეკნებს ქვემოთ; მახვილი საშიშად ღრმად ჩარჭობოდა და აღარ ჩანდა; ფეხები სისხლით დამეფარა; ირგვლივ სისხლის გუბე იდგა, მუქწითელი ბზინავდა საჭის ქვეშ; დაჭრილს საკვირველად უბრწყინავდა თვალები. სროლა განახლდა. შეშფოთებულმა შემომხედა, ისე ჩაეჭიდა შუბს, თითქო რაღაც ძვირფასი იყო და ეშინოდა, არ წამერთმია. თავს ძალა დავატანე, მზერა მოვაშორე და საჭეს მივუბრუნდი. თავს ზემოთ ხელით საყვირის ბაწარი მოვძებნე და მიყოლებით, სწრაფად დავაკივლე. მაშინვე შეწყდა ბრაზიანი და საბრძოლო ყიჟინა და ტყის სიღრმიდან ისეთი ურჟოლისმომგვრელი, მგლოვიარე და შიშითა და სასოწარკვეთით აღსავსე კივილი გაისმა, თითქოს უკანასკნელი იმედი ქრებოდა დედამიწაზე. ბუჩქებს არეულობა დაეტყო; ისართა წვიმა შეწყდა, რამდენიმე ნასროლმა გაიწუილა მძაფრად, სიჩუმე ჩამოწვა, და ბორბლის სუსტი ტყლაშუნი მისწვდა ჩემს ყურთასმენას. საჭე მკვეთრად მივაბრუნე მარჯვნივ და სწორედ იმ წუთში ვარდისფერპიჟამოიანი, გახურებული და აღელვებული პილიგრიმი გამოჩნდა კარში. „უფროსმა გამომგზავნა...“ დაიწყო ოფიციალური კილოთი და მაშინვე შეჩერდა. „ღმერთო ჩემო!“ თქვა დაჭრილი კაცის დანახვაზე.



ორი თეთრკანიანი ვადექით თავზე, ნათელი და შეკითხვით სავსე თვალით გვიყურებდა. გეუბნებით, ისე გვიყურებდა, თითქოს რაღაც კითხვების დასმა სურდა გასაგებ ენაზე; მაგრამ ისე მოკვდა, კრინტი არ დაუძრავს, კიდურიც არ შერხევია, კუნთიც არ შეთრთოლებია. მხოლოდ უკანასკნელ წამს, თითქოს იმ ნიშნის პასუხად, ჩვენ რომ ვერ აღვიქვამდით, იმ ჩურჩულის პასუხად ჩვენ რომ არ გვესმოდა, მძიმედ მოიღუშა და ამ წარბშეკვრამ მის შავ სასიკვდილო ნიღაბს პირქუში, დამუქრებული და შემაშფოთებელი იერი შესძინა. ელვარე შემკითხველი მზერა სწრაფად გაფერმკრთალდა შუშისებრ სიცარიელეში. „შეგიძლიათ მართოთ?“ ფიცხად ჩავეკითხე აგენტს. ძალზე დაბნეული იყურებოდა; მაგრამ მკლავში ჩავჭიდე ხელი და მიხვდა, ვეკითხებოდი, საჭეს დაიჭერდა თუა არა. სიმართლე გითხრათ, სიგიჟემდე მინდოდა ფეხსაცმელებისა და წინდების გამოცვლა. „მკვდარია“, ბუტბუტებდა თავზარდაცემული ჯეელი. „უეჭველად“, ვუთხარი, თან შეშლილივით ვექაჩებოდი ფეხსაცმლის თასმებს. „და, სხვათა შორის, ვვარაუდობ, მისტერ კურციც მკვდარი უნდა იყოს უკვე“.

იმ წუთისათვის მთავარი საფიქრალი ეს იყო. დიდი იმედგაცრუება დამეუფლა, თითქოს აღმოვაჩინე, რომ სრულიად უსაგნო რაღაცას ვესწრაფოდი. რა უნდა ყოფილიყო იმაზე ზიზღისმგვრელი, რომ მთელი ეს გზა ერთადერთი მიზნით გამოვიარე, რათა მისტერ კურცს დავლაპარაკებოდი. დავლაპარაკებოდი... ცალი ფეხსაცმელი ბანს იქით გადავაგდე და მივხვდი, სწორედ ეს იყო, რასაც ველოდი – კურცთან დალაპარაკებას.

უცნაური რამ აღმოვაჩინე, რომ იგი არასოდეს წარმომედგინა მოქმედად, არამედ, იცით, – მხოლოდ მოსაუბრედ. არასოდეს მითქვამს ჩემი თავისათვის, „ახლა ველარასოდეს ვნახავ“, ან „ველარასოდეს ჩამოვართმევ ხელს“, არამედ, – „ველარასოდეს მოვუსმენ“. ეს კაცი ხმად წარმომიდგებოდა. იმიტომ კი არა, რაიმეგვარ ქმედებასთან რომ ვერ დავაკავშირებდი. განა არ უთქვამთ ეჭვიანი და აღფრთოვანებული განწყობილებებით, იმდენი სპილოს ძვალი შეაგროვა, გადაცვალა, გამოსტყუა თუ მოიპარა, რამდენიც ყველა აგენტმა ერთადო? ეს არ ყოფილა მთავარი. მთავარი ის გახლდათ, რომ ნიჭიერი კაცი იყო, და ისიც, რომ მისი ნიჭის მთავარი თვისება, გამოცალკევებული და რეალურად არსებული, გახლდათ მისი უნარი მეტყველებისა, მისი სიტყვები, გამოხატვის ნიჭი, გამაოგნებელი, განმანათლებელი, ყველაზე ამაღლებული და ყველაზე საძულველი, სინათლის მფეთქავი ნაკადი, ან ცრუ დინება შეუღწეველი წყვდიადის გულიდან.

მეორე ფეხსაცმელსაც გადავუძახე იმ დაწყევლილ მდინარეში. ვფიქრობდი, იუპიტერის მადლმა! ყველაფერი დასრულდა. ძალიან დაგვაგვიანდა; დაიღუპა – ნიჭიც დაიღუპა, რომელიღაცა შუბმა, ისარმა თუ კომბალმა მოუღო ბოლო. მე ველარასოდეს გავიგონებ იმ ჯეელის ლაპარაკს“ – და ჩემს წუხილს განსაცვიფრებელი, ახირებული ემოცია ახლდა, აი ისეთი, ბუჩქებში მყოფ მტირალ ველურებს რომ ჰქონდათ. ამაზე მეტ მარტოსულ განადგურებას ვერ შევიგრძნობდი, სულ რომ დამკარგვოდა რწმენა, ან იღბალს მთლიანად მივეტოვებინე.... რომელი ხარ, ასე საშინლად რომ ამოიოხრა?



აბსურდია? ჰო, აბსურდი. ღმერთო მაღალო! კაცმა არ უნდა – ეი, ცოტა თუთუნი მომეცით....

სამარისებური სიჩუმე ჩამოვარდა, ასანთი აინთო, გამოჩნდა მარლოს ხმელი სახე, დაღლილი, გამოცარიელებული, ჩამოძაძღული ნაოჭებითა და ჩაცვენილი თვალის უპეებით, ფხიზელი და ყურადღებადქცეული; ჩნდებოდა და ქრებოდა ღამეში, ენერგიულად ექაჩებოდა თავის ჩიბუხს, ცეცხლის ციცქნა ალი ბჟუტავდა ბნელში. ასანთი ჩაქრა.

„აბსურდი!“ შესძახა მან. „ყველაზე ცუდი ამის თქმაა... აი თქვენ აქ ხართ, თვითეული ორ კარგ მისამართზე ხართ მიბმული, ორ ღუზაზე მდგარი ხომალდივით, ერთ კუთხეში საყასბოა, მეორეში – პოლიციელი, მადა კარგი გაქვთ, ტემპერატურა ნორმალური – გესმით – ნორმალური წლიდან წლამდე. და აბსურდიაო, ამბობთ! იყოს აბსურდი – ჯანდაბას! აბსურდი! ძმებო, რას ელით იმ კაცისაგან, ვინც აღელვებისაგან გემბანს იქით გადაისვრის წყვილ ახალ ფეხსაცმელს! ახლა რომ ვფიქრობ, გასაკვირია, ცრემლად რომ არ დავიღვარე. მთლიანობაში ვამაყობ ჩემი გამძლეობით. წყალში მეყრებოდა ძვირფასი პრივილეგია, მომესმინა კურცის ნიჭიერებისათვის. ცხადია, ვცდებოდი. პრივილეგია მეწოდა. ოჰ, დიახ, საკმარისზე მეტი მოვისმინე. და მართალიც ვიყავი. ხმა. სულ ცოტა მეტი იყო, ვიდრე ხმა. და მე მოვუსმინე მას – იმას – ამ ხმებს – სხვა ხმებს – ყველა ცოტა მეტი იყო, ვიდრე ხმა – და იმ დროის მოგონებანი გარს მეხვევა გაურკვევლად, ვით მომაკვდავი ვიბრაცია ლაყბობისა, ბრიყვული, სასტიკი,

ბინძური, ველური ან უბრალოდ მდაბალი და ყოვლად უაზრო. ხმები, ხმები – თვითონ გოგოც კი – ახლა –“

დიდი ხნით დადუმდა.

„მის ნიჭიერებაზე წუხილი ბოლოს ტყუილმა ჩამაფარცხინა“, განაგრძო მოულოდნელად. „გოგო! გოგო ვახსენე? იგი არაფერ შუაშია – სრულიად არაფერში. ისინი – ქალები – არაფერ შუაში არიან – არაფერ შუაში უნდა იყვნენ. უნდა დავეხმაროთ, რომ იქ დარჩნენ, თავიანთ მშვენიერ სამყაროში, რათა ჩვენი კიდევ უფრო არ გაუარესდეს. უნდა მოგესმინათ მისტერ კურცის სამარისებური ხმა, როდესაც ამბობდა, „ჩემი საბედოო“. და უშუალოდ ჩაწვდებოდით, რომ იგი სრულიად არაფერ შუაშია. და მისტერ კურცის მაღალი შუბლი! ამბობენ, ხანდახან თმა ზრდას განაგრძობსო, მაგრამ ეს – უჰ – ნიმუში განსაკუთრებით მელოტი იყო. უდაბურებამ წაუთათუნა თავზე და, შეხედეთ, ბურთივით იყო – სპილოს ძვლის ბურთივით; მიუალერსა და – დახე! – დაჭკნა; უდაბურებამ მიიღო, შეიყვარა, ჩაიხუტა, შეიჭრა მის სისხლში, განკარგა ხორცი და აღიბეჭდა მის სულში რაღაც სატანური ზიარების წარმოუდგენელი ცერემონიით. გადააქცია თავის გათამამებულ და თავგასულ ფავორიტად. სპილოს ძვალი? ჰო, რასაკვირველია. სპილოს ძვლის გორები, ზვინები. დაფხავებული ალიზის ქოხი პირთამდე იყო გატენილი. იფიქრებდი, ერთი ეშვიც კი აღარ დარჩენილა მიწის ზემოთ თუ მიწის ქვემოთ მთელს ქვეყანაზეო. „ძირითადად ნამარხია“, ათვალწუნებით შენიშნავდა მმართველი. ისეთივე ნამარხი იყო, როგორიც მე ვარ; მაგრამ ნამარხს იმიტომ ეძახიან, რომ ამოთხრილია. ეტყობა, ეს



ზანგები ზოგჯერ მარხავენ ეშვებს, მაგრამ, ცხადია, ისე ღრმად ვერ მარხავდნენ, რომ ეს უნარმომადლებული მისტერ კურცი თავისი ბედისწერისაგან გადაერჩინათ. ორთქლმავალი ნავი გავავსეთ სპილოს ძვლით, გემბანზე დავახვავეთ ისე, რომ შეძლებოდა დაენახა და დამტკბარიყო, თუკი დანახვა შეეძლო, რადგან თვითშეფასების განცდა ბოლომდე არ დაუკარგავს. უნდა გენახათ, როგორ ამბობდა, „ჩემი სპილოს ძვალი“. ოჰ, დიახ, მსმენია მისგან. „ჩემი საბედო, ჩემი სპილოს ძვალი, ჩემი სადგური, ჩემი მდინარე, ჩემი...“ ყველაფერი მას ეკუთვნოდა. სუნთქვაშეკრული ველოდი, თუ როგორ აფეთქდებოდა უდაბურება და უზარმაზარი ზარივის გუგუნივით ახარხარდებოდა, და ვარსკვლავები შეიძროდნენ მის ხმაზე. ყველაფერი მას ეკუთვნოდა, მაგრამ ეგ არაფერი. მთავარი იმის გაგება იყო, თუ თვითონ რას ეკუთვნოდა, წყვდიადის რამდენი ძალა ისაკუთრებდა მას. ამგვარი ფიქრი მთლიანად აგაცახცახებდა. ამის წარმოდგენა – და არც სიკეთეს მოუტანდა კაცს – შეუძლებელი იყო. იგი უმაღლეს ადგილს იკავებდა ამქვეყნიურ სატანებს შორის – სიტყვა-სიტყვით ასეა. თქვენ ვერ გაიგებთ. ან როგორ უნდა გაიგოთ? ფეხქვეშ მყარი ტროტუარი გიგიათ, კეთილი მეზობლები შემოგრტყმიათ, გაქებენ ან გლანძღავენ ყასაბსა და პოლიციელს შორის მოხერხებულად გამძვრალნი, სკანდალის, სახრჩობელისა და საგიჟეთის წმინდა შიშით შეპყრობილნი – როგორ უნდა წარმოიდგინოთ, თუ პირველყოფილ საუკუნეთა რომელ მხარეში შეუძლია შეაბიჯოს კაცის დაუოკებელმა ფეხმა მარტოობის ძებნისას, სადაც არ გაისმის კეთილი მეზობლის გამაფრთხილებელი ხმა, საზოგადოებრივ

აზრზე რომ ჩაგჩურჩულებს? ამ წვრილმანებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. და როდესაც ისინი ვერ გეხმარებიან, შენს საკუთარ შინაგან ძალას უნდა დაეყრდნო, შენს უნარებს მოუხმო, რომ გიერთგულონ. ცხადია, შესაძლოა იმდენად ბრიყვი აღმოჩნდე, რომ შეგეშალოს, იმდენად ჩლუნგი, ვერ მიხვდე, წყვდიადის ძალები რომ გიტევენ. მგონი, არცერთი ბრიყვი არ გარიგებულა ეშმაკთან სულის მიყიდვაზე; ბრიყვი მეტისმეტად ბრიყვია საამისოდ, და ეშმაკი კი მეტისმეტად ეშმაკი – აბა, რა ვიცი. რომელი რომელია. ან შესაძლოა ისეთი უსაზღვროდ აღფრთოვანებული ქმნილება იყო, ყველაფრისადმი ბრმა და ყრუ, გარდა ღვთაებრივ ხმათა და ხილვათა. მაშინ დედამიწა მხოლოდ დროებითი ადგილია შენთვის და, ვერ ვიტყვი, ამით მოიგებ თუ წააგებ. მაგრამ ჩვენთაგან უმრავლესობა არც ერთია და არც მეორე. დედამიწა ჩვენთვის საცხოვრებელი ადგილია, და უნდა შევეგუოთ, რასაც ვხედავთ, რაც გვესმის, რასაც ვიყნოსავთ, იუპიტერს ვფიცავ! – ასე ვთქვათ, ვისუნთქოთ მკვდარი ჰიპოპოტამის მყრალი სუნი და არ მოვიწამლოთ. და მაშინ ნუთუ ვერ ხედავთ? ძალა გემატება, გჯერა, რომ შეგიძლია ამოთხარო შეუმჩნეველი ორმოები და შიგ ჩამარხო საქონელი, – გეძლევა ძალა უერთგული არა შენს თავს, არამედ რაღაც გაურკვეველ, ნელში გამწყვეტ საქმეს. და ეს საკმაოდ ძნელია. იცოდეთ, არც ახსნას ვცდილობ და არც მიტევებას – ვცდილობ გავერკვე მისტერ კურცში, აჩრდილში მისტერ კურცისა. ამ არსაიდან გამოსულმა განდობილმა სულმა პატივი მომაგო და განსაცვიფრებელი რამ გამიზიარა, ვიდრე პირწმინდად გაჰქრებოდა. იმიტომ, რომ შეეძლო ინგლისურად



დამლაპარაკებოდა. თავდაპირველმა კურცმა განათლება ნაწილობრივ ინგლისში მიიღო და – იმდენი სიკეთე გამოიჩინა, თვითონვე თქვა – გარკვეული გრძნობები გააჩნდა. დედამისი ნახევრად ინგლისელი იყო, მამა – ნახევრად ფრანგი. მთელი ევროპა მონაწილეობდა კურცის შექმნაში; და მერე და მერე შევიტყვე, „ველურ ჩვეულებათა ჩახშობის საერთაშორისო საზოგადოებამ“, ყველა წესის დაცვით, დაავალა მოემზადებინა ანგარიში მომავალ მოქმედებათათვის. და მანაც დაწერა. მე ვნახე ის, წავიკითხე. მჭევრმეტყველურად იყო დაწერილი, მოცახცახე მჭევრმეტყველებით, მაგრამ, ვფიქრობ, ძალზე ნერვიულად. დრო იპოვა და მიჯრით დაწერა ჩვიდმეტი გვერდი! მაგრამ ეს ალბათ მანამდე იყო, სანამ – ასე ვთქვათ – ნერვები აეშლებოდა და გადაწყვეტდა მჯდარიყო ერთგვარ შუაღამის ცეკვებზე, ენითუთქმელი რიტუალებით რომ სრულდებოდა, და – როგორც უნებურად შევიტყვე სხვადასხვა დროს გაგონილიდან – სრულდებოდა მის საპატივსაცემოდ – გასაგებია? – თვით მისტერ კურცის საპატივსაცემოდ. მაგრამ ნაწერი მშვენიერი იყო. საწყისი აბზაცი, რაც არ უნდა იყოს, ბოლო ინფორმაციათა შესაბამისად, წინასწარმეტყველურად მეჩვენება. იწყებდა იმის მტკიცებით, რომ ჩვენ, თეთრები, განვითარების იმ სიმაღლიდან, რასაც მივაღწიეთ, „მათ, [ველურებს], უნდა წარვუდგეთ, როგორც ზებუნებრივი არსებანი, და მივეახლოთ ღვთაებათა ძალმოსილებით“, და სხვა და სხვა. „ჩვენი ნების მარტივი გაწვრთნით ავამოქმედებთ ძალას თითქმის უსაზღვრო სიკეთისათვის“, და სხვა და სხვა. ამის შემდეგ იგი აფრინდა და თან ამიყოლია. ბრწყინ-

ვალე განსჯანი იყო, მაგრამ ძნელი დასამახსოვრებელი, როგორც ხვდებით. გამიჩნდა განცდა, რომ ეს ეგზოტიკური უსაზღვროება იმართებოდა უზენაესი კეთილგანწყობით. აღფრთოვანებისაგან ჟრუანტელი მივლიდა. ეს იყო მჭევრმეტყველების ზღვარდაუდებელი ძალა – სიტყვათა – მგზნებარე, კეთილშობილ სიტყვათა. არცერთი პრაქტიკული მინიშნება არ წყვეტდა მაგიურ ნაკადს ფრაზებისა, მხოლოდ ბოლო გვერდის ძირში ერთი, აშკარად გვიანდელი მინაწერი, აკანკალებული ხელით, მეთოდის თვალსაჩინოებად. ძალზე მარტივი გახლდათ, გულისშემძვრელ ალტრუისტულ გრძნობათა აღვლენის შემდეგ შემოგანათებდა კაშკაშა და თავზარდამცემი, ვით გაელვება მოწმენდილ ცაზე: „მთლად ამონყვიტეთ ეს მხეცები!“ უცნაურია, რომ მას ალბათ დაავიწყდა ამ ღირებული პოსტკრიპტუმის არსებობა, რადგან, მოგვიანებით, როცა გონს მოვიდა, მევედრებოდა, მზრუნველობა არ მომეკლო, „ჩემი პამფლეტისათვის“ (ასე უწოდებდა), თითქოს ამას უნდა ექონია კეთილისმყოფელი ზეგავლენა მის კარიერაზე. ყველაფერი ვიცოდი ამ ამბების შესახებ და, გარდა ამისა, როგორც გაირკვა, მე უნდა მეზრუნა მის ხსოვნაზე. საკმარისად ვიზრუნე ამისათვის და უეჭველად მქონდა უფლება, თუ მოვინდომებდი, მისი პამფლეტი მომესროლა პროგრესის სანაგვე ყუთში, ნაყარ-ნუყარში, ფიგურალურად რომ ვთქვათ, ცივილიზაციის მკვდარ კატებს შორის. მაგრამ მაშინ, იცით, არჩევანი არ მქონდა. დავიწყებას არ იმსახურებდა. როგორიც უნდა ყოფილიყო, უბრალო ვინმე არ გახლდათ. ჰქონდა ძალა, მოეჯადოებინა შეშინებული პრიმიტიული არსებანი, რომელნიც კუდიანთა ცეკვას ასრულებდნენ მის საპატივსაცემოდ; შეეძლო სულმოკლე პილიგრიმთათვის შიში ჩაენერგა: ერთი ერთგული მეგობარი მაინც ჰყავდა, და ერთი სული მაინც დაეპყრო ამქვეყნად, ვინც არც პრიმიტიული იყო და არც ანგარებით შებილწული. არა; ვერ დავივიწყებ, თუმც ვერც იმას დავიჟინებ, რომ იმ სიცოცხლეს აიწონიდა, რომელიც მასთან მიღწევისას დავკარგეთ. ჩემი დაღუპული მესაჭე მომაკლდა ძალიან – მომაკლდა, თუმც მისი გვამი ჯერაც მესაჭის ჯიხურში ესვენა. ალბათ იფიქრებთ, უცნაურია ასეთი წუხილი ველურის გამო, ვინც ისევე არაა ანგარიშში ჩასაგდები, ვით შავი საჰარის ქვიშის ერთი მარცვალიო. რა, ვერ დაინახეთ, რომ რაღაცას აკეთებდა, საჭეს ატრიალებდა? თვეობით მხარში მედგა, დამხმარე იყო, იარაღი. თანამშრომლები ვიყავით. ჩემი მესაჭე გახლდათ, უნდა მეზრუნა მასზე, ვწუხდი მის ნაკლოვანებათა გამო და ასე გაიბა წვრილი ძაფი, რომლის არსებობაც მაშინ გავიგე, როცა უეცრივ გაწყდა. და იმ მზერის შინაურული სიღრმე, უკანასკნელად რომ შემომხედა, როდესაც დაჭრეს, დღემდე არ დამვიწყებია – ვით ანაბეჭდი შორეული ნათესაობისა, განმტკიცებული უკიდურესი წამით.

საბრალო სულელი! ოღონდ იმ დარაბას არ შეხებოდა. დაუოკებელი იყო, დაუოკებელი – კურცივით – ქარი რომ არხევს, იმ ხესავით. როგორც კი მშრალი ფეხსაცმელი ჩავიცვი, გარეთ გავათრიე გვამი მას შემდეგ, რაც შუბი ამოვაცალე გვერდიდან. ეს ოპერაცია თვალებდახუჭულმა ჩავატარე. მისი ქუსლები ერთად გადასცილდნენ პარმაღს; მის მხრებზე მკერდი მქონდა მიბჯენილი, ხელები —ზურგიდან შემოხვეული.

ოო, რა მძიმე იყო; მგონი, ყველაზე მძიმე დედამიწაზე. მერე ზედმეტი ფუსფუსის გარეშე გადავუშვი გემბანიდან. დინებამ ისე ჩაიხვია, თითქოს ბალახის შეკვრა ყოფილიყოს, დავინახე, როგორ დაატრიალა ორჯერ და მერე კი სამუდამოდ მიეფარა თვალს. ყველა პილიგრიმი და მმართველი გადახურულზე შეგროვილიყო, მესაჭის ჯიხურთან, გაცხარებულნი ლაქლაქებდნენ, ჩხაოდნენ აფორიქებულ კაჭკაჭთა გუნდივით, აღშფოთებულნი ბურტყუნებდნენ ჩემი უგულო აჩქარებისა გამო. ვერ გამიგია, რაში უნდა გამოეყენებინათ გვამი. ალბათ უნდა დაებალზამებინათ. მაგრამ მეორე, და ძალზე ავისმომასწავებელი, ბუზღუნიც მესმოდა; ბუზღუნი ქვემოდან მოდიოდა. ჩემი მეგობარი ხისმჭრელებიც ასევე აღშფოთებულნი იყვნენ, ოღონდ უკეთესი მიზეზი ჰქონდათ, ვფიქრობ, მათი მიზანი ყოვლად გაუმართლებელი იყო. დიახ, სავსებით! ჩემი აზრით, თუ ჩემი დაღუპული მესაჭე უნდა შეჭმულიყო, დაე, თევზებს შეეჭამათ. დიდი ვერაფერი მესაჭე გახლდათ სიცოცხლეში, ახლა კი, მკვდარი, შესაძლოა უკეთეს ცდუნებათაგანი გამხდარიყო და დიდი საშიშროება მოეტანა. ამასთან, ვჩქარობდი საჭეს მივბრუნებოდი, რადგან ვარდისფერ პიჟამაში გამოწყობილი კაცი უიმედოდ მოუქნელი გამოდგა ამ საქმეში.

საქმეს შევუდექი, როგორც კი ეს მცირე დაკრძალვა დამთავრდა. ნახევარი სიჩქარით მივცურავდით, მდინარის შუაგულს მივყვებოდით და მესმოდა, თუ რას ამბობდნენ ჩემზე. უკვე ხელი ჩაექნიათ კურცზე, ხელი ჩაექნიათ სადგურზე; კურცს მკვდრად მიიჩნევდნენ, სადგურს – დამწვრად და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.



მწითურთმიანი პილიგრიმი სიხარულისაგან აღარ იყო იმის ფიქრით, შური მაინც იძიეს საბრალო კურცის გამოო. „მისმინეთ! კაი ბარაქიანი ჟლეტა მოვუწყეთ ბუჩქნარში. ჰა. როგორ გგონიათ? რას იტყვით?“ კინაღამ ჩამოუარა ამ სისხლისმსმელმა, პატარა მწითურმა მათხოვარმა. მაშინ კი, როდესაც დაჭრილი კაცი დაინახა, კინაღამ გული წაუვიდა. თავი ვერ შევიკავე და ვუთხარი, „ბოლი კი დიდებული დააყენეთ, რაც უნდა იყოს“. ვხედავდი, თუ როგორ ტყდებოდა და ცვიოდა ბუჩქების ტოტები და რომ ყველა ნასროლი ძალზე მაღლა მიჰქროდა. ვერაფერს მოარტყამ, თუ მხრიდან არ დაუმიზნე და ესროლე; ეს ჯეელები კი თეძოზე კონდახმიდებულნი და თვალდახუჭულნი ესროდნენ. ვამტკიცებ და მართალიც ვარ, რომ უკანდახევა ორთქლის საყვირმა გადააწყვეტინათ. ამან დაავიწყათ კურცი, ჩემკენ მომართეს აღშფოთებული პროტესტი.

საჭის გვერდით მდგომი მმართველი საიდუმლოდ მეჩურჩულებოდა, საჭიროა აქაურობას მოვშორდეთ და დაღამებამდე თავქვე დავყვეთ მდინარესო, როდესაც მოშორებით მოსუფთავებული ნაპირი და რაღაც შენობათა კონტურები დავინახე. „ეს რა არის?“ ვიკითხე მე. მან გაოცებისაგან ტაში შემოჰკრა. „სადგური!“ შესძახა. და მაშინვე იქით მივაჭერი ნახევარი სვლით მიმავალმა.

ჩემი დურბინდიდან ვხედავდი ბორცვსა და ბუჩქნარისაგან განმენდილ ფერდობს, რომელზეც ხეები მეჩხერად დარჩენილიყო. ბორცვზე მდგარი გრძელი, ლპობაშეპარული შენობა სანახევროდ ჩაფლულიყო მაღალ ბალახში; წვეტიან სახურავში არსებული დიდი ხვრელები შორიდან შავად მოჩანდა; უკან ჯუნგლი და ტყე იყო.

არსად ჩანდა ლობისა თუ მესრის მსგავსი რამ; მაგრამ აშკარად ჩანდა, ადრე რომ უნდა ყოფილიყო, რადგან სახლთან ახლოს მწკრივად იდგა ექვსიოდე წვრილი ბოძი, რომლებზეც მოხარატებული მრგვალი ბურთები ჩამოეცვათ. ლარტყები, თუ რაც უნდა ყოფილიყო მათ შორის, გამქრალიყო. ცხადია, გარს ტყე ერტყა ყოველივე ამას. მდინარის ნაპირი სუფთა იყო და წყლის პირას დავინახე თეთრკანიანი, ვისაც ურმის თვალივით მრგვალი ქუდი ეხურა და დაჟინებით გვიქნევდა ხელს. აღმა და დაღმა დავზვერე ტყე და თითქმის დარწმუნებული ვიყავი, რომ ადამიანთა მოძრაობას მოვკარი თვალი აქა-იქ. ცოტა კიდევ გავცურე წინდახედულად, ძრავი ჩავაქრე და დინებას მივენდე. ნაპირზე მდგარი კაცი აყვირდა და გვთხოვდა, ნაპირს მოადექითო. „ჩვენ თავს დაგვესხნენ“, ყვიროდა მმართველი. „ვიცი, ვიცი. ყველაფერი რიგზეა“, ღრიალებდა კაცი, რაც შეიძლება ხალისიანად. „მოდით. ყველაფერი რიგზეა. მოხარული ვარ“.

მისი გარეგნობა რაღაც უკვე ნანახს მაგონებდა, რაღაც სასაცილოს, სადღაც რომ მენახა. ნაპირზე მისადგომად რომ ვმოძრაობდი, ჩემს თავს ვეკითხებოდი, „რას მაგონებს ეს ყმაწვილი?“ უეცრად მივხვდი. არლეკინს ჰგავდა. ტანზე ალბათ ყავისფერი ტილოს სამოსი ეცვა, მაგრამ სრულიად დაბებკილი ფერადი ნაჭრებით, ლურჯით, წითლითა და ყვითლით. წინ, უკან, იდაყვზე, მუხლებზე, ყველგან ნაჭრები დაეკერებინა; ფერადი სარტყელი ევლებოდა ქურთუკზე და ალისფერი ზოლებით ბოლოვდებოდა შარვალი; მზის შუქზე ერთიანად ძალზე მხიარულად გამოიყურებოდა



და გასაოცრად კრიალებდა, რადგან ცხადად ჩანდა, თუ რა ლაზათიანად იყო მთელი ეს ნაჭრები დაკერებული. ქერა გახლდათ და უწვერო, ბიჭურსახიანი, გამოსარჩევი ნაკვთების გარეშე, ცხვირი აქერცლოდა, პატარა, ცისფერი თვალები ესხა და ღიმილი და წარბშეკვრა ერთმანეთს ისე ცვლიდა მის ღია სახეზე, ვით მზე და ჩრდილი ქარისაგან გადახვეტილ მინდორზე. „ფრთხილად, კაპიტანო!“ დაიყვირა მან; „წუხელ აქ კუნძი გაიჩხირა“. რაო! კიდევ ერთი კუნძი? გამოგიტყდებით, სამარცხვინოდ შევიგინე. კინაღამ გავხვრიტე ჩემი ჯაბახანა ამ მომხიბვლელი მოგზაურობის ბოლოს! ნაპირზე მდგარმა არლეკინმა ჩემსკენ მოაბრუნა პაწია, პაჭუა ცხვირი. „ინგლისელი ხართ?“ მკითხა გაბადრულმა. „და თქვენ?“ დავუძახე საჭესთან მდგომმა. ღიმილი გაუქრა, თავი გადააქნია, თითქოს მოიბოდიშა, იმედი რომ გამიცრუა. მერე ისევ გახალისდა. „არა უშავს!“ დამიძახა დამამშვიდებლად. „ხომ არ დავაგვიანეთ?“ ვკითხე მე. „იგი იქაა“, მომიგო და თავი ბორცვისაკენ გადააქნია, და უცებ მოიღუშა. მისი სახე შემოდგომის ცასავით იყო, წამიერად იღრუბლებოდა და იწმინდებოდა.

როდესაც მმართველი, კბილებამდე შეიარაღებულ პილიგრიმთა თანხლებით, სახლისაკენ გაემართა, ეს ყმაწვილი გემბანზე ამოვიდა. „მისმინეთ, რაღაც არ შომწონს ეს ადგილობრივები ბუჩქნარში“, – ვუთხარი მე. დაბეჯითებით მარწმუნებდა, ყველაფერი რიგზეაო. „უბრალო ხალხია“, დასძინა მან; „მიხარია, რომ მოხვედით. გადავწყდი მათი დაოკებით“. „მაგრამ ხომ თქვით, ყველაფერი რიგზეაო“, წამოვიძახე. „აჰ, ზიანის მოტანას არ იზრახავდნენ“, თქვა მან და, რომ

დავაცქერდი, გამოასწორა, „არცთუ მაინცდამაინც“. მერე გამოცოცხლდა, „ღმერთო ჩემო, თქვენს ჯიხურს დასუფთავება არ აწყენდა!“ ამოსუნთქვა არ მაცალა, რომ მირჩია, ქვაბში საკმარისი ორთქლი შეინახე საყვირისათვის, ყოველი შემთხვევისათვისო. „ერთი კარგი დაკივლება უფრო დაგეხმარებათ, ვიდრე მთელი თქვენი თოფები. უბრალო ხალხია“, გაიმეორა მან. ისე ჩქარა რატრატებდა, თავბრუ დამახვია. თითქოს სურდა დიდი ხნის დუმილი აენაზღაურებინა, და სიცილით სიტყვაც კი გადამიკრა, ამაშია საქმეო. „მისტერ კურცს არ ელაპარაკებით ხოლმე?“ ვკითხე მე. „იმ კაცს ვერ დაელაპარაკები, უნდა უსმინო“, წამოიძახა მკაცრი აღფრთოვანებით. „მაგრამ ახლა“ – ხელი ჩაიქნია და თვალების დახამხამებით სასოწარკვეთის მთელი სიღრმე წარმოაჩინა. მეორე წუთში ისევ წამოხტა, ორივე ხელი ხელებში ჩამკიდა და გაუთავებლად მართმევდა და ბურტყუნებდა: „მოძმე მეზღვაური... პატივია... მოხარულია... აღტაცებული... წარმოგიდგებით... რუსი ვარ... არქიელის ვაჟი... ტამბოვის გუბერნიიდან... რაო? თამბაქო! ინგლისური თამბაქო; უმაღლესი ინგლისური თამბაქო! აი, ეს კი ძმური საქციელია. ვეწევი? მეზღვაური და არ ეწეოდეს?“

ჩიბუხმა დაამშვიდა და თანდათან გავარკვიე, რომ სკოლიდან გამოქცეულა, ზღვაში გასულა რუსული გემით; მერე კიდევ გაქცეულა; ერთხანს ინგლისურ გემებზე უმსახურია; ახლა შერიგებია არქიელს. ხაზგასმით აღნიშნა. „მაგრამ როდესაც ახალგაზრდა ხარ, უნდა ბევრი რამ ნახო, შეიძინო დიადი გამოცდილება, იდეები; გაიფართოო თვალსაწიერი“. „აქ?!“ შევაწყვეტინე მე. „წინასწარ რას გაიგებ! აქ მისტერ კურცს შევხვდი“, ყმაწვილკაცური სერიოზულობითა და სიწრფელით მითხრა. ამის მერე ენას კბილი დავაჭირე. თურმე სანაპიროზე მდებარე ჰოლანდიური სავაჭრო სახლი დაურწმუნებია, მოემარაგებინათ ყოველნაირი საქონლით, და ქვეყნის სიღრმისაკენ დაძრულა უდარდელად, ისე, რომ არც კი იცოდა, თუ რა შეიძლებოდა დამართნოდა მაშინ, ჯერაც სრულიად ბავშვს. მარტო-დმარტო დაეხეტებოდა მდინარეზე დაახლოებით ორ წელიწადს, ყველასა და ყველაფრისაგან მოწყვეტილი. „არც ისე ახალგაზრდა ვარ, როგორც გამოვიყურები. ოცდახუთი წლისა შევსრულდი“, თქვა მან. „თავიდან ბებერმა ვან შუიტენმა ეშმაკებში გამგზავნა“, ხალისიანად მომითხრობდა თავის ამბავს; „მაგრამ გადავეკიდე, ველაპარაკე და ველაპარაკე, იმდენი ველაპარაკე, შეეშინდა, ჩემი საყვარელი ძაღლის ყბა არ გამოებასო, ასე რომ, იაფფასიანი რაღაც-რუღაცები მომცა და რამდენიმე თოფი და დააყოლა, იმედი მაქვს შენს სახეს აღარასოდეს ვნახავო. კეთილი, მოხუცი ჰოლანდიელი ვან შუიტენი. ცოტაოდენი სპილოს ძვალი გავუგზავნე ერთი წლის წინათ, ასე რომ, ქურდბაცაცას აღარ მიწოდებს, როცა დავბრუნდები. იმედი მაქვს მიიღო. დანარჩენი არ მადარდებს. თქვენთვის შეშა მოვამზადებინე. ჩემს ძველ სახლში. ნახეთ?“

თაუსონის წიგნი მივეცი. სურდა გადავეკოცნე, მაგრამ თავი შეიკავა. „ერთადერთი წიგნი, რომელიც დამრჩა და მეგონა, დავკარგე“, ამბობდა და აღტაცებული დასცქეროდა. „ხომ იცით, იმდენი რამ გადახდება მარტო მოსიარულე კაცს. ხან კანოე გადაყირავდება და

ხანაც ისე ჩქარა უნდა გაიქცე, როცა გაგიბრაზდებიან“. წიგნი გადაფურცლა. „რუსულად ინიშნავდით?“ ვკითხე მე. თავი დამიქნია. „მეგონა შიფრი იყო“, ვუთხარი. გაიცინა და მერე დასერიოზულდა. „დიდი ხათაბალა გადამხდა ამ ხალხის დასაოკებლად“, თქვა მან. „თქვენი მოკვლა სურდათ?“ ვკითხე. „აჰ, არა!“ წამოიძახა და გაჩუმდა. „თავს რატომ დაგვესხნენ?“ ჩავეძიე მე. შეყოყმანდა და მერე დარცხვენით თქვა, „არ უნდათ, რომ წავიდეს“. „არ უნდათ?“ ვკითხე გაკვირვებულმა. ბრძნულად და იდუმალად დამიქნია თავი. „გეუბნებით“, წამოიძახა მან, „ამ კაცმა გონება გამიხსნა“. ხელები ფართოდ გაეშალა და პატარა, სრულყოფილად მრგვალი, ცისფერი თვალებით მომჩერებოდა.



## თავი III

გაოცებისაგან დაბნეული შევცქეროდი. ასეთი გამომეცხადა, მასხარის სამოსში, თითქოს მიმების დასიდან გამოქცეულიყოს, ზღაპრული, მგზნებარე. თვით მისი არსებობა იყო წარმოუდგენელი, აუხსნელი და ერთიანად დამთრგუნველი. ამ პრობლემას ვერ გადაჭრიდი. დაუჯერებელია, როგორ არსებობდა, ასე ღრმად როგორ შემოაღწია და როგორ გადარჩა, რატომ მაშინვე არ გაქრა. „ჯერ ცოტა გავიარე“, თქვა მან, „მერე კიდევ ცოტა – ვიდრე ისე ღრმად შემოვიდოდი, რომ აღარ ვიცი, როგორ დავბრუნდე უკან. ნუ დარდობთ. დრო ბევრი მაქვს. მოვახერხებ. კურცი წაიყვანეთ სწრაფად – სწრაფად – გეუბნებით“. ახალგაზრდული ხიბლი ერტყა გარს მის ჭრელა-ჭრელა ტანსაცმელს, მის სიდუხჭირეს, მის მარტოობას, მის განუყრელ სევდას უმიზნო ხეტიალის დროს. ერთგვარად მოვიხიბლე თუ შურით განვიმსჭვალე. ხიბლი ეწეოდა და ხიბლივე გადაარჩენდა. არაფერი სურდა უდაბურებისაგან, გარდა სივრცისა, რომ ესუნთქა და წინ წასულიყო. სურდა ეარსება და გაეწია უდიდესი შესაძლო რისკთაგან უკიდურეს სიდუხჭირეში. თუკი რომელიმე ადამიანს უმოქმედია სავსებით წმიდა, გამოუთვლელი, არაპრაქტიკუ-

ლი სულით თავგადასავლისა, სწორედ ამ დაბებკილსა-
მოსიან ჭაბუკს. მე ლამის მშურდა მისი სიმორცხვისა
და წმიდა მგზნებარებისა. ისე ჩანდა, გზნებას პირწმინ-
დად მოეცვა მისი არსება და მაშინაც კი, როცა გელაპა-
რაკებოდათ, გავიწყდებოდათ, რომ სწორედ თქვენ წი-
ნაშე მდგომმა კაცმა გამოიარა ყოველივე ეს. თუმცა არ
მშურდა მისი ერთგულება კურცის მიმართ. მას ამაზე
არ უფიქრია. ეს თვით მოვიდა მასთან და მანაც მიიღო
ერთგვარი მწყურვალი ფატალიზმით. უნდა გითხრათ,
რომ ჩემთვის ეს იყო ყველაზე საშიში რამ ყველაფრი-
დან, რაც მან გადაიტანა.

ისინი ერთად მოვიდნენ, აუცდენლად, დადგნენ ორი
გემივით უქარო ამინდში და ოდნავ ეხლებოდნენ ერთმა-
ნეთს. ვგონებ, კურცს მსმენელი სჭირდებოდა, რადგან
ისე მოხდა, რომ როდესაც ტყეში დაბანაკდნენ, მთელი
ღამე ემუსაიფებოდნენ ერთმანეთს, ან უფრო კურცი
ლაპარაკობდა. „ვლაპარაკობდით ყველაფერზე“, მეუბ-
ნებოდა იგი, მოგონებებში გადავარდნილი. „დამავიწყდა
თუ ძილი არსებობდა საერთოდ. ღამემ თითქოს ერთი
საათიც არ გასტანა. ყველაფერზე! ყველაფერზე!.. სიყ-
ვარულზეც კი“. „აჰ, თქვენთან სიყვარულზე ლაპარაკობ-
და!“ ვთქვი ძალზე გაკვირვებულმა. „იმაზე არა, რასაც
თქვენ ფიქრობთ“, წამოიძახა მან, თითქმის გაბრაზებით
წამოყვირა. „ზოგადად მან დამანახა საგნები... საგნები“.

მან ხელები აღაპყრო. ამ დროს გემბანზე ვიყავით
და ხისმჭრელთა თავკაცმა, იქვე ახლოს რომ იჯდა, მის-
კენ მოაბრუნა თავისი მძიმე და მკვესავი მზერა. მიმო-
ვიხედე და, არ ვიცი, რატომ, მაგრამ გარწმუნებთ, რომ
არასოდეს, მანამდე არასოდეს მომჩვენებია ეს მდინარე,



ეს ჯუნგლი, ეს მბზინავი ცის თაღი ასეთი უიმედო და
ბნელი, მიუწვდომელი ადამიანური აზროვნებისათვის
და დაუნდობელი ადამიანური სისუსტეებისადმი. „და
მას მერე მასთან ხართ, რა გასაკვირია?“ ვიკითხე მე.

პირიქით. როგორც ჩანს, მათი კავშირი ხშირად
წყდებოდა სხვადასხვა გარემოებისა გამო. როგორც
ამაყად მაცნობა, ორჯერ მოუარა კურცს, როცა იგი
ავად გახდა (ამას იხსენებდა, როგორც თავზეხელაღე-
ბულ გმირობას), მაგრამ, როგორც წესი, კურცი მარტო
დაეხეტებოდა უღრან ტყეში. „ძალზე ხშირად ამ სად-
გურზე მოსულს დღეები მიხდებოდა ლოდინი, ვიდრე
გამოჩნდებოდა“, თქვა მან. „ეჰ, ხანდახან ლოდინი
ღირდა!“ „რას აკეთებდა? იკვლევდა თუ რა?“ ვკითხე
მე. „ოჰ, დიახ, ცხადია“; მას ბევრი სოფელი აღმოუჩე-
ნია, ტბაც – არ იცოდა თუ რომელი მიმართულებით;
შეკითხვებით მეტისმეტი ჩაძიება საშიში იყო; თუმც
მისი ექსპედიციები უმეტესად სპილოს ძვლისათვის
ყოფილა. „მაგრამ საქონელი აღარ ჰქონდა სავაჭროდ
იმ დროისათვის“, შევეკამათე მე. „ტყვიები ჯერ კიდევ
ბევრი დაგვრჩა“, მომიგო და გვერდზე გაიხედა. „პირ-
დაპირ რომ ვთქვათ, თავს ესხმოდა“, ვთქვი მე. მან
თავი დამიქნია. „მარტო არ იქნებოდა, ცხადია!“ რაღაც
წაიბურტყუნა ტბის გარშემო მცხოვრებ სოფლელებზე.
„ბაშ კურცმა იშოვა ტომი, რომელიც მას მიჰყვებოდა?“
მივეშველე. იგი ცოტა აღელდა. „ისინი აღმერთებდნენ“.
თქვა მან. ამ სიტყვების კილო ისეთი არაჩვეულებრივი
იყო, დაკვირვებით დავაცქერდი. უცნაურია, რომ თან
სურდა კურცზე ლაპარაკი და თან – არა. ეს კაცი ავსებ-
და მის ცხოვრებას, მოეცვა მისი ფიქრები, არხევდა მის

ემოციებს. „აბა რას ელოდით?“ ამოხეთქა მან; „მათთან იგი ელვითა და ქუხილით მივიდა, ხომ გესმით – მსგავსი რამ არასოდეს ენახათ – და ძალზე შიშისმომგვრელიც იყო. მას შეეძლო ყოფილიყო შიშისმომგვრელი. არ შეიძლება მრ. კურცის გასამართლება, როგორც ვიღაც რიგითი კაცისა. არა, არა, არა! აი – ახლა ერთ რამეს გეტყვით – არ დავეძებ, გეტყვით, მას სურდა მეც მოვეკალი ერთ დღეს – მაგრამ მე არ ვამტყუნებ“. „მოეკალით!“ წამოვიძახე „რატომ?“ „ჰო, ცოტაოდენი სპილოს ძვალი მქონდა; ჩემს სახლთან ახლოს მდებარე სოფლის ბელადმა მისაჩუქრა. ნადირს ვხოცავდი მათთვის. კურცმა მომთხოვა სპილოს ძვალი და არაფრის მოსმენა არ ენება. გამომიცხადა, რომ მომკლავდა, თუ არ მივცემდი სპილოს ძვალს და არ წავიდოდი ამ მხარიდან, რადგან ასე სურდა, და ასეც იზამდა და ამქვეყნად ვერაფერი შეუშლიდა ხელს მოეკლა ის, ვის მოკვლასაც მოისურვებდა. და ესეც მართალი იყო. მივეცი სპილოს ძვალი. ჩემთვის სულერთი გახლდათ! მაგრამ არ წავსულვარ. არა, არა. ვერ მივატოვებდი. ცხადია, ფრთხილად უნდა ვყოფილიყავი, ვიდრე დრო გავიდოდა და კვლავ დავმეგობრდებოდით. მაშინ მეორედ გახდა ავად. მერე ვცდილობდი, გზაზე არ გადავყროდი. მეტწილად იმ სოფლებში ცხოვრობდა, ტბასთან რომაა. მდინარეზე რომ ჩამოდიოდა, ხან კარგად მეპყრობოდა, ხანაც უნდა მოვრიდებოდი. ამ კაცმა ბევრი ტანჯვა გადაიტანა. სძულდა ყოველივე ეს, მაგრამ ვერ შორდებოდა. საშუალება რომ მომეცა, შევევედრე, სცადე და მიატოვე ყველაფერი, ვიდრე დროა; მეც წამოგყვები-მეთქი. კარგიო, მომიგო, და მაინც დარჩა; კვლავ სპილოს ძვალზე სანადიროდ წავიდა, რამდენიმე კვირა გაუჩინარდა; თავი ავიწყდებოდა ამ ხალხში ყოფნისას – იცით – თავი ავიწყდებოდა. „რას ამბობთ! გიჟი ყოფილა“, ვთქვი მეაღშფოთებული შემომედავა. მრ. კურცი გიჟი ვერ იქნებაო. მისი ლაპარაკი რომ მოგესმინათ, თუნდაც ორი დღის წინათ, ამის თქმას ვეღარ გაბედავდითო... ჩემი დურბინდი ავიღე, ვიდრე ვსაუბრობდით, და ნაპირს ვათვალიერებდი, ტყის კიდეებს მიმოვავლე მზერა სახლის ორივე მხარეს და უკან. ვიცოდი, რომ ადამიანები იყვნენ იმ ბუჩქნარში, ჩუმად და წყნარად – ისე ჩუმად და წყნარად, როგორც დაფხავებული სახლია ბორცვზე – და ეს მაშფოთებდა. ბუნების სახეზე არ ჩანდა ნიშანი ამ განსაცვიფრებელი ამბისა, რაც იმდენად კი არ მომითხრეს, რამდენადაც შემომთავაზეს ცალკეული წამოძახილებით, მხრების ჩეჩვით, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფრაზებით, ღრმა ოხვრით დაბოლოებული მინიშნებებით. ტყე უძრავი იყო, როგორც ნიღაბი – მძიმე, როგორც ციხის დაკეტილი კარი – გამოიცქირებოდა დაფარული ცოდნის გამომეტყველებით, მომთმენი ლოდინით, მიუღწეველი დუმილით. რუსი მიხსნიდა, რომ მხოლოდ მოგვიანებით დაუყვა კურცი მდინარეს, იმ ტბასთან მცხოვრები ტომის მეომართა თანხლებით. რამდენიმე თვე არ ყოფილა აქ – ვგონებ, ტკბებოდა გაღვთაებრივებით – და მოულოდნელად ჩამოვიდა; ყველაფრიდან ჩანდა, ან მდინარის გაღმა მხარე უნდა დაელაშქრა, ანდა დინებას ჩაჰყოლოდა. ცხადია, უფრო მეტი მადა გაეღვიძა სპილოს ძვლისადმი და, როგორ გითხრათ? რამაც დაძლია ნაკლებ მატერიალური მისწრაფებანი. რაც უნდა იყოს, უეცრად ძალზე ცუდად შეიქნა. „გა-

ვიგე, უძლური წევსო, და ამიტომაც მოვედი“, თქვა რუსმა. „ოჰ, ცუდად არის, ძალზე ცუდად“. დურბინდი სახლისაკენ მივმართე. სიცოცხლის ნიშანწყალი არ ჩანდა, ვხედავდი მხოლოდ ჩანგრეულ სახურავს, ბალახებს აცილებულ გრძელ, ალიზის კედელს და მასში დატანებულ სამ ხვრელს სარკმლებისა, რომელთაგან ორიც კი არ ყოფილა ერთი ზომისა; ამ ყველაფერს ხელის გაწვდენაზე ვხედავდი. და უცებ შევკრთი, როცა დანგრეული ღობის ერთი ბოძი მოხვდა ჩემი დურბინდის არეში. გახსოვთ, გეუბნებოდით, შორიდან რაღაც მოჩუქურთმებულმა მიიპყრო-მეთქი ყურადღება, გამორჩეულად რაც ჩანდა ამ დანგრეულ ადგილას. ახლა მოულოდნელად ახლოდან დავინახე და, თვალი მოვკარი თუ არა, თავი უკან გადამივარდა, თითქოს ვილაცას დაერტყას. მერე ყურადღებით დავათვალიერე ჩემი დურბინდით თვითეული ბოძი და ჩემი შეცდომა ვიხილე. ის მრგვალი ბუნიკები მოჩუქურთმებული კი არ გახლდათ, არამედ სიმბოლური; გამომხატველი და გამაოგნებელი, თავზარდამცემი და შემაშფოთებელი – საზრდო ჩასაფიქრებლად და აგრეთვე სვავთათვის, თუკი ერთი მაინც გამოჩნდებოდა და თვალს მოჰკრავდა ციდან; მაგრამ ჭიანჭველებისათვის კი უხვად იყო საზრდო ბოძზე რომ აძვრებოდნენ. ბოძებზე ჩამოცმული თავები კიდევ უფრო შთამბეჭდავი იქნებოდნენ, სახლისაკენ რომ არ ყოფილიყვნენ შებრუნებულნი. მხოლოდ ერთი, აი, პირველად რომ გავარჩიე, იყურებოდა ჩემკენ. არც ისეთი თავზარი დამცემია, როგორც გგონიათ. თავიდან რომ შევკრთი, მხოლოდ გაკვირვებისა იყო. იცით, მე ხის ბუნიკს ველოდი. განზრახ მივუბრუნდი, პირველი რომ



დავინახე, იმას, და აი, შავ, გამომშრალ, ჩავარდნილ, დახუჭულთვალებიან თავს თითქოს ჩასძინებოდა ბოძის თავზე; გამომშრალი, დამოკლებული ტუჩებიდან თეთრ კბილთა ვიწრო ზოლი ჩანდა, თითქოს ულიმოდა გაგრძელებული ღიმილით რაღაც უსასრულო და მხიარულ სიზმარს მარადიული ძილისა.

მე არ ვახმაურებ არცერთ სავაჭრო საიდუმლოს. ფაქტობრივად მენეჯერმა თქვა შემდგომ, მრ. კურცის მეთოდმა დაანგრია ეს მხარეო. ამაზე ჩემი მოსაზრება არ გამაჩნია, მაგრამ ერთი რამ ცხადად უნდა გესმოდეთ, რომ იმ თავებს, იქ, არავითარი სარგებელი არ მოჰქონდათ. მხოლოდ იმას გვიჩვენებდნენ, რომ მრ. კურცს თავშეკავება აკლდა სხვადასხვა ვნების დაკმაყოფილებისას, აკლდა რაღაც მცირე რამ, რასაც საჭიროებისას ვერ შეუცვლიდა ბრწყინვალე მჭევრმეტყველება. იცოდა თუ არა ამ ნაკლოვანების შესახებ, ვერაფერს გეტყვით. ვფიქრობ, ბოლოს მიხვდა – ოღონდ სულ ბოლოს. უდაბურებამ კი ადრევე იპოვა და შური იძია ამ ფანტასტიკური შემოჭრის გამო. ვფიქრობ, ისეთებს ჩასჩურჩულებდა საკუთარ თავზე, რაც თვითონაც არ იცოდა, ისეთებს, რასაც ვერც კი გაიაზრებდა, ამ დიადი მარტოობისაგან რომ არ მიეღო რჩევა – და ეს ჩურჩული დაუოკებელად აჯადოებდა. და ექო აღიძვროდა მზესში, შიგნით, სადაც სრული სიცარიელე იდგა... დურბინდი დავუშვი, და თავი, რომელიც ისე ახლოს ჩანდა, რომ დაელაპარაკებოდი, მაშინვე მიუწვდომელ მანძილზე დამშორდა.

მრ. კურცის თაყვანისმცემელი ოდნავ დაითრგუნა. ნაჩქარევი, გაურკვეველი ხმით დამიწყო დარწმუნე-

ბა, ამ – ასე ვთქვათ, სიმბოლოების – ჩამოღებას ვერ გავბედავო. ადგილობრივებისა არ ეშინოდა; არ გაინძრეოდნენ, ვიდრე მრ. კურცი არ უბრძანებდათ. არაჩვეულებრივი გავლენა მოეპოვებინა. ამ ხალხის ბანაკები გარს ერტყა ამ ადგილს, ბელადები ყოველდღე მოდიოდნენ მის სანახავად. მუხლებზე მოხოხავდნენ... „არ მსურს ვიცოდე რამე მრ. კურცთან მიახლოების ცერემონიებზე“, შევძახე მე. უცნაურია, ისეთი გრძნობა დამეუფლა, ამგვარი დეტალები უფრო აუტანელი იქნებოდა ჩემთვის, ვიდრე ის, გასაშრობად გამოკიდებული თავები კურცის ფანჯრებქვეშ. რაც უნდა ყოფილიყო, ეს მხოლოდ ველური სანახაობა გახლდათ, მე კი ერთი ნახტომით აღმოვჩნდი დახვეწილ საშინელებათა რომელიღაც სინათლესმოკლებულ მხარეში, სადაც სუფთა, შეურყვნელი ველურობა იყო ნამდვილი შვება, ის, რასაც არსებობის უფლება აშკარად ჰქონდა მზისქვეშეთში. ყმაწვილკაცი გაოცებული მიყურებდა. ვგონებ, ვერ მიმხვდარიყო, რომ მრ. კურცი არ გახლდათ ჩემი კერპი. დავიწყებოდა, რომ მე არ მომესმინა არცერთი კურცის ბრწყინვალე მონოლოგთაგან; რაზე იყო? სიყვარულზე, სამართლიანობაზე, ცხოვრების წარმართვაზე, ან რაზე აღარ? და თუ კურცის წინაშე მუხლს იყრიდნენ, თვითონ ყველა ველურზე მეტად დაფორთხავდა. ვერაფერი გავიგე იქიდან, რასაც იგი ამბობდა, ეს მეამბოხეთა თავებიაო. ჩემმა სიცილმა განსაკუთრებით დასცა თავზარი. მეამბოხენი! კიდევ რა განსაზღვრება უნდა მომესმინა? უნდა ყოფილიყვნენ მტრები, დამნაშავენი, მუშები და ესენი კი მეამბოხენი იყვნენ. ეს მეამბოხე თავები ძალზე დათრგუნულნი მეჩვენებოდა, ჯოხებზე



ჩამოცმულნი. „თქვენ არ იცით თუ როგორ ხიფათს უმზადებს ცხოვრება კურცისნაირ კაცს“, წამოიძახა კურცის უკანასკნელმა მოწაფემ. „კარგი და თქვენ?“ ვკითხე. „მე! მე! მე უბრალო კაცი ვარ. მე არ გამაჩნია დიადი აზრები, არავისგან არაფერს ვითხოვ. როგორ შეიძლება შემადაროთ?“ მისი განცდები სიტყვებს ბევრად აღემატებოდა და უცებ გატყდა. „ვერ გამიგია“, დაიკვნესა მან, „ყოველნაირად ვცდილობდი სიცოცხლე შემენარჩუნებინა, და მორჩა. ხელი არაფერში მირევია. სად შემეძლო. ერთი წვეთი წამალი და სნეულისათვის საჭირო ერთი ლუკმაც კი არ მოიპოვებოდა. სამარცხვინოდ მიატოვეს. ასეთი კაცი, ასეთი იდეებით. სამარცხვინოდ! სამარცხვინოდ! მე... მე... ბოლო ათი ღამეა არ მძინებია“.

მისი ხმა საღამოს სიმშვიდეში ჩაიკარგა. ვიდრე ლაპარაკობდა, ტყის გრძელი ჩრდილები ფერდობზე დაეშვნენ და გადაუარეს დაფხავებულ საცხოვრისს, სიმბოლურ მწკრივს ბოძებისა. ყველაფერი ეს ბინდ-ბუნდმა დაფარა, მაშინ, როცა ქვევით, ისევ მზვარეში ვისხედით, და მდინარის ზოლი ღია სანაპიროს გასწვრივ დამაბრმავებლად ბზინავდა, ზემოთ და ქვემოთ კი მკრთალად მოჩანდა საბრუნები. ერთი სულიერიც არ ჭაჭანებდა ნაპირზე. ბუჩქები არ შრიალებდა.

უეცრად სახლის კუთხიდან გამოჩნდა ადამიანთა ჯგრო, თითქოს მიწიდან ამოძვრნენო. წელამდე ბალახს მოაპობდნენ ერთ ჯგუფად, შუაში ხელდახელ შეკონწიწებული საკაცე მოჰქონდათ. იმავდროულად, ცარიელ შემოგარენში, გაისმა ყვირილი, რომლის გამყინაობამაც ბასრი ისარივით გაჰკვეთა ჰაერი და მინის

გულამდე ჩააღწია; და, მოჯადოებულივით, ადამიანთა, შიშველ ადამიანთა, შუბებით, ისრებით, ფარებით შეიარაღებული, ველურგამოხედვიან და მხეცურად მოძრავ ადამიანთა ნაკადი გამოიჭრა ჩაბნელებული, პირქუში ტყიდან. ბუჩქები შეირხა, ბალახი ამოძრავდა ერთხანს და მერე ყველაფერი შეჩერდა დაძაბულ უძრაობაში.

„ახლა თუ სწორ სიტყვას არ ეტყვის მათ, ჩვენ ყველა დავიღუპებით", ჩემს იდაყვთან ჩაილაპარაკა რუსმა. საკაცეს გარშემორტყმულ ადამიანთა ჯგუფიც გაშეშებული შედგა ორთქლმავალი ნავიდან ნახევარ გზაზე. დავინახე საკაცეზე მწოლი კაცი როგორ წამოჯდა, გამხდარი იყო და მკლავი მაღლა აღემართა, მტვირთველთა მხრებს ზემოთ. „ვიმედოვნებ, რომ კაცი, ვინც ასე კარგად ლაპარაკობს სიყვარულზე ზოგადად, იპოვის რაიმე განსაკუთრებულ მიზეზს, რათა დაგვიხსნას ამჯერად", ვთქვი მე. უკიდურესად ვღელავდი აბსურდულად სახიფათო ვითარების გამო, როცა ამ სასტიკი აჩრდილის მოწყალების ამარა ყოფნა ღირსების შემლახველი აუცილებლობა იყო. ერთი ბგერაც არ მესმოდა, მაგრამ ჩემი დურბინდიდან ვხედავდი გამხდარ ხელს, მბრძანებლურად აღმართულს, მოძრავ ქვედა ყბას, ქუშად მკვესავ ჩაცვენილ თვალებსა და გროტესკულად მოქანავე ჩონჩხადქცეულ თავს. კური, კური, გერმანულად მოკლეს ნიშნავს, არა? სახელიც ისეთივე მართალი ჰქონდა, როგორც ყველაფერი ცხოვრებასა და... სიკვდილში. შვიდი ფუტის სიმაღლისა მაინც ჩანდა. საფარებელი გადაძრობოდა და მოუჩანდა თითქოს სუდარაგადახდილი გვამი – შესაბრალისი და შემზარავი. ვხედავდი მის მოცახცახე ნეკნებსა



და მოქანავე მკლავს. თითქოსდა სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი სიკვდილის სახება გაცოცხლებულა და ხელს უქნევს მუქარით მუქი, მბზინავი სპილენძისაგან გაკეთებულ ადამიანების ბრბოსო. ვხედავდი, რარიგ ფართოდ აღებდა პირს და ისეთ ხარბ გამომეტყველებას იძენდა, თითქოს უნდა ჩაეყლაპა ჰაერი, მიწა და ირგვლივ მყოფი ყველა ადამიანი. ბუნდოვნად გავიგონე დაბალი ხმა. ალბათ ყვიროდა. უეცრად ზურგზე დაეცა. საკაცე შეირყა, მტვირთველნი წინ წამობარბაცდნენ და იმავდროულად შევნიშნე, რომ ველურები უკანდაუხევლად ქრებოდნენ, მეჩვენებოდა, რომ ტყე, როგორც გამოყარა ეს არსებანი, ისე ითრევდა უკანვე, თითქოს გრძლად ჩაესუნთქოს ჰაერი.

რამდენიმე პილიგრიმი საკაცეს უკან მოსდევდა და მისი იარაღები მოჰქონდა – საფანტის ორი თოფი, მძიმე ხრახნილლულიანი თოფი და მსუბუქი რევოლვერკარაბინი – ამ საწყალი იუპიტერის ელვის ისრები. მმართველი მისი თავის გასწვრივ მოაბიჯებდა, გადახრილიყო და რაღაცას ეჩურჩულებოდა. ერთ-ერთ იმ პატარა ჯიხურში დააწვინეს, ხომ იცით, ოთახში მხოლოდ საწოლი და ორიოდე საბანაკო სკამი რომ ეტეოდა. მისი დაგვიანებული კორესპონდენცია გვქონდა თან და მისი საწოლი გაივსო გახსნილი კონვერტებითა და გაშლილი ბარათებით. ხელს სუსტად დააცეცებდა ქაღალდებს შორის. გამაოცა მის თვალთა ცეცხლმა და გამომეტყველების თავშეკავებულობამ და განურჩევლობამ. ეს არ ყოფილა სნეულებისაგან გადაქანცვა. ტკივილი არ უნდა ჰქონოდა. ეს აჩრდილი კმაყოფილი

და მშვიდი გახლდათ, თითქოს ამ წუთისათვის ყველა სურვილი აღსრულებოდეს.

ერთ-ერთ ბარათს აშრიალებდა, სახეში შემომხედა და მითხრა, „მოხარული ვარ“. ვილაცა სწერდა ჩემს შესახებ. კვლავ ამოტივიტვდა ეს განსაკუთრებული რეკომენდაციები. განმაცვიფრა ხმის სიძლიერემ, რასაც ძალდაუტანებლად გამოსცემდა, ტუჩებსაც კი ოდნავ ამოძრავებდა. ხმა! ხმა! ხმა ჰქონდა საზეიმო, ღრმა, მოცახცახე, მაშინ, როცა ამ კაცს ჩურჩულიც ვეღარ უნდა შეძლებოდა. რაც უნდა იყოს, იმდენი ძალა კი შერჩენოდა – უსათუოდ მოჩვენებითი – რომ ჩვენთვის ყველასათვის ბოლო მოელო, რასაც მალე მოგახსენებთ.

მმართველი უხმაუროდ გამოჩნდა კარში; მაშინვე გამოვედი, მან კი ფარდა ჩამოუშვა. რუსი, ვისაც პილიგრიმები ცნობისწადილით ადევნებდნენ თვალს, ნაპირისაკენ იყურებოდა. მის მზერას გავაყოლე თვალი.

შორიდან ბუნდოვნად მოჩანდნენ ადამიანის სხეულები, გაურკვევლად დასრიალებდნენ ტყის საზღვართან, მდინარის პირას ორი ბრინჯაოსფერი სხეული იდგა, გრძელ შუბებს დაყრდნობილნი ასვეტილიყვნენ მზის შუქში, თავზე ფანტასტიკური საბურველები ეფარათ, ლაქებიანი ტყავისაგან დამზადებული, გაუნძრევლად იდგნენ საომრად შემართულნი. მარჯვნიდან მარცხნივ განათებულ ნაპირზე მოძრაობდა ველური და მშვენიერი აჩრდილი ქალისა.

ზოლიან და ფოჩებით მორთულ სამოსში გამოწყობილი ამაყად მოაბიჯებდა მიწაზე, მსუბუქად წკრიალებდა და ელვარებდა ბარბაროსული სამკაულები. თავი მაღლა ეჭირა; თმა მუზარადს მიუგავდა; სპილენძის



საბარკულები ჩასდევდა მუხლებამდე და სპილენძისავე სამკლავე აესხა იდაყვამდე, მეწამული ლაქები ედო მუქ ყვითელ ლოყებზე, კისერზე შუშის მძივები ეკიდა მრავლად; უცნაური ნივთები, ავგაროზები, ჯადოქართა ნაჩუქარი, ჩამოკონწიალებდა, ელვარებდა და წკარუნობდა ყოველ ნაბიჯზე. მისი მორთულობა ალბათ სპილოს მრავალი ეშვის ღირებულებას უტოლდებოდა. კეთილშობილი ველური გახლდათ, მძვინვარე და შთამბეჭდავი თვალებით იმზირებოდა; იყო რაღაც ზვიადი და ავისმომასწავებელი მის მშვიდ ნაბიჯებში. მთელ ამ მწუხარე მიწაზე უცაბედად ჩამოწოლილ სიჩუმეში, უსაზღვრო უდაბურებაში ნაყოფიერი და იდუმალი ცხოვრების უზარმაზარი სხეული ისე მისჩერებოდა ამ ქალს, ვით ბნელი და ვნებიანი სულის გამოხატულებას.

ორთქლმავალს გაუსწორდა, შედგა და მოგვაცქერდა. მისი გრძელი ჩრდილი წყლის ნაპირს ეფინებოდა. სახეზე გამოხატულ ტრაგიკულსა და სასტიკ გამომეტყველებას, წუხილისა და ყრუ ტკივილისა, შერეოდა ერთგვარი შიში და ჭიდილი მიუღებელი გადაწყვეტილებისა. გაუნძრევლად იდგა და გვიყურებდა, ვით თვით უდაბურება, თითქოს საიდუმლო მიზანზე ჩაფიქრებულაო. გავიდა მთელი წუთი და ნაბიჯი გადადგა წინ. გაისმა ხმადაბალი ჟღარუნი, აელვარდა ყვითელი ლიბონი, შეირხა ფოჩები და შედგა, თითქოს გამბედაობამ უღალატა. ჩემ გვერდით მდგომმა ახალგაზრდა კაცმა დაიღმუვლა. ჩემ უკან პილიგრიმები აბუტბუტდნენ. ისე შემოგვხედა, თითქოს მისი სიცოცხლე მისივე მზერის ურყეობაზე ეკიდა. უეცრად შიშველი ხელები გაშალა და მაღლა შემართა, თითქოსდა დაუოკებელი მოძრაო-

ბით სურდა ცას შეხებოდა, და სწორედ ამ დროს ჩრდილები მსწრაფლ გადაეფარნენ მიწას, მდინარეს მოედნენ და ორთქლმავალიც ჩრდილებში გახვიეს. მძიმე სიჩუმე დააწვა მოქმედების ადგილს.

მან ტაატით გააგრძელა გზა, გაიარა, გაჰყვა ნაპირს და ბუჩქნარს შეერია მარცხენა მხარეს. მხოლოდ ერთხელ დაკვესეს უკან მისმა თვალებმა ჭალის ჩრდილებში და გაუჩინარდა.

„გემბანზე ამოსვლა რომ ეცადა, დანამდვილებით ვიცი, დავხვრეტდი“, ნერვიულად განაცხადა დაბებკილსამოსიანმა კაცმა. „უკანასკნელი ორი კვირა სიცოცხლეს ხიფათში ვიგდებდი, სახლში რომ არ შემომეშვა. ერთ დღესაც შემოაღწია და ჩხუბი ატეხა იმ საცოდავ ნაგლეჯთა გამო, საკუჭნაოდან რომ გამოვიტანე ჩემი სამოსის დასაკემსად. სამოსი შემომეხა და ულაზათოდ ვჩანდი. მთელი საათი გააფთრებული ალბათ ამაზე ელაპარაკებოდა კურცს და დროდადრო ჩემზე უთითებდა. ამ ტომის დიალექტი არ მესმის. ჩემდა საბედნიეროდ, კურცი იმ დღეს მეტისმეტად ცუდად იყო, რომ თავი შეეწუხებინა, თორემ უბედურება დატრიალდებოდა. არ მესმის... არა, ჩემთვის მეტისმეტია ახლა ყველაფერი ეს“.

იმ წუთში მომესმა კურცის გულშიჩამწვდომი ხმა ფარდის იქიდან: „ჩემი გადარჩენა! გინდათ თქვათ, სპილოს ძვლის გადარჩენა. მაგას ნუ მეუბნებით. ჩემი გადარჩენა! ეგებ მე გადაგარჩინეთ. თქვენ ჩემს გეგმებს აფერხებთ. სნეული! სნეული! არც ისე სნეული ვარ, თქვენ რომ ისურვებდით. არა უშავს. ჩემს იდეებს მაინც გავატარებ... დავბრუნდები. გაჩვენებთ, რაც უნდა



გაკეთდეს. თქვენ თქვენი ვაჭრუკანული შეხედულებებით... ხელს მიშლით. მე დავბრუნდები. მე...“

მმართველი გარეთ გამოვიდა. პატივი დამდო, ხელკავი გამიყარა და გვერდზე გამიყვანა. „ცუდადაა, ძალზე ცუდად“, მითხრა. საჭიროდ მიიჩნია ამოეთხრა, მაგრამ მწუხარებას არ გამოხატავდა. „ყველაფერი ვიღონეთ მისთვის, ხომ მართალია? მაგრამ ფაქტს სად წავუვალთ, მრ. კურცმა ზიანი მეტი მოუტანა კომპანიას, ვიდრე სიკეთე. ვერ ხედავდა, რომ დრო არ მომწიფებულიყო ძალისმიერი მოქმედებისათვის. სიფრთხილე, სიფრთხილე – ესაა ჩემი პრინციპი. ჯერ ფრთხილად უნდა ვიყოთ. ეს მხარე ჩვენთვის დროებით დაიხურა. სავალალოა! მთლიანობაში, ვაჭრობა დაზარალდება. მე არ უარვყოფ, რომ არის სპილოს ძვლის მნიშვნელოვანი რაოდენობა – ძირითადად ნამარხი. ყველაფერი უნდა ვიღონოთ მის გადასარჩენად – მაგრამ შეხედეთ, რა საეჭვო ვითარებაა – და რატომ? იმიტომ, რომ მეთოდია არაჯანსაღი“. „თქვენ ამას არაჯანსაღ მეთოდს უწოდებთ?“ ვკითხე და ნაპირისაკენ გავიხედე. „უეჭველად“, ცხარედ წამოიძახა მან, „არ მეთანხმებით“... „არავითარი მეთოდი არ ყოფილა“, წავიბუტბუტე მცირე ხნის შემდეგ. „სწორედაც“, აღფრთოვანდა იგი. „ამას მოველოდი. გამოამჟღავნა განსჯის სრული უუნარობა. ჩემი მოვალეობაა ვაცნობო, სადაც ჯერ არს“. „ოჰ“, ვთქვი მე, „ის ჯეელი – რა ჰქვია? – აგურისმკეთებელი, კაი საკითხავ მოხსენებას გაგიმზადებთ, რომ წაიკითხონ“. მცირე ხნით დაიბნა. მგონი ასეთი მყრალი ჰაერი არასოდეს მისუნთქავს და შვებისათვის გონებით კურცს მივუბრუნდი, – სწორედაც რომ შვებისათვის. „მიუხედა-

ვად ამისა, ვფიქრობ, მრ. კურცი გამორჩეული ადამიანია“, ხაზგასმით აღვნიშნე. შეკრთა, მძიმედ შემომხედა და ძალზე მშვიდად მითხრა, „იყო“, და ზურგი შემაქცია. პატივის დრო გავიდა; აღმოვჩნდი კურცისა და იმ მეთოდის მხარეს, რომლისთვისაც დრო არ მომწიფებულიყო: არაჯანსაღი გავხდი! ეჰ! ბოლოს და ბოლოს კოშმარებს შორის არჩევანი ხომ ჩემი იყო.

სინამდვილეში უდაბურებისაკენ შევბრუნდი და არა მრ. კურცისაკენ, ვინც, უნდა დავყაბულებულიყავი, სამარეში ჩასასვენებელსა ჰგავდა. და ერთი წუთით მომეჩვენა, რომ მეც დამარხული ვიყავი გამოუთქმელ საიდუმლოთა ვრცელ სამარეში. ვგრძნობდი აუტანელ სიმძიმეს, მკერდზე რომ მაწვებოდა, სველი მიწის სუნს, უხილავ ყოფნას გამარჯვებული გადაგვარებისა, ჩაუწვდომელ წყვდიადს ღამისა... რუსი მხარზე შემეხო. მესმოდა როგორ ბურტყუნებდა და ბორძიკობდა რაღაცას, „ძმა მეზღვაური – ვერ დამალავს – რაც იცის და რაც შელახავს მრ. კურცის რეპუტაციას“. ვიცდიდი. ცხადია, მისთვის მრ. კურცი საფლავში არ იყო; ვეჭვობ, მისთვის მრ. კურცი ერთი უკვდავთაგანი გახლდათ. „კეთილი!“ ვუთხარი ბოლოს, „გამიმხილეთ. ისე მოხდა, რომ მე მრ. კურცის მეგობარი ვარ – ერთგვარად“.

ფორმალობათა სრული დაცვით აღნიშნა, „ერთი პროფესიისა რომ არ ვყოფილიყავით“, იგი ამ ამბავს არ გამიმხელდა, რა შედეგიც უნდა მოჰყოლოდა. „ვეჭვობ, ეს თეთრი კაცები ავი თვალით უნდა მიყურებდნენ, რომ...“ „მართალი ხარ“, ვუთხარი, ადრე მოსმენილი საუბარი გამახსენდა. „მმართველი ფიქრობს, რომ ჩამოხრჩობას იმსახურებ“. ამ ცნობამ ისე ააღელვა, გამართო კიდეც.



„სჯობს ჩუმად გავეცალო აქაურობას“. დაიბეჯითა მან. „კურცს ველარაფრით დავეხმარები, და ისინი კი მალე მიკრიფავენ მიზეზს. რამ უნდა შეაჩეროს? სამასი მილის მოშორებით სამხედრო პოსტია“. „ჰო, მართლაც“, ვთქვი მე, „ალბათ უკეთესი იქნება წახვიდე, თუ ახლომახლო ველურებს შორის მეგობრები გეგულება“. „ბევრი“, მომიგო. „ისინი უბრალო ხალხია და მე კი არაფერი მჭირდება, ხომ იცით“. იდგა და ტუჩს იკბენდა, მერე თქვა: „არ მინდა რაიმე ხიფათი შეხვდეთ აქ ამ თეთრკანიანებს, მაგრამ, ცხადია, მრ. კურცის რეპუტაციაზე ვფიქრობდი, თუმც თქვენ ხომ მოძმე მეზღვაური ხართ, და...“ „კეთილი“, ვუთხარი მცირე ხნის შემდეგ, „კურცის რეპუტაციას ჩემგან საფრთხე არ ემუქრება“. არ ვიცოდი, რამდენად ვამბობდი სიმართლეს.

ხმადაბლა მაცნობა, რომ სწორედ კურცს გაეცა ორთქლმავალზე თავდასხმის ბრძანება. „ზოგჯერ სძაგდა იმის წარმოდგენა, რომ აქედან წაიყვანდნენ... და მერე, კიდევ... მაგრამ მე ამეებისა არაფერი გამეგება. უბრალო კაცი ვარ. ფიქრობდა, რომ შეგეშინდებოდათ და შეჩერდებოდით, იფიქრებდით, მოკვდაო. ვერ შევაჩერე. უჰ, საშინელი დრო გადავიტანე ამ ბოლო თვეს“. „ძალიან კარგი“, ვუთხარი მე, „ახლა რიგზეა“. „დი-ი-ა-ახ“, წაიბურტყუნა აშკარად არცთუ დამშვიდებულმა. „გმადლობთ“, ვუთხარი მე, „ყურადღებით ვიქნები“. „მაგრამ ხომ არ იტყვით?“ შეშფოთებით ჩამეკითხა. „მის რეპუტაციას ძალზე დააზარალებს, თუ აქ ვინმე...“ საზეიმოდ შევპირდი, რომ არაფერს გავამხელდი. „არცთუ ძალზე მოშორებით სამი შავი ჯეელი და კანოე მელოდება. მივდივარ. ცოტაოდენ მარტინი-ჰენ-

რის ტყვიებს ვერ მომცემდით?“ შემეძლო და მივეცი კიდეც, საიდუმლოდ. თვალი ჩამიკრა და ერთი მუჭა თამბაქოც აიღო. „ჩვენში, მეზღვაურებში, ხომ იცით, კარგი ინგლისური თამბაქო“. კარში რომ გადიოდა, შემობრუნდა, „მისმინეთ, წყვილი ფეხსაცმელი ხომ არ მოგეძევებათ?“ ერთი ფეხი აწია. „შეხედეთ“. ფეხსაცმლის ძირები შიშველ ფეხზე ბაწრებით დაემაგრებინა. ძველი ხამლები ამოვჩხრიკე, რასაც მონონებით დახედა, ვიდრე მარცხენა იღლიაში ამოიდებდა. ერთი (კაშკაშა წითელი) ჯიბე ტყვიებით გამობერვოდა, მეორიდან (მუქი ლურჯი) „თაუსონის გამოკვლევა“ იმზირებოდა და ასე შემდეგ. ეტყობა ფიქრობდა, ბრწყინვალედ ვარ აღჭურვილი უდაბურებასთან ხელახლა შესახვედრადო. „ეჰ! ველარასოდეს, ველარასოდეს შევხვდები ასეთ კაცს. უნდა მოგესმინათ, როგორ კითხულობდა ლექსებს, საკუთარს, ასე მითხრა. პოეზია!“ თვალები გადაატრიალა ამ ტკბილ მოგონებებში ჩაძირულმა. „ოჰ! მან გონება გამიფართოვა!“ „მშვიდობით“, ვუთხარი. ხელი ჩამომართვა და გაუჩინარდა ღამეში. ხანდახან თავს ვეკითხები, მართლა ვნახე თუ არა... ნეტა თუ შესაძლოა ამგვარ არსებასთან შეხვედრა!..

შუაღამე გადასულიყო, რომ გამომეღვიძა და მისი გაფრთხილება გამახსენდა, ხიფათზე რომ მიმანიშნებდა, და ეს იმდენად რეალური ჩანდა ვარსკვლავებით მოჭედილ წყვდიადში, ფეხზე წამოვიჭერი და იქაურობა დავათვალიერე. ბორცვზე დიდი კოცონი ენთო და სადგურის შენობის დაფერდებულ კუთხეს ანათებდა. ერთ-ერთი აგენტი, ჩვენ შავკანიანთა საგანგებოდ შეიარაღებულ მცირე ჯგუფთან ერთად, სპილოს ძვალს



დარაჯობდა; შორს კი, ტყეში, ჩალუსკუმებული სიშავის დამაბნეველ სვეტთა მსგავს ჩრდილებს შორის გამოკრთოდა წითელ ალთა გამონათებანი, რაც გვიჩვენებდა ადგილმდებარეობას მრ. კურცის თაყვანისმცემელთა ბანაკისა, სადაც მძიმე სადარაჯო წესი სრულდებოდა. დიდი დაფდაფის მონოტონური ხმა მოგუდული დარტმებითა და გაგრძელებული ვიბრაციით ავსებდა ჰაერს. გამუდმებული გუგუნი მრავალი კაცისა, თავისთვის რომ ღიღინებდნენ რაღაც ახირებულ მელოდიას, მოდიოდა ტყის შავი, ბრტყელი კედლის მიღმიდან, როგორც ფუტკრების ზუზუნი სკიდან და უცნაურად, გამაბრუებლად მოქმედებდა ჩემს ნახევრადმღვიძარ გრძნობებზე. ეტყობა, მოაჯირზე მიყრდნობილს ისევ ჩამთვლიმა, ვიდრე შეშფოთებულსა და გაოცებულს გამომაღვიძებდა ყოვლისმომცველი დარღვევა ამ თავშეკავებული ხმებისა და იდუმალი ამოხეთქვა გააფთრებისა. მალევე შეწყდა და ხმადაბალი გუგუნი გაგრძელდა ოდნავ გასაგონი და დამამშვიდებელი სიწყნარით. შემთხვევით პატარა ჯიხურში შევიხედე. შიგნით შუქი ენთო, მაგრამ მრ. კურცი იქ არ იმყოფებოდა.

ვფიქრობ, განგაშს ავტეხდი, თვალებისათვის რომ დამეჯერებინა. მაგრამ თავიდან თვალებს არ დავუჯერე – ისეთი შეუძლებელი ჩანდა ეს ამბავი. აშკარაა, რომ წრულებით გამომაცალა ძალა ყოვლისმომცველმა, გაშიშვლებულმა შიშმა, წმინდა აბსტრაქტულმა საშინელებამ, დაუკავშირებელმა გარკვეულ ფიზიკურ საფრთხესთან. რისგან იყო, რომ ამ განცდამ მოიცვა ჩემი არსება, როგორ განვსაზღვრო? ის მორალური ზარი, რაც თავს დამეცა, თითქოს რაღაც მთლიანად სასტიკი, აუტანე-

ლი აზრისათვის და მიუღებელი სულისათვის, მოულოდნელად დამატყდა თავს. ამან, რა თქმა უნდა, ერთი წამი გასტანა, და შემდეგ მოვიდა ჩვეულებრივი განცდა სასიკვდილო საფრთხისა, შესაძლებლობისა, რომ ამოგვულეტდნენ და გაგვჟუჟავდნენ, ან რაღაც ამის მსგავსი მოხდებოდა, რაც აშკარა იყო და რაც აუღელვებლად და შეუშფოთებლად მივიღე. ამან დამამშვიდა და განგაში არ ავტეხე.

ჩემგან სამიოდე ნაბიჯზე აგენტს ეძინა სკამზე, მოსასხამში გახვეულს. კივილმა არ გააღვიძა; ოდნავ გასაგონად ხვრინავდა. მძინარი დავტოვე და ნაპირზე დავეშვი. არ გავეცი მრ. კურცი – თითქოს ბრძანებას ვასრულებდი, არასოდეს მეღალატა მისთვის – თითქოს ბედისწერამ განმისაზღვრა, ერთგული დავრჩენილიყავი ჩემ მიერ არჩეული კოშმარისა. ვესწრაფოდი პირადად, მარტო შევხვედროდი აჩრდილს და დღემდე არ ვიცი, თუ რატომ დავკანკალებდი ასე ეჭვიანად იმ გამოცდილების თავისებურ სიბნელეს და არავისთვის მინდოდა გაზიარება.

როგორც კი ნაპირზე ჩავედი, კვალი დავინახე – ფართოდ გათელილი ბალახი. მახსოვს აღფრთოვანება, ჩემს თავს რომ გავუზიარე, „ვერ დადის, ოთხზე მიფორთხავს, დავიჭერ“. ბალახი ნამიანი იყო. სწრაფად მივდიოდი მუშტებშეკრული. ვფიქრობ, გაურკვეველი სურვილი მქონდა, თავს დავცემოდი და მიმებეგვა. არ ვიცი. რაღაც სულელური წარმოდგენები დამეხვა. მეხსიერებაში ჩამრჩენოდა დედაბერი, რომელიც ქსოვდა და კალთაში კატა ეჯდა და სრულიად შეუფერებელი იყო ამ ვითარებისათვის. ვხედავდი პილიგრიმთა



ჯგუფს, თეძოზე დაყრდნობილი ვინჩესტერებით ტყვიას რომ უშენდნენ ჰაერს. მეგონა, ველარასოდეს დავბრუნდებოდი ორთქლმავალზე და სიბერემდე მარტოდმარტო ვიცხოვრებდი უიარაღოდ ამ ტყეში. იცით, ასეთ ბრიყვულ რაღაცებზე ვფიქრობდი. მახსოვს დოლების ცემა გულის ცემას შევადარე და მესიამოვნა, რომ მშვიდად მიცემდა.

კვალს მივყვებოდი, მერე გავჩერდი და ყური მივუგდე. ნათელი ღამე იყო; მუქი ლურჯი ციდან ნამი და ვარსკვლავთა შუქი მოციაგებდა და შავი ჩრდილები გაუნძრევლად იდგნენ. ვფიქრობ, რაღაც მოძრაობას ვხედავდი წინ. რაღაც ძალიან გულდაჯერებული ვიყავი იმ ღამეს. კვალი მივატოვე და დიდი ნახევარწრის დარტყმას შევუდექი სირბილით (ცხადად მახსოვს, თან ჩემთვის ვქირქილებდი), რათა თავს დამევლო იმ მოძრაობისათვის, რასაც ვხედავდი, თუკი საერთოდ ვხედავდი რაიმეს. ისე ვუსაფრდებოდი კურცს, თითქოს ბიჭური თამაში ყოფილიყოს.

თავს წავადექი და, რომ არ გაეგონა, ზედაც დავეცემოდი, მაგრამ დროზე წამოდგა. გაიმართა, ბარბაცებდა, მაღალი, ფერმკრთალი, გაურკვეველი, თითქოს მიწიდან ამოსული ორთქლიაო, ოდნავ ირხეოდა ჩემ წინ ბურუსით მოცული და მდუმარე; ჩემ ზურგს უკან კი კოცონთა ალი მოჩანდა ხეებს მიღმა და ხმათა გუგუნი მოდიოდა. ჭკვიანურად კი მოვუჭერი გზა, მაგრამ წინ რომ გადავუდექი, მივხვდი, საშიშროების წინაშე ვიდექი, ის ჯერაც არ დასრულებულიყო. ვთქვათ და დაეყვირა? თუმც კი ფეხზე ძლივს იდგა, ხმაში ძალა კიდევ შერჩენოდა. „წადით, დაიმალეთ“, მითხრა, სწორედ იმ

ღრმა ტონალობით. მეტად საშიში იყო. უკან გავიხედე. ოცდაათიოდე იარდი გვაშორებდა უახლოესი კოცონიდან. შავი სხეული წამოდგა, გაშალა გრძელი ფეხები, აამოძრავა გრძელი შავი მკლავები ალის შუქზე. თავზე რქები ედგა, მგონი, ანტილოპასი. ეჭვგარეშეა, ჯადოქარი იყო, კუდიანი და ეშმაკსა ჰგავდა. „იცით კი რას აკეთებთ?“ ჩურჩულით ვკითხე“. „სავსებით“, ხმის აწევით მიპასუხა ეს ერთი სიტყვა: შორიდან მომესმა და თან ხმამაღლა, თითქოს ხმის გამაძლიერებლიდან წამოსულიყოს. „ხმაური თუ ატეხა, დავიღუპეთ“, ვუთხარი ჩემს თავს. მუშტების ქნევის დრო არ იყო თუნდაც იმიტომ, რომ ზიზღისმომგვრელი იქნებოდა ამ აჩრდილის, ამ მოხეტიალე სულის ცემა. „დაიღუპებით“, ვუთხარი, „სულმთლად დაიღუპებით“. ხანდახან შთაგონება გეწვევა კაცს, ხომ იცით. რაც ვუთხარი, სწორი იყო, თუმც უფრო მეტად ველარ დაიღუპებოდა, ვიდრე უკვე იყო სწორედ იმ წუთში, როცა ჩვენს დაახლოებას ჩაეყარა საფუძველი, რამაც გაძლო, გაძლო ბოლომდე და იმის იქითაც.

„მე დიადი გეგმები მქონდა“, გაუბედავად დაიჩურჩულა. „დიახ“, ვუთხარი; „მაგრამ თუ დაყვირებას შეეცდებით, თავს გაგიხეთქავთ...“ გარშემო არც ჯოხი ჩანდა და არც ქვა. „დაგახრჩობთ-მეთქი“, გავასწორე. „დიად მოვლენათა ზღურბლთან ვიდექი“, ისეთი მონატრებული ხმით შემევედრა, სისხლი გამეყინა ძარღვებში. „და ახლა ამ ბრიყვი არამზადას გამო...“ „თქვენი წარმატება მაინც დადასტურდება ევროპაში, რაც უნდა იყოს“, მტკიცედ დავარწმუნე. არ მსურდა მისი დახრჩობა, ხომ გესმით, და არც არავითარ სარგებელსაც



მოიტანდა. ვცდილობდი გამეფანტა ჯადო – მძიმე, მუნჯი ჯადო უდაბურებისა – რაც ითრევდა და იკრავდა შეუბრალებელ მკერდზე დავიწყებულ და მხეცურ ინსტინქტთა გამოღვიძებით, ჯოჯოხეთური კმაყოფილების მომგვრელ ვნებათა გახსენებით. დარწმუნებული ვარ, სწორედ ამან მოიყვანა ტყის პირამდე, ბუჩქნარში, ცეცხლთან, დაფდაფთა ხმასთან, უცნაური სიმღერების გუგუნთან; სწორედ ამან გადააცდინა მისი კანონგარეშე სული ნებადართულ მისწრაფებათა ზღვარს. და ნუთუ არ გესმით, ამ მდგომარეობაში ხიფათი ის კი არ იყო, თავში რომ რაღაც მოგხვდებოდა, თუმც მეტად ცოცხალი განცდა მქონდა, რომ ეს ხიფათი ჩასაფრებულიყო, არამედ ის, რომ საქმე მქონდა არსებასთან, ვისაც ვერაფერს შევასმენდი, ვერც ამაღლებულისა და ვერც მდაბლის შესახებ. თუნდ ზანგთათვის მიმებაძა და მასში მისივე არსი გამეღვიძებინა, მისი აღტაცებული და მიუწვდომელი გადაგვარება. არაფერი იყო მასზე მაღლა და დაბლა და მე ეს ვიცოდი. მიწას მოწყვეტოდა. შერცხვა კაცი! წიხლი ჰკრა მიწას. მარტო იყო და მეც, მის წინ მდგომმა, არ ვიცოდი, მიწაზე ვიდექი თუ ჰაერში დავფრინავდი. გიამბობთ თუ რას ვამბობდით, გიმეორებთ ჩვენ მიერ წარმოთქმულ ფრაზებს და რა მერე? ეს იყო ყოველდღიური ფრაზები, ნაცნობი, ბუნდოვანი ფრაზები, ყოველ ცისმარე რომ ვიმეორებთ. და რა მერე? მათ მიღმა, ჩემი აზრით, მოჩანს გამაოგნებელი აზრი სიტყვებისა, სიზმარში რომ გვესმის, კოშმარებში რომ წარმოითქმის. სული! თუკი ვინმე შესჭიდებია სულს, მე ვარ ის კაცი. და არც გიჟს ვესაუბრებოდი, დამიჯერებთ თუ არა, მისი გონება სავსებით ნათელი

იყო – მართალია, საზარი სიმძლავრით მიმართულიყო საკუთარი თავისაკენ; და ამიტომ ერთადერთი შანსი მრჩებოდა შეკავებისა, რასაკვირველია, მაშინვე და იქვე უნდა მომეკლა, და ამასაც კარგი არა მოჰყვებოდა რა, რადგან ხმაურს ვერ ავიცილებდი თავიდან. მაგრამ ეს იყო შეშლილი სული. უდაბურებაში მარტოდმარტო ყოფნისას მან ჩაიხედა თავის არსში და ზეცის მადლმა! გეუბნებით, გაგიუდა. მეც – ალბათ ჩემი ცოდვებისათვის – გავიარე ეს გამოცდა და თვითონ ჩავიხედე მის სულში. ვერავითარი მჭევრმეტყველება ვერ იქნება ისეთი შემარყეველი რწმენისა კაცობრიობაში, როგორც მისი საბოლოო ამოფრქვევა გულწრფელობისა. თავის თავსაც ებრძოდა. ამას ვხედავდი – მესმოდა. ვიხილე წარმოუდგენელი საიდუმლო სულისა, რომელსაც არა აკავებს რა, არ გააჩნია რწმენა, შიში და ბრმად ებრძვის საკუთარ თავს. თავი საკმაოდ კარგად მეჭირა; მაგრამ როცა საბოლოოდ მივათრიე საწოლამდე, ოფლი მოვიწმინდე შუბლიდან, ფეხები ისე მეკეცებოდა, თითქოს ნახევარი ტონა ჩამომეტანოს იმ ბორცვიდან. მაშინ, როცა იგი მხოლოდ მეყრდნობოდა, გამხმარი მკლავი ჩემს კისერზე მოეხვია და ბავშვზე უფრო მძიმე არც იქნებოდა.

მეორე დღეს შუადღისას დავიძარით და ბრბო, რომლის იქ ყოფნაც ცხადად ვიცოდი მთელი ის ხანი, კვლავ გამოვიდა ტყიდან და აავსო გაკაფული ადგილი, ფერდობი დაიფარა მრავალი შიშველი, მსუნთქავი, მოცახცახე, ბრინჯაოსფერი სხეულით. ჯერ აღმა წავიყვანე ორთქლმავალი და მერე მოვაბრუნე დინების მიმართულებით; ორი ათასი თვალი ასდევნებოდა ტყლაშუნსა და შხეფებას მდინარის ამ მძვინვარე დემონისა, საშინელი კუდით რომ სცემდა წყალს და ნასუნთქ შავ კვამლს უშვებდა ჰაერში. პირველი რიგების წინ, მდინარის გასწვრივ, ღია წითელი თიხით თხემით ტერფამდე გათხიპნილი სამი კაცი შეუსვენებლივ დააბიჯებდა წინ და უკან. როცა გავუსწორდით, მდინარისაკენ მობრუნდნენ, ფეხები აატყაპუნეს, რქებით მორთული თავების ქნევა და ალისფერ სხეულთა რხევა დაიწყეს; მდინარის მძვინვარე დემონისაკენ აქნევდნენ შავ ბუმბულთა შეკვრას, გაქუცულ, კუდიან ტყავსა და რაღაც ნივთს, გამომშრალ გოგრას რომ მოგაგონებდათ; დროდადრო ამოიძახებდნენ სიტყვებს, რაც არა ჰგავდა ადამიანური ენის ბგერებს; და უეცრად ამოხეთქილი, ღრმა გუგუნი ბრბოსი თითქოს პასუხობდა ამ სატანურ ლიტანიას.

კურცი მესაჭის ჯიხურში გადავიყვანეთ; აქ მეტი ჰაერი იყო. იწვა საწოლზე და ღია დარაბაში იცქირებოდა. ადამიანთა სხეულები შეჩოჩქოლდნენ და მუზარადის მსგავსი ვარცხნილობიანი, ყვითელლოყება ქალი გამოიჭრა მდინარის პირზე. ხელები გაშალა და რაღაც დაიძახა და მთელმა ველურმა ბრბომ აიტაცა ძახილი ვით მოღრიალე ქორომ სწრაფი, მჟღერი, სუნთქვაშეკრული ამოყვირებით.

„გესმით, რას ამბობენ?“ ვკითხე მე.

იგი გარეთ იცქირებოდა მგზნებარე, მომლოდინე მზერით, მის გამოხედვაში ნაღველი და სიძულვილი აღრეულიყო. პასუხი არ გამცა, მაგრამ ღიმილი შევნიშნე, გაურკვეველი აზრის მქონე ღიმილი გაუკრთა ფერმკრთალ ტუჩებზე და ცახცახით მოეკრუნჩხა. „მესმის თუ

არა?“ თქვა ნელა, ქშენით, თითქოს სიტყვებს ზებუნებრივი ძალა აძრობდა პირიდან.

საყვირის ბაწარი დავქაჩე, და ასე იმიტომ მოვიქეცი, რომ დავინახე, თუ რა ხალისიანი მოლოდინით გააშიშვლეს თოფები პილიგრიმებმა. მოულოდნელმა დაკივლებამ თავზარი დასცა შეგროვილ ბრბოს. „არა! ნუ დააფრთხობთ“, სინანულით შესძახა ვიღაცამ გემბანზე. რამდენჯერმე მოვწიე ბაწარს. დაიშალნენ და გაიქცნენ, ხტოდნენ, ეცემოდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ, თითქოს ზარდამცემი ხმის მოტყუება სურდათ. სამი წითელი ჯეელი პირქვე დაემხო ნაპირზე, თითქოს ტყვიას მოეცელოს. ის ბარბაროსულად ზვიადი ქალი კი მხოლოდ შეხტა და ტრაგიკულად მოგვაშვირა შიშველი ხელები ჩვენ და პირქუშად მბზინავ მდინარეს.

ქვევით, გემბანზე ბრიყვების ჯგრო მხიარულობდა და სხვა ველარა დავინახე კვამლის გამო.

მუქი ნაკადი მსწრაფლ გამოედინებოდა წყვდიადის გულიდან და ორჯერ უფრო ჩქარა მივყავდით ზღვისაკენ, ვიდრე აღმა სვლისას; კურცის სიცოცხლეც სწრაფად ქრებოდა, გაედინებოდა მისი გულიდან და ჩაედინებოდა ულმობელი დროის ზღვაში. მმართველი დამშვიდდა, აღარავითარ მღელვარებას აღარ ამჟღავნებდა, ორივეს კმაყოფილი და დაჯერებული თვალით გვიყურებდა: „საქმე“ იმაზე კარგად დასრულდა, ვიდრე ინატრებდა. ვხედავდი, დრო დგებოდა, რომ მე ერთადერთი ვრჩებოდი „არაჯანსაღი მეთოდის მომხრედ“. პილიგრიმები ათვალწუნებით მიმზერდნენ. მე, ასე ვთქვათ, მკვდართან ერთად ვიყავი მონიშნული. უცნაურია, როგორ მივიღე ეს გაუთვალისწინებელი



თანამშრომლობა, ეს არჩევანი კოშმარებისა, რაც თავს მომეხვა ამ პირქუშ მიწაზე, სადაც ეს მდაბალი და ხარბი ჩრდილები შემოჭრილიყვნენ.

კურცი მსჯელობდა. ხმა! ეს ხმა! სულ ბოლომდე ღრმად რეკდა. მან შეინარჩუნა ძალა, მჭევრმეტყველების შთამბეჭდავ ხვეულებში დაემალა უნაყოფო სიბნელე თავისი გულისა. ოჰ, იგი იბრძოდა! იგი იბრძოდა! მისი დაქანცული გონების ნამსხვრევებს ახლა აჩრდილები ეწვეოდნენ – ხატები სიმდიდრისა, სახელგანთქმულობისა ჩნდებოდნენ და ემორჩილებოდნენ მის ამოუწურავ ნიჭს კეთილშობილური და ამაღლებული გამოთქმისა. ჩემი საბედო, ჩემი სადგური, ჩემი კარიერა, ჩემი იდეები – სწორედ ამ საგნებს უტრიალებდა მისი მაღალფარდოვან სენტიმენტთა დროდადრო ამოთქმები. ნამდვილი კურცის აჩრდილი დასტრიალებდა სარეცელს ამ გამოფშუტული მოჩვენებითობისა, რომელსაც ბედისწერამ განუსაზღვრა – დამარხულიყო ყამირში პირველყოფილი მიწისა. მაგრამ სატანური სიყვარულიცა და არამიწიერი სიძულვილიც იბრძოდნენ მისი სულის დასაუფლებლად, რომელიც ტკბებოდა პრიმიტიული ემოციებით, ცრუდიდების წყურვილით, ფშუტე ჩინებით, წარმატებისა და ძალაუფლების ყოველნაირი გამოვლინებით.

დროდადრო საძაგლად ბავშვური ხდებოდა. სურდა მეფეები დახვედროდნენ რკინიგზის სადგურებზე, როცა რაღაც ძალზე სახიფათო არსაიდან დაბრუნდებოდა, სადაც დიად საქმეთ აღასრულებდა. „უჩვენე მათ, რომ ძალგიძს ნამდვილი სარგებლობის მოტანა და შენ შესაძლებლობათა აღიარებას წინ ველარაფერი დაუდგება“, იტყოდა იგი. „რა თქმა უნდა, ყოველთვის

უნდა იზრუნო საშუალებებზე – სწორ საშუალებებზე – ყოველთვის“.

გრძელი მოსახვევები, რომელთა გავლის შემდეგაც ზუსტად ერთი და იგივე სურათი იშლებოდა, ორთქლმავალს ჩაუვლიდნენ ხეთა ჯარით და მოთმინებით შესცქეროდნენ ამ მურიან ნაწილს სხვა სამყაროსი, წინამორბედს ცვლილებისა, დაპყრობისა, ვაჭრობისა, ულეტისა და კურთხევისა. საჭეს ვმართავდი და წინ ვიყურებოდი. „დახურე დარაბა“, მითხრა კურცმა, ერთ დღეს, „არ შემიძლია ამის ყურება“. დავემორჩილე. სიჩუმე ჩამოწვა. „ოჰ, მაგრამ მაინც ამოგგლეჯ გულს!“ დაუყვირა უხილავ უდაბურებას.

ორთქლმავალი გაგვიფუჭდა, როგორც მოველოდი, და კუნძულის თავთან გავჩერდით შესაკეთებლად. ეს შეჩერება იყო პირველი, რამაც შეარყია კურცის რწმენა. ერთ დილით ქაღალდთა წყება და ფოტოსურათი გადმომცა – ფეხსაცმლის თასმით შეკრული. „შემინახეთ“, მითხრა მან. „ეს მავნე რეგვენი“ მმართველს გულისხმობდა) „იკადრებს ჩემს ყუთებში ჩაძვრომას, თუ თვალი არ მეჭირება“. ნაშუადღევს ვინახულე. გულაღმა იწვა და თვალები დაეხუჭა, უჩუმრად გამოვბრუნდი, მაგრამ გავიგონე, როგორ ბუტბუტებდა, „იცხოვრე სწორად, მოკვდი, მოკვდი...“ ყური მივუგდე. მეტი აღარა უთქვამს. რომელიმე სიტყვის რეპეტიციას ხომ არ გადიოდა ძილში, ან რომელიმე საგაზეთო სტატიის ნაწყვეტი ხომ არ იყო? გაზეთებისათვის წერდა ხოლმე და კვლავაც ეს უნდოდა, „ჩემი მოვალეობაა ჩემ იდეათა გასავრცელებლად“.



უკუნი სიბნელე ეხვია გარს. ისე ვუყურებდი, როგორც თქვენ შეიძლება ჩახედოთ კაცს, ვინც უფსკრულის ფსკერზე წევს და მზე ვერასოდეს ჩასწვდება გასანათებლად. მაგრამ ბევრ დროსაც ვერ დავუთმობდი, რადგან ძრავის ხელოსანს ვეხმარებოდი ცილინდრების დაშლაში, რასაც ზეთი ეპარებოდა, ბარბაცის დახრილობას ვასწორებდით და ამგვარ საქმეებში ჩავფლულიყავით. ჩემ გარშემო ჯოჯოხეთური არეულობა იყო, ყველგან ჭანგი, ნაფშხვენი, ნაგავი, ჭანჭიკები, საშალები, ჩაქუჩები, ბურღები, ჩემთვის საძაგელი ნივთები, რადგან თავსა და ბოლოს ვერ ვუგებ. მცირე გრდემლი გავმართე, რაც, საბედნიეროდ, ნავზე აღმოგვაჩნდა; ვჯახირობდი ამ საბრალო ჯაბახანაზე, ვიდრე ერთიანად გადავიქანცებოდი და ჩავწვებოდი.

ერთ საღამოს, როცა სანთლით ხელში შევედი მასთან, შევშფოთდი, რადგან აცახცახებული ხმით ამბობდა, „ვწევარ აქ და სიკვდილს ველოდები“. სინათლე ერთ ნაბიჯზე იყო მის თვალთაგან. თავი ვაიძულე ამომეღერღა, „აჰ, რას ამბობთ!“ და გაშეშებული ვადექი თავზე.

ასეთი მიახლოება გარდასვლასთან, რაც მის ნაკვთებზე დავინახე, არასოდეს მინახავს და, ვიმედოვნებ, ველარასოდეს ვნახავ. კი არ შევძრწუნდი, მოვჯადოვდი. თითქოს საბურველი გადაეცალა. მის სპილოსძვლისფერ სახეზე ვხედავდი ზვიად სიამაყეს, დაუნდობელ ძალაუფლებას, სულმოკლე შიშს მძაფრი და უიმედო იმედგაცრუების გამო. თავის ცხოვრებას ხომ არ გასცქეროდა, ყოველ ნაწილაკს თავისი ვნებებისა, ცთუნებისა და მარცხს მაშინ, როცა სრულყოფი-

ლი ცოდნის უმაღლეს წამს მიაღწია? ჩურჩულით ამოიძახა რომელიღაც ხატის, რაღაცის ხილვისას, ორჯერ ამოიძახა და ეს ამოძახილი სხვა არა იყო რა, თუ არა ამოხვნეშა:

„შემზარავია! შემზარავი!“

სანთელი ჩავაქრე და ჯიხურიდან გამოვედი. პილიგრიმები საერთო ოთახში სადილობდნენ, მმართველის წინ დავიკავე ადგილი, შეკითხვის თვალით მომაჩერდა, მაგრამ წარმატებით ავირიდე მისი მზერა. უკან გადაიხარა, ნიშანდობლივი ღიმილი გამოუკრთა მდაბალ გამომეტყველებაში. წვრილ ბუზთა უსასრულო შხაპი ეხვია ფანარს, ჩვენს ტანსაცმელს, სახესა და ხელებს. უეცრად მმართველის მსახურმა ბიჭმა შემოყო კადნიერი თავი კარში და გესლიანი ზიზღით თქვა:

„მისტაჰ კურცი – მოკვდა“.

პილიგრიმები უკლებლივ გაცვივდნენ სანახავად. მე დავრჩი და სადილი განვაგრძე. მჯერა, არაადამიანურად უგრძნობლად ჩავითვლებოდი. რაც უნდა იყოს, ბევრი არ მიჭამია. ფანარი იქ იყო – შუქი, ხომ იცით – გარეთ კი ველური, ველური სიბნელე. მე აღარ მივახლოებივარ იმ გამორჩეულ ადამიანს, ვინც ამქვეყნად მისი სულის თავგადასავლის განაჩენი აღმოთქვა. ხმა წავიდა. რაღა რჩებოდა იქ? თუმცა რასაკვირველია, ვიცი, რომ მეორე დღეს პილიგრიმებმა რაღაც ჩაფლეს ტალახიან ორმოში.

მერე კინაღამ მეც დამმარხეს.

რაც უნდა იყოს, თქვენვე ხედავთ, არ შევერთებივარ კურცს იქ და მაშინ. არა. კოშმარის ბოლომდე სანახავად დავრჩი, და კიდევ ერთხელ დავამტკიცე



ერთგულება კურცისადმი. ბედისწერა იყო. ჩემი ბედისწერა! უცნაური რამაა ცხოვრება – იდუმალი წყება დაუნდობელი ლოგიკისა ამაო მიზნისათვის. ყველაზე მეტი, რისი იმედიც შეიძლება გქონდეს, საკუთარი თავის შეცნობაა და ისიც მეტად დაგვიანებით მოდის, როგორც მოსავალი ამოუწურავი დარდისა. სიკვდილს ვებრძოდი. ეს ყველაზე უფრო უსიამოვნო შეჯიბრია, რაც შეიძლება წარმოიდგინოთ. იმართება გაურკვეველ სინაცრისფრეში, ფეხქვეშ არაფერია, არაფერია გარშემო, უმაყურებლოდ, უხმაუროდ, უალტაცებოდ, უსურვილოდ დიადი გამარჯვებისა, უშიშოდ დიდი დამარცხებისა, გრილი სკეპტიციზმის სნეულ გარემოში, როცა საკუთარი სიმართლისა აღარ გწამს და უფრო ნაკლებ გჯერა მოწინააღმდეგის სიმართლისა. თუ ასეთია უმაღლესი სიბრძნე, მაშინ სიცოცხლე უფრო დიდი გამოცანა ყოფილა, ვიდრე ზოგიერთი ჩვენგანი ვარაუდობს. ბეწვზელა ვიყავი, რომ ამომეთქვა საბოლოო სიტყვები, და სამარცხვინოდ აღმოვაჩინე, რომ, ალბათ, არაფერი მქონდა სათქმელი. სწორედ ამიტომ ვამტკიცებ, რომ კურცი გამორჩეული კაცი გახლდათ. მას რაღაც ჰქონდა სათქმელი. მან თქვა. და რაკი მეც გადავიხედე ზღვარს მიღმა, მივხვდი, რას ნიშნავდა მისი მზერა, როცა სანთლის ალს ვერ ხედავდა, მაგრამ იმდენად ფართო იყო, შეეძლო მოეცვა მთელი სამყარო, იმდენად გამჭოლი, რომ შეეღწია ყველა გულში, რომელიც კი წყვდიადში ძგერს. მან შეაჯამა – განსაჯა. „შემზარავიო!“ გამორჩეული კაცი გახლდათ. ბოლოს და ბოლოს ეს სიტყვაა ერთგვარი რწმენის გამოხატულება; მასში იყო სიწრფელე, ხედვა, იყო მეამბოხური ცახცახი

მისი წარმოთქმისას, და შეშფოთებული სახე გამომკრთალი ჭეშმარიტების ხილვისას, უცნაური ნაერთი ვნებისა და სიძულვილისა. და ყველაზე უკეთ მახსოვს არა ის, რომ გადადებული ვიყავი, უფორმო, ფიზიკური ტკივილით სავსე სინაცრისფრე, დაუდევარი ზიზღი, რომ ყოველივე ქრება და თვით ტკივილიც კი. არა! მახსოვს მისი გარდასვლა, რითაც თითქოს მე ვიცხოვრე. მართალია, მან გაიარა უკანასკნელი გზა, გადააბიჯა ზღვარს, მაშინ, როცა მე ნება მომეცა შემეკავებინა ყოყმანა ნაბიჯი. და ალბათ აქაა მთელი განსხვავება; ალბათ მთელი სიბრძნე და მთელი ჭეშმარიტება და მთელი სიწრფელე ერთდება რაღაც მოუხელთებელ წამში, მაშინ, როცა გადავაბიჯებთ ზღურბლს უხილავისა. ალბათ! ვფიქრობ, ჩემი შეჯამება არ იქნებოდა სიტყვა დაუდევარი ზიზღისა. მისი ამოძახილი სჯობდა – ბევრად სჯობდა. ეს იყო დასტური, ზნეობრივი გამარჯვება, მოპოვებული აურაცხელი მარცხის შემდგომ, მდაბალ შიშთა და მდაბალ ვნებათდაკმაყოფილებისა. მაგრამ ეს გამარჯვება იყო. ამიტომაც დავრჩი კურცის ერთგული ბოლომდე და მის მერეც, როცა დიდი ხნის შემდეგ კიდევ ერთხელ მოვისმინე არა მისი ხმა, არამედ ექო მისი ბრწყინვალე მჭევრმეტყველებისა, ჩემკენ მომართული კრისტალივით გამჭვირვალე და სუფთა სულის მიერ.

არა, მათ ვერ დამმარხეს, იყო დროის გარკვეული ნაწილი, რაც ბუნდოვნად მახსოვს, უცნაურ ურუოლასავით, რაღაც ნაგლეჯივით წარმოუდგენელი სამყაროსი, სადაც არც იმედია და არც სურვილი. და კვლავ იმ სამარისებურ ქალაქში ამოვყავი თავი; მაშფოთებდა ხილვა ხალხისა, ქუჩებში რომ მიიჩქაროდნენ ერთმანეთისათვის ცოტა ფულის წასაციცქნად, უგემური საჭმლის სათქვლეფად, მავნე ლუდის ჩასაყლურწად და უმნიშვნელო და სულელურ სიზმართა დასასიზმრებლად. ისინი უხეშად იჭრებოდნენ ჩემს ფიქრებში. მაღიზიანებდა ამ აბეზართა თვალთმაქცური შეხედულებანი ცხოვრებაზე, რადგან დარწმუნებული ვიყავი არ ეცოდინებოდათ ის, რაც მე ვიცოდი. მათი ქცევა, ქცევა უბრალო ინდივიდთა, თავიანთ საქმეებზე რომ დადიან და დარწმუნებულნი არიან სრულ უსაფრთხოებაში, შეურაცხმყოფდა ისე, როგორც თავხედური მეტიჩრობა ბრიყვისა იმ საფრთხის წინაშე, რომლისაც არა გაეგება რა. არ გამაჩნდა სურვილი, ჭკუა დამერიგებინა მათთვის, მაგრამ მიჭირდა თავის შეკავება, რომ იმ ბრიყვული თვითკმაყოფილებით აღვსილ სახეებზე არ გამეცინა. გავბედავ და ვიტყვი, რომ მაშინ მთლად კარგად ვერ ვიყავი. ქუჩებში დავბარბაცებდი – ბევრი საქმე მქონდა მოსაგვარებელი – მწარედ ვულიმოდი სავსებით რესპექტაბელურ გვამებს. ვაღიარებ, რომ ჩემი საქციელი არ იყო მოსაწონი, მაგრამ ტემპერატურა იშვიათად მქონდა ნორმალური იმ დღეებში. ჩემი ძვირფასი მამიდის მცდელობანი „ჩემ ძალთა აღსადგენად“, შედეგებს ვერ ჰპოვებდა. ჩემს ძალებს კი არ სჭირდებოდა აღდგენა, ჩემს წარმოსახვას სჭირდებოდა დამშვიდება. კურცის მიერ გადმოცემულ ქაღალდთა შეკვრას კი ვინახავდი, მაგრამ არ ვიცოდი რა მომეხერხებინა მათთვის. დედა გარდაცვლოდა ცოტა ხნის წინათ და, როგორც მითხრეს, მისი საბედო უვლიდა. ერთ დღესაც სუფთად გაპარსული კაცი გამომეცხადა, ოქროსჩარჩოიანი სათვალე ეკეთა და თავი ოფიციალურად ეჭირა; გამოკითხვა დამიწყო, ჯერ გარ-

შემო მივლიდა, მერე კი თავაზიანი დაჟინებით მოითხოვა ის, რისთვისაც პატივი ჰქონდა ეწოდებინა გარკვეული „დოკუმენტები“. არ გამკვირვებია, რადგან ორჯერ ვეჩხუბე მმართველს ამ საგანზე ჯერ კიდევ იქ ყოფნისას. უარი ვტკიცე, მიმეცა თუნდ ნაგლეჯი იმ შეკვრისა და ამ სათვალიანსაც იმგვარადვე ვუპასუხე. ბოლოს უკვე პირქუშად დამემუქრა და დიდად გაცხარებული მიმტკიცებდა, ფირმას აქვს უფლება იცოდეს ყველაფერი თავის „ტერიტორიებზეო“. და „მრ. კურცის ცოდნა გამოუკვლევ მხარეთა შესახებ უსათუოდ ფართო და განსაკუთრებული იქნებოდა – თუ გავითვალისწინებთ მის დიდ უნარსა და იმ სავალალო გარემოებებს, რაშიც მოექცა, ამიტომ...“ თქვა მან. დავარწმუნე, რომ მრ. კურცის ცოდნა, რაც უნდა ფართო ყოფილიყო, არ შეეხებოდა კომერციისა და ადმინისტრაციის პრობლემებს. მაშინ მან მეცნიერება ახსენა. „აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნება თუ“, და სხვა და სხვა. მე შევთავაზე ანგარიში „ველურთა ჩვეულებების ჩახშობისა“, რასაც პოსტსკრიპტუმი მოხეული ჰქონდა. ხარბად აიტაცა, მაგრამ მერე ათვალწუნებით ასრუტუნდა. „ეს ის არ არის, რისი მოლოდინის უფლებაც გვქონდა“, შენიშნა მან. „მეტს ნურაფერს ელოდებით“, მივუგე. „მხოლოდ პირადი ბარათებია“. წავიდა და სამართლებრივი წარმოების მუქარა დატოვა. მეტად აღარც მინახავს. მაგრამ სხვა ჯეელი გამოჩნდა ორი დღის მერე, კურცის ბიძაშვილი უწოდა თავს და ძალიან სურდა შეეტყო მისი ძვირფასი ნათესავის ბოლო წუთების შესახებ. შემთხვევით ისიც გამაგებინა, რომ კურცი არსებითად დიდი მუსიკოსი იყო. „დიდი წარმატების მიღწევა შეეძლო“, მითხრა ამ



კაცმა, ვინც, მგონი, ორგანისტი იყო, გაფშეკილი ჭაღარა თმა გაქონილ პალტოს საყელოზე გადაჰფენოდა. საფუძველი არ მქონდა მის ნათქვამში დავეჭვებულიყავი; და დღემდე არ შემიძლია გითხრათ, რა პროფესიისა გახლდათ კურცი, თუკი ჰქონდა რაიმე პროფესია და რომელი იყო უდიდესი მისი ტალანტთაგან. მე მხატვარი მეგონა, რომელიც გაზეთებისათვის წერდა, ან ჟურნალისტი, რომელიც ხატავდა, მაგრამ თვით ბიძაშვილმაც (ბურნუთს რომ ყნოსავდა საუბრისას) ვერ მითხრა, თუ ვინ იყო კურცი. იგი უნივერსალური გენიოსი იყოო, და ამაში დავეთანხმე ბერიკაცს, ვინც ამის მერე ხმაურით მოიხოცა ცხვირი დიდ ბამბის ცხვისახოცით და წავიდა ბებრულად აღელვებული, თან წაიღო ზოგიერთი საოჯახო ბარათი და უმნიშვნელო ჩანაწერი. ბოლოს ჟურნალისტი მეწვია, ვინც იწვოდა, ისე სურდა შეეტყო, თუ რა ბედი ეწია მის „ძვირფას კოლეგას“. ამ სტუმარმა მაცნობა, რომ კურცისათვის შესაფერისი სფერო პოლიტიკა უნდა ყოფილიყო „პოპულარული მიმართულებით“. დაფანჩული, სწორი წარბები ჰქონდა, ჯაგარა, მოკლედ შეკრეჭილი თმა, განიერ ბაფთაზე ჩამოკონწიალებული პენსნე, და როცა გახურდა, თავისი აზრიც გამოთქვა, რომ კურცი წერით ვერ გამოირჩეოდა, „მაგრამ ღმერთო! როგორ ლაპარაკობდა ეს კაცი, იგი დიდ შეკრებებს აჯადოებდა. მას ჰქონდა რწმენა, გესმით? რწმენა ჰქონდა. შეეძლო თავი ყველაფერში დაერწმუნებინა. დიდებული ლიდერი იქნებოდა რომელიმე რადიკალური პარტიისა“, „რომელი პარტიის?“ ვკითხე. „ნებისმიერი პარტიისა“, მომიგო. „იგი ხომ... ხომ ექსტრემისტი იყო“. განა ასე არ ფიქრობო? მე დავეთანხმე. მერე უცებ

დაინტერესდა და მკითხა, „ხომ არ იცით, რამ აიძულა იქით გამგზავრებულიყო?“ „დიახ“ ვუპასუხე და მაშინვე გავუწოდე სახელგანთქმული ანგარიში, რათა გამოექვეყნებინა თუკი საჭიროდ მიიჩნევდა. ნაჩქარევად გადაათვალიერა, თან გამუდმებით ბურტყუნებდა, ბოლოს განსაჯა, „გამოდგებაო“ და გაიძურწა ნადავლთან ერთად.

ასე დავრჩი ბოლოს და ბოლოს ბარათთა თხელი შეკვრისა და გოგონას პორტრეტის ამარა. იგი ლამაზი მომეჩვენა, ვგულისხმობ, რომ ლამაზი გამომეტყველება ჰქონდა. ვიცი, რომ მზის შუქიც კი შეიძლება ტყუოდეს, და მაინც, კაცი გრძნობ, რომ შუქისა და პოზის ვერავითარი დაყენება ვერ გადმოსცემდა დახვეწილ აჩრდილს სიწრფელისა მის ნაკვთებზე. ჩანდა, რომ მზად იყო მოესმინა და არ დაეჭვებულიყო, აზრით არ შეგწინააღმდეგებოდა, ან თავკერძა ფიქრებს არ გაეტაცა. დავასკვენი, რომ უნდა წავსულიყავი და თვითონ დამებრუნებინა მისი პორტრეტი და ბარათები. ცნობისწადილი მკლავდა? დიახაც; და ალბათ სხვა გრძნობებიც. ყველაფერმა ჩაიარა, რაც კურცს ეკუთვნოდა: მისმა სულმა, მისმა სხეულმა, მისმა სადგურმა, მისმა გეგმებმა, მისმა სპილოს ძვალმა, მისმა კარიერამ. რჩებოდა მხოლოდ მოგონება მასზე და მისი საბედო, და მსურდა, როგორლაც ესეც გამესტუმრებინა წარსულში, დავიწყებისათვის გადამეცა ყველაფერი, რაც მისგან დამრჩა, როგორც უკანასკნელი სიტყვა ჩვენი საერთო ბედისწერისა. თავს კი არ ვიმართლებ. მკაფიოდ არ მაქვს წარმოდგენილი თუ რა მინდოდა სინამდვილეში. ეგებ ეს იყო იმპულსი გაუცნობიერებელი ერთგულებისა, ან



შესრულება იმ ირონიული აუცილებლობისა, რაც ადამიანური ყოფის ფაქტებში იმალება. არ ვიცი. ვერ ვიტყვი. მაგრამ წავედი კი.

ვფიქრობდი, რომ ხსოვნა მასზე სხვა მკვდრების ხსოვნასავით იქნებოდა, ყოველი კაცის ცხოვრებაში რომ გროვდება, ბუნდოვანი ანაბეჭდი გონებაში აჩრდილებისა, სწრაფად და საბოლოოდ რომ გადაიელვებენ; მაგრამ იმ მძიმე კარის წინ, მაღალ სახლებს შორის რომ მოქცეულიყო ისეთ წყნარსა და მოწესრიგებულ ქუჩაზე, როგორიც კარგად მოვლილი ხეივანია სასაფლაოზე, ხილვა მეწვია: კურცი საკაცეზე იწვა და ისე ხარბად გაეღო პირი, თითქოს მთელ დედამიწას უპირებდა შესანსვლას მთელ კაცობრიობასთან ერთად. იგი ჩემ წინაშე ცოცხლობდა; ისე, ოდესმე როგორც უცხოვრია – გაუმაძღარი აჩრდილი, შემზარავ რეალობასა და ბრწყინვალე მოვლენებისაკენ მისწრაფებული; ღამის აჩრდილზე უფრო ბნელი აჩრდილი, ულამაზესი მჭევრმეტყველების სამოსელში გახვეული. თითქოსდა ხილვა შინაც შემომყვა – საკაცე მზიდავ მოჩვენებებს მოჰქონდათ, გარშემო მორჩილ თაყვანისმცემელთა გუნდი ეხვია, უდაბურება ტყისა, ბზინვა მდინარისა, ბნელ მოსახვევთა შორის, უწყვეტი და დახშული ხმა დაფდაფებისა, გულივით რომ სცემდა, დამპყრობი წყვდიადის გულისა. ეს იყო ზეიმი უდაბურებისა, შურისმაძიებელი ლაშქრობა, რასაც მარტოდმარტო უნდა შევბმოდი სხვა სულის გადასარჩენად. და ხსოვნა იმისა, რაც იქ, შორეთში მესმოდა მისგან, და უკან ირეოდნენ რქიანი აჩრდილები, ცეცხლის ალები მოთმინებით აღვსილ ტყეებში, კვლავ გაცოცხლდნენ ის ნაწყვეტ-ნაწყ-

ვეტი ფრაზები და გაისმოდნენ წინასწარმეტყველური
და შემაშფოთებელი უბრალოებით. მახსენდებოდა მისი
საბრალო ვედრება, საბრალო მუქარა, კოლოსალუ-
რი რიგი მის საძაგელ სურვილთა, სიმდაბლე, ტანჯვა,
მშფოთვარე ტკივილი მისი სულისა. დაბოლოს, მახსოვს
თავშეკავებულმა და მისუსტებულმა რომ თქვა ერთ
დღეს: „სპილოს ძვლის ეს ნილი ახლა სულ ჩემია. კომ-
პანიას არ გადაუხდია მასში. დიდი პიროვნული რისკის
ფასად შევაგროვე. თუმც ვშიშობ თავისად გამოაცხადე-
ბენ. ჰმ, ძნელი საქმეა. რას ფიქრობთ, როგორ უნდა
მოვიქცე? შევეწინააღმდეგო? ჰა? მე მხოლოდ სამართ-
ლიანობა მსურს". ...მხოლოდ სამართლიანობა სურ-
და, მხოლოდ სამართლიანობა. ზარი დავრეკე პირველ
სართულზე, ნითელი ხის კარზე და ვიდრე ვიცდიდი,
მეჩვენებოდა, რომ შუშის ტიხარს მიღმიდან მიმზერდა
უსაზღვროდ ვრცელი მზერით, რაც მოიცავდა, გმობდა
და კრულავდა სამყაროს. მეჩვენებოდა, რომ მესმოდა
ჩურჩულით ამოძახილი, „შემზარავია! შემზარავი!"

მწუხრი ეშვებოდა. ველოდებოდი ძალზე მაღალჭე-
რიან სასტუმრო ოთახში, რომელსაც სამი გრძელი ფან-
ჯარა იატაკიდან ჭერამდე უწევდა ნათელი, ფარდებია-
ნი სვეტებივით. ავეჯის დაგრეხილი და მოოქროვილი
ფეხები და საზურგეები გამოუცნობ ნახაზებად ბზინა-
ვდნენ. მონუმენტური სითეთრით იკვეთებოდა მაღალი
მარმარილოს ბუხარი. როიალი პირწმინდად იკავებდა
კუთხეს; მუქად ბზინავდა მისი სწორი ზედაპირი, რო-
გორც გაპრიალებული და პირქუში სარკოფაგი. გაიღო
და დაიხურა მაღალი კარი. წამოვდექი.



წინ წამოდგა; შავებში გამოწყობილი, ფერმკრთალი
სახით მიახლოვდებოდა ბინდ-ბუნდიდან. გლოვობდა.
წელიწადზე მეტი გასულიყო კურცის სიკვდილიდან,
წელიწადზე მეტი გავიდა, ვიდრე ამბავი მოვიდოდა;
ისე ჩანდა, ამ ქალს მარად ემახსოვრებოდა და იგლო-
ვებდა. ორივე ხელი ჩამკიდა ხელებში და ჩაიბუტბუ-
ტა, „გავიგე, ჩამოსულხართ". შევნიშნე, რომ არც ისე
ახალგაზრდა იყო, ვგულისხმობ, რომ მთლად გოგოც არ
ეთქმოდა. საკმარისად მოწიფული იყო, რომ ეერთგულა,
ერწმუნა, ეტანჯა. ოთახში თითქოს უფრო ჩამობნელ-
და, თითქოს ღრუბლიანი საღამოს სევდიანმა ნათელმა
მის შუბლს მიაშურა თავშესაფარებლად. მისი ქერა თმა,
მისი ფერმკრთალი სახე, მისი ნათელი შუბლი თითქოს
ფერფლისფერი შარავანდით შემორტყმულიყო, საი-
დანაც შავი თვალები მიყურებდნენ. მზერა იყო წრფე-
ლი, ღრმა, დაჯერებული და სანდო. ისე ეჭირა მწუხარე
თავი, თითქოს ამაყობდა მწუხარებით, თითქოს ამბობ-
და, „მე, მხოლოდ მე ვიცი, თუ როგორ უნდა ვიგლო-
ვო ისე, იგი რომ იმსახურებს". მაგრამ ვიდრე ხელს
ვართმევდით ერთმანეთს, ისეთი სასოწარკვეთა გადაე-
ფინა სახეზე, მივხვდი, ისეთი ქმნილება არ გახლდათ,
რომელიც შეიძლება დროის სათამაშო შეიქნეს. მის-
თვის კურცი მხოლოდ გუშინ დაიღუპა. და იუპიტერს
ვფიცავ! ისეთი შთამბეჭდავი იყო, მეც მომეჩვენა, რომ
მხოლოდ გუშინ დაიღუპა – არა, სწორედ ამ წუთში.
მათ, ორივეს, ერთსა და იმავე დროის მონაკვეთში
აღვიქვამდი – კაცის სიკვდილსა და ქალის მწუხარე-
ბას – ვხედავდი ქალის მწუხარებას კაცის სიკვდილის
წამში. ხომ გესმით? ერთად ვხედავდი, მათი ხმები

ერთად მესმოდა. სუნთქვაშეკრულმა წარმოთქვა: „მე გადავრჩი“, და ჩემმა დაცქვეტილმა ყურებმა თითქოს ნათლად გაიგონა ეს იმედგაცრუებული წუხილი, შემაჯამებელი ჩურჩული მარადიული საწყევარისა. აქ რას აკეთებ-მეთქი, ჩემს თავს ვკითხე, გულში ისეთი პანიკა ტრიალებდა, თითქოს ისეთ ადგილას შევხეტებულიყავ, რომლის სასტიკსა და აბსურდულ მისტერიებსაც ვერ აღიქვამს ადამიანი. სკამზე მანიშნა. დავსხედით. შეკვრა მოკრძალებით დავდე მაგიდაზე და მან ხელი დააფარა, „თქვენ მას კარგად იცნობდით“, ჩაიბუტბუტა, წუთიერი სევდიანი დუმილის შემდეგ.

„იქ სწრაფად ახლოვდებიან“, ვთქვი მე. „ვიცნობდი ისე, როგორც შესაძლებელია ერთი კაცი იცნობდეს მეორეს“.

„და აღგაფრთოვანებდათ“, თქვა მან. „შეუძლებელია გცნობოდათ და არ აღფრთოვანებულიყავით. ასე არაა?“

„გამორჩეული კაცი იყო“, ყოყმანით ვთქვი. მერე კი, მერე კი მისი დაჟინებული და მავედრებელი მზერის გამო, თითქოს მეტ სიტყვებს რომ ეძებდა ჩემს ტუჩებზე, დავძინე, „შეუძლებელია არ...“

„გყვარებოდათ“, მგზნებარედ დაასრულა, მე კი დაბნეულობისაგან ენა ჩამივარდა. „დიახ, მართალია! მართალია! მაგრამ, იცით, არავინ იცნობდა მას ჩემსავით! მენდობოდა მთელი თავისი დიდსულოვნებით. ყველაზე უკეთ ვიცნობდი“.

„ყველაზე უკეთ იცნობდით“, გავიმეორე მე. და ალბათ ასეც იყო. თვითეული სიტყვის წარმოთქმისას ოთახი სულ უფრო და უფრო ბნელდებოდა და მხოლოდ მისი შუბლი, თეთრი და გადატკეცილი, რჩებოდა გაკაშკაშებული გაუნელებელი სინათლით რწმენისა და სიყვარულისა.



„თქვენ მისი მეგობარი იყავით“, განაგრძო მან. „მეგობარი“, გაიმეორა უფრო ხმამაღლა. „უნდა ყოფილიყავით, თუ ეს მოგცათ და ჩემთან გამოგატანათ. ვგრძნობ, რომ შემიძლია გითხრათ – და ოჰ! უნდა ვილაპარაკო. მსურს თქვენ – თქვენ, ვინც მისი უკანასკნელი სიტყვები მოისმინეთ – იცოდეთ, რომ მისი ღირსი ვიყავი... ეს არაა სიამაყე... დიახ! ვამაყობ, რომ ვიცი, ყველაზე უკეთ რომ მესმოდა მისი ამქვეყნად... თვითონ მითხრა. და რაც დედა გარდაეცვალა, მე აღარავის... აღარავის...“

ვუსმენდი. სიბნელე ღრმავდებოდა. იმაშიც კი არ ვიყავი დარწმუნებული, რომ კურცმა სწორედ ის შეკვრა მომცა, რაც აქ უნდა მომეტანა. ვეჭვობ, სურდა მეზრუნა ქალალდების მეორე შეკვრაზე, რომელსაც მისი სიკვდილის შემდეგ მმართველი ჩაჰკირკიტებდა ფარნის შუქზე. გოგონა კი ლაპარაკობდა, ტკივილს იმსუბუქებდა ჩემს თანაგრძნობაში დარწმუნებული; ისე ლაპარაკობდა, თითქოს მოწყურებული კაცი სვამსო. გავიგე, რომ მათი ნიშნობა მისიანებს არ მოსწონდათ. კურცი საკმაოდ მდიდარი არა ყოფილა, თუ რაღაც ამგვარი. და მართლაც, არც კი ვიცი, ალბათ მთელი ცხოვრება ღარიბი იყო. რაღაცნაირად მაგრძნობინა, რომ სწორედ შედარებითი სიღარიბის გამო წასულიყო იქით.

„...ვინ არ გამხდარა მისი მეგობარი, ვისაც კი ერთხელ მაინც მოუსმენია მისთვის?“ ამბობდა ქალიშვილი. „იგი იზიდავდა ადამიანებს მათივე საუკეთესო თვისებებით“.

დაჟინებით დამაცქერდა. „ეს დიდ ადამიანთა ნიჭია“, განაგრძო და მისი დაბალი ხმის ულერადობას თითქოსდა ასდევდა ყველა სხვა ხმა, რაც კი მსმენია, სავსე იდუმალებით, განწირულებით, მწუხარებით... მდინარის ჩუხჩუხი, ქარისაგან შერხეულ ხეთა შრიალი, ბრბოთა ბუტბუტი, სუსტი ულერა შორით მოსული გაურკვეველი სიტყვებისა, ჩურჩული ხმისა, მარადიული წყვდიადის ზღურბლის მიღმიდან რომ მოისმის. „მაგრამ თქვენ ხომ მოგისმენიათ მისთვის, თქვენ იცით!“ წამოიძახა მან.

„დიახ, ვიცი“, მივუგე რაღაც სასონარკვეთილების მსგავსით გულში, მაგრამ თავის მოდრეკით იმ რწმენის წინაშე, რაც მასში იყო, იმ დიადი და მხსნელი ილუზიის წინაშე, რაც არამიწიერი ელვარებით ანათებდა წყვდიადში, გამარჯვებულ წყვდიადში, რისგანაც ვერ დავიცავდი მას, და რისგანაც საკუთარ თავსაც ვერ ვიცავდი.

„რაოდენ დიდია ეს დანაკარგი ჩემთვის... ჩვენთვის!..“ გამოასწორა მოხდენილი დიდსულოვნებით; და მერე დუდუნით დასძინა, „მსოფლიოსათვის“. მწუხრის უკანასკნელ გამონათებაში ვხედავდი, ვითარ უელავდა ცრემლებით თვალები, ცრემლებით, რომელიც არ ჩამოვარდნილა.

„ძალზე ბედნიერი ვიყავი... ძალზე იღბლიანი... ძალზე ამაყი“, განაგრძო მან. „მეტისმეტად იღბლიანი. მეტისმეტად ბედნიერი – მცირე ხანს. ახლა კი უბედური ვარ... მთელი ცხოვრება“.

ფეხზე წამოდგა; მისი ქერა თმა ოქროსფერი ბზინვარებით იზიდავდა მთელ დარჩენილ სინათლეს. მეც ავდექი.



„და ყოველივე ამისაგან“, მგლოვიარედ განაგრძობდა, „მთელი იმედებიდან, რასაც იძლეოდა, მთელი მისი სიდიადიდან, დიდსულოვნებიდან, კეთილშობილი გულიდან არაფერი რჩება... ხსოვნის გარდა. თქვენ და მე...“

„ჩვენ ყოველთვის გვეხსომება იგი“, მსწრაფლ შევაგებე.

„არა!“ ატირდა იგი, „შეუძლებელია, რომ ყოველივე ეს დაიკარგოს... ასეთი ცხოვრება გაიწიროს და არაფერი დარჩეს... წუხილის გარდა. თქვენ ხომ იცით, რა დიადი გეგმები ჰქონდა. მეც ვიცოდი მათ შესახებ... ალბათ კარგად არ გამეგებოდა... მაგრამ სხვებმა იცოდნენ. რაღაც დარჩება. ბოლოს და ბოლოს მისი სიტყვები არ მოკვდება“.

„მისი სიტყვები დარჩება“, ვთქვი მე.

„და მისი მაგალითი“, წაიჩურჩულა თავისთვის. „ადამიანები ბაძავდნენ... მისი სიკეთე გამოსჭვიოდა თვითეული ქმედებიდან. მისი მაგალითი...“

„მართალია“, ვთქვი მე; „მისი მაგალითიც“, დიახ, მისი მაგალითი. დამავიწყდა“.

„მაგრამ მე არ მავიწყდება. არ შემიძლია... არ შემიძლია დავიჯერო... ჯერ ვერა. ვერ ვიჯერებ, რომ კვლავ ველარასოდეს ვნახავ, რომ კვლავ ველარავინ ნახავს, აღარასოდეს, აღარასოდეს“.

ხელები გაიწოდა თითქოს მიმავალი სხეულისაკენ, და მისი მკრთალი გადაჭდობილი ხელები მოჩანდა ფანჯრის ვიწრო, მილეულ ნათელში. ველარასოდეს ვნახავ! საკმარისად ნათლად ვნახე მაშინ. და თვალიდან არ მომშორდება ეს ენამჭევრი აჩრდილი, ვიდრე ვცოცხლობ და ქალიც, მასაც ვხედავ, ტრაგიკულსა და

ნაცნობ სულს, თავისი მოძრაობით მეორეს რომ ჰგავს, ასევე ტრაგიკულს, მორთულს უმაქნისი ჯადოებით, მუქ ხელებგაწვდილს მბზინვარე ჯოჯოხეთური მდინარისაკენ, წყვდიადის ნაკადისაკენ. უეცრად ძალზე ხმადაბლა ნათქვამი გავიგონე, „მოკვდა, როგორც ცხოვრობდა“.

„მისი დასასრული“, ვთქვი, შეფარული სიბრაზით, ჩემში რომ დუღდა, „ყოველმხრივ შეეფერებოდა მის ცხოვრებას“.

„და მე მასთან არ ვიყავი“, ბუტბუტებდა იგი. ბრაზმა ადგილი დაუთმო უსაზღვრო სიბრალულს.

„ყველაფერი, რაც კი შეიძლებოდა...“ წავიბურტყუნე.

„მაგრამ მე მისი მჯეროდა ყველაზე მეტად ამქვეყნად... დედამისზე მეტადაც კი... თვით მასზე მეტადაც. მას ვჭირდებოდი! მე! ყველაფერს შევინახავდი, ყოველ ამოოხვრას, ყოველ სიტყვას, ყოველ ნიშანს, ყოველ გამოხედვას“.

თითქოს სიცივემ შემიკუმშა მკერდი. „ნუ“, ვთქვი დახშული ხმით.

„მომიტევეთ. იმდენ ხანს ვგლოვობდი მდუმარებაში... მდუმარებაში... თქვენ მასთან იყავით... ბოლომდე? მის მარტოობაზე ვფიქრობ. არავინ იყო მასთან, ვინც გაუგებდა ისე, როგორც მე გავუგებდი. ალბათ არავის გაუგონია...“

„სულ ბოლომდე“, ვუპასუხე ყოყმანით. „მე გავიგონე მისი უკანასკნელი სიტყვები...“ შიშით შევჩერდი.

„გამიმეორეთ“, წაიბუტბუტა ჩაწყვეტილი ხმით. „მინდა... მინდა... რაღაც... რითაც ვიცხოვრებ.“



მინდოდა მეყვირა მისთვის, „ნუთუ არა გესმით ის სიტყვები?“ მწუხრში გაისმოდა დაჟინებული ჩურჩული და მეორდებოდა ჩვენ გარშემო, ჩურჩული მუქარით ტრიალებდა, ვით აღძრული ქარის პირველი ჩურჩული. „შემზარავია! შემზარავი!“

„მისი უკანასკნელი სიტყვები... რათა ვიცხოვრო“, დაჟინებით მოითხოვდა იგი. „ნუთუ არ გესმით, რომ მიყვარდა... მიყვარდა... მიყვარდა!“

თავი დავიმორჩილე და ნელა ვთქვი.

„უკანასკნელი, რაც წარმოთქვა, იყო... თქვენი სახელი“.

სუსტი ამოოხვრა გავიგონე და მერე კინაღამ გული გამიჩერდა და გამეყინა აღტაცებული და საშინელი ამოძახილის გაგონებაზე, რაშიც მოისმოდა წარმოუდგენელი ტრიუმფი და გამოუთქმელი ტკივილი. „ვიცოდი... დარწმუნებული ვიყავი!..“ იცოდა. დარწმუნებული იყო. მესმოდა მისი ქვითინი; სახე ხელებში ჩაემალა. მეჩვენებოდა, რომ სახლი დაიქცეოდა, ვიდრე გამოვაღწევდი, ზეცა დამემხობოდა თავზე. მაგრამ არაფერი მომხდარა. ზეცა არ იქცევა ასეთი წვრილმანის გამო. ნეტა თუ დაიქცეოდა, მე რომ სამართლიანად მიმეზღო კურცისათვის, რასაც იმსახურებდა? მან ხომ თქვა, მხოლოდ სამართალს მოვითხოვო? მაგრამ ვერ შევძელი. ვერ ვუთხარი. მაშინ ძალიან დაბნელდებოდა, სრული უკუნი გამეფდებოდა...“

მარლო დადუმდა, მარტო მჯდომი, გაურკვეველი და მდუმარი ქვრეტაში ჩაძირული ბუდასავით. ცოტა ხანს არავინ დაძრულა. „პირველი უკუქცევა გაგვეპარა“, თქვა უეცრად დირექტორმა. თავი ავწიე. ზღვის-

პირი შავ ღრუბლებს დაეფარა, და წყნარი წყალგასავალი მიგვიძღოდა მიწის დასალიერისაკენ, მშვიდად მიედინებოდა მოღრუბლულ ცისქვეშ – თითქოს უსაზღვრო წყვდიადის გულისაკენ მივყავდით.

# პრინცი რომანი

სამოცდაათი წლის წინანდელი ამბები ალბათ ისე დაგვშორდნენ, იოლად ვეღარც ჩავურთავთ შინაურ მუსაიფში. 1831 წელი, ცხადია, ისტორიული თარიღია ჩვენთვის, ერთი იმ საბედისწერო წელთაგანი, როდესაც მსოფლიოს ჩუმი დრტვინვითა და მჭევრი თანაგრძნობით გულმოცემულნი კიდევ ერთხელ ვდუდუნებდით „Vae Victis" (ვაი დამარცხებულთ) და მწუხარებით ვითვლიდით დანაკარგს. ისე არც ანგარიშში ვუქნივართ ღმერთს, მოგებისას იქნება თუ წაგებისას. ეს ის გაკვეთილია, რომელსაც ვერასოდეს ვისწავლით ჩვენი მტრების სანყენად, მტრებისა, რომელთაც გამოუსწორებლის ეპითეტი მოგვაკერეს...

მოსაუბრე პოლონელი გახლდათ, შვილი იმ ერისა, რომელიც ცოცხალი ისე არ არის, როგორც გადარჩენას ცდილობს, და ჯიუტად აგრძელებს ფიქრს, სუნთქვას, მეტყველებას, იმედოვნებასა და ტანჯვას საფლავში – შემოზღუდული მილიონი ხიშტითა და სამგზის დაბეჭდილი სამი დიდი იმპერიის ბეჭდით.

არისტოკრატიაზე საუბრობდნენ. როგორ წამოიჭრა ეს დღეისათვის გაკოტრებული თემა? მას შემდეგ რამდენიმე წელი გავიდა და მოგონება გაფერმკრთალდა. მაგრამ მახსოვს, რომ სოციალური შერწყმის ნაწილად არ განხილულა; და ნამდვილად მაგონდება, რომ ამ თემას პატრიოტიზმზე აზრთა გაცვლა-გამოცვლისას

მივადექით – პატრიოტიზმი ცოტა არ იყოს გაკოტრებული გრძნობაა, რაკიღა ჩვენს ჰუმანისტთა ფაქიზი გემოვნება ბარბაროსობის გადმონაშთად მიიჩნევს. თუმც დიადი ფლორენციელი მხატვარი, ვინც თავის ქალაქზე ფიქრობდა, როდესაც სიკვდილმა თვალები დაუხუჭა, და არც წმინდა ფრანცისკი, უკანასკნელი ამოსუნთქვის ჟამს ქალაქ ასიზს რომ ლოცავდა, ბარბაროსები არა ყოფილან. სულის ერთგვარი სიდიადეა აუცილებელი, რათა შესაფერისად განმარტო პატრიოტიზმი – ან, სხვაგვარად, გრძნობათა სიწრფელე, უარყოფილი თანამედროვე აზროვნების მდაბიო მოდის მიერ, რომელსაც ვერ გაუგია დიადი უბრალოება ადამიანთა და საგანთა ბუნებისა.

არისტოკრატია, რომელზეც ვსაუბრობდით, უმაღლესი, უდიდესი ოჯახები გახლდნენ ევროპისა, არც გაღატაკებული, არც გადაგვარებული, არც გალიბერალებული, არამედ ყველაზე გამორჩეული და გამოკვეთილი კლასი კლასთან შორის, ვისაც თვით პატივმოყვარეობაც ვერ აღძრავს სამოქმედოდ და წარმართავს რაიმეს ჩასადენად.

რაკიღა ჩამორთმეოდათ უცილო უფლება წინამძღოლობისა, ვმსჯელობდით, რომ დიადი ბედისწერა, მათი კოსმოპოლიტობა, ფართო კავშირებმა რომ მოუტანეს, მათი მაღალი მდგომარეობა, ძალზე მცირე მოგებითა და უამრავი დანაკარგით, გაურთულებთ ყოფას პოლიტიკური მღელვარებისა და ეროვნული ამბოხების ჟამს. რადგანაც წინამძღოლებად აღარ იბადებიან – რაც არისტოკრატიის მთავარი არსია – ძნელი ხდება მათთვის სხვაგვარად მოიქცნენ, თუ არა გაერიდონ სახალხო მღელვარების დიად მოძრაობას.



ეს მაშინ დავასკვენით, გარდასულ დროთა ამბებს რომ შევეხეთ და 1831 წელი ვახსენეთ, და მოსაუბრემ განაგრძო:

„ვერ ვიტყვი, პრინც რომანს ვიცნობდი-მეთქი იმ გარდასულ ჟამს. ვატყობ, საკმაოდ მოვხუცდი, მაგრამ ისე ხნიერიც არა ვარ. პრინცი რომანი სწორედ იმ წელიწადს დაქორწინდა, მამაჩემი რომ დაიბადა. 1828 წელი გახლდათ; მეცხრამეტე საუკუნე ჯერაც ახალგაზრდა იყო და პრინცი კიდევ უფრო ყმაწვილი, ვიდრე საუკუნე, მაგრამ ზუსტად რამდენით, ვერ მოგახსენებ. რაც უნდა იყოს, ადრე დაქორწინდა. ყოველმხრივ იდეალური კავშირი დაერქმეოდა. გოგონა ნორჩი იყო და მშვენიერი, ობოლი მემკვიდრე დიდი გვარისა და ქონებისა. პრინცი, იმჟამად ოფიცერი და თანატოლთა შორის თავშეკავებული და დინჯი ხასიათით გამორჩეული, თავდავიწყებით ეტრფოდა მის მშვენიერებას, მომხიბვლელობასა და მისი გულისა თუ გონების ღრმა თვისებებს. პრინცი უთქმელი ყმაწვილკაცი გახლდათ; მაგრამ მისი მზერა, ქცევა და მთელი არსება გამოხატავდა სრულ ერთგულებას რჩეული ქალისა, ერთგულებას, რასაც ქალი სიწრფელითა და მომაჯადოებელი მანერით პასუხობდა.

ამ წმინდა, ჭაბუკური ვნების ცეცხლს სამარადისოდ უნდა ეგიზგიზა; და იმ სეზონზე გაანათა მშრალი, ცინიკური გარემო სანკტ-პეტერბურგის დიადი სამყაროსი. თვით იმპერატორმა ნიკოლოზმა, ამჟამინდელის პაპამ, ყირიმის ომს ვინც შეეწირა, უკანასკნელმა თვითმპყრო-

ბელთაგან, ვისაც მისტიკურად სწამდა თავისი მისიის ღვთაებრივი ბუნება, მიაქცია ყურადღება ამ შეყვარებული წყვილის დაქორწინებას. ნიკოლოზი მართლა არ აშორებდა მოდარაჯე თვალს პოლონელ დიდაზნაურთა ყოფას. ახალგაზრდები მათი წარჩინებისათვის შესაფერისი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და სულითა და გულით ჩაჰკვროდნენ ერთმანეთს; და საზოგადოება, მოჯადოებული მათი გრძნობის გულწრფელობით, კუდაბზიკა და მოფუთფუთე, ხელოვნურ გარემოში კეთილი შემწყნარებლობითა და განსაცვიფრებელი სინაზით ადევნებდა თვალს. ქორწინება დედაქალაქში საზოგადოებრივ მოვლენად იქცა. ზუსტად ორმოცი წლის შემდეგ ერთხანს ჩავრჩი სამხრეთ პროვინციის სოფლის სახლში ბიძაჩემთან, დედის ძმასთან.

ყრუ ზამთარი იდგა. სახლის წინ გადაშლილი მდელო ისეთი სუფთა და კრიალა იყო, როგორც ალპური თოვლიანი მინდორი, თეთრი და ბუმბულივით მსუბუქი თოვლის საფარი ბრილიანტის მტვერივით ბრწყინავდა და ბზინავდა მზის ქვეშ, ნარნარად ეშვებოდა ტბისაკენ – გრძელი, ტალღისებრი წყალსატევისაკენ, ლურჯად და მიწაზე უფრო საიმედოდ და მყარად რომ მოჩანდა. ცივი, კაშკაშა მზე დაბლა მიცურავდა თოვლის უზარმაზარტალღოვან ნამქერთა თავზე, სადაც ჩაკარგულიყო უკრაინელ გლეხთა სოფლები, როგორც მღელვარე ზღვის უფსკრულებში ჩანთქმული ნავების გუნდი. და ყველაფერი გარინდულიყო.

ახლა აღარ მახსოვს, თუ როგორ მოვახერხე დილის თერთმეტ საათზე სკოლიდან გამოპარვა. რვა წლის ბიჭი ვიყავი, ჩემი ბიძაშვილი – ორიოდე თვით ჩემზე უმცროსი გოგონა, თუმც მემკვიდრეობით უფრო ფიცხი ხასიათისა გახლდათ, მაინც ნაკლებ მოყვარული თავგადასავლებისა. ასე რომ, მარტო გამოვიპარე; და აღმოვჩნდი ქვით მოკირწყლულ ვეება დარბაზში, თეთრი ფილებით მოპირკეთებული უზარმაზარი ღუმელით რომ თბებოდა და ეს ბევრად საამო გარემო გახლდათ, ვიდრე საკლასო ოთახი, სადაც რაღაც მიზეზით, ალბათ ჰიგიენისა, ყოველთვის ნაკლები სითბო სუფევდა.



ბავშვებმა ვიცოდით, რომ შინ სტუმარი იყო. წინა ღამით ჩამოვიდა, როდესაც ჩვენ დასაძინებლად გაგვისტუმრეს. მაინც გამოვაღწიეთ, ყველას დავუძვერით და ცხვირები მივაჭყლიტეთ ჩაბნელებული ფანჯრის მინებს; მაგრამ მაინც ძალზე დავიგვიანეთ და განათებულში ველარ დავინახეთ. თვალისმომჭრელ წითელ შუქში მხოლოდ დიდ სამგზავრო ექვსცხენშებმულ ეტლ-მარხილს მოვკარით თვალი, შავ ლაქას თოვლზე, საჯინიბოსაკენ რომ მიემართებოდა, წინ მხედარი მიუძღოდა, ხელში გრძელ ჯოხზე წამოცმული ძენძის მანათობელი მაშხალა და კუპრჩასხმული რკინის სათლი ეჭირა. ადრე ნაშუადღევს ორი მეჯინიბე გაგზავნეს თოვლიან ბილიკებზე, რათა მწუხრისათვის მოსალოდნელ სტუმარს დახვედროდნენ და გზა გაენათებინათ მაშხლებით. უნდა გახსოვდეთ, რომ იმჟამად ერთი მილი რკინიგზაც არ გამოეყვანათ ჩვენს სამხრეთ პროვინციებში. მე და ჩემმა პატარა ბიძაშვილმა არაფერი ვიცოდით მატარებლებსა და მანქანებზე, მხოლოდ სურათებიან წიგნებში თუ გვენახა, და ბუნდოვნად, შორეულზე შორეულად წარმოგვედგინა და არც დავინტერესდებოდით,

უფროსებისაგან რომ არ გვსმენოდა, საზღვარგარეთ ვისაც ემოგზაურა.

პრინცებზე ალბათ ცოტა მეტი ვიცოდით, უმთავრესად ლიტერატურიდან, და ჯერაც არ გაგვშორებოდა ზღაპრებიდან მოფენილი ხიბლი, სადაც პრინცები ყოველთვის ჭაბუკნი, მომხიბლავნი, გმირები და იღბლიანები არიან. და მაინც, სხვა ბავშვებივით შეგვეძლო გაგვევლო ზღვარი რეალურსა და იდეალურს შორის. ვიცოდით, რომ პრინცები ისტორიული პირები იყვნენ. და ამაშიც იყო რაღაც ჯადოსნური. მაგრამ შინ ფრთხილად, გამოპარული ტუსაღივით იმიტომ დავხეტიალობდი, ვიმედოვნებდი, ჩემს გულითად მეგობარს, მთავარ მეტყევეს გადავწყდომოდი, ვინც ამ დროს ჩამოდიოდა ხოლმე ვითარების მოსახსენებლად. მოუთმენლად ველოდი ახალ ამბებს ერთი მგლის შესახებ. მოგეხსენებათ, სოფლის მიდამოებში, სადაც მგლები ბინადრობენ, ყოველ ზამთარს ჩნდება ინდივიდი, განთქმული თავხედური ავი საქმენით, სხვებზე მეტად გამორჩეული მგლობით, თუ შეიძლება ასე ითქვას. მინდოდა მომესმინა ახალი ჟრუანტელისმომგვრელი ამბავი იმ მგელზე – იქნებ მისი დრამატული აღსასრულიც...

მაგრამ დარბაზში არავინ იყო.

იმედები რომ გამიცრუვდა, უეცრად ძალზე დავითრგუნე. არ შემეძლო მეცადინეობას მივბრუნებოდი, ამიტომ ვარჩიე უგულოდ შევხეტებულიყავ საბილიარდოში, სადაც მართლა არაფერი მესაქმებოდა. იქაც ვერავის მოვკარი თვალი და თავი მიტოვებულად და დაკარგულად წარმომიდგა ამ მაღალ ჭერქვეშ, მარტოდმარტოდ ბილიარდის დიდ ინგლისურ მაგიდასთან, რომელმაც



თავისი მძიმე და გამოკვეთილი სიჩუმით თითქოსდა გააქარწყლა პატარა ბიჭის შემოჭრა.

უკან გაბრუნებაზე რომ დავფიქრდი, ნაბიჯების ხმა მომესმა გვერდითა სასტუმრო ოთახიდან და, ვიდრე კუდს ამოვიძუებდი და გავძვრებოდი, კარში ბიძაჩემი და მისი სტუმარი გამოჩნდნენ. გაქცევა, მას შემდეგ, რაც დამინახეს, დიდი უზრდელობა იქნებოდა, და ფეხი აღარ მომიცვლია. ბიძაჩემს გაუკვირდა ჩემი დანახვა. მის გვერდით მდგარი სტუმარი გამხდარი კაცი გახლდათ, საშუალო აღნაგობისა, ღილებშეკრული შავი სერთუკი ეცვა და წელში გასწორებულს ჯარისკაცური სიხისტით ეჭირა თავი. ნაზი, თეთრმაქმანიანი ტილოს ყელსახვევის ნაკეცებიდან საყელოს წვერები ორივე გაპარსული ლოყის გასწვრივ ამოყოფილიყო. ორიოდე ბლუჯა თხელი ნაცრისფერი თმა თანაბრად ამობუჩქოდა მელოტ კეფაზე. მის სახეს, ოდესღაც მშვენიერიც რომ ეთქმოდა, ასაკში ხაზების ჰარმონიული უბრალოება შეენარჩუნებინა. განმაცვიფრა მისმა ერთგვაროვანმა, თითქმის მკვდრულმა სიფერმკრთალემ. მომეჩვენა, რომ ღრმად მოხუცებული იყო; მკრთალმა ღიმილმა, უეცარმა ცვლილებამ მის თხელ ტუჩთა კუთხეებში დამაბნია და გამანითლა; დიდად დავინტერესდი, როცა დავინახე, პალტოს ჯიბეში რომ ჩაიყო ხელი. იქიდან გრიფელის ფანქარი და მოსახევ ფურცელთა შეკვრა ამოიღო და ბიძაჩემს მიაწოდა თითქმის შეუმჩნეველი თავის დაკვრით.

ძალიან გავკვირდი, მაგრამ ბიძაჩემმა, ვითომც არაფერიო, ისე გამოართვა. რაღაცა დაწერა, ხელახლა დახედა და ოდნავ დაუკრა თავი. თხელი, დანაოჭებუ-

ლი ხელი, სახეზე უფრო ხნიერი, მომითათუნა ლოყაზე და თავზე დამადო მსუბუქად. ჩავარდნილი ტუჩებიდან გაისმა ყრუ ხმა, ისეთივე ფერმკრთალი, როგორც სახე, შავი და უმოძრაო თვალები კეთილად დამყურებდნენ.

„და რამდენი წლისაა ეს მორცხვი ბიჭუნა?"

ვიდრე პასუხს მოვასწრებდი, ბიძაჩემმა ჩემი ასაკი ფურცელზე დაუწერა. ამან სულ გამაოგნა. რა ცერემონია სრულდებოდა? ნუთუ ეს პიროვნება ისეთი დიდი ვინმე ბრძანდებოდა, რომ მიმართვა არ ეკადრებოდა? მან კვლავ დახედა ფურცელს, ისევ დაიქნია თავი და კვლავ გაისმა უპიროვნო, მექანიკური ხმა: პაპამისს წააგავს.

მახსოვდა პაპაჩემი, მამის მამა. არცთუ დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი. ისიც ღრმად მოხუცი გახლდათ. და სავსებით ბუნებრივად მეჩვენებოდა, რომ ორ ასეთ ხნიერსა და პატივსაცემ პიროვნებას სცნობოდა ერთმანეთი გარდასულ, სამყაროს შექმნის ჟამს, ჩემს დაბადებამდე. მაგრამ ბიძაჩემმა მართლა არაფერი იცოდა ამის თაობაზე, და ეს ისე აშკარა იყო, რომ მექანიკურმა ხმამ განუმარტა:

„დიახ, დიახ, ვმეგობრობდით 31-ში. იგი ერთი მათგანი იყო, ვინც იცოდა. ძველ დროში, ჩემო ძვირფასო, ძველ დროში..."

ხელი ისე გაიქნია, თითქოს აბეზარ აჩრდილს იშორებსო. და ახლა ორივე დამყურებდა. ნეტა რა უნდათ ჩემგან-მეთქი, ვიფიქრე. ბიძაჩემმა ჩამხედა გაოცებისაგან დამრგვალებულ თვალებში და მითხრა, „სრულიად ყრუა". და აუწერელმა, უემოციო ხმამ კი: „მომეცი ხელი".



მელნიანი თითები გამახსენდა და ხელი გაუბედავად გავუწოდე, მანამდე ყრუს არასოდეს შევხვედროდი და შეშფოთება დამეუფლა. მან ხელი მტკიცედ ჩამომართვა და უკანასკნელად გადამისვა თავზე ხელი.

ბიძაჩემმა საზეიმოდ მომმართა.

„შენ ხელი ჩამოგართვა პრინცმა რომან ს-მ. გახსოვდეს იმ დროისათვის, როდესაც გაიზრდები".

მისმა კილომ შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. საკმაოდ ვიყავ გათვითცნობიერებული ისტორიაში, რათა ბუნდოვნად მცოდნოდა, რომ ს-ს პრინცები რუტენიის მმართველებად დადგენილიყვნენ, ვიდრე რუტენიის სამფლობელოები პოლონეთს შეუერთდებოდა, ამის შემდეგ, სადღაც მეთხუთმეტე საუკუნის დამდეგიდან ისინი გვევლინებიან პოლონეთის წარჩინებულ ოჯახებს შორის. მაგრამ ყველაზე მეტად ის მაწუხებდა, რომ ზღაპრული ჯადო დაიკარგა. ჩემთვის გამაოგნებელი გახლდათ შეხვედრა ყრუ, მელოტ, ძვალ-ტყავად ქცეულსა და მიხრწნილ პრინცთან. ვერასოდეს დავიჯერებდი, რომ ეს თავზარდამცემი და იმედის გამაცრუებელი კაცი ოდესღაც ჭაბუკი იყო, მდიდარი და მომხიბლავი. საიდან უნდა მცოდნოდა, რომ იგი ბედნიერი გახლდათ, როდესაც ილბლიანი და იდეალური ქორწინებით შეკავშირდა ორი ყმაწვილი გული, ორი დიდი გვარი და ორი მდიდარი ოჯახი; და ისეთი ლაღი და ბედნიერი, რომ ეს ბედნიერება ზღაპრულივით თითქოს სამუდამოდ უნდა გაგრძელებულიყო...

მაგრამ სამუდამოდ არ გაგრძელებულა. ბედისწერამ ისე განსაზღვრა, რომ დედამიწაზე ადამიანის ყოფნის ვადასთან შეეფარდებითაც კი არ გასტანა ძალიან დიდ-

ხანს, რადგანაც მარადიული ბედნიერება მხოლოდ ჯადოსნური ზღაპრების დასასრულს გვხვდება. ქალიშვილი შეეძინათ და მალე პრინცესას ჯანმა უღალატა. ცოტა ხანს უშიშარი ღიმილით იტანდა სნეულებას, ის განცდა აძლიერებდა, რომ მისი სიცოცხლე ესაჭიროებოდა ორი არსების ბედნიერებას. მაგრამ ბოლოს ქმარმა, შეშფოთებულმა მისი გარეგნობის სწრაფი ცვალებადობით, უვადო შვებულება გამოითხოვა და მეუღლე სოფლად, თავის მშობლებთან წაიყვანა.

მოხუცი პრინცი და პრინცესა ძალზე შეაშფოთა საყვარელი რძლის ყოფამ. მაშინვე დაიწყეს მზადება საზღვარგარეთ გასაგზავნად. მაგრამ, როგორც ჩანს, უკვე ძალიან დაგვიანებულიყო; და თვითონ სნეულმა ნაზად, მაგრამ დაბეჯითებით უარყო გამგზავრება. გამხდარი და ფერმკრთალი, დიდ სავარძელში ჩაფლული, მზაკვარი და უცნობი სენისაგან დაჯაბნილი ყოველდღე სულ უფრო პატარავდებოდა და იშრიტებოდა, მაგრამ მის თვალებს ღიმილი არა სცილდებოდა და სახეს – მომხიბვლელობა. ჩაბღაუჭებოდა მშობელ მიწას და მშობლიური ჰაერის სუნთქვა სურდა. უფრო სწრაფად ვერსად ვერ გამოჯანმრთელდებოდა, ასე ადვილადაც ვერსად ვერ აღესრულებოდა.

მანამ გარდაიცვალა, სანამ მისი პატარა გოგონა ორი წლისა შესრულდებოდა. საშინელი გახლდათ ქმრის მწუხარება და მეტად შემაშფოთებელი მშობლებისათვის, სრული მდუმარებისა და დამშრალი თვალების გამო. დაკრძალვის შემდგომ, როდესაც იშლებოდა საგვარეულო ტაძარს შემორტყმულ ქუდმოხდილ გლეხთა ვეება გუნდი, პრინცი ჩამოსცილდა მეგობრებსა და



ნათესავებს, დარჩა მარტო და შეჰყურებდა, თუ როგორ ხურავდნენ კალატოზები საგვარეულო აკლდამას. როდესაც უკანასკნელი ქვაც დაიდო, კვნესა აღმოხდა, ტკივილის გამომხატველი ერთადერთი ბგერა, რაც იმ დღეებში წამოსცდა, თავჩაღუნული გაეშურა და ოთახში გამოიკეტა.

დედ-მამა შიშობდა, ჭკუაზე არ გადაცდესო. მისი ზღვარგადასული სიმშვიდე აშფოთებდათ. აღარავითარი იმედი აღარ შერჩენოდათ, გარდა მისი სიჭაბუკისა, რაც მის მწუხარებას ასეთ მძაფრსა და ყოვლისმშთანთქმელს ხდიდა. მოხუცი პრინცი იოანი შეშფოთებული და გაღიზიანებული იმეორებდა, „საბრალო რომანი როგორმე უნდა გამოცოცხლდეს. იგი ისე ახალგაზრდაა“. მაგრამ ვერაფერს ჰპოვებდნენ მის გამომაცოცხლებელს. მოხუცი პრინცესა კი თვალებს იმშრალებდა და გულში ნატრობდა, ისე ყმაწვილი მაინც იყოს, მოვიდეს, კალთაზე თავი დამადოს და იქვითინოსო. პრინცი რომანი დროდადრო ცდილობდა შეერთებოდა თავის წრეს, მაგრამ სული და გული თითქოს საოჯახო აკლდამაში ჩაკარგულ მეუღლესთან ერთად დაემარხა. თოფიანი დაეხეტებოდა ტყეში, რომელიმე მეტყევე ჩუმად აედევნებოდა და საღამოს კი ახლობლებს მოახსენებდა, „მის უგანათლებულესობას მთელი დღე ერთხელაც არ გაუსვრიაო!“ დილაობით ხანდახან საჯინიბოში შეივლიდა და ხმადაბლა უბრძანებდა ცხენი შეეკაზმათ, დაიცდიდა, ვიდრე ჩექმას მოარგებდნენ, შემდეგ უსიტყვოდ ამხედრდებოდა და ნელი ჩორთით გაივლიდა ჭიშკარს. მთელი დღით დაიკარგებოდა, ხალხი ხედავდა გზებზე, არც მარჯვნივ გაიხედავდა, არც მარცხნივ, სახე გა-

ფითრებოდა, წელგამართული იჯდა ცხენზე და ცოცხალ ბედაურზე ამხედრებულ ქვის მხედარს ჰგავდა.

დიდ, თვალუწვდენელ მინდვრებში მშრომელი გლეხები შორიდან გახედავდნენ; და ხანდახან რომელიმე კეთილი დედაბერი დაბალ, ჩალითდახურული ქოხის კართანაზე მდგარი უკნიდან ჰაერში ჯვარს გადასახავდა; თითქოს ვინმე მათიანი ყოფილიყოს, უბედურებადატეხილი უბრალო სოფლელი სული.

ცხენზე მჯდომი მხოლოდ წინ იყურებოდა, ვერავის ხედავდა, თითქოს დედამიწა დაცარიელებულიყო და კაცობრიობა დამარხულიყო იმ სამარეში, მოულოდნელად რომ გადაიხსნა მის ბილიკზე და ბედნიერება ჩაუყლაპა. რას აქნევდა ადამიანებს თავიანთი წუხილით, სიხარულით, გარჯითა თუ ვნებებით, როდესაც იგი, ვინც სამყაროს განუსახიერებდა, ასე ნაადრევად გამოცლოდა ხელიდან?

აღარავინ არსებობდა მისთვის; და ეულად და მიტოვებულად იგრძნობდა თავს, როგორც სასტიკი კოშმარის ტყვეობაში მყოფი, რომ არა ეს სოფლური მიდამოები, სადაც დაიბადა და ბავშვობის უზრუნველი წლები გაატარა. აქაურობას კარგად იცნობდა – მოხნულ მინდვრებში მოქცეულ ყოველ – ტყით დაგვირგვინებულ – პატარა მაღლობს, ყოველ ჭალას, სოფელს რომ მალავდა. კაშხალებამოშენებული ღელეები ჯაჭვად ჩაუყვებოდნენ ტბებსა და მწვანე მდელოებს. შორს, ჩრდილოეთით, ლიტვის დიდი ტყე შესჩერებოდა მზეს და თითქოს ღობისხელად დაპატარავებულიყო, და სამხრეთით გზა ვაკეზე გაწოლილიყო, ვრცელი, ყავისფერი სივრცე მიწისა ლურჯ ზეცას უერთდებოდა.



და ეს მშობლიური პეიზაჟი აგონებდა უზრუნველსა და უდარდელ დღეებს, ეს მიწა, რომლის ხიბლსაც თვალდახუჭულიც გრძნობდა, უამებდა ტკივილს, თითქოს ძველი მეგობარი მოჰყვებოდეს გვერდით, ხმაამოუღებლივ რომ ზის და წუთისოფლის გაუტანლობით დათრგუნული კაცი ყურადღებასაც არ აქცევს.

ერთ ნაშუადღევს, როდესაც პრინცმა ცხენი შინისაკენ შემოაბრუნა, შეამჩნია, რომ მტვრის სქელმა, დაბალმა ღრუბელმა ცერად გადაჭრა თვალსაწიერი. ცხენი შემაღლებულზე შეაყენა და დააცქერდა. იმ ღრუბელში აქა-იქ მკრთალად ბზინავდა ფოლადი და მოძრავი სხეულები მოჩანდა, და ბოლოს გამოისახა გრძელი რიგი ჯარისკაცებით სავსე გლეხური ურმებისა, რომელნიც ორ რიგად მიემართებოდნენ ცხენოსან კაზაკთა თანხლებით.

თითქოსდა უზარმაზარი მცურავი მისრიალებდა მინდვრებზე; თავი თვალთაგან დაკარგულიყო ოდნავი დაბლობისაკენ დაშვებული და კუდი კი ცახცახით მიჰყვებოდა და ვიწროვდებოდა, თითქოს ურჩხული თანდათან ნთქავდა თავის გზას დედამიწის გულისაკენ. პრინცი გაემართა თემშარის განაპირა სოფლისაკენ. გზისპირა ფუნდუკი, საჯინიბოთი, საბძელითა და გომურებით ერთ უზარმაზარ სელის სახურავქვეშ მოქცეული, მოგაგონებდათ გონჯ, კუზიან, უშნოდ აჩონჩხილ გოლიათს, გლეხთა პაწია ქოხებს შორის ულაზათოდ გაშოტილს. მეფუნდუკე, ჩასუქებული, ღირსებით სავსე ებრაელი, შავი სატინის ქუსლებამდე დაშვებული ხალათი რომ ეცვა და წითელი სარტყელი შემოერტყა, კარში ჩამდგარიყო და გრძელ ვერცხლისფერ წვერზე ხელს ისვამდა.

დაინახა, პრინცი რომ უახლოვდებოდა, და წელში მდაბლად მოიხარა ისე, რომ არც მოელოდა, შემამჩნევენო, რადგანაც ცნობილი იყო, რომ მათი ახალგაზრდა ბატონი ვერავის და ვერაფერს ხედავდა თავის მწუხარებაში ჩაფლული. და გვარიანად დაიბნა, როდესაც პრინცი შეჩერდა და ჰკითხა: „რას ნიშნავს ყოველივე ეს, იანკელ?“

„ეს, თქვენი უგანათლებულესობის ნებართვით, ფეხოსანთა ლაშქარია; სამხრეთისაკენ მიეშურებიან“.

ფრთხილად მიმოიხედა მარჯვნივ და მარცხნივ, ახლო-მახლო არავინ იმყოფებოდა, მხოლოდ ბავშვები თამაშობდნენ მტვერში, სოფლის ორღობეში, და უზანგს მიუახლოვდა.

„თქვენმა უგანათლებულესობამ არ იცის? სამხრეთში უკვე დაიწყო. მიწისმფლობელებმა, დიდმა თუ მცირემ, იარაღს მოჰკიდეს ხელი, უბრალო ხალხიც კი აღსდგა. სწორედ გუშინ გროდეკელმა (პატარა საბაზრო ქალაქი იყო იქვე ახლოს) მეუნაგირემ ჩამოიარა ორ ქარგალთან ერთად, ამბოხებას უნდა შეერთებოდა. ურემი ჩემთან დატოვა. გამყოლი მივუჩინე სამეზობლოდან. თქვენს უგანათლებულესობას მოეხსენება, ჩვენი ხალხი ბევრს მოგზაურობს და ხედავენ, სად რა ხდება და გზებიც კარგად იციან“. იგი შეეცადა აღფრთოვანება დაეოკებინა, რადგანაც ებრაელი იანკელი, მეფუნდუკე და მამულის მთელ წისქვილთა მოიჯარე, პოლონელი პატრიოტი გახლდათ.

და კვლავ განაგრძო დაბალი ხმით: „მე უკვე დაოჯახებული ვიყავი, როდესაც ფრანგებმა და სხვა ერებმა ეს გზა გაიარეს ნაპოლეონის მეთაურობით. კხჰ! კხჰ! დიდი მოსავალი მოიმკა სიკვდილმა, ეჰ! ამჯერად ალბათ ღმერთი დაგვიფარავს“.



პრინცმა თავი დაუქნია. „ალბათ“ – და ღრმა ფიქრებში ჩაძირულმა ცხენი შინისაკენ გააბრუნა.

იმ ღამით წერილი დაწერა და დილაადრიან ცხენოსანი შიკრიკი ქალაქის ფოსტაში გაგზავნა. იმ დღეს დაარღვია დუმილის ჩვეულება, ოჯახური ნრის დიდად გასახარად, და მამას გაესაუბრა ახალ მოვლენებზე – ვარშავის ამბოხება, დიდი მთავრის კონსტანტინეს გაქცევა და პირველი მცირე გამარჯვება პოლონეთის არმიისა (მაშინ პოლონეთის არმია არსებობდა), პროვინციების ჯანყი. მოხუცი პრინცი იოანე შეძრული და შეცბუნებული გახლდათ, პირწმინდად არისტოკრატულ თვალსაზრისს გამოხატავდა, არ ენდობოდა მოძრაობის ხალხურ სანყისს, არ მოსწონდა მისი დემოკრატიული ტენდენციები და არა სჯეროდა მოსალოდნელი წარმატებისა.

დასევდიანებული იყო, შინაგანად აფორიაქებული.

„ამ ყოველივეს გულმშვიდად განვსჯი. არსებობს ლეგიტიმურობის ასწლოვანი პრინციპები და წესრიგი, რაც დაარღვია ამ თავზეხელაღებულმა წამოწყებამ დამაქცევარი ილუზიების სახელით. თუმც, ცხადია, გულიდან ამოხეთქილი პატრიოტული იმპულსები...“

პრინცი რომანი ჩაფიქრებული უსმენდა. პაუზით ისარგებლა და მამას გამოუტყდა, წერილი გავგზავნე სანკტ-პეტერბურგში გვარდიიდან გადადგომის თხოვნითო.

მოხუცებულ პრინცს ხმა არ გაუღია. ფიქრობდა, ჯერ მე უნდა დამთათბირებოდაო. მისი ვაჟი იმპერატო-

რის არტილერიის ოფიცერი გახლდათ და მამამ იცოდა, რომ ცარი არასოდეს დაივიწყებდა მის გამოჩენას განდგომილ პოლონელ კეთილშობილთა შორის. უკმაყოფილო კილოთი ურჩია ვაჟს, სჯობს უვადო შვებულება დაერქვასო. ყველაზე სწორი იქნებოდა გატვრენილიყვნენ. სამეფო კარზე იმხელა ტაქტი კი ჰქონდათ, მისი სახელის კაცი არ გამოეძახათ. ან, უკიდურეს შემთხვევაში, შეიძლებოდა მოთხოვნა სადმე შორს გაეგზავნათ – ვთქვათ, კავკასიაში – შორს იმ უბედური ბრძოლისაგან, რომელიც არსებითად უმართებულო გახლდათ და, ამდენად, დასამარცხებლად განწირული.

„ამჟამად ცხოვრების ინტერესი გაქვს დაკარგული და არაფერი გაღელვებს. და გჭირდება, რაღაცას მოეკიდო, ჩემო საბრალო ბიჭო. ვშიშობ, დაუფიქრებელი ნაბიჯი გადადგი“.

პრინცმა რომანმა ჩაიდუდუნა:

„მეგონა ასე აჯობებდა“.

მამა შეაკრთო მისმა დაჟინებულმა მზერამ.

„ჰო, ჰო – ალბათ! მაგრამ როგორც იმპერატორის არტილერიის ოფიცერი და საიმპერატორო ოჯახის ფავორიტი...“

„მაგ ხალხზე არავის არაფერი სმენოდა, როცა ჩვენი გვარი სახელგანთქმული იყო“, ზიზღით წამოიძახა ყმაწვილკაცმა.

ამგვარი შენიშვნა მოხუც პრინცს გრძნობებს უღვიძებდა.

„ჰო – ალბათ ასე აჯობებს“, დათმო ბოლოს.

მამა და ვაჟიშვილი სიყვარულით დაშორდნენ ერთმანეთს იმ ღამით. მეორე დღეს პრინცი რომანი



თითქოს კვლავ ჩაეფლო განურჩევლობაში. როგორც ყოველთვის, ცხენზე შეჯდა. ახსოვდა, რომ წინადღით იხილა, თუ როგორ მისრიალებდა მცურავის მსგავსი ელვარეშუბებიან ჯარისკაცთა ლაშქარი მიწაზე, რომელიც მისი გახლდათ. ქალიც, ვინც გარდაიცვალა, მისი გახლდათ. სიკვდილმა წაართვა. მისმა გარდაცვალებამ ზნეობა შეურყია. პრინცმა გული გადაუხსნა უფრო დიდ ტკივილს, გონება – უფრო ფართო ფიქრს, თვალი გაუსწორა წარსულსა და სხვა სიყვარულის არსებობას, რომელიც ტკივილით ავსებდა, ისეთივე გამოუცნობი მოვალეობის შემგრძნები ტკივილით, როგორც ის, დაკარგული, ბედნიერება ვისაც ანდო.

იმ საღამოს ჩვეულებრივზე ადრე განმარტოვდა და პირადი მსახური გამოიძახა.

„წადი და ნახე, თუ მეჯინიბეთუხუცესს ბინაში შუქი უნთია და ჯერაც ფეხზეა, უთხარი, მოვიდეს, საქმე მაქვს“.

ვიდრე მსახური დავალებას შეასრულებდა, პრინცმა სწრაფად დახია ზოგიერთი ქაღალდი, ჩაკეტა მაგიდის უჯრები და გულზე ჩამოიკიდა მედალიონი, რომელშიც მეუღლის მინიატურა მოეთავსებინა. კაცი, ვისაც პრინცი მოელოდა, მიეკუთვნებოდა იმ წარსულ დროს, რომელიც მისი საყვარელი ადამიანის სიკვდილმა დააბრუნა. იგი გახლდათ წვრილ აზნაურთა იმ ოჯახიდან, თაობების მანძილზე რომ ერთგულობდნენ, ემსახურებოდნენ და მეგობრობდნენ პრინც ს-ებს. ახსოვდა ჟამი ბოლო განდგომისა და უკანასკნელი საათების ბრძოლებშიც მონაწილეობდა. ძველი პოლონელი აზნაური გახლდათ, ძლიერ ემოციური და თავდავიწყებული სიყვარულის

შემძლე; მხედრული გუმანისა და უბრალო რწმენის მქონე; ძველი დროიდან შემორჩენოდა ლაპარაკში ლათინური სიტყვების გამოყენების ჩვეულება. და მისი კეთილი, გამჭრიახი თვალებიც, წითლად მოლაჟღაჟე სახეც, ამაყად აზიდული წარბებიც და სქელი, ჭაღარა, ჩამოშვებული ულვაშიც სწორედ ძველ პოლონელ აზნაურზე მიგვანიშნებდა. „ყური მიგდე, ბატონო ფრანსის“, უშესავლოდ, შინაურულად მიმართა პრინცმა. „ყური მიგდე, ძველო მეგობარო. აქედან შეუმჩნევლად წასვლას ვაპირებ. მივდივარ იქით, საითაც ჩემს მწუხარებაზე უფრო მაღალი და მაინც რაღაც მსგავსი ხმა მიხმობს. მხოლოდ შენ გაგენდობი. შენ იტყვი, რაც საჭირო იქნება, როდესაც დრო მოვა“.

მოხუცი მიხვდა. გამოწვდილი ხელები მღელვარებისაგან აუცახცახდა. და როგორც კი ხმა დაუბრუნდა, ხმამაღლა მიაგო მადლი უფალს, იმდენხანს რომ აცოცხლა, საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ უჩვენებდა მაგალითს, ცორამ გენტიბუს (საგვარეულოს წინაშე), სახელოვანი ოჯახის ახალგაზრდა შთამომავალი სამშობლოს სიყვარულისა და საბრძოლო სიქველისა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ძვირფასი პრინცი თავისი წარმომავლობის შესაფერის ადგილს დაიკავებდა საბჭოშიც და ომიანობის დროსაც; იგი უკვე ხედავდა, რომ ინ ფულგორე (ბრწყინვალე) ოჯახის დიდებისა უფფულგეტ პატრიდე სერენიტას (სამშობლოს საკეთილდღეოდ). ამის თქმა რომ დაასრულა, ცრემლები წასკდა და მკლავებში ჩაუვარდა პრინცს.

პრინცმა დაამშვიდა ბერიკაცი, სავარძელში ჩასვა, შედარებით დააწყნარა და უთხრა: „სწორად გამიგე,



ბატონო ფრანსის. იცი, თუ როგორ მიყვარდა მეუღლე. ასეთი დანაკარგი კაცს თვალს აუხელს უცილო ჭეშმარიტებაზე. არც წინამძღოლობასა და არც დიდებაზე არა ვფიქრობ. უნდა წავიდე და რიგით ჯარისკაცად ვიბრძოლო. სამშობლოს უნდა მივუძღვნა, რაც მაბადია, ჩემი სიცოცხლე, ისევე უბრალოდ, როგორც ამას სჩადის გროდეკელი მეუნაგირე, გუშინ თავის ქარგლებთან ერთად რომ მიეშურებოდა...“

ბერიკაცი ატირდა. ეს შეუძლებელია. ამის ნებას არ დართავს. მაგრამ ბოლოს დამაჯერებელ სიტყვებსა და პრინცის ნებას დაჰყვა.

„ეჰ! რადგანაც ამბობთ, ეს გრძნობისა და სინდისის საქმეაო – ასე იყოს. მაგრამ მარტოდმარტო ვერ წახვალთ. აფსუს! მეტად მოვხუცდი, რათა თან გეახლოთ. რიპიტ ვერბა დოლორ (ძნელი გამოსათქმელია), ჩემო ძვირფასო პრინცო, და იმის ფიქრი, რომ სამოცდაათს გადავაბიჯე და ამ სოფლის ანგარიშში ისევე აღარა ვარ ჩასაგდები, როგორც ეკლესიის ეზოში მჯდარი სნეული. როგორც ჩანს, იმისთვისღა გამოვდგები, რომ შინ გამოვიკეტო და ღმერთს ვევედრო სამშობლოსა და თქვენთვის. მაგრამ ჩემი ვაჟი ხომ აქ არის, ჩემი უმცროსი ბიჭი პეტრე. ღირსეული თანმხლები იქნება. როგორც ყოველთვის, ჩემთანაა, აქ. ჯერ არ ყოფილა, ამდენი საუკუნეა, პრინც ს-თაგან ვინმეს სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოს და ჩვენი გვარის კაცი ცხენით არა ხლებოდეს. ვიღაც უნდა იმყოფებოდეს თქვენთან, ვინც გიცნობთ, და თქვენს მშობლებსა და მოხუც მსახურს აცნობოს, თუ რა გადაგხდებათ. და როდის აპირებს თქვენი უმაღლესობა გამგზავრებას?“

შემძლე; მხედრული გუმანისა და უბრალო რწმენის მქონე; ძველი დროიდან შემორჩენოდა ლაპარაკში ლათინური სიტყვების გამოყენების ჩვეულება. და მისი კეთილი, გამჭრიახი თვალებიც, წითლად მოღაჟღაჟე სახეც, ამაყად აზიდული წარბებიც და სქელი, ჭაღარა, ჩამოშვებული ულვაშიც სწორედ ძველ პოლონელ აზნაურზე მიგვანიშნებდა. „ყური მიგდე, ბატონო ფრანსის“, უშესავლოდ, შინაურულად მიმართა პრინცმა. „ყური მიგდე, ძველო მეგობარო. აქედან შეუმჩნევლად წასვლას ვაპირებ. მივდივარ იქით, საითაც ჩემს მწუხარებაზე უფრო მაღალი და მაინც რაღაც მსგავსი ხმა მიხმობს. მხოლოდ შენ გაგენდობი. შენ იტყვი, რაც საჭირო იქნება, როდესაც დრო მოვა“.

მოხუცი მიხვდა. გამოწვდილი ხელები მღელვარებისაგან აუცახცახდა. და როგორც კი ხმა დაუბრუნდა, ხმამაღლა მიაგო მადლი უფალს, იმდენხანს რომ აცოცხლა, საკუთარი თვალით ეხილა, თუ როგორ უჩვენებდა მაგალითს, ცორამ გენტიბუს (საგვარეულოს წინაშე), სახელოვანი ოჯახის ახალგაზრდა შთამომავალი სამშობლოს სიყვარულისა და საბრძოლო სიქველისა. ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ ძვირფასი პრინცი თავისი წარმომავლობის შესაფერის ადგილს დაიკავებდა საბჭოშიც და ომიანობის დროსაც; იგი უკვე ხედავდა, რომ ინ ფულგორე (ბრწყინვალე) ოჯახის დიდებისა უფფულგეტ პატრიდე სერენიტას (სამშობლოს საკეთილდღეოდ). ამის თქმა რომ დაასრულა, ცრემლები წასკდა და მკლავებში ჩაუვარდა პრინცს.

პრინცმა დაამშვიდა ბერიკაცი, სავარძელში ჩასვა, შედარებით დააწყნარა და უთხრა: „სწორად გამიგე,



ბატონო ფრანსის. იცი, თუ როგორ მიყვარდა მეუღლე. ასეთი დანაკარგი კაცს თვალს აუხელს უცილო ჭეშმარიტებაზე. არც წინამძღოლობასა და არც დიდებაზე არა ვფიქრობ. უნდა წავიდე და რიგით ჯარისკაცად ვიბრძოლო. სამშობლოს უნდა მივუძღვნა, რაც მაბადია, ჩემი სიცოცხლე, ისევე უბრალოდ, როგორც ამას სჩადის გროდეკელი მეუნაგირე, გუშინ თავის ქარგლებთან ერთად რომ მიეშურებოდა...“

ბერიკაცი ატირდა. ეს შეუძლებელია. ამის ნებას არ დართავს. მაგრამ ბოლოს დამაჯერებელ სიტყვებსა და პრინცის ნებას დაჰყვა.

„ეჰ! რადგანაც ამბობთ, ეს გრძნობისა და სინდისის საქმეაო – ასე იყოს. მაგრამ მარტოდმარტო ვერ წახვალთ. აფსუს! მეტად მოვხუცდი, რათა თან გეახლოთ. რიპიტ ვერბა დოლორ (ძნელი გამოსათქმელია), ჩემო ძვირფასო პრინცო, და იმის ფიქრი, რომ სამოცდაათს გადავაბიჯე და ამ სოფლის ანგარიშში ისევე აღარა ვარ ჩასაგდები, როგორც ეკლესიის ეზოში მჯდარი სნეული. როგორც ჩანს, იმისთვისღა გამოვდგები, რომ შინ გამოვიკეტო და ღმერთს ვევედრო სამშობლოსა და თქვენთვის. მაგრამ ჩემი ვაჟი ხომ აქ არის, ჩემი უმცროსი ბიჭი პეტრე. ღირსეული თანმხლები იქნება. როგორც ყოველთვის, ჩემთანაა, აქ. ჯერ არ ყოფილა, ამდენი საუკუნეა, პრინც ს-თაგან ვინმეს სიცოცხლე საფრთხეში ჩაეგდოს და ჩვენი გვარის კაცი ცხენით არა ხლებოდეს. ვიღაც უნდა იმყოფებოდეს თქვენთან, ვინც გიცნობთ, და თქვენს მშობლებსა და მოხუც მსახურს აცნობოს, თუ რა გადაგხდებათ. და როდის აპირებს თქვენი უმაღლესობა გამგზავრებას?“

„ერთ საათში“, მიუგო პრინცმა; და ბერიკაცი თავისი ვაჟის გასაფრთხილებლად გაეშურა.

პრინცმა რომანმა სანთელი აიღო და უხმაუროდ გაიარა მდუმარე სახლის ბნელი ტალანი. უფროსი გადია გაიხსენებდა, უეცრად გამეღვიძა და დავინახე, პრინცი შვილს რომ დაჰყურებდა, თან ერთი ხელით სანთელს შუქს უჩრდილებდა თვალებიდანო. ერთხანს იდგა და დაჰყურებდა, მერე სანთელი იატაკზე დადო, აკვანზე გადაიხარა, მსუბუქად ეამბორა პატარა გოგონას, რომ არ გაღვიძებოდა. უჩუმრად გამოვიდა და სანთელიც გამოიყოლა. გადიამ მკაფიოდ დაინახა მისი სახე, მაგრამ ზედ ვერაფერი ამოიკითხა, თუ რა განეზრახა. გაფითრებული იყო, მაგრამ სავსებით მშვიდი, და როცა აკვნიდან გამობრუნდა, უკან აღარც მიუხედავს.

ერთადერთი ადამიანი, ვისაც გაენდო, გარდა ბერიკაცისა და მისი ვაჟისა, ურია იანკელი გახლდათ. როდესაც მან პრინცს ჰკითხა, საით უნდა გაგიძღვნენო, უპასუხა: უახლოეს რაზმამდეო. ებრაელის შვილიშვილმა, აწოწილმა ყმაწვილმა, ჭაბუკები ნაკლებცნობილი ბილიკებით ატარა ტყესა და ჭაობებზე და ისეთ ადგილას გაიყვანა, სადაც რამდენიმე კოცონი მოჩანდა ღარტაფში დაბანაკებული მცირე შენაერთისა. უჩინარმა ცხენებმა დაიჭიხვინეს, სიბნელეში ხმა გაისმა – ვინ მოდის?“ – და ყმაწვილი ებრაელი ნაჩქარევად გაშორდა, თან განუმარტა, უნდა ვიჩქარო და დროულად დავბრუნდე, შაბათი რომ არ დავარღვიოო.

ამრიგად, მორჩილად და თანხმობით, მოვალეობის უბრალო შეგრძნებით იხილა, თუ როგორ ჩამოხსნა სიკვდილმა თვალთაგან ბედნიერების ბრწყინვალე სახვევი,



და პრინცი რომანი სამშობლოს სამსახურში ჩადგა. მისმა თანმხლებმა, ვინც თავი წარადგინა პრინცი ს-ს მეჯინიბეთუხუცესის ვაჟად, მასზე თქვა, ჩემი ნათესავია, გარე ბიძაშვილი, ჩვენი მხრისაა და თანაც ჩემი სეხნიაო. ნათქვამს არავინ ჩასძიებია. ორი ჭაბუკი, ყოველმხრივ მოსაწონნი, მიემატა მათ რაზმს და უფრო ბუნებრივი რა უნდა ყოფილიყო. პრინცი რომანი სამხრეთში დიდხანს არ დარჩენილა. ერთ დღეს სხვებთან ერთად დაზვერვაზე წასული რომელიღაც სოფლის თავში ჩასაფრებულ რუს ფეხოსნებს გადააწყდა. პირველმა გასროლამ ბევრი გამოასალმა სიცოცხლეს, დანარჩენები აქეთ-იქით მიმოიფანტნენ. იქ აღარც რუსები გაჩერებულან, შეეშინდათ, ხელახლა შემოგვიტევენო. ცოტა ხანში გლეხები გამოჩნდნენ, პრინც რომანს მკვდარი ცხენის ქვეშიდან გამოძრომაში უშველეს. იგი უვნებლად გადარჩენილიყო, მაგრამ მისი ერთგული მხლებელი პირველთაგანი დაცემულიყო. პრინცი გლეხებს შეეშველა მის და სხვა გარდაცვლილთა დაკრძალვაში.

და მერე მარტოდმარტომ, ისე, რომ არ უწყოდა, თუ სად გადაეყრებოდა პარტიზანებს, რომელნიც ყველა მიმართულებით მოძრაობდნენ, გადაწყვიტა პოლონეთის არმიის მთავარ ნაწილს შეერთებოდა, ლიტვის საზღვართან რუსთა პირისპირ რომ იდგა. გლეხურ სამოსში გადაცმული, ვაითუ მძარცველ კაზაკებს გადავეყაროო, ორიოდე კვირა დაეხეტებოდა, ვიდრე მიადგებოდა სოფელს, რომელიც პოლონელთა მესაზღვრე კავალერიის რაზმს დაეკავებინა.

შედარებით უკეთესი გლეხური ქოხის წინ ხის სკამზე იჯდა ხანშიშესული ოფიცერი, ვინც პრინცმა პოლკ-

ოვნიკად მიიჩნია, პატივისცემით მიუახლოვდა, მოკლედ უამბო თავისი თავგადასავალი და სურვილი გამოთქვა ჯარისკაცებში ჩაწერისა. და როდესაც ოფიცერმა ყურადღებით შეათვალიერა და სახელი ჰკითხა, მან თავისი დალუპული მხლებლის ვინაობა დაუსახელა, რადგანაც პირველად ამან გაუელვა თავში. ხნიერმა ოფიცერმა გაიფიქრა: აზნაურის ვაჟია და თავისუფლებისათვის ბრძოლა სურსო. მოეწონა გარეგნობით. „წერა-კითხვა თუ შეგიძლია, ჩემო კარგო ჭაბუკო?“ ჰკითხა.

„დიახ, თქვენო კეთილშობილებავ, შემიძლია,“ – მიუგო პრინცმა. „კეთილი. ქოხში შედი. ნაწილის ადიუტანტი იქაა. შენს სახელს სიაში შეიტანს და ფიცს დაგადებინებს“.

ადიუტანტი ყურადღებით დააკვირდა ახალმოსულს, მაგრამ არაფერი უთქვამს. როდესაც ყველა ფორმალობა მოთავდა და ახალწვეული წავიდა, იგი უფროს ოფიცერს მიუბრუნდა. „იცით ვინ იყო?“

„ვინ? ის პეტრე? მომეწონა ეგ ჭაბუკი“.

„პრინცი რომან ს-ა“.

„სისულელეა“.

მაგრამ ადიუტანტმა დაიჟინა. მას პრინცი რამდენჯერმე ენახა ორი წლის წინათ, ვარშავის ციხე-სიმაგრეში. ერთხელ ესაუბრა კიდეც დიდი მთავრის მიერ გამართულ ოფიცერთა მიღებაზე. „შეცვლილა, დავაჟკაცებულა, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ის არის. სახეებს კარგად ვიმახსოვრებ“. ორმა ოფიცერმა ერთმანეთს მდუმარედ შეხედა. „ადრე თუ გვიან ვინმე იცნობს“, ჩაიდუდუნა ადიუტანტმა.



პოლკოვნიკმა მხრები აიჩეჩა. „ეს ჩვენი საქმე არ არის – თუკი სურს უბრალო ჯარისკაცად იმსახუროს. რაც შეეხება ცნობას, არა მგონია. ჩვენი ყველა ოფიცერი და ჯარისკაცი პოლონეთის სხვა მხრიდანაა“.

ერთხანს ღრმად ჩაფიქრდა. შემდეგ გაიღიმა. „წერა-კითხვა ვიციო, მითხრა. ხელს ვერაფერი შემიშლის, რომ პირველივე შემთხვევისთანავე სერჟანტად დავაწინაურო. ეჭვი არაა, კარგად გაუძღვება“.

უმცროს ოფიცრად დაწინაურებულმა პრინცმა რომანმა პოლკოვნიკის მოლოდინს გადააჭარბა. დიდი ხანი არ გასულა, რომ სერჟანტმა პეტრემ სახელი გაითქვა საზრიანობითა და სიმამაცით. ეს არ ყოფილა თავზეხელაღებული კაცის უაზრო სიმამაცე; ეს გახლდათ თავდაჭერილი, შეგნებული სიქველე, რასაც ვერაფერი შეაშინებს; უსაზღვრო, მაგრამ ზომიერი ერთგულება, რასაც ვერაფერს აკლებს დრო, დაუსრულებელ უკანდახევათაგან მოგვრილი სიმხდალე, გაფერმკრთალებული იმედები და ეპიდემიათა საშინელებანი, ამას დამატებული ომის სიმძიმე და საშიშარი რისკი. სწორედ ამ წელს იყო, ქოლერა რომ პირველად გამოჩნდა ევროპაში. მან ორივე არმიის რიგები შეამეჩხერა, შეარყია უმტკიცესი გონებანი გამოუცნობი სიკვდილის ზარით, „უჩუმრად რომ დაიპარებოდა დახვავებულ საჭურველსა და კოცონთა გარშემო მსხდარ ჯარისკაცთა შორის.

მოულოდნელი კივილი გააღვიძებდათ შეშფოთებულთ და ხედავდნენ ჩანავლებული ნაკვერჩხლის შუქზე ერთ-ერთ თავისიანს, უხილავი ფეხის მიერ გასრესილ ჭიასავით რომ იკლაკნებოდა მიწაზე. და გარი-

ურაკისათვის გაციებული და გაყინული ეგდო. ჯგუფი, რომელსაც ასეთი რამ ეწვეოდა, ერთიანად დგებოდა, ტოვებდა კოცონს და გარბოდა ღამეში ჩუმი დრტვინვით შეპყრობილი. ან მარშირებისას შენთან მოსაუბრე მეგობარი უეცრად შუაგულ ფრაზაზე წაიბორძიკებდა, შეშინებულ თვალებს გადაატრიალებდა და ძირს დაენარცხებოდა სახემორღვეული და ტუჩებჩალურჯებული, რიგის სიმწყობრეს დაარღვევდა აგონიური კრუნჩხვით. ხალხი იცელებოდა უნაგირზე, ყარაულობისას, ცეცხლის ხაზზე, სამწყობრო საქმიანობისას, თოფის წმენდისას. მიამბეს ერთი ბატალიონის ამბავი, ცეცხლის ქვეშ მტკიცედ რომ ემზადებოდა სოფელზე საიერიშოდ, უეცრად, ხუთ წუთში მწკრივის თავში ხუთი კაცი მოცელა ჭირმა; და შეტევაზე ველარ გადავიდნენ, რადგანაც წინამძღოლი რაზმები ქარისაგან გაბნეულ ბზესავით დაიფანტნენ მინდორში.

სერჟანტ პეტრეს, ყმაწვილკაცობის მიუხედავად, დიდი გავლენა მოეპოვებინა თავის ხალხზე. ამბობდნენ, დეზერტირობის შემთხვევები მისი ესკადრონიდან უფრო ნაკლებია, ვიდრე სხვა ესკადრონიდან ანდა კავალერიის მთელი დივიზიიდანო. როგორც ჩანს, ასეთი გახლდათ შთამაგონებელი მაგალითი კაცისა, ვინც წარბშეუხრელად უყურებდა ყოველგვარ ხიფათსა და საშიშროებას.

რაც უნდა ყოფილიყო, სიყვარულით ყველას უყვარდა და ენდობოდნენ. როდესაც ყველაფერი დასრულდა და არმიის ნაშთები, ყოველი მხრიდან რომ ავიწროებდნენ, მოემზადნენ პრუსიის საზღვრების გადასაკვეთად, სერჟანტ პეტრეს აღმოაჩნდა იმხელა გავლენა,



რომ თავის გარშემო შემოკრიბა ერთი ოცეული კავალერისტებისა. მოახერხა ერთ ღამეს მათთან ერთად გაპარულიყო ალყაშემორტყმული არმიიდან. გაუძღვა თავის რაზმს, ორასი მილი გაატარა ქვეყანაში, სადაც უამრავი რუსული ნაწილი გაფანტულიყო და ქოლერა მძვინვარებდა. და ეს ტყვეობის თავიდან ასაცილებლად არ ჩაუდენია, რათა დამალულიყვნენ და თავი გადაერჩინათ. არა. მან თავისი ხალხი მიიყვანა ციხე-სიმაგრეში, რომელიც ჯერაც პოლონელებს ეპყრათ, და რომელიც დამარცხებული აჯანყების უკანასკნელ ბასტიონად უნდა ქცეულიყო.

ეს ფანატიზმსა ჰგავს. მაგრამ ფანატიზმი ადამიანურია. კაცი ეთაყვანება ღვთაებრივ თავზეხელაღებულობას. თავზეხელაღებულობა ყოველგვარ ვნებაშია, თვით სიყვარულშიც. უკვდავი იმედის რელიგია გვაგონებს შეშლილ კულტს იმედგადაწყვეტისა, სიკვდილისა, არარაობისა. განსხვავება ზნეობრივ მოტივშია, იმათ გამოუთქმელ მისწრაფებათა და საიდუმლო აუცილებლობიდან რომ მომდინარეობს, ვისაც სწამთ. მხოლოდ ფშუტე ადამიანებს ჰგონიათ, ყველაფერი ამაოაო; და ყველაფერი ყალბი ეჩვენებათ მხოლოდ მათ, ვინც საკუთარ თავთან არასოდეს ყოფილა გულწრფელი.

ამ ციხე-სიმაგრეში შეხვდა პაპაჩემი სერჟანტ პეტრეს. პაპაჩემი სოფლად პრინც ს-ს ოჯახს ემეზობლებოდა, მაგრამ პრინც რომანს არ იცნობდა, ვინც, თავის მხრივ, ძალიან კარგად იცოდა პაპაჩემის სახელი. პრინცმა ერთ ღამეს თავისი ვინაობა გაუმხილა, როდესაც ეს ორნი მოაჯირზე ისხდნენ და ზურგით ქვემეხის ლაფეტს მიყრდნობოდნენ.

სურდა სამსახური გაეწია და, თუ დაიღუპებოდა, მისი მშობლებისათვის ეცნობებინა.

ხმადაბლა საუბრობდნენ, ქვემეხის განაწესის სხვა მსახურნი ახლოს იწვნენ. პაპაჩემმა თხოვნა აუსრულა, დაპირდა და შემდეგ გულღიად ჰკითხა – რადგანაც ძალზე აინტერესებდა თავის გამჟღავნების მოულოდნელი მიზეზი: „მაგრამ მითხარით, პრინცო, რატომ მთხოვთ ამას, ავი წინათგრძნობა ხომ არა გაქვთ?“

„სულაც არა; ჩემიანებზე ვფიქრობდი. წარმოდგენა არ გააჩნიათ, სად ვიმყოფები“, მიუგო პრინცმა რომანმა. „მეც იმავეს ვიქმ თქვენთვის, თუ გნებავთ. ცხადია, ჩვენგან ნახევარი ვერ მიაწევს ბრძოლის დასასრულს, ასე რომ, თანაბარი შანსი გვაქვს გადარჩენისა“.

პაპაჩემმა უთხრა, თუ სად ეგულებოდა თავისი ცოლ-შვილი იმ დროისათვის. ამ წუთიდან ალყის ბოლომდე განუყრელად ერთად იყვნენ. დიდი იერიშის დღეს პაპაჩემი მძიმედ დაიჭრა. ქალაქი აიღეს. მეორე დღეს ციტადელიც დაეცა; ჰოსპიტალი მკვდრებითა და დაჭრილებით აივსო, იარაღის საწყობები დაცარიელდა, ციხის დამცველებმა უკანასკნელი ტყვიები დაწვეს და ციხის კარი გააღეს.

მთელი ბრძოლის მანძილზე პრინცი თავს არა ზოგავდა, წინა ხაზზე იდგა, მაგრამ არც კი გაკაწრულა. არავის უცვნია, ან ყოველ შემთხვევაში, არავის გაუცია. მანამ, სანამ თავის მოვალეობას ასრულებდა, მნიშვნელობა არ გააჩნდა, თუ ვინ იყო.

ახლა როგორღაც მდგომარეობა შეიცვალა. როგორც ყოფილ გვარდიელსა და იმპერატორის არტილერიის ოფიცერს საკმაო საფრთხე ემუქრებოდა, ათ ნაბიჯზე



დაეყენებინათ და დაეხვრიტათ. თვეზე მეტხანს იყო ჩაკარგული ტყვეთა საბრალო ბრბოში, ციხე-სიმაგრის კაზემატში რომ ჩაეყარათ და ზუსტად იმდენ საკვებს იმეტებდნენ, სული რომ სხეულს არ გაყროდა, მაგრამ ჭრილობისა, დასუსტებისა და სნეულებისაგან სიკვდილის ნება კი ჰქონდა და ასე გრძელდებოდა დაახლოებით ორმოც დღეს.

ციხე-სიმაგრე იმ მხარის შუაგულში მდებარეობდა, ხალხის დათრგუნვის მიზნით იმ არემარეზე დატუსაღებული ახალი ჯგუფები დაუყოვნებლივ აქეთ იგზავნებოდნენ. ამ ახალმოსულთა შორის აღმოჩნდა ახალგაზრდა კაცი, პრინცის სკოლისდროინდელი მეგობარი. მან იცნო პრინცი და, რაკი შიშით გათანგულიყო, ხმამაღლა იყვირა, „ღმერთო ჩემო! რომან, აქ ხარ!“

ამბობენ, მთელი სიცოცხლე გაუმწარა სინდისის ქენჯნამ, რასაც იმ წუთიერი თავშეუკავებლობის გამო განიცდიდაო. ეს მოხდა ციხე-სიმაგრის მთავარ, ოთხკუთხა დარბაზში. პრინცის გამაფრთხილებელმა ნიშანმა დაიგვიანა. სადარაჯოდ მყოფმა ჟანდარმთა ოფიცერმა გაიგონა ეს წამოძახილი, და ეს შემთხვევა გამოძიების ღირსად სცნო. გამოძიება არ გაძნელებულა, რადგან როგორც კი დაბეჯითებით ჩაჰკითხეს, პრინცმა მაშინვე დაასახელა თავისი ნამდვილი გვარი.

ცნობა, პრინცი ს. ტყვეთა შორის ვიპოვნეთო, სანკტ-პეტერბურგში გაიგზავნა. მისი მშობლები უკვე აქ ცხოვრობდნენ დარდით, გაურკვევლობითა და შიშით შეპყრობილნი. იმპერიის დედაქალაქი ყველაზე უსაფრთხო ადგილი გახლდათ კეთილშობილთათვის თავშესაფარებლად, ვისი შვილიც საიდუმლოებითმოცულ

ვითარებაში გაქრა შინიდან ამბოხების ჟამს. მოხუცებს არაფერი სმენოდათ არც მისგან და არც მასზე მთელი თვეები. იმასლა ზრუნავდნენ, რომ არ უარყოფდნენ ქორებს თვითმკვლელობის თაობაზე, მაღალ წრეებში რომ ტრიალებდა, და ახსენებდათ საგულისხმო სასიყვარულო თავგადასავალს, მშვენიერსა და ლაღ ბედნიერებას, რაც სიკვდილით დასრულდა. მაგრამ მალულად იმედოვნებდნენ, რომ მათი ვაჟი გადარჩა და საზღვარი გადალახა არმიის იმ ნაწილთან ერთად, პრუსიელებს რომ ჩაბარდა.

პრინცის დატუსაღების ამბავი თავზარდამცემი გახლდათ. აშკარად მისი შველა შეუძლებელი იყო. მაგრამ მათმა სახელგანთქმულმა გვარმა, მდგომარეობამ, ნათესაობამ და კავშირებმა მაღალ წრეებში შეაძლებინა მშობლებს მოიარებით ემოქმედათ; და ცა და ქვეყანა შეძრეს, როგორც ამბობენ, შვილის გამოსახსნელად. საწყალი პრინცი იოანი უყოყმანოდ იმეორებდა, ყველაფერი „სიგიჟის გამო“ მოხდაო. საზოგადოების წინამძღოლებმა მიმართეს დიდკაცთ, ესაუბრნენ მაღალი თანამდებობის პირთ, გავლენიანი მოხელენი დაარწმუნეს, დაინტერესებულიყვნენ ამ საქმით. მოიპოვეს ყველა ფარული გავლენის მხარდაჭერა. რამდენიმე საიდუმლო მრჩეველს გვარიანი ქრთამი გადაეცა. ერთი სენატორის ცოლმა დიდძალი ფული აიღო.

მაგრამ, როგორც მოგახსენეთ, ასეთი გახმაურებული საქმის გამო ვერც პირდაპირ მიმართავდი ვინმეს და ვერც აშკარად გადადგამდი რაიმე ნაბიჯს. ერთადერთი, რისი მიღწევაც შეიძლებოდა, იყო პირადი ურთიერთობებით სამხედრო კომისიის პრეზიდენტის გულის მოლბობა. მასზე მართლაც მოახდინა ზეგავლენა ნართაულებმა და რჩევებმა, რომელთაგან ზოგი მეტად მაღალი წრის მხრიდან, სანკტ-პეტერბურგიდან მოდიოდა. ბოლოს და ბოლოს, ისეთ დიდად კეთილშობილ პირთა, პრინცი ს-ები რომ იყვნენ, მომადლიერებაც ღირდა ამქვეყნად ბევრ რამედ. იგი ნამდვილი რუსი იყო, მაგრამ კეთილი ადამიანიც გახლდათ. ამასთან, პოლონელთა სიძულვილი არ ყოფილა მაშინ ისეთი მძაფრი პატრიოტული გრძნობა, როგორც ოცდაათი წლის შემდგომ გახდა. პირველი დანახვისთანავე კეთილად განეწყო ამ მზემოკიდებული, ხმელსახიანი ქაბუკის მიმართ, ვინც გადაექანცა მძიმე ლაშქრობას, ალყის სიდუხჭირესა და ტყვეობის სიმწარეს.



კომისია სამი ოფიცრისაგან შედგებოდა. ისინი ისხდნენ ციხე-სიმაგრეში ცარიელ, თაღიან ოთახში გრძელი, შავი მაგიდის მიღმა. რამდენიმე კლერკი მაგიდის იმ ბოლოში მოთავსებულიყო და პრინცის ოთახში შემომყვან ჟანდარმთა გარდა იქ სხვა არც არავინ იმყოფებოდა.

მომწყვდეულს ოთხ პირქუშ კედელში, რომელიც უხშობდა სახილველსაც და მოსასმენსაც თავისუფლებისა, მომავლის იმედებს, შვებისმომგვრელ ილუზიებს – მარტოდმარტო, პირისპირ მტრებისა, მოსამართლეებად რომ მოვლენოდნენ – ვინ იტყვის, თუ რამდენად შერჩენოდა სიცოცხლის სიყვარული პრინც რომანს? ან მოვალეობის შეგრძნება, მწუხარების ჟამს რომ გამომჟღავნდა? ან სიყვარული თვით სამშობლოსი? ქვეყნისა, რომელიც მოითხოვს ისეთ სიყვარულს, როგორც არცერთი ქვეყანა არ ყვარებიათ; მწუხარებით სავსე გრძნობა, რასაც განიცდის კაცი მარადსახსოვარ გარ-

დაცვლილთა მიმართ და გაუქრობელი ცეცხლი უიმედო გზნებისა, რასაც მხოლოდ ცოცხალი, მსუნთქავი, საამო იდეალი ანათებს ჩვენს გულებში სიამაყის, ღვაწლის, აღტაცებისა და თავგანწირვისათვის.

არის რაღაც შემზარავი, თუკი დაუფიქრდები, ასეთ გადაჭარბებულ მსხვერპლშეწირვაში, როდესაც ის ჩვენ წინაშე წამოიმართება უშიშარი და უანგარო თავდადების სახით. თავისი ცხოვრების უმაღლეს წუთს მიახლოებული პრინცი მხოლოდ იმას თუ შეიგრძნობდა, რომ აღსასრული დგებოდა. შეკითხვებს მკაფიოდ, მოკლედ პასუხობდა... სრული განურჩევლობით. თვეობით დაძაბული მოქმედების შემდეგ ლაპარაკი ღლიდა, მაგრამ მალავდა ამას, რათა მტრებს ეს საქციელი გულგატეხილობის აპათიად და სულით დაცემულის უგრძნობელობად არ ჩამოერთმიათ. ასეა თუ ისე, მისი ქცევის წვრილმანებს არავითარი მნიშვნელობა აღარ გააჩნდა; ეს კაცები მის ფიქრებს ვერაფერს მოუხერხებდნენ. უაღრესი თავაზიანობით პასუხობდა და უარი მოახსენა დაჯდომის ნებართვაზე.

თუ რა მოხდა ამ წინასწარი დაკითხვისას, ცნობილია მხოლოდ თავმჯდომარე ოფიცრისაგან. იგი მიჰყვა ამ აშკარად მძიმე საქმის ერთადერთ შესაძლო გზას და შეეცადა თავიდანვე ჩაეგონებინა პრინცისათვის დაცვის ის მიმართულება, რაც სურდა, რომ პრინცს აერჩია. ოფიცერი შეკითხვებს სწორედ ისე აყალიბებდა, რომ სწორი პასუხები მოესმინა ბრალდებულის პირიდან, თითქოსდა სიტყვებსაც კი სთავაზობდა – თუ როგორ გაეტანჯა უსაზომო მწუხარებას ნორჩი მეუღლის დაღუპვის შემდეგ, უპასუხისმგებლოდ წარმართა



თავისი ქმედებანი გულგატეხილმა, დაბრმავებულმა და თავზეხელაღებულმა, ვერ განსაზღვრა, რომ საძრახის საქმეს სჩადიოდა. ვერც მისგან მოსალოდნელი საშიშროება და შერცხვენა გაითვალისწინა და შეუერთდა პირველივე შემხვედრ ამბოხებულთ უეცარი ბიძგით ანთებული. და რომ ახლა ინანიებს...

მაგრამ პრინცი რომანი ხმას არ იღებდა. სამხედრო მსაჯულები იმედით შესცქეროდნენ. სიჩუმეში იგი მიწვდა კალამს და ხელში მოხვედრილ ფურცელზე დაწერა: „მე შევუერთდი ეროვნულ აჯანყებას რწმენით“. ხელი მიჰკრა და ფურცელი მაგიდაზე გააცურა. თავმჯდომარემ აიღო და რიგრიგობით უჩვენა თავის კოლეგებს, მარჯვნივ და მარცხნივ, შემდეგ დაჟინებით დააცქერდა პრინც რომანს და ფურცელს ხელი უშვა. სიჩუმე გამეფდა მანამ, სანამ ჟანდარმებს მიმართავდა და პატიმრის გაყვანას უბრძანებდა.

ასეთი გახლდათ წერილობითი ჩვენება პრინც რომანისა თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს წუთს. მსმენია, რომ ს-ს ოჯახის პრინცთა ყველა შტომ ეს სიტყვა – „რწმენით“ – დევიზად აღიარა და გვარის გერბის დამამშვენებლად. არ ვიცი, მართალია თუ არა. ბიძაჩემმა ვერაფერი მითხრა. მხოლოდ შენიშნა, ბუნებრივია, ამას ვერ ვნახავდით პრინც რომანის საკუთარ ბეჭედზეო.

სიცოცხლის ბოლომდე ციმბირის საბადოებზე მუშაობა მიუსაჯეს. იმპერატორმა ნიკოლოზმა, ვინც ყოველთვის პირადად ეცნობოდა პოლონელ კეთილშობილთა განაჩენებს, საკუთარი ხელით მიაწერა აშიაზე: „მკაცრად ვაფრთხილებ ხელისუფალთ, ყურადღება

მიაქციონ, რომ კატორღელმა ბორკილიანი ფეხებით გაიაროს მთელი გზა“.

ეს იყო ნელი სიკვდილის განაჩენი. ცოტამ თუ გაუძლო მაღაროებში ჩამარხვას სამ წელზე მეტხანს. და როდესაც ცნობა მოვიდა, ამ ვადის გასვლის შემდეგ ისევ ცოცხალიაო, მშობლების თხოვნითა და უზენაესი მოწყალებით, ნება დაერთო რიგით ჯარისკაცად ემსახურა კავკასიაში. აკრძალული გახლდათ მასთან ყოველნაირი კავშირი. არ გააჩნდა სამოქალაქო უფლებები. არსებითად, მიცვალებული გახლდათ, ეგაა იტანჯებოდა. პატარა გოგონა, ვისაც ფრთხილად აკოცა აკვანში, არ გავაღვიძოო, მთელი ქონების მემკვიდრე შეიქნა პრინც იოანის სიკვდილის შემდეგ. ამ გოგონას არსებობამ გადაარჩინა უზარმაზარი მამულები კონფისკაციას.

ოცდახუთი წლის შემდეგ სრულიად დაყრუებულ, ჯანგატეხილ პრინც რომანს ნება დართეს პოლონეთში დაბრუნებისა. მისი ქალიშვილი ბრწყინვალე ქორწინებით დაუკავშირდა პოლონურ-ავსტრიული წარმოშობის დიდგვაროვანს, და ევროპული არისტოკრატიის უმაღლესს და კოსმოპოლიტურ წრეებში ტრიალებდა, უმთავრესად ნიცასა და ვენაში ცხოვრობდა. პრინცი რომანი თავის ერთ-ერთ მამულში დამკვიდრდა, დიდებულ სასახლეში კი არა, მოკრძალებულ, პატარა სახლში, და იშვიათად ხედავდა თავის ქალიშვილს.

მაგრამ პრინცი რომანი შინ არ გამოკეტილა. აქაოდა, ჩემი საქმე მორჩაო. ახლო-მახლო კერძო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ძნელად თუ გარიგდებოდა რაიმე პრინცი რომანის რჩევისა თუ შეწევნის გარეშე, რაც ფუჭად არასოდეს ჩაივლიდა. მოსწრებულად ამბობდნენ, მისი დღეები მას კი არა, მის თანამოქალაქეებს ეკუთვნითო. და განსაკუთრებით თავდადებული შემწე გახლდათ ყოველი გადასახლებიდან დაბრუნებულისათვის. ქისითაც ეხმარებოდა და რჩევითაც. უგვარებდა საქმეებს და ცხოვრების სახსარს უჩენდა.



ბევრი რამ მსმენია ბიძაჩემისაგან პრინცის თავდადებულ ღვაწლზე, რომ იჩენდა უბრალო სიბრძნეს, დიდ ღირსებასა და ზედმიწევნით ყურადღებას კერძო თუ საზოგადო პატიოსნებისადმი. იმ შეხვედრის შემდგომ, საბილიარდოში, იგი ჩემთვის ცოცხალ ნიმუშად რჩება, რადგანაც როცა მღელვარებით ვისმენ მგლის მგლურ საქციელს, მაშინვე წუთით მივწვდები კაცს, ვინც აღმატებული გახლდათ ადამიანთა შორის, და შეეძლო ღრმად შეგრძნება, მტკიცე რწმენა და მგზნებარე სიყვარული.

დღემდე მახსოვს პრინც რომანის გამხმარი, დაკვრანჩხული ხელი, რომელშიც ჩემი პაწია თავი ჩაიმალა და ბიძაჩემის ნახევრად სერიოზული, ნახევრად გაოცებული მზერა, თავის შემოხეტებულ დისწულს რომ დამყურებდა.

მათ გზა განაგრძეს და დაივიწყეს პატარა ბიჭი. მაგრამ მე ადგილიდან ფეხი არ მომიცვლია; მათ მივჩერებოდი არა იმდენად იმედგაცრუებული, რამდენადაც შეცბუნებული ამ პრინცის გამო, ვინც სულაც არა ჰგავდა ზღაპრულ უფლისწულს. ისინი ნელი ნაბიჯით მიუყვებოდნენ ოთახს. ვიდრე კარს მიადგებოდნენ, პრინცი შეჩერდა; და გავიგონე – თითქმის დღემდე ჩამესმის – თქვა: „მინდა მისწეროთ ვენაში ამ

თანამდებობის შესახებ. მეტად ღირსეული ყმაწვილია – და თქვენი რეკომენდაცია გადამწყვეტი იქნება“.

ბიძაჩემმა შეხედა, მისი სახე ჭეშმარიტ განცვიფრებას გამოხატავდა. თითქოს პირდაპირ ეუბნებოდა, ნეტა მამის რეკომენდაციაზე უკეთესი რა უნდა იყოსო? პრინცმა სწრაფად წაიკითხა მის სახეზე აღბეჭდილი გამომეტყველება და კვლავ დაილაპარაკა იმ ადამიანის უტონალობო აქცენტით, ვისაც საკუთარი ხმა წლობით არ გაუგონია, და ვისთვისაც მდუმარე მსოფლიო უხმო აჩრდილთა სამყოფელს წააგავს.

და დღემდე მახსოვს მისი სიტყვები:

„იმიტომ გთხოვთ, რომ, იცით, ჩემს ქალიშვილსა და სიძეს არა სჯერათ, სწორად თუ ვაფასებ ადამიანებს. ფიქრობენ, რომ უფრო მეტად გრძნობებით ვხელმძღვანელობ“.

# ღუელი

# თავი I

ნაპოლეონ პირველს, ვინც მოღვაწეობის გეზით დუელში გამოიწვია მთელი ევროპა, არ მოსწონდა დუელები თავისი არმიის ოფიცრებს შორის. დიადი მეომარი იმპერატორი ჩხუბისთავი არ გახლდათ, და პატივს არ მიაგებდა ტრადიციას.

თუმც ამბავი დუელისა, რაც ლეგენდად იქცა არმიაში, იმპერიულ ომთა ეპოსს მიჰყვება. თავიანთ მეგობართა განსაცვიფრებლად და აღსაფრთოვანებლად ორმა ოფიცერმა, უგუნური მხატვრებივით გაწმენდილი ოქროს მოოქროვებასა და შროშანის შეფერვას რომ ცდილობენ, პირადი ქიშპობა გადააწვდინეს წლობით გაგრძელებულ საყოველთაო ხოცვა-ჟლეტას. ისინი კავალერიის ოფიცრები იყვნენ და მათი კავშირი სიცოცხლით სავსე და ამაყ ცხოველთან, რომელიც ბრძოლისაკენ მიაჭენებს ვაჟკაცებს, სავსებით გამართლებული გახლდათ. ძნელი იქნებოდა ამ ლეგენდის გმირები წარმოგვედგინა, მაგალითად, ინფანტერიის ორ ოფიცრად, მწკრივში რომ მიაბიჯებენ და ფანტაზია ფეხოსნური ვარჯიშებით გადავსებიათ, და რომელთა სიმამაცეც უთუოდ უფრო დადინჯებულია. რაც შეეხებათ არტილერისტებსა და ინჟინრებს, რომელთა თა-

ვებიც მათემატიკითაა გაგრილებული, მათგან ამგვარი რამ წარმოუდგენელია. ამ ორ ოფიცერს ფერო და დ'იუბერი ერქვათ და ჰუსართა პოლკის ლეიტენანტები იყვნენ, მაგრამ არა ერთი და იმავე პოლკისა.

ფერო პოლკში მსახურობდა, ხოლო ლეიტენანტ დ'იუბერს ბედმა გაულიმა და დივიზიის გენერალთან იყო მიმაგრებული ადიუტანტად. სტრასბურგში იდგნენ და დიდად ტკბებოდნენ ხანმოკლე მშვიდობით ამ მნიშვნელოვან და საამურ გარნიზონში. ტკბებოდნენ, თუმც ომის სუნი მძაფრად ტრიალებდა, რადგან მშვიდობისასაც ხმლებს აფხავებდნენ და თოფებს წმენდნენ, რაც ახარებს მეომრის გულსა და ანარჩუნებინებს სამხედრო სულისკვეთებას, ამიტომაც არავის სჯეროდა მშვიდობის ნამდვილობა და ხანგრძლივობა.

ამ ისტორიულ ვითარებაში, სამხედრო უქმობისათვის სწორედაც შესაფერისში, ერთ ნაშუადღევს ლეიტენანტი დ'იუბერი გზას მიუყვებოდა სიცოცხლით სავსე გარეუბნის მშვიდ ქუჩაზე, ლეიტენანტ ფეროს ბინისაკენ, რაც კერძო სახლში მდებარეობდა, ზურგს უკან ბაღი ეკვროდა და ერთ გაუთხოვარ ქალბატონს ეკუთვნოდა.

კარი დაკაკუნებისთანავე გაულო ალზასურ სამოსში გამონყობილმა ყმაწვილქალმა. მისმა ნორჩმა აგებულებამ და გრძელმა წამწამებმა, მაღალი ოფიცრის დანახვისთანავე რომ დახარა, შეძრა ლეიტენანტი დ'იუბერი, ვინც გულგრილი არ გახლდათ ესთეტიური აღქმისადმი და სახიდან ჩამოსცილდა ცივი და მკაცრი მზერა. იმავდროულად შენიშნა, რომ გოგონას მკლავზე გადაეფინა ჰუსარის წითელზოლიანი, ლურჯი შარვალი.



– ლეიტენანტი ფერო შინაა? – კეთილგანწყობით იკითხა დ'იუბერმა.

– ო, არა, სერ! დილის ექვს საათზე გავიდა.

და კოხტა გოგომ სცადა კარი მიეხურა. ლეიტენანტი დ'იუბერი ნაზად შეეწინააღმდეგა მის მოძრაობას და შესასვლელში შეაბიჯა დეზების წკარუნით.

– გამიგონე, ძვირფასო, იმის თქმა ხომ არ გსურს, რომ დილის ექვსი საათიდან შინ არ მობრუნებულა?

ამ სიტყვებით ლეიტენანტმა დ'იუბერმა დაუკითხავად შეაღო კარი ოთახისა, რომელიც ლაზათიანად და კოხტად მოწყობილიყო, და მხოლოდ ჩექმები, უნიფორმა და სამხედრო აღჭურვილობა დაგარწმუნებდათ, ლეიტენანტ ფეროს ოთახიაო. იმასაც ხედავდა, რომ ლეიტენანტი ფერო შინ არ იყო. მართალი გოგონა უკან მიჰყვა და წრფელი თვალები შეანათა სახეზე.

– ჰმ! – წარმოთქვა ლეიტენანტმა დ'იუბერმა დიდი იმედგაცრუებით, რადგან უკვე შემოევლო ყველა ადგილი, სადაც ჰუსართა ლეიტენანტის პოვნა შეიძლებოდა ამ მშვენიერ ნაშუადღევს. – მაშ შინ არაა? და ხომ არ იცი, ძვირფასო, რატომ გავიდა დილის ექვს საათზე?

– არა, – მკვირცხლად მიუგო გოგონამ. – წუხელ გვიან დაბრუნდა და დაიძინა. მესმოდა მისი ხვრინვა, ხუთ საათზე რომ ავდექი. მერე ძველი უნიფორმა ჩაიცვა და ექვს საათზე გავიდა. ალბათ, სამსახურში.

– სამსახურში? სრულებითაც არა! – წამოიძახა ლეიტენანტმა დ'იუბერმა. – იცოდე, ჩემო ანგელოზო, რომ უთენია იმიტომ გავიდა, რომ დუელში ებრძოლა სამოქალაქო პირთან.

ქალიშვილმა ეს ამბავი ისე მოისმინა, შავი წამწამებიც არ შერხევია. ცხადი იყო, ლეიტენანტ ფეროს საქციელს არ განსჯიდა, ერთი კი შეხედა უტყვი გაკვირვებით და ლეიტენანტმა დ'იუბერმა დაასკვნა, გულგრილი იმიტომაა, რომ დილის მერე უკვე უნახავს ლეიტენანტი ფეროო. დ'იუბერმა ოთახში მიმოიხედა.

– გამანდე! – ჩაეკითხა შემპარავი შინაურულობით, – ალბათ სადმეა სახლში, არა?

გოგონამ თავი გააქნია.

– მით უარესი მისთვის! – აღშფოთებით განაგრძო ლეიტენანტმა დ'იუბერმა. – მაგრამ ამ დილით ხომ იყო სახლში. – ამჯერად გოგონამ ოდნავ დაუქნია თავი.

– ყოფილა! – წამოიძახა ლეიტენანტმა დ'იებერმა. – და კვლავ გავიდა? რისთვის? მშვიდად ვერ დაჯდებოდა შინ? რა უგნურებაა! ჩემო გოგონავ – ლეიტენანტ დ'იუბერს ბუნებრივი კეთილგანწყობილება და დამეგობრების დიდი უნარი უძლიერებდა დაკვირვების უნარს. კილოში შემპარავი სირბილე შეურია და, გოგონას ხელზე გადაფენილ ჰუსარის შარვალს მიჩერებულმა, ფეროს სიმშვიდესა და სიხარულზე ჩამოაგდო სიტყვა. დაჟინებულიც იყო და დამაჯერებელიც. კეთილი და ლამაზი თვალებით ბრწყინვალე შედეგს აღწევდა. მისი წუხილი, რომ რაც შეიძლება მალე ენახა ლეიტენანტი ფერო თვით ფეროსავე სიკეთისათვის, ისეთი დამაჯერებელი იყო, ბოლოს და ბოლოს გადალახა გოგონას უნდობლობა. საუბედუროდ, ბევრი არაფერი ჰქონდა სათქმელი. ფერო შინ ათამდე ცოტა ხნით ადრე დაბრუნებულა, პირდაპირ ოთახში შესულა, დაწოლილა და ძილი განუახლებია. უფრო ხმამაღლა ხვრინავდა, ვიდრე მანამდეო. მერე ამდგარა, საუკეთესო მუნდირი ჩაუცვამს და წასულა. სულ ესაა, რაც იცოდა. თვალები ასწია და ლეიტენანტი ფერო უნდობლად ჩააცქერდა.



– წარმოუდგენელია. სასეირნოდ წავიდა ქალაქში საუკეთესო უნიფორმაში გამოწყობილი! ძვირფასო ბავშვო, იცით, რომ ამ დილით სამოქალაქო პირი გახვრიტა? აი, შამფურზე რომ წამოაგებ კურდღელს, ისე.

კოხტა გოგონამ ეს შემზარავი ამბავი ისე მოისმინა, მწუხარება არ დასტყობია. მაგრამ ტუჩები კი მოკუმა ჩაფიქრებულმა.

– ქალაქში არ დასეირნობს, – აღნიშნა დაბალი ხმით, – სულაც არა.

– მოქალაქის ოჯახმა დიდი აურზაური ატეხა, – განაგრძო ლეიტენანტმა დ'იუბერმა და თავის ფიქრებს მიჰყვა. – გენერალიც მეტად გაჯავრებულია. ეს საუკეთესო ოჯახთაგანია ქალაქში. ფეროს მართებდა შინ მჯდარიყო მაინც...

– გენერალი რას უზამს? – ჩაეკითხა შეწუხებული გოგონა.

– თავს ნამდვილად არ მოჰკვეთს, – წაიბუზღუნა ლეიტენანტმა დ'იუბერმა. – მისი საქციელი ნამდვილად შეუფერებელია. უსიამოვნებას უსიამოვნებაზე ამატებს ამგვარი თავზეხელაღებულებით.

– მაგრამ ქალაქში არ დასეირნობს, – მორცხვი ჩურჩულით დაიჟინა გოგონამ.

– მართლაც! ახლა ვხვდები, მე ხომ ვერსად შევხვდი. ნეტა სად დაიკარგა?

– სტუმრად წავიდა, – მიუგო გოგონამ წამიერი დუმილის შემდეგ.

ლეიტენანტი დ'იუბერი შეხტა.

– სტუმრად! გულისხმობ, რომ ქალბატონთან? რა თავხედია! და თქვენ რა იცით, ჩემო ძვირფასო?

ისე, რომ ქალური ზიზღი არ დაუმალავს მამაკაცთა მიუხვედრელობის გამო, კოხტა გოგონამ შეახსენა, რომ წასვლამდე ლეიტენანტი ფერო საუკეთესო მუნდირში გამოეწყო, და ახალთახალი დოლმანიც წამოისხაო, დასძინა იმ კილოთი, რომ ეს საუბარი არ ეპიტნავებოდა, და მკვეთრად შებრუნდა.

ლეიტენანტი დ'იუბერი არც კი დაეჭვებულა ამ მიგნებაში, მაგრამ ვერ გამოეცნო, თუ როგორ უნდა დახმარებოდა ეს აზრი მის ოფიციალურ ძიებას. იგი ხომ ოფიციალური ბრძანებით ლეიტენანტ ფეროს ეძებდა. არ იცნობდა არცერთ ქალს, რომელსაც, ეს ვაჟბატონი, კაცი რომ გახვრიტა ამ დილით, ესტუმრებოდა ამ ნაშუადღევს. ეს ორი ყმაწვილკაცი შორიდან თუ იცნობდა ერთმანეთს. დაბნეულმა ხელთათმანიან თითზე იკბინა.

– სტუმრად! – წამოიძახა მან. – სად ეშმაკთან!

ზურგით მდგარმა ქალიშვილმა, ჰუსარის შარვალს სკამზე რომ აფენდა, გაღიზიანებულმა ჩაიცინა და გაუსწორა:

– არა, გენაცვალე, არა! მადამ დე ლიონთან.

ლეიტ. დ'იუბერმა ნელა დაუსტვინა. მადამ დე ლიონი მაღალი თანამდებობის პირის ცოლი გახლდათ, ვის სახლშიც ცნობილი სალონი იმართებოდა, განთქმული დახვეწილობითა და თავაზიანობით. ქმარი სამოქალაქო პირი იყო და მოხუცი; სალონის საზოგადოება კი ახალგაზრდა და სამხედრო პირთაგან შედგებოდა. ლეიტ. დ'იუბერმა იმიტომ კი არ წაუსტვინა, რომ ლეიტ.



ფეროს მოძებნა იმ სალონში მიულებელი იყო მისთვის, არამედ – სტრასბურგში ახალი ჩამოსული გახლდათ და ჯერ დრო ვერ მოეხელთებინა მადამ დე ლიონს წარსდგომოდა. უკვირდა, ამ თავზეხელაღებულ ფეროს იქ რა ესაქმებაო. იგი ისეთ კაცს არ ჰგავდა, რომ...

– დარწმუნებული ხართ, რასაც ამბობთ? – იკითხა ლეიტ. დ'იუბერმა.

გოგონა სავსებით დარწმუნებული იყო. არც მობრუნებულა, ისე აუხსნა, რომ მეზობლად მცხოვრები მეეტლე მადამ დე ლიონის კარისკაცს იცნობს და სწორედ ასე შეიტყო. და სავსებით დარწმუნებული გახლდათ. და ამის დასაბუთებისას ამოიოხრა. ლეიტ. ფერო იქ თითქმის ყოველ საღამოს სტუმრობსო, დასძინა.

– ოჰოო, – ირონიულად წამოიძახა დ'იუბერმა. მადამ დე ლიონი მის თვალში მნიშვნელოვნად ჩამოქვეითდა. დახვეწილი და ნაზი გრძნობების ქალისათვის ლეიტ. ფერო ყურადღების ღირსი არ უნდა გამხდარიყო. მაგრამ რას იზამ. არსით ყველანი ერთნაირები არიან – უფრო პრაქტიკულნი, ვიდრე იდეალურნი. თუმც ლეიტ. დ'იუბერს ამაზე ფიქრით თავი არ შეუწუხებია. – ჯანდაბა! – ხმამაღლა მიადევნა ფიქრი. – იქ ხანდახან გენერალიც მიდის. თუ ნახა, რომ ეს ჯეელი ქალბატონს ფეხვალებს უჟუჟუნებს, ეშმაკს ვერ გადავურჩებით! ჩვენს გენერალთან ხუმრობა არ წაადგება, დამიჯერეთ.

– მაშ გაეშურეთ! აქ რაღას უდგახართ, ხომ გითხარით, სადაც არის! – წამოიძახა გოგონამ და ყურებამდე გაწითლდა.

– გმადლობ, ძვირფასო! არც კი ვიცი, უშენოდ რა უნდა მელონა. – და მას შემდეგ, რაც მეტად დაუინებუ-

ლად გამოხატა თავისი მადლიერება, ჯერ ბრაზით რომ უკუაგდეს, მაგრამ მერე დაჰყვნენ მოულოდნელი და მაინც უკმაყოფილი განურჩევლობით, ლეიტ. დ'იუბერი წავიდა. მწყობრი სამხედრო სვლით, დეზების წკარუნით მიაბიჯებდა ქუჩაში. ციდან მიწაზე თანამებრძოლის ჩამოყვანა სასტუმრო ოთახში, სადაც მას არ იცნობდნენ, სულაც არ ადარდებდა. უნიფორმა იგივე პასპორტი იყო. ხოლო გენერლის ადიუტანტის წოდება თავდაჯერებულობას ჰმატებდა. ამასთან, ახლა, როცა იცოდა, თუ სად იმყოფებოდა ლეიტ. ფერო, არჩევანი აღარც ჰქონდა. სამსახური მოითხოვდა.

მადამ დე ლიონის სახლი დიდებული გარეგნობისა გახლდათ. ლივრეაში გამოწყობილმა კაცმა დიდი, იატაკმოკრიალებული სასტუმრო ოთახის კარი შეუღო, მისი სახელი ხმამაღლა გამოაცხადა და შეუშვა. მიღების დღე იყო. ქალებს ბუმბულებით ზედმეტად მორთული ქუდები ეხურათ; თეთრ სამოსში გამოკვალთულიყვნენ, იდაყვებიდან დაბალქუსლიან ატლასის ფეხსაცმლებამდე, ნორჩებსა და მოხდენილებს ყელი და მკლავები მოეშიშვლებინათ. მათთან მოსაუბრე კაცებს კი პირიქით – ფერად-ფერადი ტანსაცმელი ეცვათ, საყელოები ყურებამდე სწვდებოდათ და წელზე სქელი სარტყელი ეკრათ. ლეიტენანტმა დ'იუბერმა თამამად გაიარა ოთახი და მდაბლად დაუკრა თავი დივანს მიყრდნობილ მოხდენილ ქმნილებას, ბოდიში მოუხადა შემოჭრისათვის, რასაც მხოლოდ ის ამართლებდა, რომ სასწრაფო დავალება უნდა შეესრულებინა და რაღაც ეცნობებინა ლეიტ. ფეროსათვის. პირობა დადო, რომ ქცევის შესაფერისად ესტუმრებოდა და მოიბოდიშებდა.



ჯერ სათქმელი არ დაესრულებინა, რომ გრაციოზული გულგრილობით გაუწოდეს შიშველი მკლავი. პატივისცემით მიიკრა ხელი ტუჩებზე და გაიფიქრა, ხმელი ხელი ჰქონიაო. მადამ დე ლიონი ქერა გახლდათ, ნაზი კანი ჰქონდა და გრძელი სახე.

– ჩ'ესტ ცა! – თქვა ღვთაებრივი ღიმილით და დიდი კბილები გამოაჩინა. – ამ საღამოს მობრძანდით, მოსაბოდიშებლად.

– თავს არ შევირცხვენ, მადამ.

ამასობაში ლეიტ. ფერო დივანთან ერთ ნაბიჯზე იჯდა სკამზე და ბრწყინავდა თავის ახალ დოლმანსა და უკიდურესად გაპრიალებულ სასტუმრო ჩექმებში, ერთი ხელი თეძოზე დაეყრდნო და მეორით ულვაშს იგრეხდა. დ'იუბერის მანიშნებელ მზერაზე ზანტად წამოდგა და ფანჯარასთან მიჰყვა.

– რა გნებავთ ჩემგან? – ჰკითხა განსაცვიფრებელი გულგრილობით. ლეიტ. დ'იუბერი ვერ წარმოიდგენდა, რომ ლეიტ. ფერო გულალალად და შეუბღალავი სინდისით უყურებდა თავის დუელს და არც სინდისის ქენჯნას გრძნობდა და არც გონივრულად აფასებდა შედეგებს. თუმც კარგად არ ახსოვდა, თუ როგორ დაიწყო ჩხუბი (ეს იმ დაწესებულებაში მოხდა, სადაც ლუდსა და ღვინოს მთელი ღამე ყლურწავენ), ეჭვიც არ ეპარებოდა, რომ სწორედ მას მიაყენეს შეურცხყოფა. სეკუნდანტებად ორი გამოცდილი მეგობარი ჰყავდა. ყველაფერი წესისა და რიგის მიხედვით შესრულდა, როგორც ამგვარი თავგადასავლებისას ხდება. და დუელისას ხომ ვიღაც უთუოდ უნდა დაშავდეს, თუკი არ მოკვდება. სამოქალაქო პირი დაშავდა. ესეც წესში

თავსდებოდა. ლეიტ. ფერო სავსებით მშვიდად იყო; მაგრამ ლეიტ. დ'იუბერს ეგონა, თავს იკატუნებსო, ამიტომ ცოტა ფიცხად ლაპარაკობდა.

– გენერალმა გამომგზავნა, გადმოგცეთ ბრძანება, რომ ახლავე უნდა გაეშუროთ თქვენი ბინისაკენ და შინაურ პატიმრობაში დარჩეთ.

ახლა ლეიტ. ფეროს გაკვირვების დრო დადგა. – რა ჯანდაბას მეუბნებით? – ძლივს წაიჩურჩულა და ისე გაოცდა, მექანიკურად მიჰყვა უკან ლეიტ. დ'იუბერს. ორივე ოფიცერი, ერთი მაღალი, სასიამოვნო სახისა, ხორბლისფერი ულვაშით დამშვენებული, მეორე კი დაბალი და ჩადგმული ტანის, კეხიანცხვირიანი და ხშირ, ხუჭუჭა, შავთმიანი, ქალბატონს მიუახლოვდა გამოსამშვიდობებლად. მადამ დე ლიონს შერეული გემოვნება ჰქონდა და ორივე შეიარაღებულ ყმაწვილკაცს მიუდგომელი გრძნობითა და თანაბარი ინტერესით გაუღიმა. მადამ დე ლიონს სიამეს ჰგვრიდა ადამიანურ ჯიშთა უსაზღვრო მრავალფეროვნების შესწავლა. სასტუმრო ოთახში შეკრებილთა ყველა სხვა თვალმა გააცილა მიმავალი ოფიცრები და როცა გავიდნენ, ორიოდე კაცმა, ვისაც უკვე სმენოდა დუელის შესახებ, ცნობა გაავრცელეს ფერიათა მსგავს ქალბატონებში, რომელთაც ადამიანური მწუხარება ნელი ოხვრით გამოხატეს.

ამ დროს ორი ჰუსარი გვერდი-გვერდ მიაბიჯებდა; ლეიტ. ფერო ცდილობდა ჩაწვდომოდა მოვლენათა დაფარულ მიზეზს, რაც ამჯერად მისი ინტელექტისათვის მიუწვდომელი იყო, ლეიტ. დ'იუბერი კი გაბეზრებული გახლდათ მისთვის დაკისრებული როლის შესრულებით,



რადგან გენერლის დავალებით, პირადად უნდა ენახა, რომ ლეიტ.ფერომ დაუყოვნებლივ შეასრულა ბრძანება.

– სარდალი, როგორც ჩანს, იცნობს ამ ცხოველს, – ფიქრობდა იგი და თანმხლებს ათვალიერებდა, ვისი მრგვალი სახეც, მრგვალი თვალებიც, და მომრგვალებული, პატარა შავი ულვაშიც კი ამხელდა გონებრივ დაძაბულობას, გარკვეულიყო, რა ხდებოდა. და ერთგვარი გაკიცხვით უთხრა ხმამაღლა, – გენერალი ეშმაკივით გაცოფებულია თქვენზე!

ლეიტ. ფერო ტროტუარის კიდეზე შედგა და აშკარად წრფელად წამოიყვირა, – რის გულისათვის? – მგზნებარე გასკონური სულის სიალალე გამოიხატა მოძრაობაშიც, როცა ორივე ხელი თავზე შემოიჭდო, დაძაბულობისაგან არ გამისკდესო.

– დუელისათვის, – მკვახედ მიუგო ლეიტ. დ'იუბერმა. ასეთი გადაგვარებული სისულელე მეტად აღიზიანებდა.

– დუელისათვის! დუე...

ლეიტ.ფერო განცვიფრების ერთი შემოტევიდან მეორეში გადავარდა. ხელები ჩამოუშვა და დინჯად გააბიჯა, ცდილობდა ეს ცნობა თავისი გრძნობებისათვის შეეწყო. შეუძლებელი გახლდათ. და აღშფოთებულმა ამოხეთქა, – რა, იმ მუავეწნილიჭამია მოქალაქისათვის ჰუსართა მეშვიდე პოლკის მუნდირზე ფეხების შეწმენდის ნება უნდა მიმეცა?

ლეიტ. დ'იუბერი გულგრილი ვერ დარჩებოდა ამ მარტივი გრძნობის მიმართ. და თავისთვის გაიფიქრა, ეს პატარა ჯეელი გიჟი კია, მაგრამ მთლად უაზრობას არ ამბობსო.

– ცხადია, არ ვიცი, რამდენად მართალი იყავით, – შემრიგებლურად თქვა მან. – და გენერალსაც ალბათ სწორად არ აცნობეს. იმ ხალხმა დააყრუა მოთქმა-გოდებით.

– აჰ, გენერალს სწორად არ აცნობეს, – ბურტყუნებდა ლეიტ. ფერო და სულ უფრო სწრაფად მიაბიჯებდა, რადგან უფრო მეტად შეწუხდა იღბლის უსამართლობის გამო. – სწორად არ აცნო... და შინაურ პატიმრობას მისჯის, ღმერთმა იცის, მერე რა იქნება!

– ასეც ნუ დაიტანჯავთ თავს, – დაუშალა დ'იუბერმა. თქვენი მეტოქის ნათესავები მეტად გავლენიანი ხალხია და ამიტომაც გართულდა ასე საქმე. გენერალი იძულებული იყო, მაშინვე რაღაც ეღონა მათი საჩივრის გამო. არა მგონია, დიდი სიმკაცრე გამოიჩინოს თქვენ მიმართ. თქვენთვის უკეთესია, ცოტა ხანს თვალს მიეფაროთ.

– მეტად მადლიერი ვარ გენერლისა, – კბილებში გამოსცრა ლეიტ. ფერომ. – ალბათ იმასაც იტყვით, თქვენი მადლობელიც უნდა ვიყო, სასტუმრო ოთახში რომ შემომეჭერით ქალბატონისა, ვინც...

– გულწრფელად გეტყვით, – უმანკო ღიმილით შეაწყვეტინა ლეიტ. დ'იუბერმა, – მადლობას ვიმსახურებ. ბევრი ხათაბალა გადამხდა, ვიდრე გავიგებდი თუ სად იყავით. ეს არ იყო თქვენთვის შესაფერისი ადგილი ამ ვითარებაში. გენერალს რომ იქ გამოეჭირეთ, როცა ტაძრის ღვთაებას თვალებს უჟუჟუნებდით... უჰ, სიტყვას გაძლევთ! ხომ იცით, როგორ ეჯავრება, როცა მისი ოფიცრების გამო შესჩივიან. ეს უჩვეულოდ აშკარა თავხედობა იქნებოდა.



ორი ოფიცერი ლეიტ. ფეროს საცხოვრებლის კარს მიადგა ქუჩის მხრიდან. ფერო მოუბრუნდა დ'იუბერს. – ლეიტ. დ'იუბერ, – მიმართა მან, – რაღაც უნდა გითხრათ, რასაც ქუჩაში ვერ ვიტყვი. ნუ მეუარებით და მაღლა ამომყევით.

კარი მოხდენილმა ქალიშვილმა გაულო. ლეიტ. ფერომ ისე უხეშად აუარა გვერდი, გოგონამ შეშინებული თვალები კითხვით მიაპყრო ლეიტ. დ'იუბერს, ვინც სხვა ვერა მოახერხა რა, მარტოდენ მხრები აიჩეჩა და უხალისოდ მიჰყვა უკან მასპინძელს.

თავის ოთახში ლეიტ. ფერომ გაიხსნა შესაკრავი, ახალი დოლმენი საწოლზე მიაგდო, მობრუნდა მეორე ჰუსარისაკენ და მკლავები მკერდზე გადაიჯვარედინა.

– ისეთი კაცი ხომ არა გგონივართ, ვინც მორჩილად იტანს უსამართლობას? – აღშფოთებით იკითხა მან.

– ოჰ, გონებას მოუხმეთ! – შეეპასუხა დ'იუბერი.

– გონებაზე ვარ! სრულ ჭკუაზე! – მიუგო ფერომ ავისმომასწავებელი თავშეკავებულობით. – გენერალს ვერ მოვთხოვ ახსნა-განმარტებას მისი საქციელის გამო, მაგრამ თქვენ უნდა აგოთ პასუხი თქვენს ქცევაზე.

– ამ უაზრობის მოსმენა არ შემიძლია, – ჩაიბურტყუნა ლეიტ. დ'იუბერმა და ოდნავი ზიზღი გამოეხატა სახეზე.

– თქვენ ამას უაზრობას უწოდებთ? მე კი სავსებით გასაგებად გეუბნებით. თუკი ფრანგული გესმით.

– რა გნებავთ ბოლო-ბოლო?

– მნებავს, – მოულოდნელად წამოიყვირა ლეიტ. ფერომ, – ყურები დაგაჭრათ, რათა მეორედ აღარ შე-

მანუხოთ გენერლის ბრძანებებით, როცა ქალბატონს ვესაუბრები.

ამ გადარეულ გაცხადებას ღრმა სიჩუმე მოჰყვა; ლეიტ. დ'იუბერს ცხადად მოესმა ჩიტების ჭიკჭიკი ბაღიდან. სიმშვიდე შეინარჩუნა და მიუგო, – კეთილი! თუ ამ კილოთი გსურთ საუბარი, თქვენს განკარგულებაში მიგულეთ, როცა დრო გექნებათ ამ საქმისათვის; მაგრამ არა მგონია, ყურების დაჭრა შეძლოთ.

– ახლავე შევუდგები საქმეს, – განუცხადა ლეიტ. ფერომ ენითუთქმელი უკმეხობით. – და ძალზედ ცდებით, თუ გგონიათ, რომ ამაღამ მადამ დე ლიონის სალონში გადმოფენთ თქვენს ხიბლსა და მანერებს.

– მართლაც რომ აუტანელი ჯეელი ბრძანდებით! – თქვა ლეიტ. დ'იუბერმა, ვინც იგრძნო, თავს ველარ ვიკავებო. – გენერალმა მიბრძანა, შინაპატიმრობის ბრძანება გადმომეცა და არა ნაკუწებად მექციეთ. მშვიდობით ბრძანდებოდეთ! – და ზურგი შეაქცია ტანდაბალ გასკონელს, ვინც სმისას ყოველთვის სიფხიზლეს ინარჩუნებდა, მაგრამ ახლა თითქოსდა თავისი ვაზით განთქმული მხარის მზემ; ჩრდილოელი კი, ვისაც საჭიროების შემთხვევაში ბლომად დალევაც შეეძლო, მაგრამ სიდინჯე მოსდგამდა პიკარდიის წყლისფერი ცისა, კარისაკენ გაემართა, მაგრამ ქარქაშიდან ხმლის ამოღების სხვაში შეუცდომელი ხმა მოესმა და აღარა დარჩენოდა რა, გარდა შეჩერებისა.

– ეშმაკმა წაიღოს ეს გადარეული სამხრეთელი! – გაიფიქრა მან, შემობრუნდა და დინჯად შეაფასა ლეიტ. ფეროს საბრძოლო პოზა შიშველი ხმლით ხელში.



– ახლავე! ახლავე! – თავისთვის ბურტყუნებდა ფერო.

– უკვე გიპასუხეთ, – თავდაჭერით უთხრა დ'იუბერმა.

თავიდან გაჯავრდა, მერე განცვიფრდა; ახლა კი სახე მოეღრუბლა. საკუთარ თავს სერიოზულად ეკითხებოდა, როგორ გავაღწიო აქედანო. ისიც წარმოუდგენელი იყო, რომ გაჰქცეოდა ხმლიან კაცს, და ისიც, რომ შებრძოლებოდა, ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლებოდა. ცოტა ხანს შეყოვნდა და მერე სწორედ ის თქვა, რაც გულში ჰქონდა.

– შეწყვიტეთ! არ შეგებრძოლებით. საცინლად არ გავიხდი თავს.

– აჰ, არა? – წაისისინა გასკონელმა. – ვფიქრობ, ჯაბანის სახელი გირჩევნიათ. გესმით, რას გეუბნებით? ჯაბანო! ჯაბანო! ჯაბანო! – გაჰკიოდა, ცერებზე დგებოდა და სახეზე სულ წამოჭარხლდა.

ლეიტ. დ'იუბერი, პირიქით, წამით სულ გაფითრდა შეურაცხმყოფელი სიტყვის გაგონებაზე, მერე კი ქერა თმის ძირებამდე გაწითლდა. – მაგრამ თქვენ ხომ საბრძოლველადაც ვერ გამოხვალთ, შინაპატიმრობაში ბრძანდებით, შეშლილო! – მიაძახა ზიზღიანი ბრაზით.

– ბაღი ხომ აქაა; საკმაოდ დიდია, რომ თქვენი გვამი დაეტიოს, – ისეთ აბდაუბდას ისროდა ფერო, დ'იუბერს ცოტა გადაუარა ბრაზმა.

– სრული უაზრობაა, – თქვა და ცოტა გულს მოეშვა, ეგონა გამოსავალი ვიპოვეო. – სეკუნდანტები საიდან მოვიყვანოთ, რა სიგიჟეა.

– სეკუნდანტები! ჯანდაბას სეკუნდანტები! რად გვინდა სეკუნდანტები. მაგაზე ნუ იჯავრებთ. თქვენს მეგობრებს შევუთვლი, რომ მოვიდნენ და დაგმარხონ, როცა ხელს მოგითავებთ. და თუ მონმე გჭირდებათ, შინაბერას დავუბარებ, ფანჯარაში თავი გამოჰყოს. მოიცათ! მებაღეც გვყავს. გამოდგება. კუნძივით ყრუა, მაგრამ ორივე თვალი აბია. წავიდეთ! მე თქვენ გასწავლით, შტაბის ოფიცერო, რომ გენერლის ბრძანებების დარიგება ყოველთვის არაა ბავშვური თამაში.

ამ მსჯელობისას ცარიელი ქარქაში მოიხსნა და საწოლის ქვეშ შეისროლა, ხმლის წვერი დაბლა დაუშვა, დაბნეულ ლეიტენანტ დ'იუბერს გვერდით ჩაუქროლა და მიაძახა, – მომყევით! – როგორც კი კარი გააღო და გავარდა, მსუბუქი წამოკივლება მოისმა და კოხტა გოგონა, გასაღების ჭუჭრუტანიდან რომ უსმენდათ, უკან გადაქანდა და თვალებზე ხელები აიფარა. ფეროს ყურადღება არ მიუქცევია მისთვის, მაგრამ გოგონა გამოეკიდა და მარცხენა მკლავში ჩაეჭიდა. ფერომ ხელიდან ჩამოიბერტყა, მაშინ დ'იუბერს ეცა და უნიფორმის მარცხენა სახელოზე ჩაებღაუჭა.

– საძაგელო კაცო! – მოთქვამდა იგი, – ამისათვის გინდოდათ მისი პოვნა?

– გამიშვით, – შეევედრა ლეიტ. დ'იუბერი და შეეცადა უმტკივნეულოდ ჩამოეშორებინა. – ეს რა საგიჟეთია, – აღმოხდა თავგზადაბნეულს. – გამიშვით-მეთქი, არაფერს დავუშავებ.

ამ სიტყვებს ლეიტ. ფერომ ბოროტი სიცილით უპასუხა.

– აქ მოდით! – შეჰყვირა და ფეხი დასცა.



და ლეიტ. დ'იუბერი მიჰყვა. მეტი აღარ შეეძლო. თუმცა მის გასამართლებლად, რომ გონიერება არ დაუკარგავს, უნდა აღინიშნოს, რომ წინკარში გასვლისას მამაც ყმაწვილკაცს თავში გაუელვა, ქუჩის კარი გაეღო და გავარდნილიყო, თუმც ეს აზრი მაშინვე უკუაგდო, რადგან დარწმუნებული იყო, მონინააღმდეგე უსინდისოდ და უსირცხვილოდ გამოედევნებოდა. ხოლო ის, რომ ერთი ჰუსარი ოფიცერი მეორეს შიშველი ხმლით დასდევნებოდა, წარმოუდგენელი გახლდათ. ამიტომაც შეჰყვა ბაღში. უკან გოგონაც მიბარბაცებდა. ტუჩებგაფითრებული და თვალებში შიშჩამდგარი შემზარავ ცნობისმოყვარეობას დანებებოდა. ისიც სურდა, რომ თუ საჭირო შეიქნებოდა, ლეიტ. ფეროსა და სიკვდილს შორის ჩამდგარიყო.

ყრუ მებაღეს ნაბიჯების ხმა არ გაუგონია, ყვავილებს რწყავდა, როცა ლეიტ. ფერომ ზურგზე ხელი დაჰკრა. განრისხებული კაცის დანახვაზე, დიდ, შიშველ ხმალს რომ ატრიალებდა, მოხუცებულს კიდურები აუცახცახდა და სარწყავი გაუვარდა ხელიდან. ლეიტ. ფერომ სარწყავს წიხლი ჰკრა ზიზღით, კისერში ჩაავლო ხელი მებაღეს და ზურგით ხეს მიაყენა, თან ყურში ჩაჰყვიროდა, – აქ იდექი და უყურე! გაიგე? უნდა უყურო! არ გაბედო და ფეხი არ გაადგა აქედან!

ლეიტ. დ'იუბერი დინჯად გამოვიდა ბილიკზე, დაუფარავი ზიზღით მოიხსნა დოლმანი. და თუმც ხელი ხმლის ვადაზე ედო, შეყოყმანდა და ქარქაშიდან არ ამოულია, ვიდრე გაიგონებდა ღრიალს, – ნ გარდე, ფიცჰტრე! რაღას უდგახართ? და – მონინააღმდეგის შემოტევამ უმალ დააყენა თავდაცვის მდგომარეობაში.

მახვილთა ჯახმა ააავსო მოვლილი ბალი, რომელსაც აქამდე მაკრატლის ხმაზე უფრო საომარი არაფერი სმენოდა; მეორე სართულის ფანჯრიდან მაშინვე გადმოეყუდა ხნიერი ქალის ტანი. ხელები თეთრ ჩაჩზე შემოეწყო და ჩახლეჩილი ხმით ინყევლებოდა. მებაღე ხეზე მიწებებულიყო, უკბილო პირი იდიოტური გაოცებით დაელო, ბილიკიდან ცოტა მოშორებით პატარა მოლზე კოხტა გოგონა მოჯადოებულივით მირბი-მორბოდა, ხელებს იმტვრევდა და გიჟივით ბუტბუტებდა. მებრძოლთა შორის ვერ ჩადგა, ლეიტ. ფერო ისე გამძვინვარებული უტევდა, რომ გამბედაობამ ულალატა. ლეიტ. დ'იუბერი თავს იცავდა და მოხმალავის მთელი ცოდნა და უნარი დასჭირდა მოწინააღმდეგის შემოტევის მოსაგერიებლად. წვრილ ხრეშმოყრილ მიწაზე ჩექმიანი ფეხის მოკიდება უჭირდა. ყველაზე შეუფერებელი ნიადაგიაო, ფიქრობდა და თან გრძელი წამწამებით ნახევრად დაბურულ მზერას არ აშორებდა თავისი ჯმუხი მოწინააღმდეგის გაცოფებულ თვალებს. ამ სულელურ ფათერაკს შეეძლო შეერყია მისი, როგორც აღზრდილი, თავაზიანი, იმედისმომცემი ოფიცრის რეპუტაცია. სწრაფ დაწინაურებას უთუოდ შეაფერხებდა და გენერლის კეთილგანწყობას დააკარგვინებდა. მაგრამ ეს საქმიანი ფიქრები დაუყოვნებლივ გადაძალა ვითარების სერიოზულობამ. დუელი, როგორც ღირსების კულტის ცერემონია, თუნდ ზნეობაგამოცლილი და მამაკაცური სპორტის ფორმას გათანაბრებული, მისწრაფების ერთადერთ მიზნად ქცევასა და მკვლელის განწყობას მოითხოვს. მეორე მხრივ, აშკარა წუხილს თავისი მომავლის გამო ცუდი სამსახური არ გაუწევია, რაკი ბრაზი გააღვივა ლეიტ. დ'იუბერში. წუთიც არ გასულა, რაც ხმლები გადააჯვარედინეს, და ლეიტ. დ'იუბერს უკანდახევა მოუხდა, რათა მახვილზე არ აეგო გონდაკარგული მოწინააღმდეგე, როგორც ხოჭო მწერების ნიმუშთა გამოფენისათვის. ლეიტ. ფეროს ეგონა, ვჯობნიო, და გამარჯვებულის შეძახილით გააძლიერა შეტევა. ეს გაცოფებული მხეცი მალე კედელთან მიმაყენებსო, გაიფიქრა ლეიტ. დ'იუბერმა. მოეჩვენა, რომ სახლს რეალურზე მეტად მიუახლოვდა, თავის მობრუნებას ვერ ბედავდა; ეგონა, თვალით უფრო ვაჩერებ მეტოქეს, ვიდრე მახვილითო. ლეიტენანტი ფერო მძვინვარე ვეფხვივით იკუმშებოდა და იშლებოდა და ყველაზე მტკიცე გულსაც კი შეაკრთობდა. მაგრამ ბუნებრივ მდგომარეობაში მყოფი გარეული მხეცის უბრალო მძვინვარებაზე უფრო საშინელია ის სასტიკი და დაჯინებული მიზანი, რისკენაც კაცი ისწრაფვის. ამქვეყნიურ საქმეებზე ჩაფიქრებული ლეიტ. დ'იუბერი, როგორც იქნა, მიხვდა ამას. უაზრო და საზიანო ფათერაკში კი გაეხვა, მაგრამ რაც უნდა სასაცილო ყოფილიყო საბაბი, რითაც ეს დაიწყო ამ ჯეელმა, ცხადია, ახლა მხოლოდ მოკვლა სურდა, სხვა არაფერი. და ამის მისაღწევად იმდენ ძალასა და ნებისყოფას აქსოვდა, რომ ამასთან ვეფხვის შესაძლებლობანი არად მოჩანდა.



როგორც ბუნებით მამაც ადამიანებს სჩვევიათ, საფრთხის სრულად წარმოდგენამ დააინტერესა ლეიტ. დ'იუბერი. და როგორც სწორად შეაფასა ვითარება, მკლავის სიგრძემა და გონების სიფხიზლემ უპირატესობა მოაპოვებინა. ახლა უკვე ლეიტ. ფეროს ჯერი დადგა,

უკან დაეხია, რის გამოც ბრაზისგან საშინელი გმინვა აღმოხდა. ელვისებური ილეთით კვლავ წინ გაიჭრა.

– აჰ, ასე გნებავთ? – გონებაში წამოიძახა ლეიტ. დ'იუბერმა. ბრძოლა უკვე ორი წუთია გრძელდებოდა, ეს დრო კი ყველას გამოიყვანს წონასწორობიდან ჩხუბის სიცხარის მიუხედავად. და შერკინება კიდეც დასრულდა. ლეიტ. ფერო შეეცადა მეტოქის დაცვა გაერღვია და ახლოს მისჭროდა და სწორედ აქ იგემა დარტყმა მოღუნულ ხელში. ჯერ თითქოს ვერც იგრძნო, მაგრამ შეტევა ჩაეფუშა, ფეხი ხრეშზე დაუცურდა და მძიმედ დაენარცხა მიწაზე. დაცემამ მისი გახურებული გონება უგრძნობელ სიმშვიდეში გადაიყვანა. დაეცა თუ არა ფერო, კოხტა მოსამსახურე გოგო აკივლდა; ხოლო ფანჯარაში გადმოყუდებულმა მოხუცებულმა ქალმა წყევლა შეწყვიტა და პირჯვრის წერას მოჰყვა. უძრავად გაშხლართული სახით ზეცას მიჩერებული მეტოქის დანახვაზე, ლეიტ. დ'იუბერმა იფიქრა, ნამდვილად მოვკალიო. წარმოიდგინა, ისე ძლიერად დავკარი, შუაზე გავაპობდიო, და ამ წარმოდგენამ ისე გაუმძაფრა მეხსიერება, თითქოსდა მთელი ძალა ჩაექსოვოს დარტყმაში. მაშინვე მიწაზე მწოლარე სხეულის გვერდით ჩაიმუხლა. ნახა, რომ მკლავიც კი არ ჰქონდა წარკვეთილი და შვების განცდას ერთგვარი იმედგაცრუებაც შეერია. ეს ჯეელი მეტს იმსახურებდა. მაგრამ ამ ცოდვილის სიკვდილი მაინც არ სურდა. თუმც ვითარება მაინც საკმაოდ საშიში იყო და ლეიტ. დ'იუბერმა გადაწყვიტა, სისხლდენა შეეჩერებინა. ამაში კი ხელი მართლაც რომ სასაცილოდ შეუშალა ხელი მსახურმა გოგომ. კივილით რომ არემარეს აყრუებდა, უეცრად უკანიდან შეახტა,



თითებით თმაში ჩააფრინდა და მოქაჩა. გაუგებარი იყო, რაღა ეს წუთი შეარჩია და არც უცდია გარკვეულიყო. რაღაც კოშმარულ სიზმარში ეგონა თავი. ორჯერ შეეცადა მოეშორებინა, რისთვისაც იძულებული შეიქნა წამომდგარიყო და ამას სიტყვის უთქმელად და მოთმინებით სჩადიოდა, მერე კვლავ ჩაიმუხლებდა და შველას განაგრძობდა. მესამედ კი, როცა საქმე დასრულებული იყო, ხელები გადაუგრიხა და გაუკავა. გოგონას ჩაჩი სანახევროდ მოძრობოდა თავიდან, სახე გაჭარხლებოდა, შეშლილი სიავით უელავდა. მშვიდად ჩაჰყურებდა, ვიდრე გოგო არამზადას, მუხთალსა და მკვლელს უწოდებდა განუწყვეტლივ. ამან ისე არ გააბრაზა, რამდენადაც იმან, გოგოს კარგა გვარიანად დაეფხაჭნა მისი სახე. სასაცილოლა აკლდა ამ სკანდალურ ამბავს. გაისიგრძეგანა გაზვიადებული ნაირსახეობანი ამბისა, ქალაქის გარნიზონს რომ შემოივლიდა და საზღვარზე განლაგებულ მთელ არმიას გადასწვდებოდა და ყოვლად დამახინჯდებოდა მიზეზი და განწყობილება მომხდარისა, ეჭვქვეშ დადგებოდა მისი გონიერება და ქცევა, მისი გემოვნება კი თვით მისი კეთილშობილი ოჯახის ყურს მისწვდებოდა. იმ მუდრეგი ფეროსათვის ეს აინუნშიც არ იყო ჩასაგდები, მას არც ოჯახი ჰყავდა და არავითარი სიქველე არ გააჩნდა სიმამაცის გარდა, რაც თავისთავად იგულისხმებოდა, რომ საფრანგეთის კავალერიის ყოველ ჯარისკაცს უნდა ჰქონოდა. ჯერ კიდევ მტკიცედ ჰყავდა გოგო გაკავებული, რომ ლეიტ. დ'იუბერმა მხარს ზემოდან გადაჰხედა და დაინახა, რომ ლეიტ. ფერომ თვალები გაახილა, არ განძრეულა. ღრმა

ძილიდან გამოფხიზლებული კაცივით უაზროდ მისჩერებოდა საღამოს ცას.

ბევრი უძახა ლეიტენანტმა დ'იუბერმა მოხუც მებაღეს, მაგრამ იმდენიც ვერ გააგონა, რომ უკბილო პირი დაეხურა. მერე გაახსენდა, რომ კაცი ყრუ იყო კუნძივით. მთელი ეს დრო გოგო გაუჩერებლად იბრძოდა, ქალწულური მორიდებულობით კი არა, კაი მუნჯი ფურიასავით ფართხალებდა და წიხლებს იქნევდა დროდადრო. ჯერ კიდევ იმიტომ ეჭირა, რომ ინსტინქტი კარნახობდა, გაუშვებ თუ არა, თვალებში შემოგაფრინდებაო. მაგრამ ამგვარმა ყოფამაც გააბეზრა. ბოლოს გოგონა მოეშვა. უფრო დაღლილია, ვიდრე დამშვიდებულიო, შიშობდა დ'იუბერი. და მაინც შეეცადა მოლაპარაკების გზით გაეტანა თავისი.

– ყური დამიგდეთ, – უთხრა, რაც შეიძლებოდა მშვიდად. – მპირდებით, რომ თუ გაგიშვებთ, დასტაქარის მოსაყვანად გაიქცევით?

თავისდა სამწუხაროდ, პასუხად გაიგონა, მსგავს რამეს გუნებაშიც არ გავივლებო, პირიქით, ბაღში დარჩენას აპირებდა და კბილებითა და ფრჩხილებით დაცვას დამარცხებული კაცისა. ჭკუიდან გადაიყვანდა ადამიანს.

– ჩემო პატარავ! – წამოიძახა სასოწარკვეთილმა დ'იუბერმა, – ნუთუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ დაჭრილ მონინააღმდეგეს მოვკლავ? ეს ხომ... დამშვიდდი, შე ველურო კნუტო, შენა!

ამ ბრძოლაში იყვნენ, რომ უკნიდან დაბალი, მთვლემარე ხმა გაისმა, – რას ერჩით მაგ გოგოს?

ლეიტ. ფერო საღ ხელზე წამოწეულიყო და ბურანში მყოფი დაჰყურებდა მეორე ხელს, სისხლით მოსვრილ



უნიფორმას, სისხლის მომცრო გუბეს მიწაზე და თავის ხმალს, ერთ ნაბიჯზე რომ ეგდო ბილიკზე. შემდეგ ისევ ნელა მიწვა, რათა გაეაზრებინა ყველაფერი ეს, რამდენადაც გამაყრუებელი თავის ტკივილი შეაძლებინებდა გონების მოკრეფას.

ლეიტ. დ'იუბერმა ხელი უშვა გოგოს, ვინც მაშინვე ფეროს გვერდით ჩაიმუხლა. საღამოს ბინდი ეფინებოდა პატარა, მოვლილ ბაღსა და წყვილს, რომელთაგანაც მოისმოდა თანაგრძნობისა და წუხილის დუდუნი და მეორე ხმაც, ჯერაც გამოუფხიზლებელი და სუსტი, რათა გინება შეძლებოდა. ლეიტ. დ'იუბერი იქაურობას გაეცალა.

გაშორდა მდუმარე სახლს და თავს მიულოცა, რომ საღამოს ბინდი გამვლელთაგან ფარავდა მის სისხლიან ხელებსა და დაფხაჭნილ სახეს. თუმც ეს ამბავი ასე არ დამთავრდებოდა. ყველგან გაკიცხვა და დაცინვა ელანდებოდა და წვალობდა, რომ მკვლელივით შემოვლითი ქუჩებით ევლო. უეცრად ფლეიტის ხმები მოესმა ღია მოკრძალებული სახლის მეორე სართულის ღია ფანჯრიდან და პირქუში ფიქრები შეაწყვეტინა. ვიღაც უკრავდა დაჟინებული ვირტუოზულობით და ბგერის ხვეულებთან ერთად იატაკზე ფეხისცემის ხმას აყოლებდა მელოდიას.

ლეიტ. დ'იუბერმა სახელი შესძახა, სახელი არმიის დასტაქარისა, ვისაც კარგად იცნობდა. ფლეიტის ხმა შეწყდა და მუსიკოსმა ფანჯარაში გადმოიხედა, საკრავი ხელთ ეპყრა და ქუჩას გადმოსცქეროდა.

– ვინ იძახის? თქვენ ხართ, დ'იუბერ? აქ რამ მოგიყვანათ?

მას არ უყვარდა, როცა ფლეიტის დაკვრაში ხელს უშლიდნენ. კაცს უკვე თმა გაჭაღარავებოდა უმადურ შრომაში, ბრძოლის ველზე ჭრილობებს რომ ახვევდა, მაშინ როცა სხვები სახელდიდებას იხვეჭდნენ.

– მინდა, ახლავე წახვიდეთ ლეიტ. ფეროსთან. ხომ იცნობთ ფეროს? ქვევით ცხოვრობს, მეორე ქუჩაზე. აქედან ორ ნაბიჯზეა.

– რა დაემართა?

– დაჭრილია.

– დარწმუნებული ხართ?

– სავსებით! – შესძახა დ'იუბერმა. – იქიდან მოვდივარ.

– აი, სეირი, – ჩაილაპარაკა ხნიერმა დასტაქარმა. „სეირი" მისი საყვარელი სიტყვა გახლდათ, თუმც როცა ამ სიტყვას წარმოთქვამდა, სახე სულ სხვა რამეს გამოხატავდა. აღუშფოთებელი კაცი გახლდათ. – შემობრძანდით, – თქვა მან, – წუთში მზად ვიქნები.

– გმადლობთ! შემოვალ. ხელებს დავიბან თქვენს ოთახში.

ლეიტ. დ'იუბერი დასტაქარს თავს წაადგა, როცა იგი ფლეიტას შლიდა და შალითაში წესრიგიანად ალაგებდა. თავი მოაბრუნა და უთხრა, – წყალი იქაა, კუთხეში. ხელები მართლაც დასაბანი გქონიათ.

– სისხლდენა შევუჩერე, – თქვა ლეიტ. დ'იუბერმა. – მაგრამ სჯობს აჩქარდეთ. ათი წუთი იქნება მას მერე და ხომ იცით.

დასტაქარი არ აჩქარებულა.

– რა მოხდა? სახვევი შეეხსნა? აი, სეირი. მთელი დღე ჰოსპიტალში ვიყავი, მაგრამ ამ დილით ხომ ვილაცამ მითხრა, დუელში არც კი გაკაწრულაო.



– ალბათ სხვა დუელში, – უხალისოდ წაიბურტყუნა ლეიტ. დ'იუბერმა, თან ხელებს იწმენდდა უხეშ ხელსახოცზე.

– სხვა დუელში... რაო? სხვაო. რა ეშმაკმა უნდა მაიძულოს ერთ დღეს ორჯერ გავიდე დუელში?!. – დასტაქარმა ახლოდან შეხედა ლეიტ. დ'იუბერს. – ასე სად დაიკაწრეთ სახე? ორივე მხარეს და სიმეტრიულად. აი, სეირი.

– კაი სეირია! – დაიღრინა ლეიტ. დ'იუბერმა. – მისი გაბასრული მკლავიც სეირად მოგეჩვენებათ. ორივე თქვენგანი კაი ხანს ისეირებთ. – ექიმი შეაცბუნა და განაცვიფრა ლეიტ. დ'იუბერის მკვეთრმა და მწარე კილომ. სახლიდან ერთად გამოვიდნენ და ქუჩაში კიდევ ერთხელ გააკვირვა მისმა საქციელმა.

– ჩემთან ერთად არ მოდიხართ? – ჰკითხა.

– არა, – მიუგო ლეიტ. დ'იუბერმა. – სახლს უჩემოდაც მიაგნებთ. წინკარი ალბათ ღია იქნება.

– კეთილი. მისი ოთახი სადღაა?

– პირველ სართულზე. მაგრამ სჯობს გვერდი აუქციოთ და ჯერ ბაღში შეიხედოთ. – ამ განსაცვიფრებელმა ამბავმა დასტაქარი აიძულა სიტყვის გაუგრძელებლად წასულიყო. ლეიტ. დ'იუბერი კი შინ დაბრუნდა საგონებელში ჩავარდნილი. მეგობრების დაცინვისა თითქმის ისევე ეშინოდა, როგორც უფროსების რისხვისა. სიმართლე მეტისმეტად გროტესკული და უხერხული იყო, თუნდ ორთაბრძოლის წესების დარღვევა და კრიმინალური ელფერი არად ჩაეგდოთ. როგორც კაცი, ვისაც მდიდარი წარმოსახვა არ გააჩნია, რაც საღ განსჯაში ეხმარება, ლეიტ. დ'იუბერი შეშფოთებული

იყო რთული მდგომარეობის მოსალოდნელი შედეგებით. ცხადია, უხაროდა, რომ არ მოკლა ლეიტ. ფერო უწესრიგო ბრძოლაში, ნამდვილ მოწმეთა გარეშე, რაც ამგვარი ქმედებისთვისაა საჭირო. უჩვეულოდ კმაყოფილიც გახლდათ. ამავე დროს გრძნობდა, რომ სურდა კისერი მოეგრიხა მისთვის ყოველგვარი ცერემონიების გარეშე.

ჯერაც ამ წინააღმდეგობრივი განცდების ტყვეობაში იმყოფებოდა, ფლეიტის მოყვარული დასტაქარი რომ ესტუმრა. სამი დღე გასულიყო. ლეიტ. დ'იუბერი აღარ გახლდათ დივიზიის გენერლის ადიუტანტი. იგი თავის პოლკში გაამწესეს. და ჯარისკაცის ყოველდღიურ ცხოვრებას დაბრუნებოდა და აღარც ბინა გააჩნდა ქალაქში, არამედ ერთი ოთახი ეკავა ბანაკში. შემთხვევის სერიოზულობის გამო შეხვედრები ეკრძალებოდა. არ იცოდა, რა მოხდა, რა ითქვა, ან რას ფიქრობდნენ. ექიმის მოსვლა მეტად მოულოდნელი იყო მღელვარე ტყვისათვის. ფლეიტის მოყვარულმა იმით დაიწყო, რომ ამცნო, აქ მხოლოდ პოლკოვნიკთან განსაკუთრებული სიახლოვის შედეგად მოვახერხე მოსვლაო.

– მას განვუცხდე, რომ სამართლიანი იქნებოდა, თუ გაცნობებდით თქვენი მოწინააღმდეგის შესახებ, – განაგრძო მან, – ალბათ გაგეხარდებათ, თუ გაიგებთ, რომ სწრაფად მომჯობინდება.

ლეიტ. დ'იუბერს სიხარულის არავითარი ნიშნები არ დასტყობია სახეზე. იგი ბოლთას სცემდა ცარიელი ოთახის მტვრიან იატაკზე.

– სკამზე დაბრძანდით, ექიმო, – ჩაიდუდუნა.

ექიმი დაჯდა.



– ეს ამბავი მრავალმხრივაა განხილული ქალაქსა თუ არმიაში. და შეხედულებათა განსხვავებულობა სასეიროა.

– მაშ აგრეა! – წაიბუტბუტა ლეიტ. დ'იუბერმა და ჯიუტად განაგრძო კედლიდან კედლამდე ბორგვა. თუმც გულში უკვირდა, რომ ორი აზრი შეიძლება გაჩენილიყო ამ ამბის გამო. ექიმმა განაგრძო.

– უთუოდ იმიტომ, რომ უცნობია, სინამდვილეში რა მოხდა...

– მეგონა, – გააწყვეტინა დ'იუბერმა, – იმ ყმაწვილმა გაცნობათ მომხდარის შესახებ.

– რაღაც მითხრა, – დაეთანხმა ექიმი, – თავიდან, როცა ვნახე. ჰო, მართლა, ბაღში მივაგენი. თავი ისე დაურტყამს, ცოტა მეხსიერება ღალატობდა. მერე კი უფრო მეტად დუმილს ამჯობინებდა.

– არ მეგონა, სირცხვილის უნარი თუ ექნებოდა! – წაიბურტყუნა დ'იუბერმა, და ბოლთის ცემა განაგრძო, ვიდრე ექიმი ბუტბუტებდა, – აი, სეირი. სირცხვილი! სირცხვილი ფიქრადაც კი არ მოსვლია. რაც უნდა იყოს, თქვენ უთუოდ სხვაგვარად უყურებთ ამ საქმეს.

– რას ამბობთ? რა საქმეს? – ჰკითხა დ'იუბერმა და ცერად გახედა სკამზე მჯდომ, მკაცრგამომეტყველებიან, ჭაღარა კაცს.

– რაც უნდა იყოს, – ოდნავი გაღიზიანებით თქვა დასტაქარმა, – არ მინდა აზრი გამოვთქვა თქვენი საქციელის გამო...

– ღმერთმანი, აგრე აჯობებს თქვენთვის! – წამოისროლა დ'იუბერმა.

– აბა! აბა! ნუ ჩქარობთ ხმლის გაშიშვლებას. სიკეთეს არ მოგიტანთ. გაიგეთ, ბოლოს და ბოლოს, თქვე-

ნისთანა ახალგაზრდებს მხოლოდ ჩემი პროფესიის იარაღით მივაყენებ ჭრილობას. ოღონდ ჩემი რჩევაც გაითვალისწინეთ. თუ ასე გააგრძელებთ, თქვენს სახელს დიდად ავნებთ.

– როგორ გავაგრძელებ? – ჩაეძია ლეიტ. დ'იუბერი და შედგა გაოგნებული. – ჩემს! ჩემს! სახელს ვავნებ?.. რას გულისხმობთ?

– გითხარით, რომ არ მსურს განვსაჯო სწორი და მრუდი ამ შემთხვევისა, ჩემი საქმე არ არის. და მაინც...

– და მაინც, რა გითხრათ ასეთი? – შეშფოთებით შეაწყვეტინა ლეიტ. დ'იუბერმა.

– ხომ უკვე მოგახსენეთ, რომ თავიდან, როცა ბაღში მივაგენი, აზრზე ვერ მოდიოდა. შემდეგ, ბუნებრივია, დუმილს ამჯობინებდა. მაგრამ ბოლოს იმ დასკვნამდე მივედი, რომ სხვაგვარად არ შეეძლო?

– მას არ შეეძლო? – ხმამაღლა წამოიყვირა ლეიტ. დ'იუბერმა. შემდეგ ხმას დაუწია, – და მე რაღა მექნა? მე შემეძლო?

დასტაქარი წამოდგა. მისი ფიქრები ფლეიტას დასტრიალებდა, თავის მუდმივ მეგობარს, რომლის ხმაც ამშვიდებდა. საველე საავადმყოფოს შემოგარენში, ოცდაოთხი საათი მძიმე შრომის შემდგომ, იგი ბრძოლის ველის შემზარავ მდუმარებას არღვევდა ხოლმე ტკბილი ხმებით. მისი ყოველდღიური ცხოვრების მშვიდი საათი ახლოვდებოდა და მშვიდობიან დროს ამ წუთებს ისე უფრთხილდებოდა, როგორც ძუნწი თავის განძეულს.

– რა თქმა უნდა! რა თქმა უნდა! – თქვა დაუდევრად. თქვენ ასე უნდა ფიქრობდეთ. აი, სეირი. რაც უნდა იყოს, რაკი სრულიად ნეიტრალური და მეგობრული ვარ



ორივეს მიმართ, დავთანხმდი თქვენთვის მეცნობებინა, ასე ვთქვათ, ავადმყოფის ნუგეშისსაცემად, რომ სურს იცოდეთ, რომ ეს ამბავი არ დასრულებულა. განზრახული აქვს სეკუნდანტები გამოგიგზავნოთ, როგორც კი ჯანზე მოვა, ცხადია, თუ არმია სალაშქროდ არ გავა იმ დროისათვის.

– მაშ განზრახული აქვს? რა გასაკვირია, – წამოისროლა ლეიტ. დ'იუბერმა გაცხარებით.

მისი გაცხარების საიდუმლო ცნობილი არ იყო სტუმრისათვის; მაგრამ ამ სიცხარემაც განუმტკიცა აზრი დასტაქარს, რომ რაღაც ძალზე სერიოზული დავა წარმოიშვა ორ ყმაწვილკაცს შორის, იმდენად სერიოზული, რომ საიდუმლოდ ინახავდნენ მეტისმეტად მნიშვნელოვან ფაქტს. ამ უკიდურესი უთანხმოების გადასაწყვეტად ამ ახალგაზრდებმა სათავეშივე სასწორზე შეაგდეს, თითქმის დაანგრიეს და შელახეს თავიანთი კარიერა.

დასტაქარი შიშობდა, რომ მოსალოდნელი განმარტებანი ვერ დააკმაყოფილებდა საზოგადოების ცნობისმოყვარეობას. ისინი არ გაუმხელდნენ საზოგადოებას, რაც მათ შორის მოხდა და რაც ისეთი აღმაშფოთებელი იყო, ერჩივნათ მკვლელი ეწოდებინათ, ვიდრე – არც მეტი არც ნაკლები. მაგრამ მაინც რა მოხდა?

დასტაქარი ბუნებით არც ისე ცნობისმოყვარე გახლდათ, მაგრამ ეს საკითხავი გონებიდან ვერ ამოიგდო და იმ საღამოს ორჯერ მოიშორა საკრავი ტუჩებიდან თითქმის მთელი წუთით – ზედ მელოდიის შუაგულში – რათა სწორი პასუხისათვის მიეგნო.

## თავი II

მაგრამ ამ საქმეში იმაზე მეტს ვერას მიაღწია რა, ვიდრე დანარჩენმა გარნიზონმა და მთელმა საზოგადოებამ. ორი ახალგაზრდა ოფიცერი, ვისაც თავი განსაკუთრებით არაფრით გამოუჩენია, გამოირჩა ჩხუბის საფუძვლის საყოველთაო ახირებულობით. მადამ დე ლიონის სალონი გადაიქცა შუაგულად მახვილგონივრული ვარაუდებისა; ერთხანს ამ ქალბატონსაც აწუხებდნენ შეკითხვებით, რადგან ბოლოს იგი ესაუბრა ამ უიღბლო და თავზეხელაღებულ ყმაწვილკაცებს, ვიდრე ერთად გამოვიდოდნენ მისი სახლიდან, რათა სასტიკად შებრძოლებოდნენ ერთმანეთს ხმლებით მწუხრში, კერძო ბაღში. ქალბატონი აცხადებდა, უჩვეულო არაფერი შემინიშნავს ქცევაშიო. ლეიტ. ფერო ცხადია უკმაყოფილო დარჩა, რომ გაიხმეს. და ეს ბუნებრივია; კაცებს არ უყვართ, როცა საუბარს აწყვეტინებენ გარეგნობითა და ვნებით სახელგანთქმულ ქალბატონთან. მაგრამ, სიმართლე ითქვას, მადამ დე ლიონს ის აწუხებდა, მიუხედავად უზომოდ გაბერილი და უაზრობად გადაქცეული ჭორებისა, მისი სახელი ვერაფრით რომ ვერ მიება ამ ამბავს. და იმან უფრო გააბრაზა, რომ ამბობდნენ, ვილაც ქალის გამო უნდა მომხდარიყოო. წყრომას იმდენად მისი დახვეწილი და მგრძნობიარე ბუნება არ ასაზრდოებდა, რამდენადაც ბუნების ინსტინქტური მხარე. ბოლოს ისე გაუმძაფრდა, ამ თემაზე კრინტის დაძვრაც აკრძალა თავის ჭერქვეშ. აკრძალვას მის დივანთან კი ემორჩილებოდნენ, მაგრამ მოშორებით, სალონში დუმილის სუდარა მეტ-ნაკლებად ირღვეოდა. ერთი ფერმკრთალი, სახეჩამოგრძელებული პიროვნება, ცხვარს რომ ჰგავდა, თავს აკანტურებდა და ამტკიცებდა, ჩხუბის მიზეზი დიდი ხნის განმავლობაში დაგროვილი ბოღმააო. ედავებოდნენ, მაგ თეორიისათვის მეტისმეტად ყმაწვილები არიანო, საფრანგეთის სხვადასხვა, ერთმანეთისაგან დაშორებული კუთხიდან გამოვიდნენო, და სხვა საგნობრივ შეუძლებლობასაც უსახელებდნენ. საინტენდანტოს უმცროსი მოხელეც იყო ერთი, სასიამოვნო, ზრდილობიანი უცოლო კაცი, ქაშმირის შარვალი ეცვა და ჰესენური ჩექმები, ლურჯი მოსასხამი ვერცხლისფერი თასმებით დაემშვენებინა, ვინც თავს იკატუნებდა, თითქოს სულების გადასახლებისა სჯეროდა, და ვარაუდობდა, ეს ორნი რომელიმე წინა ცხოვრებაში შეხვდებოდნენ ერთმანეთსო. შუღლი შორეულ წარსულშია ჩამარხულიო. შესაძლოა რაღაც სრულიად აუხსნელია მათ აწმყო ვითარებაში, მაგრამ სულებს ახსოვთ მტრობა, რაც ინსტინქტურ დაპირისპირებაში მეღავნდებაო. ამ თეორიას ხუმრობით კი ავრცელებდა, მაგრამ საქმე ისეთი აბსურდული ჩანდა სამოქალაქო, სამხედრო, ღირსებისა თუ კეთილგონიერების კუთხეებიდან, ეს ახირებული განმარტება სხვებზე უფრო გონივრულს ჰგავდა.



არცერთს ამ ორი ოფიცრიდან არავისთვის არაფერი აუხსნია. ლეიტ. ფეროს მხეცური დუმილი მომდი-

ნარეობდა დამამცირებელი გრძნობიდან, რომ იარაღით ხელში მყოფი დაჯაბნეს და იღბალს ემდუროდა გულმოკლული. ადამიანთა თანაგრძნობას არ ენდობოდა. რაც უთუოდ იმ კოხტაპრუნა შტაბის ოფიცრისაკენ გადაიხრებოდა. ლოგინში იწვა და ხმამაღლა გასძახოდა რაღაც აბდაუბდას კოხტა გოგონას, ვინც ერთგულად უსრულებდა ყველა სურვილს და ფხიზლად ისმენდა მის ლანძღვა-გინებას; და რომ ლეიტ. დ'იუბერს მოუწევდა „ვალის გადახდა" ბუნებრივად და სამართლიანად ეჩვენებოდა. მისი მთავარი საზრუნავი ის გახლდათ, ლეიტ. ფეროს არ ეჯავრა. მისი მორჩილება ისეთი უცხო და მომაჯადოებელი იყო, ოღონდაც ფერო სწრაფად მომჯობინებულიყო, რომ თუნდ მადამ დე ლიონის სალონში განეახლებინა სტუმრობა.

ლეიტენანტი დ'იუბერი ჩუმად იმიტომ იყო, ხმის გამცემი არავინ ჰყავდა გარდა ბრიყვი მოსამსახურე ჯარისკაცი ბიჭისა. ამასთან, იცოდა, რომ ამ შემთხვევას, გარდა პროფესიული სერიოზულობისა, სასაცილო მხარეც ჰქონდა. და როცა ეს ახსენდებოდა, სურვილი უჩნდებოდა საკუთარი ხელით მოეგრიხა ლეიტ. ფეროს კისერი. ეს უფრო ფიგურალური ფორმულაა, ვიდრე ზედმიწევნითი და გონებრივ მდგომარეობას უფრო ასახავს, ვიდრე ფიზიკურ იმპულსს. ამასთან, ახალგაზრდა კაცს ამხანაგური და კეთილი თვისებები ახასიათებდა და არ სურდა გაერთულებინა ლეიტ. ფეროს ცხოვრება. ამიტომაც არ სურდა ლაპარაკი ამ უიღბლო შემთხვევაზე. დაკითხვაზე უთუოდ სიმართლეს იტყოდა თავის დასაცავად. და სწორედ ეს აწუხებდა.



მაგრამ გამოძიება არ გამართულა. ამის ნაცვლად არმია სალაშქროდ წავიდა. ლეიტ. დ'იუბერი შენიშვნის მიუცემლად გაათავისუფლეს და თავის საქმეს დაუბრუნდა პოლკში; ხოლო ლეიტ. ფერომ, ვისაც ის-ის იყო შეხსნეს სახვევი, არავის დაუკითხავს, ისე გააჭენა ცხენი თავის ესკადრონთან ერთად, რათა გამოჯანმრთელება დაესრულებინა ბრძოლის კვამლსა და სუფთა ჰაერზე, ღამის ბანაკებში. ეს გამაჯანსაღებელი წამალი ისე წაადგა, როგორც კი პირველ ჭორებს მოჰკრა ყური, დროებით ზავს ეწერება ხელიო, წარბიც არ შეუხრია, ისე მიუბრუნდა პირად ბრძოლას. ორი მეგობარი გაგზავნა ლეიტ. დ'იუბერთან, ვისი ნაწილიც ორიოდე მილზე განლაგებულიყო. მეგობრებს მეთაურისათვის შეკითხვები არ დაუსვამთ. – რაღაც მმართებს მაგ კოხტა შტაბის ოფიცრისა, – წარბშეკვრით თქვა და ისინიც გულდაჯერებით გაემართნენ დავალების შესასრულებლად. ლეიტ. დ'იუბერსაც არ გასჭირვებია ორი გონიერი და უფროსის ერთგული მეგობრის მოძებნა. – ერთი შეშლილი ჯეელია, ვისაც ჭკუა უნდა ვასწავლოო, – მოკლედ უთხრა და მათაც უკეთესი მიზეზი არ უძებნიათ.

ამჯერად სადუელო მახვილებით შებრძოლებაზე შეთანხმდნენ, შესაფერის ველზე, სისხამ დილით. მესამე შეტაკებისას ლეიტ. დ'იუბერი ნამიან ბალახზე ესვენა გვერდში დაჭრილი. მის მარცხნივ მზე ნელა ამოდიოდა და ეფინებოდა ველსა და ტყეს. დასტაქარი – ფლეიტის დამკვრელი კი არა, სხვა – მის გვერდით დაჩოქილიყო და ჭრილობას უსინჯავდა. – ახლოს გაიარა, მაგრამ გადარჩით, – თქვა მან და ლეიტ. დ'იუბერმა შვებით ამოი-

სუნთქა. ერთ-ერთმა სეკუნდანტმა, ბალახზე რომ იჯდა და მისი თავი მუხლებზე დაედო, უთხრა, – ომის იღბალია მონ პაუვრე ვიეუხ. რას იზამ? სჯობს მეგობრულად დაშორდეთ. რას იტყვი!

– არც კი იცით, რას მთხოვთ, – წაიბუტბუტა ლეიტ. დ'იუბერმა, სუსტი ხმით. – და მაინც თუ ის...

მდელოს მეორე მხარეს, სეკუნდანტები ლეიტ. ფეროს არწმუნებდნენ, მისულიყო და ხელი ჩამოერთმია მეტოქისათვის.

– ვალიც გადაუხადე და ვახშიც – ქუე დიაბლე. ასე აჯობებს. ეს დ'იუბერი ღირსეული ყმაწვილია.

– ვიცი გენერლის მაგ ლეკვების ღირსება, – კბილებში გამოსცრა ლეიტ. ფერომ და მისმა პირქუშმა სახემ შერიგების შემდგომ მცდელობაზე ხელი ააღებინა სეკუნდანტებს. მათ შორიდან დაუკრეს თავი ერთმანეთს და ფალავნები მინდვრიდან გაიყვანეს. ნაშუადღევს ლეიტ. დ'იუბერს, ვინც ცნობილი იყო თავისი სიმამაცით, მეგობრული და გაწონასწორებული ხასიათით, მრავალი სტუმარი ეწვია. ლეიტ. ფერომ კი ჩვეულებას უღალატა და არ გამოჩენილა, რათა მეგობრების მილოცვა მიეღო. და ასეც მოხდებოდა, რადგან ისიც მოსწონდათ მგზნებარე სამხრეთული ხასიათისა და სადა ბუნების გამო. ყველგან, სადაც კი ოფიცრები დღის მიწურულს თავს იყრიდნენ, ყველა დილის დუელს არჩევდა ყოველგვარი თვალსაზრისით. თუმცა ლეიტ. დ'იუბერი ამჯერად დამარცხდა, ხმალში მის სიმარჯვეს დიდად აქებდნენ. ვერვინ უარყოფდა, რომ მეტად ოსტატურად და მოხერხებულად ფარიკაობდა. იმასაც კი ჩურჩულებდნენ, მოწინააღმდეგე რომ არ დაენდო, ნიშანს დაადებ-



დაო. მაგრამ უმრავლესობა ლეიტ. ფეროს ფიცხელ და მოუგერიებელ შეტევას აღნიშნავდა.

ორი ოფიცრის საბრძოლო ღირსებებზე ახდილად მსჯელობდნენ; ხოლო მათ დუელის შემდგომ საქციელს ფრთხილად და მსუბუქად კიცხავდნენ. შეურიგებლები რომ იყვნენ, მეტად აწუხებდათ. მაგრამ რას იზამ, ყველამ იცოდა, რომ ისინი ისე იქცეოდნენ, ღირსება როგორც კარნახობდათ. მეგობრების საქმე არ იყო მათ ამბავში ზედმეტად ცხვირის ჩაყოფა. ჩხუბის საწყისად ასახელებდნენ იმ დროს, როცა გარნიზონი სტრასბურგში იდგა. ამაზე კი მუსიკოსმა დასტაქარმა თავი გადააქნია. მისი აზრით, გაცილებით ადრე დაიწყო.

– ჰო, რა თქმა უნდა! თქვენ უნდა იცოდეთ მთელი ამბავი, – გაისმა ცნობისმოყვარეობით სავსე ხმები. – მაინც რა მოხდა?

მან მრავალმნიშვნელოვნად ასწია ჭიქიდან თავი. – თუნდაც კარგად ვიცოდე ყველაფერი, მაინც არ უნდა ელოდეთ, რომ რამეს გეტყვით, რადგან არცერთი მონაწილე კრინტს არა ძრავს.

ადგა და გავიდა და იდუმალების განცდა დატოვა. მეტს ვეღარ დარჩებოდა, ფლეიტაზე დაკვრის ჯადოსნური დრო ახლოვდებოდა. მისი წასვლის შემდეგ ძალზე ახალგაზრდა ოფიცერმა საზეიმოდ განაცხადა:

– ცხადია, პირზე ბეჭედი ადევს.

არავინ დაეჭვებულა ამ შენიშვნის ზედმიწევნით სისწორეში. ამით შთამბეჭდაობა ემატებოდა ამბავს. ორივე პოლკის რამდენიმე ხნიერმა ოფიცერმა, რომელთაც მხოლოდ სრული სიკეთე და თანხმობის სიყვარული ამოძრავებდათ, წამოაყენა ღირსების სასა-

მართლოს გამართვის წინადადება, სასამართლოსი, რომელსაც ორივე ოფიცერი შერიგების საქმეს ანდობდა. სამწუხაროდ, ისინი ჯერ ლეიტ. ფეროსთან მივიდნენ იმ მოსაზრებით, რაკი გამარჯვებულია, უფრო კეთილგანწყობილი და დათმობის მოსურნე იქნებაო. საკმაოდ გონივრული მოსაზრება იყო და მაინც არ გაამართლა. ზნეობის ძაფის მოდუნების წუთებში, რაც დაკმაყოფილებულ პატივმოყვარეობას მოაქვს, ლეიტ. ფერომ თავის გულს ნება დართო გადაესინჯა საქმის განახლების საიდუმლო და ცოტა დაეჭვდა კიდეც არა მიზეზის სამართლიანობაში, არამედ თავისი ქცევის სრულ კეთილგონივრულობაში. ასე კი იყო, მაგრამ ამაზე ლაპარაკი არ სურდა. პოლკის ბრძენკაცთა წინადადებამ მძიმე ყოფაში ჩააყენა. რა თქმა უნდა, წინააღმდეგი იყო და ამ წინააღმდეგობამ ლეიტ. დ'იუბერის მიმართ მტრობა ხელახლა გაუღვივა. ნუთუ ამ კაცმა მთელი ცხოვრება უნდა გაუმწაროს – კაცმა, ვისაც ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების ეშმაკური უნარი ჰქონია? და მაინც ძნელი იყო ცივად უკუეგდო ღირსების კოდექსით სანქცირებული შუამავლობა.

ამ სიძნელეს პირქუში თავშეკავებით შეხვდა. ულვაშს იგრეხდა და ბუნდოვნად პასუხობდა. ჩემი საქმე ნათელიაო. არც იმის შემრცხვება, შესაბამისი ღირსების სასამართლოს წინაშე წარვსდგე, და არც იმისა, ორთაბრძოლაში დავიცვა ჩემი ღირსება. მაგრამ არავითარი საფუძველი არ გამაჩნია რამე შემოგთავაზოთ, ვიდრე ჩემი მეტოქის აზრი არ მეცოდინებაო.

მოგვიანებით წონასწორობადაკარგული, სარდონიკულად აცხადებდა სახალხოდ, ეს კი იღბლიანი რამ



იქნება ლეიტ. დ'იუბერისთვის, რადგან შემდეგ შეჯახებისას იმედი აღარ ექნებოდა, რომ სამი კვირა ლოგინში წოლით გადარჩენილიყოო.

ამ ტრაბახა სიტყვებში დასრიალებდა ულრმესი მაკიაველიზმი. სამხრეთული ბუნება ქმედებისა და მეტყველების გარეგნულ იმპულსურობაში ხშირად შემალავს ხოლმე ეშმაკურ განზრახვას.

ლეიტ. ფეროს, ვისაც არ სჯეროდა ადამიანთა სამართლიანობისა, არაფრის დიდებით არ სურდა ღირსების სასამართლოს გამართვა; და ზემოხსენებული სიტყვები, რაც სავსებით შეეფერებოდა მის ხასიათს, სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა. და სურდა თუ არა ეს, სიტყვებმა მაინც გაიკვლიეს გზა ლეიტ. დ'იუბერის საწოლ ოთახამდე. ამიტომაც იყო, რომ ბალიშებზე მიყრდნობილმა ლეიტენანტმა დ'იუბერმა შუამავლები რომ მიიღო მეორე დღეს, განუცხადა, ეს საქმე ისეთი ბუნებისაა, განხილვა არ შეიძლებაო. დაჭრილი ოფიცრის ფერმკრთალმა სახემ, სუსტმა ხმამ, რასაც ჯერაც ვერ იმორჩილებდა, და ღირსებით სავსე თავაზიანობამ დიდი გავლენა მოახდინა მნახველებზე. ამის გახმაურებამ კიდევ უფრო მეტი იდუმალება შესძინა საქმეს, ვიდრე ლეიტ. ფეროს მიერ დაყენებულმა ბუქმა. ამას დიდი შვება მოჰგვარა ასეთმა გამოსავალმა. ნეტარებდა საყოველთაო განცვიფრებით მოცული და მეტად სიამოვნებდა, ყველანი გადაჭარბებული სიფრთხილით რომ ექცეოდნენ. ლეიტ. დ'იუბერის ნაწილის პოლკოვნიკი თმაშევერცხლილი, ქარცეცხლში გამოვლილი მეომარი გახლდათ, ვისაც მარტივი შეხედულება ჰქონდა თავისი პასუხისმგებლობის მიმართ. ნებას ვერ დავრთავო,

განსჯიდა თავისთვის, რომ ჩემს საუკეთესო ხელქვეითებს ასე ასახიჩრებდნენ არაფრის გულისათვის. პირადად უნდა ჩავწვდე ამ საქმეს ძირის ძირობამდე. უნდა ვათქმევინო, თუნდ ეშმაკიც იყოს ჩაბუდებული. პოლკოვნიკი ხომ მამაზე მეტია ამ ყმაწვილებისთვისო. და მართლაც, ისე უყვარდა ეს კაცები, როგორც დიდი ოჯახის მამას უყვარს თვითეული წევრი. თუკი ადამიანები განგების წინდაუხედაობით უბრალო მოქალაქეებად ჩნდებიან, პოლკში ხელახლა იბადებიან, როგორც ოჯახში, და ეს სამხედრო დაბადება მიაჩნდა გასათვალისწინებლად. გაფითრებული და თვალებჩაცვენილი ლეიტ. დ'იუბერის დანახვაზე მოხუცი მეომრის გული ჭეშმარიტმა თანაგრძნობამ შეძრა. მთელი სიყვარული პოლკისადმი – კაცთა კრებულისადმი, შეტევაზე რომ უნდა გაეშვა და უკანდახევა ებრძანებინა, რაც განაპირობებდა მის სიამაყეს და მბრძანებლობდა მის ფიქრებზე – წუთით მისი ერთი იმედისმომცემი ქვეშევრდომის პიროვნებაში გაერთიანდა. ავისმომასწავებლად ჩაახველა და მძიმედ მოიღუშა.

– უნდა გესმოდეთ, – დაიწყო მან, – რომ ჩირადაც არ მიღირს ერთი კაცის სიცოცხლე პოლკში. შემიძლია ყველა რვაას ორმოცდასამივე კაცი და ცხენი, ისე გაგიშვათ დასაღუპავად, სინდისმა არ შემაწუხოს, თითქოს ბუზი გამესრისოს.

– დიახ, პოლკოვნიკო და თქვენვე წინ გაგვიძღვებით ჭენებით, – მკრთალი ღიმილით მიუგო ლეიტ. დ'იუბერმა.

პოლკოვნიკს სურდა მეტად დიპლომატიური ყოფილიყო და ამ სიტყვებზე სამართლიანად დაიღრიალა, – მინდა იცოდეთ, ლეიტ. დ'იუბერ, თუ საჭირო გახდება გვერდზე გავდგები და გიყურებთ, თუ როგორ ჩაეშვებით ჰადესში. ამასაც კი ვიზამ, თუკი სამსახური და ქვეყნისადმი ჩემი მოვალეობა მოითხოვს. მაგრამ ამაზე ფიქრიც კი არ შეიძლება, ასე რომ, კრინტიც აღარ დაძრათ. – მრისხანედ შეხედა და მერე კილო შეარბილა. – ჯერ რძეც არ შეგშრობიათ ულვაშზე, ჩემო ბიჭო. არც კი იცით, თუ რა შეუძლია ჩემისთანა კაცს. ძნის უკან დავიმალები... და ნუ იკრიჭებით, სერ! როგორ ბედავთ? ეს რომ პირადი საუბარი არ იყოს, გაჩვენებდით... მოიხედეთ! მე პასუხისმგებელი გახლავართ ჩემი მეთაურობით არსებულ სიცოცხლეთა სწორად ხარჯვაზე, ჩვენი სამშობლოს სადიდებლად და პოლკის ღირსებისათვის. გესმით თუ არა? და თუ გესმით, რა ეშმაკად წამოაგებინეთ მახვილზე თავი მეშვიდე პოლკის იმ ჯეელს? ეს ხომ სამარცხვინოა!

ლეიტ. დ'იუბერი მეტისმეტად შეწუხდა. ველარაფერი აწამა, მხრებიღა აიჩეჩა. პასუხისმგებლობას ვერ აირიდებდა.

პოლკოვნიკმა შუბლი გახსნა და კიდევ უფრო დაუწია ხმას. – სამწუხაროა! – წაიდუდუნა მან. მერე ისევ გამოცვალა კილო. – აბა! – განაგრძო მან გულისხმიერად, მაგრამ ისე ავტორიტეტულად, როგორც ყველა კარგ წინამძღოლს სჩვევია, – ეს საქმე უნდა მოგვარდეს. მინდა გავიგო ყველაფერი, რაც ხდება. მოვითხოვ, როგორც თქვენი კარგი მეგობარი.

დამთრგუნველმა ძალამ მეთაურისა და სიკეთის დამყოლიებელმა გავლენამ მძლავრად იმოქმედა სულ ახლახან ლოგინიდან ამდგარ დასუსტებულ კაცზე.

ჯოხის სახელურზე ჩაბღაუჭებული ხელი ოდნავ შეუთრთოლდა. მაგრამ ჩრდილოურმა, სენტიმენტალურმა, მაგრამ ფრთხილმა და გამჭრიახმა ტემპერამენტმა იდეალურად იმოქმედა, შეაკავებინა ბიძგი, გულწრფელად მოეთხრო მთელი ამ დამღუპველი უაზრობის შესახებ. ტრანსცენდენტური სიბრძნის მიხედვით, შვიდჯერ მაინც გადაატრიალა ენა პირში, ვიდრე დაილაპარაკებდა. და მხოლოდ მადლობის სათქმელად დაძრა კრინტი.

პოლკოვნიკი უსმენდა, ჯერ ინტერესით, მერე შეცბუნებით. ბოლოს მოიღუშა. – რატომ ყოყმანობთ? ეშმაკმა დალახვროს! განა არ გითხარით, რომ ამ საკითხის განხილვა მეგობრულად მსურს?

– დიახ, პოლკოვნიკო! – თავაზიანად მიუგო ლეიტ. დ'იუბერმა. – მაგრამ ვშიშობ, მას შემდეგ, რაც მომისმენთ, როგორც მეგობარი, მოიქცევით როგორც ზემდგომი ოფიცერი.

პოლკოვნიკმა წინდახედულად მომუწა პირი. – მერე რა მოხდა? – გულღიად იკითხა. – რა არის ამაში სასირცხვილი?

– არაფერი, – დაეთანხმა ლეიტ. დ'იუბერი მკრთალი მაგრამ მტკიცე ხმით.

– ცხადია, სამსახურის სასიკეთოდ ვიმოქმედებ. ვერაფერი შემაჩერებს. რა გგონია, რისთვის მინდა ყველაფრის შეტყობა.

– ვიცი, უქმი ცნობისმოყვარეობა არ გამოძრავებთ. ისიც ვიცი, ბრძნულად მოიქცევით. მაგრამ პოლკის კარგ სახელს რაღა ვუყოთ?

– მას რომელიღაც ლეიტენანტის ყმაწვილური საქციელი ვერ შეარყევს, – მკაცრად თქვა პოლკოვნიკმა.



– ჰო, ვერ შეარყევს, მაგრამ გამოჩნდებიან ბოროტი ენები. იტყვიან, ჰუსართა მეოთხე პოლკის ლეიტენანტს მეტოქესთან შეხვედრისა შეეშინდა და თავისი პოლკოვნიკის უკან დაიმალაო. და ეს კი უარესი იქნებოდა სამსახურისათვის, ვიდრე თივის ზვინს უკან დამალვა. ამას ვერ გავუძლებ, პოლკოვნიკო.

– ვერავინ გაბედავს მსგავსი რამის თქმას, – მრისხანედ წამოიწყო პოლკოვნიკმა, მაგრამ არცთუ დამაჯერებლად დაასრულა. ლეიტ. დ'იუბერის სიმამაცე ცნობილი იყო. მაგრამ პოლკოვნიკს ისიც მოეხსენებოდა, რომ სადუელო სიმამაცე, პირისპირ ბრძოლის სიმამაცე, მცდარია ეს თუ მართალი, განსაკუთრებულ სიმამაცედ მიიჩნეოდა. და ყოვლად აუცილებელი იყო, რომ მისი პოლკის ოფიცრები ყველანაირად მამაცნი ყოფილიყვნენ და დაემტკიცებინათ კიდეც ეს. პოლკოვნიკმა ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და განზე გაიხედა ჩვეული გაყინული მზერით. ეს გამომეტყველება დაბნეულობაზე მიუთითებდა, რის შესახებაც პოლკში არაფერი უწყოდნენ; რადგან დაბნეულობა ისეთი რამაა, რაც არ შეეფერება კავალერიის პოლკოვნიკის რანგს. თვით პოლკოვნიკი მოიცვა ამ განცდის უსიამო სიახლემ. იგი მიუჩვეველი იყო სხვა რამეზე ფიქრს, გარდა პროფესიული მოვალეობისა, ომისა, ჯარისკაცთა და ცხენებისა, და მათი სწორი გამოყენებისა ველზე, სადაც სახელი უნდა მოეხვეჭათ; მისი ინტელექტუალური უნარები უბრალო ლანძღვა-გინებამდე დაეშვა. – ჯანდაბა და დოზანა... მაგათი გასაგისი... – ფიქრობდა იგი.

ლეიტ. დ'იუბერმა მძიმედ ჩაახველა და დასძინა დაქანცული ხმით: გამოჩნდებიან ბოროტი ენები,

რომლებიც იტყვიან, იდედლაო. დარწმუნებული ვარ არ მოელით, რომ ამას მოვითმენ. და მოულოდნელად შეიძლება ისიც მოხდეს, რომ ამ ერთის ნაცვლად დუჟინ დუელში ჩავერთო.

ამ სადა არგუმენტის პირდაპირობა გულში მოხვდა პოლკოვნიკს. თავის ხელქვეითს ჯიქურ დააცქერდა. – დაჯექით, ლეიტენანტო! – მკვახედ მიახალა. – ეს რა ჯანდაბური რამაა... დაჯექით!

– ჩემო პოლკოვნიკო, – გააგრძელა დ'იუბერმა, ბოროტი ენებისა არ მეშინია. მათი დადუმების გზა მოიძებნება. მაგრამ სინდისიც ხომ მშვიდად უნდა მქონდეს. თავიდან ვეღარ გამოვიგდებ აზრს, რომ დავღუპე მოძმე ოფიცერი. რაც უნდა მოიმოქმედოთ, საქმე მაინც შორს წავა. გამოძიება ხომ შეჩერდა – ნუღარ გავაგრძელებთ. ეს სრულიად საბედისწეროდ გაუხდება ფეროს.

– ჰეი! რაო! ნუთუ ასე ცუდად მოიქცა?

– დიახ. ძალზე ცუდად, – ჩაიდუდუნა ლეიტ. დ'იუბერმა. და რადგან ჯერაც სუსტად იყო, კინაღამ ატირდა.

რაკი მეორე ოფიცერი მის პოლკს არ ეკუთვნოდა, პოლკოვნიკს არ გასჭირვებია დაეჯერებინა ეს ამბავი. ოთახში ბოლთის ცემა დაიწყო. კარგი მეთაური იყო, კაცი, ვისაც შეეძლო თავშეკავებული თანაგრძნობის გამოხატვა. მაგრამ სხვა მხრივაც ადამიანური გახლდათ და ეს მაშინვე გამოჩნდა, რადგან თავის მოკატუნება არ სჩვეოდა.

– ეშმაკმა დალახვროს, ლეიტენანტო, – მიახალა მთელი გულიდან ამოხეთქილი ბრაზი, – ამიტომაც



გეუბნებოდით, რომ ძირისძირობამდე გამეგო ყველაფერი. და ხომ იცით... როცა პოლკოვნიკი გეუბნებათ.

– გევედრებით, პოლკოვნიკო, – მგზნებარედ შეაწყვეტინა ლეიტ. დ'იუბერმა, – დაკმაყოფილდეთ ჩემი პატიოსანი სიტყვით, რომ ისეთ დაწყევლილ ყოფაში ჩამაგდეს, სხვა გამოსავალი აღარ დამრჩა; ვერაფერს გავაწყობდი, როგორც ღირსეული კაცი და ოფიცერი... სწორედ ეს გახლავთ საქმის ძირის ძირი. აი, მოგახსენეთ. დანარჩენი წვრილმანია...

პოლკოვნიკი შედგა. ლეიტენანტ დ'იუბერს კარგი სახელი ჰქონდა – გაწონასწორებული ხასიათი. ფხიზელი გონება, ცხელი, დღესავით კრიალა გული. მუდამ თავაზიანი იყო. მისი ნდობა შეიძლებოდა. პოლკოვნიკს ვაჟკაცურად უნდა შეეკავებინა ცნობისმოყვარეობის მოზღვავება. – ჰმ! თქვენ ამტკიცებთ, როგორც კაცი და როგორც ოფიცერი... რომ არჩევანი არ გქონდათ? ჰა?

– როგორც ოფიცერს – როგორც ჰუსართა მეოთხე პოლკის ოფიცერს, – დაიჟინა ლეიტ. დ'იუბერმა, – არ მქონდა და ეს გახლავთ საქმის არსი, პოლკოვნიკო.

– ჰო. მაგრამ მაინც არ მესმის, რატომ, საკუთარ პოლკოვნიკს... პოლკოვნიკი ხომ მამაა – რა ჯანდაბაა!

ლეიტ. დ'იუბერისათვის გარეთ გამოსვლა ნაადრევი აღმოჩნდა. გრძნობდა ძალა ეცლებოდა, რაც თრგუნავდა და სასოწარკვეთილებაში აგდებდა. სნეულის ავადმყოფური სიჯიუტით იმაგრებდა თავს, მაგრამ ამავდროს შეშინებულმა იგრძნო, რომ თვალები ცრემლით ევსებოდა. ამ უბედურებას კი ვეღარ გაუძლებდა. და ცრემლი დაეკიდა გამხდარ, ფერმკრთალ ლოყაზე.

პოლკოვნიკმა სწრაფად შეაქცია ზურგი. ბუზის გაფრენას გაიგონებდით. – ქალი იქნება ჩარეული ამ სულელურ ამბავში, არა?

ამ სიტყვების წარმოთქმისთანავე მეთაური შემობრუნდა, რათა თვალი შეესწრო სიმართლისათვის, რაც ის მშვენიერი არსება კი არაა, ჭაში რომ ცხოვრობს, არამედ – მფრთხალი ჩიტი, მოხერხებით რომ უნდა სწვდე. ეს ბოლო გაბრძოლებაღა გახლდათ პოლკოვნიკის დიპლომატიისა. მან დაინახა სიმართლის გამოკრთომა ლეიტ. დ'იუბერის გამომეტყველებაში, ვინც უარის ნიშნად სუსტი ხელები და თვალები ზეცისაკენ აღაპყრო.

– რაო? ქალი არაფერ შუაშია? – დაიღრინა პოლკოვნიკმა და ჯიქურ მიაჩერდა. – არ გეკითხებით ვინ და სად. მხოლოდ ის მაინტერესებს, ქალი თუა ჩარეული?

ლეიტენანტ დ'იუბერს ხელები ჩამოუცვივდა და გამხდარი სახე პათეტიკურად შეეძრა.

– არასდიდებით, ჩემო პოლკოვნიკო.

– პატიოსან სიტყვას იძლევით? – დაიჟინა მოხუცმა მეომარმა.

– პატიოსან სიტყვას გაძლევთ.

– კეთილი, – თქვა პოლკოვნიკმა და ტუჩზე იკბინა. ლეიტ. დ'იუბერის არგუმენტებმა და იმანაც, რომ მოსწონდა ეს კაცი, დაარწმუნა იგი. მეორე მხრივ, წარმოუდგენელი იყო, რომ მის ჩარევას, რაც საიდუმლო სულაც არ ყოფილა, აშკარა შედეგი არ გამოეღო. მან ერთხანს კიდევ გააჩერა ლეიტ. დ'იუბერი და კეთილად დაემშვიდობა.



– რამდენიმე დღე კიდევ იწექით, ლეიტენანტო. რა ეშმაკად მიგიჩნიათ ექიმმა მწყობრისათვის შესაფერისად?

პოლკოვნიკის ბინიდან გამოსულმა ლეიტენანტმა არაფერი უთხრა მეგობარს, ვინც გარეთ ელოდებოდა, შინ რომ წაეყვანა. არავისთვის არაფერი უთქვამს. არავის განდობია. მაგრამ იმავე დღეს, საღამოს, პოლკოვნიკმა, თავის ბინასთან მდებარე თელების ხეივანში რომ სეირნობდა მოადგილის თანხლებით, სიტყვის დაძვრა ინება.

– ჩავწვდი ამ საქმის არსს, – აღნიშნა მან. ვიცე-პოლკოვნიკს, ხმელ, შავგვრემან, მოკლებაკენბარდებიან კაცს, არც გაუბედავს ცნობისმოყვარეობა გამოემჟღავნებინა.

– ხუმრობა საქმე არ გახლავთ, – დასძინა პოლკოვნიკმა წინასწარმეტყველურად. ვიცე-პოლკოვნიკმა ერთხანს შეიცადა, ვიდრე წაიდუდუნებდა.

– გასაგებია, სერ!

– ხუმრობა საქმე არ არის, – გაიმეორა პოლკოვნიკმა, თან წინ იყურებოდა. – რაც უნდა იყოს, ლეიტ. დ'იუბერს ავუკრძალე მომდევნო თორმეტ თვეს ფეროს გამოწვევა ან მისი გამოწვევის მიღება.

ამით პოლკოვნიკს სურდა თავისი პრესტიჟის გადარჩენა. შედეგად, ამ საბედისწერო ქიშპის საიდუმლოს ოფიციალური ბეჭედი დაესვა. ლეიტ. დ'იუბერმა აღუშფოთებელი მდუმარებით უკუაგდო ყველა მცდელობა, სიმართლე გამოეწურათ მისგან. ლეიტ. ფერო თავიდან ცოტა დაიბნა, მაგრამ მერე და მერე თავდაჯერება დაიბრუნა. სარდონიკული ღიმილით ცდილობდა დაემალა,

რომ ვერაფრით გაეგო, თუ რატომ ჩამოაგდეს იძულებითი ზავი, და ისე იქცეოდა, თითქოს ართობდა, თვითონ რომ იცოდა და სხვამ – არა.

– მაგრამ შენ რას აპირებ? – ეკითხებოდნენ მეგობრები.

– ვინც მოითმენს, მოიგებს. – პასუხობდა მოკლედ და მკაცრად. და ყველა აღფრთოვანებული იყო მისი გამჭრიახობით.

ვიდრე ზავი დასრულდებოდა, ლეიტ. დ'იუბერს ესკადრონი ჩააბარეს. დამსახურებულად დააწინაურეს, მაგრამ მაინც თითქოს არავინ ელოდა. ლეიტ. ფერომ ეს ამბავი ოფიცერთა საზოგადოებაში შეიტყო. – აჰ, ასე? – გამოსცრა კბილებში. მაშინვე ჩამოხსნა საკიდიდან თავისი ხმალი, დინჯად შეიბა და სიტყვის უთქმელად დატოვა მეგობართა წრე. მწყობრი ნაბიჯით დაბრუნდა შინ, ტალკვესით დააგზნო და აანთო ქონის სანთელი. მერე ბუხარზე შემოდებულ, უდანაშაულო შუშის თასს სტაცა ხელი და ბრაზით დაანარცხა იატაკზე. ახლა, როცა დ'იუბერი მასზე მაღალი ჩინის ოფიცერი გახდა, კრინტის დაძვრაც კი აღარ შეიძლებოდა დუელზე. სამხედრო სასამართლოს შიშით ვერცერთი ვეღარ გამოიწვევდა მეორეს. წარმოუდგენელი რამ იყო. თუმც ლეიტ. ფერო უკვე კარგახანია არავითარ სურვილს აღარ გრძნობდა ლეიტ. დ'იუბერთან შებმისა, როგორც ყოველთვის იღბლის უსამართლობას დაემდურა. – ჰგონია ასე დამიძვრება ხელიდან? – ფიქრობდა გამწარებული. ამ დაწინაურებაში ხედავდა ინტრიგას, შეთქმულებას, ლაჩრულ მანევრს. იმ პოლკოვნიკმა იცოდა, რასაც სჩადიოდა. მან დააჩქრა თავისი ფავორიტის დაწინაურება ერთი ნაბიჯით. აღმაშფოთებელია, კაცმა თავის საქციელზე პასუხისმგებლობა ასეთი ბნელი და ცბიერი გზით აირიდოს.



ლეიტ. ფეროს დაუდევარი ბუნება ჰქონდა და უფრო მოჩხუბრის ხასიათი, ვიდრე სამხედრო პირისა, ამიტომაც იყო, წოდებაზე რომ არ ფიქრობდა, როცა იბრძოდა, იმიტომ, რომ სიამოვნებდა; მაგრამ ახლა დაუძლეველი სურვილი გაუჩნდა დაწინაურებისა. ამ მოწოდებით მებრძოლმა კაცმა გონებაში გადაწყვიტა თავი გამოეჩინა და მეთაურთა კეთილგანწყობა მოეპოვებინა. იცოდა, სიმამაცით არავის ჩამოუვარდებოდა, თავისი პიროვნული მომხიბვლელობაც არ ეეჭვებოდა. და მაინც, ვერც სიმამაცემ და ვერც ხიბლმა ვერ გაჭრა ისე სწრაფად, როგორც მოელოდა. ყოჩაღი მოფარიკავე ლეიტ. ფეროს დაუდევარი და შემტევი ბუნება შეიცვალა. ენამწარე ნართაულები დასჩემდა ცბიერი ჯეელებისადმი, ყველაფერს რომ კადრულობენ წინ გასაძრომად. ამტკიცებდა, არმია სავსეა ასეთებითო; მოხედავ და ხელში შეგრჩებაო. მაგრამ ყოველთვის ერთ კაცს გულისხმობდა და ეს კაცი მისი მოქიშპე დ'იუბერი გახლდათ. ერთხელ სანდო მეგობარს გადაუშალა გული: იცით, არ მეხერხება კუდი ვუქიცინო საჭირო ხალხს. არ მახასიათებს.

დაწინაურებას მხოლოდ აუსტერლიცის ბრძოლიდან ერთი კვირის თავზე მიაღწია. დიადი არმიის მსუბუქ კავალერიას ერთხანს საქმე არ გამოლევია. მაგრამ როგორც კი სამხედრო საქმიანობა შემსუბუქდა, კაპიტანმა ფერომ დაუყოვნებლივ მოაგვარა ყველაფერი ორთაბრძოლისათვის.

– ვიცნობ ამ ჩიტუნას. – დაუნდობლად აღნიშნა მან. – თვალი თუ მოაცილე, მაშინვე თავზე მოაჯდება დუჟინობით მასზე უკეთეს ვაჟკაცებს. იცის, როგორ მოაკვარახჭინოს ამგვარი საქმეები.

ეს დუელი სილეზიაში გაიმართა. და თუმც უკანასკნელი არ გამოდგა, არც არაფერი დაჰკლებია. იარაღად კავალერიული ხმლები შეარჩიეს და ოსტატობამ, ცოდნამ, ძალამ და მეტოქეთა სიმტკიცემ მნახველნი აღაფრთოვანა. დუნაის ორივ ნაპირზე ამ დუელზე ლაპარაკობდნენ, გრაცისა და ლეიბახის გარნიზონებამდე მიაღწია ხმებმა. შვიდჯერ გადააჯვარედინეს ხმლები. ორივე მრავალგან იყო გაბასრული და სისხლიც ბლომად სდიოდათ. ორივე უარს ამბობდა ბრძოლის შეწყვეტაზე, ყოველ ჯერზე სამკვდრო-სასიცოცხლო მტრობას ამჟღავნებდნენ. კაპიტან დ'იუბერს გააზრებულად სურდა, ერთხელ და სამუდამოდ დაესრულებინა ეს ხათაბალა; კაპიტან ფეროს კი მოჩხუბრის ინსტინქტები გაშიშვლებოდა და დაკოდილი ამპარტავნება აღძრავდა. ბოლოს – არაქათგამოცლილნი, პერანგებშემოხეულნი, გასისხლიანებულნი და ფეხზე ძლივს მდგარნი – ძალით გაყარეს და წაიყვანეს გაოგნებულმა და თავზარდაცემულმა სეკუნდანტებმა. მოგვიანებით ამ ჯენტლმენებმა, მეგობართა მიერ შეკითხვებით გაბეზრებულებმა, განაცხადეს, ამგვარი სისხლისღვრის გაგრძელება აღარ შეიძლებოდაო. ეკითხებოდნენ, ახლა თუ მაინც დამთავრდება ჩხუბიო, პასუხად კი გაისმოდა, ჩხუბი მხოლოდ მაშინ დამთავრდება, როცა ერთი მათგანი მკვდარი დარჩება მიწაზეო. ამბავი არმიის სამხედრო ნაწილებს მოედო და რაინსა და სავოის შორის დაბანაკებულ უმ-



ცირეს დანაყოფებამდეც კი მიაღწია. ვენის კაფეებში გავრცელებულ, არსებულ ფაქტებზე დაყრდნობით გამოითვალეს, რომ მეტოქენი სამ კვირაში შეძლებდნენ შერკინებას. და რაღაც არაჩვეულებრივსაც მოელოდნენ ამ დუელიდან.

მოლოდინმა ფუჭად ჩაიარა, რადგან სამხედრო სამსახურის საჭიროებამ გაჰყარა ეს ორი ოფიცერი. ამჯერად ოფიციალურად აღარავინ ჩარეულა მათ პაექრობაში. არმიის ხელში იყვნენ და ცხვირს ვერავინ ჩაყოფდა. ერთი კია, დუელმა ანუ დუელისადმი მიდრეკილებამ, გზა გადაულობა მათ დაწინაურებას, რადგან ჯერაც კაპიტნები იყვნენ, როცა კვლავ შეიყარნენ პრუსიასთან ომის დროს. იენას ბრძოლის შემდგომ, მარშალ ბერნადოტის, პონტეკორვოს პრინცის დაქვემდებარებაში მყოფი არმიის შემადგენლობიანად, ერთდროულად შევიდნენ ლიუბეკში.

ქალაქის დაკავების შემდეგ კაპიტანმა ფერომ დრო გამოძებნა გაეაზრებინა მომავალი მოქმედების გეგმა, რადგან კაპიტანი დ'იუბერი მარშლის მესამე ადიუტანტად გაემწესებინათ. თითქმის მთელი ღამე ფიქრობდა და დილით ორ სანდო მეგობარს მოუხმო.

– მშვიდად მოვიფიქრე ყველაფერი, – და დაღლილ-ჩასისხლიანებული თვალები შეანათა. – ცხადია, ბოლო უნდა მოვუღო ამ ინტრიგან პიროვნებას. ახლა უკვე მარშლის პირად შტაბში შეძრომაც მოახერხა. ეს ხომ პირდაპირი გამოწვევაა. ვერ მოვითმენ, რომ ყოველდღიურად ბრძანების მიღებას ველოდე მისგან. და ღმერთმა უწყის, როგორ ბრძანებას! ამგვარი რამ უკვე მოხდა ერთხელ და მეტს ველარ შევეგუები. ნუ შიშობთ,

ყველაფერი კარგად მოეხსენება. მეტს ვერაფერს გეტყვით. ახლა თქვენ იცით თუ როგორ იმოქმედოთ.

შეტაკება მოხდა ქალაქ ლიუბეკის შემოგარენში, ტრიალ მინდორზე, რაც საგანგებოდ შეირჩა არმიის კავალერიული ნაწილის პატივსაცემად; ამჯერად ორი ოფიცერი ამხედრებული უნდა შებრძოლებოდა ერთმანეთს. ბოლოს და ბოლოს ეს დუელი კავალერიის საკუთრება იყო და ჩამოქვეითებული ბრძოლა ერთგვარად აკნინებდა მათი იარაღის ღირსებას. სეკუნდანტები დააბნია ამ წინადადების უჩვეულობამ და მეთაურებთან გაეშურნენ. კაპიტანი ფერო ხალისით შეეგება ამ წინადადებას. რაღაც გაუგებარი მიზეზით, მისი ფსიქოლოგიის კვალობაზე, თავი სწორუპოვარ მხედრად მიაჩნდა. თავის ოთახში მარტო დარჩენილმა ხელები მოიფშვნიტა და საზეიმოდ ჩაიბურტყუნა, – აჰაა, ახლა კი ჩემს ხელში ხარ, შტაბის კოხტა ოფიცერო. კაპიტანი დ'იუბერი ერთხანს მძიმედ შესცქეროდა თავის მეგობრებს და მერე მხრები აიჩეჩა. ეს ამბავი უიმედოდ და უგნურად ურთულებდა არსებობას. ერთი უაზრობით მეტი ან ნაკლები არაფერს ცვლიდა, ყველანაირი უაზრობა სძაგდა; მაგრამ როგორც ყოველთვის თავაზიანმა, ირონიული ღიმილით, მშვიდად წარმოთქვა, – ეს კი ნამდვილად გაახალისებს ამ მოვლენის მონოტონურობასო. მარტო დარჩენილი მაგიდას მიუჯდა და თავი ხელებში ჩარგო. უკანასკნელ ხანს თავი არ დაუზოგავს, მარშალმა ადიუტანტები განსაკუთრებით მძიმედ დატვირთა. ბოლო სამი კვირის ლაშქრობამ საშინელ ავდარში ჯანმრთელობა შეურყია. გადაღლილს დაჭრილი გვერდი შეახსენებდა ხოლმე თავს და ეს შემაწუხებელი განცდა



თრგუნავდა. – ეს იმ პირუტყვისაგან მჭირს, – მწარედ ფიქრობდა იგი.

წინა დღეს წერილი მიეღო შინიდან, აცნობებდნენ, შენი და თხოვდებაო. გაახსენდა, რომ მას შემდეგ, როცა თვითონ ოცდაექვსისა იყო და მისი და კი – ცხრამეტისა, სტრასბურგისაკენ რომ გაემგზავრა სამხედრო სამსახურში ჩასადგომად, ორიოდეჯერ თუ ენახა მოკლე ხნით. დიდი მეგობრობა და ნდობა აკავშირებდათ; ახლა კი ვიღაც, მისთვის უცნობ კაცს მიჰყვებოდა – უთუოდ ღირსეულ ყმაწვილს, მაგრამ სანახევროდაც არ იქნებოდა მისი დის ღირსი. ვეღარასოდეს იხილავს თავის ძველ ლეონის. იგი იმდენად საზრიანი და მოხერხებულია, რომ უთუოდ შეძლებს იმ ყმაწვილის წარმართვას. დის ბედნიერება არ ეეჭვებოდა, მაგრამ მის ფიქრებში პირველი ადგილი აღარ ეკავებოდა, რაშიც არავინ შესცილებია მას შემდეგ, რაც გოგონამ ლაპარაკი ისწავლა. ყრმობის დღეთა მელანქოლიურმა მოგონებებმა მოიცვა კაპიტანი დ'იუბერი, პრინც პონტეკორვოს მესამე ადიუტანტი.

მან გვერდზე მოისროლა მისალოცი ბარათი, რასაც პასუხისმგებლობის გრძნობით, მაგრამ არცთუ ხალისით წერდა. აიღო სუფთა ფურცელი და ეს სიტყვები დაწერა: „ჩემი უკანასკნელი ნება და ანდერძი". დასცქეროდა ამ სიტყვებს და უსიამოვნო განცდა აწუხებდა; წინათგრძნობა, რომ ვეღარასოდეს იხილავდა ბავშვობის ადგილებს, გულს უკლავდა კაპიტან დ'იუბერს. წამოხტა, სკამი უკან მიაგდო, ბევჯითად დაამთქნარა იმის ნიშნად, რომ წინათგრძნობას არაფრად აგდებდა, საწოლზე მიეგდო და დაიძინა. ღამე დროდადრო

კრთებოდა, თუმც არ გაულვიძია. დილით ამხედრებული გაემართა ქალაქგარეთ ორ სეკუნდანტთან ერთად, საუბრობდნენ აქეთურ-იქითურზე და უგულისყუროდ ათვალიერებდნენ მიდამოს, ჩაფლულს დილის ნისლში, ხეებით შემოსაზღვრულ მწვანე მინდვრებს. დ'იუბერმა რუზე გადაახტუნა ცხენი და დაინახა ბურუსში მოძრავი მრავალი მხედარი. – როგორც ჩანს, მაყურებელთა თავალწინ ვიბრძოლებთ, – მწარედ ჩაილაპარაკა.

მის სეკუნდანტებს ამინდი აფიქრებდათ, მაგრამ მალე მკრთალმა მზემ სუსტად გამოანათა და გამოიბრძოლა ბურუსში და კაპიტანმა დ'იუბერმა მოშორებით სამი მხედარი გამოარჩია, სხვებისაგან განცალკევებით რომ მოდიოდნენ. ეს იყო კაპიტანი ფერო სეკუნდანტებთან ერთად. მან ხმალი იშიშვლა და შეამოწმა, მჭიდროდ თუ იყო მიმაგრებული მაჯაზე. მინდვრის შუაგულში ერთად შეჯგუფული სეკუნდანტები, რომელთა ცხენების თავებიც ერთმანეთს ეხებოდა, მსუბუქი ჩორთით გაიშალნენ და დიდი ტრიალი მინდორი გაუთავისუფლეს მასა და მის მეტოქეს. კაპიტანმა დ'იუბერმა შეხედა მკრთალ მზეს, პირქუშ მინდვრებს და მოსალოდნელი ბრძოლის სიბრიყვემ გამოუფიტა არსება. მინდვრის მოშორებული ადგილიდან გაისმა მქუხარე სმა, რომელმაც ბრძანება გასცა შესაბამისი დაყოვნებით: ნაბიჯით – ჩორთით – შეუტიე!.. – სიკვდილის წინათგრძნობა ტყუილად არ ეწვევა ხოლმე ადამიანს, გაიფიქრა და მეტისმეტად გაუკვირდა, რომ პირველივე შეტაკებისას კაპიტანმა ფერომ თავი არ დაიფარა და ჭრილობა მიიღო შუბლში, საიდანაც სისხლმა იჩქეფა და ისე დააბრმავა, ბრძოლა მაშინვე დასრულდა,



როგორც კი დაიწყო. გაგრძელება შეუძლებელი იყო. კაპიტანმა დ'იუბერმა მიატოვა მტერი, ვინც საშინლად იგინებოდა და თავს ძლივს იმაგრებდა უნაგირზე თავზარდაცემული მეგობრების დახმარებით, უკან გადაახტა რუს და შინისაკენ გააჭენა ცხენი ორ სეკუნდანტთან ერთად, რომლებიც გაოგნებულნი იყვნენ შეტაკების ასე მსწრაფლ დასრულებით. საღამოს კაპიტანმა დ'იუბერმა თავისი დისათვის გასაგზავნი საქორწილო მისალოცი ბარათი დაასრულა.

დიდხანს მოუნდა. გრძელი ბარათი იყო. კაპიტანმა დ'იუბერმა კარი გაულო თავის წარმოსახვას. სწერდა, რომ ოდნავ მარტოსულად იგრძნობდა თავს მას შემდეგ, რაც მისი დის ცხოვრებაში ასე დიდი ცვლილება მოხდებოდა; მაგრამ მერე ხომ ჩემი ჯერიც დადგება და დავქორწინდებიო. იგი მართლაც უკვე ფიქრობდა იმ დროზე, როცა აღარავინ დარჩებოდა საბრძოლო ევროპაში და ომების ეპოქაც დასრულდებოდა. – იმ დროისათვის, – სწერდა იგი, – მოველი, რომ ბევრი აღარა მაკლდება რა მარშლის კვერთხამდე, შენ კი გამოცდილებამიღებული გათხოვილი ქალბატონი იქნები. და საცოლეც უნდა მომიძებნო. იმ დროისათვის, ალბათ, გავმელოტდები და ცხოვრებაც ცოტა არ იყოს მომყირჭდება. საცოლე ახალგაზრდა უნდა იყოს, ცხადია, კოხტა და მდიდარი, რაც უნდა დამეხმაროს აღმატებით დავასრულო ჩემი ბრწყინვალე კარიერა. ბარათი კი იმ ამბით დააბოლოვა, ეს-ეს არის ჭკუა ვასწავლე ერთ აბეზრ, მოჩხუბარ ჯეელსო, ვისაც მისი განბილება მოენდომებინა. – მაგრამ თუ თქვენი პროვინციის სილრმემდე, – აგრძელებდა იგი, – ხმა მოაღწევს, თქვენი

ძმა შარიანი ვინმეაო, არაფრისდიდებით არ დაიჯეროთ. უეჭველია, არმიის ჭორები თქვენს უმანკო ყურამდეც მოაღწევს. და რაც უნდა გაიგოთ, დარწმუნებული უნდა იყოთ, თქვენი მოყვარული ძმა დუელისტი არ არისო.

კაპიტანმა დ'იუბერმა დაჭმუჭნა და ბუხარში შეაგდო ფურცელი რომელზეც ეწერა „უკანასკნელი ნება და ანდერძი" და გულიანად გაეცინა საკუთარ თავზე. სულაც აღარ ადარდებდა, თუ რას იზამდა ის გიჟი. საიდანღაც გაუჩნდა რწმენა, რომ მეტოქეს ძალა არ შესწევდა მისი ცხოვრება გაემწარებინა; გარდა იმისა, რომ რაღაც მღელვარე წუთებს შეიტანს ლაშქრობებს შორის გაჩენილ სასიამოვნო და სახალისო შესვენებებში.

ოღონდ ამის შემდეგ მშვიდობიანი შესვენებები აღარც ყოფილა კაპიტან დ'იუბერის კარიერაში. მონაწილეობდა ეილაუსა და ფრიდლენდის ბრძოლებში, მიაბიჯებდა თოვლში, ტალახში, პოლონეთის დაბლობთა მტვერში, ჩინსა და წოდებას იხვეჭდა ჩრდილო-აღმოსავლეთ ევროპის გზებზე. ამ დროს სამხრეთით გადასროლილი კაპიტანი ფერო უშედეგოდ იბრძოდა ესპანეთში. მხოლოდ მაშინ უბრძანეს კვლავ ჩრდილოეთისაკენ დაძრულიყო, როცა რუსეთის ლაშქრობისათვის დაიწყო მრმზადება. და მანაც დაუნანებლად დატოვა მანტილიათა და ციტრუსთა ქვეყანა.

პირველი ნიშნები არცთუ შეუხედავი სიმელოტისა დააჩნდა პოლკოვნიკ დ'იუბერის მაღალ შუბლს, რომელიც აღარც თეთრი იყო და აღარც გადატკეცილი, როგორც მის სიყმაწვილეში; მის ცისფერ თვალთა კეთილი და წრფელი გამოხედვა გამკაცრებულიყო ბრძოლების ცეცხლსა და კვამლში ყურებით. პოლკოვნიკ ფეროს



ყორნისფერსა და ჯაგარა თმაში კი, რომელიც ცხენის ფაფარივით უხეში და გაცვეთილი იყო, მრავალი ჭაღარა გაჩენილიყო საფეთქლებთან. გამაბეზრებელმა ბრძოლებმა, ჩასაფრებებიან და მოულოდნელობებიანმა, სულაც არ გამოუსწორა ხასიათი. ცხვირის ნისკარტისებრი კეხი უსიამოვნოდ გამოკვეთილიყო პირის ორივ მხარეს გაჩენილ ნაკეცებში. მრგვალი თვალების ირგვლივ ნაოჭები შემოჯარვოდა. როგორც არასდროს, ისე მოგაგონებდათ თავშეუკავებელსა და თვალგაშტერებულ ფრინველს – რაღაცას თუთიყუშსა და ბუს შორის. კვლავაც უსაზღვრო მრავალსიტყვაობით გამოხატავდა უკმაყოფილებას „ინტრიგან ჯეელთა მიმართ". შემთხვევას არ გაუშვებდა, რომ არ აღენიშნა, ჩემი წოდება მარშლების მისაღებში არ გამიჩალიჩებიაო. თუკი მავანი სამხედრო ან სამოქალაქო პირი, თავის და საუბედუროდ, სთხოვდა პოლკოვნიკ ფეროს, მოეთხრო შუბლზე გამოკვეთილი ნაიარევის შესახებ, გაოცებული დარჩებოდა დამცირებითა და აბუჩად აგდებით, რასაც ან პირდაპირი უხეშობით გამოხატავდა ან უცნაურად სარდონიკული დამოკიდებულებით. ახალგაზრდა ოფიცრებს აფრთხილებდა კეთილი ხალხი, პოლკოვნიკს ნაიარევზე ნუ მიაჩერდებითო. თუმც ის ოფიცერი მართლაც მეტად ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო სამხედრო საქმეში, რომ არ სმენოდა ლეგენდარული ამბავი დუელისა, რომელიც წარმოიშვა საიდუმლო და უპატიებელი შეურაცხყოფისა გამო.

## თავი III

მოსკოვიდან უკანდახევამ ყველა პირადი განცდა ჯანდაბასა და დოზანაში გადატყორცნა. უპოლკო პოლკოვნიკებს, დ'იუბერსა და ფეროს, მუშკეტები გაედოთ მხარზე და მწყობრში მიაბიჯებდნენ ეგრეთ წოდებული წმინდა ბატალიონისა, ყველა რანგისა და ნაწილის ოფიცერთაგან რომ შედგებოდა, და რომელთაც ჯარი აღარ შერჩენოდათ საწინამძღოლოდ. ამ ბატალიონში პოლკოვნიკები სერჟანტებად ქცეულიყვნენ; გენერლები კაპიტნობდნენ, ხოლო საფრანგეთის მარშალი, იმპერიის პრინცი ამ ნაწილს მეთაურობდა. ყველას გზაში აკრეფილი მუშკეტები მოემარჯვებინა, ტყვიები მკვდრებისათვის აერთმიათ. სავსებით მოშლილიყო საერთო საზღვრები წესრიგისა და მოვალეობისა, რაც ერთმანეთთან აკავშირებს მოლაშქრეებს, ბატალიონებს, პოლკებს, ბრიგადებსა და დივიზიებს შეიარაღებული ძალებისა, და კაცთა ეს ჯგუფი, ღირსების კარნახით, ინარჩუნებდა რაღაც მინამგვანს ფორმისა და წესრიგისა. თუ ვინმე გამოაკლდებოდათ, მხოლოდ იმიტომ, რომ ცვიოდნენ და ყინვას უთმობდნენ თავიანთ დაქანცულ სულებს. მძიმედ მიიწევდნენ წინ, და მათი სვლა არ არღვევდა ველთა სამარისებურ სიჩუმეს, მოცისფრო-მონაცრისფრო შუქით რომ ბზინავდა ფერფლისფერი ცისქვეშ. ქარაშოტი ნამქერს დააქროლებდა მინდვრებში და ეხლებოდა ჩამუქებულ რაზმს, აყრიდა ხორშაკს, მერე ჩადგებოდა და გზას ხსნიდა ტრაგიკული სავალისა, რასაც სამხედრო მწყობრისა და ნაბიჯის გარეშე აგრძელებდნენ. წინ მიიწევდნენ სიტყვის დაუძვრელად, თვალის გაუსწორებლად, მხარდამხარ მიაბიჯებდნენ დღეობით და მიწას არ აშორებდნენ მზერას, სასოწარკვეთილ ფიქრებში ჩაკარგულნი. ყრუ და ბნელ ფიჭვნარში მხოლოდ მოტეხილი ტოტების ხმა გაისმოდა. ხშირად დილიდან დაღამებამდე კაცი არ დაძრავდა კრინტს მთელ რაზმში. შორეული საფლავებისაკენ მიმავალ გვამთა მსვლელობას ჰგავდა. დროდადრო კაზაკთა თავდასხმა თუ გამოუღვიძებდათ მეომრულ სულისკვეთებას. ბატალიონი შემობრუნდებოდა და გამწკრივდებოდა ან ოთხკუთხად დაეწყობოდა ფიფქთა დაუსრულებელ ცვენაში. ბეწვისქუდიან, გრძელშუბებმომარჯვებულ მხედართა ჯგუფი შემოეხვეოდა ყვირილით „ჰურაჰ! ჰურაჰ!" ამ მრისხანე უძრაობას, საიდანაც ასობით დახშული ქუხილით გამოვარდებოდა ასობით წითელი ცეცხლი და იელვებდა თოვლისაგან გასქელებულ ჰაერში. რამდენიმე წუთში მხედრები ყვირილით ჩაინთქმოდნენ ქარიშხალში და წმინდა ბატალიონი მარტო რჩებოდა თოვლის ნამქერში, სადაც მხოლოდ ქარის ხმა ისმოდა, რომლის სუსხიც გულამდე ატანდა. მერე ერთი-ორჯერ შესძახებდნენ „გაუმარჯოს იმპერატორს!" და სვლას აგრძელებდნენ და გვამთა მცირე გროვას ტოვებდნენ, მცირე შავ ლაქებს თოვლის თეთრ უსაზღვროებაში. თუმც მხარდამხარ მიაბიჯებდნენ მწკრივში

ან გვერდი-გვერდ ისროდნენ ტყეში, ორი ოფიცერი თვალს არიდებდა ერთმანეთს; მტრული განწყობით კი არა, სრული განურჩევლობის გამოისობით. მათი მთელი ზნეობრივი ენერგია იხარჯებოდა მტრული ბუნების შემოტევისა და აუცილებელი უბედურების განცდის დაძლევაში. ისინი ბოლომდე მიიჩნეოდნენ ყველაზე ქმედით, მხნე ჯარისკაცებად ბატალიონში; მტკიცე სიცოცხლისუნარიანობამ გმირული ელფერით შემოსა მეგობრების თვალში. ერთი სიტყვაც არ უთქვამთ ერთმანეთისათვის, ვიდრე ერთ დღეს, გახურებული სროლისას, როდესაც კავალერიის შეტევას იგერიებდნენ, სხვებისაგან მოწყვეტილები აღმოჩნდნენ ტყეში კაზაკთა მცირე ჯგუფის პირისპირ. ბეწვისქუდიანი წვერგაბურძგნული მხედრები წინ და უკან დააჭენებდნენ ცხენებს უხმოდ და საბედისწეროდ უღერებდნენ შუბებს. ორ ოფიცერს აზრადაც არ მოსვლია იარაღის დაყრა, უეცრად პოლკოვნიკმა ფერომ წარმოთქვა ჩახლეჩილი ღრენით, სწორედ იმ წამს, როდესაც თოფს იბჯენდა მხარზე, – თქვენ ახლო მყოფი მხეცს დაუმიზნეთ, პოლკოვნიკო დ'იუბერ; მე მეორეს ვესვრი, მიზანი მე უკეთესი მაქვს.

პოლკოვნიკმა დ'იუბერმა თავი დაუქნია და მუშკეტი გამართა. ვეება ხეს ეყრდნობოდნენ მხრებით, წინიდან მინამქრილი თოვლი იცავდათ შეტევისაგან. ორმა კარგად დამიზნებულმა ტყვიამ გაჰკვეთა გაყინული ჰაერი, ორი კაზაკი დაბზრიალდა უნაგირებზე. დანარჩენებმა იფიქრეს, სახუმარო თამაში არ არისო, გაჰქუსლეს და მხედველობიდან გაქრნენ. ორმა ოფიცერმა მოახერხა დასწეოდა ღამის გასათევად შეჩერებულ ბატალიონს.



იმ საღამოს არაერთხელ დაეყრდნენ ერთმანეთს, მერე პოლკოვნიკმა დ'იუბერმა, ვისაც გრძელი ფეხები უპირატესობას ანიჭებდა ფიფქ თოვლში სიარულისას, უკითხავად გამოართვა მუშკეტი პოლკოვნიკ ფეროს, მხარზე შეიგდო, თავისას კი დასაყრდნობად ხმარობდა.

სოფლის განაპირას, თოვლში ნახევრად ჩაფლული საბძელისათვის ცეცხლი მოეკიდებინათ და კაშკაშა ცეცხლით იწვოდა. წმინდა ბატალიონის ძველმანებში გახვეული ჩონჩხები ხარბად მიხროვილიყვნენ ქარის საპირისპირო მხრიდან და ასობით გამხმარი ხელი მიეშვირათ ალისათვის. ვერავინ შენიშნა მათი მიახლოება. ვიდრე შეურთდებოდნენ ამ ხალხს, ცეცხლის ალი რომ დასთამაშებდათ ჩატეტკილ, გაყინულთვალებიან, დამშეულ სახეებზე, პოლკოვნიკმა დ'იუბერმა უთხრა, – აი, თქვენი მუშკეტი, პოლკოვნიკო ფერო. სიარული თქვენზე უკეთ შემიძლია. პოლკოვნიკმა ფერომ თავი დაუკრა და უხეშად გაიკვლია გზა სითბოსაკენ. პოლკოვნიკმა დ'იუბერმა უფრო თავაზიანად, მაგრამ ბეჯითად გააღწია წინა რიგებში. ისინი, რომლებიც მხრებით გასწიეს, ცდილობდნენ სუსტი შეძახილებით მისალმებოდნენ ორი შეუპოვარი, დაუოკებელი და მტკიცე თანამებრძოლის დაბრუნებას. მათ ვაჟკაცურ სიქველეს ალბათ არც მიუღია უფრო მაღალი შეფასება, ვიდრე ეს სუსტი შეძახილები იყო.

ესაა ნამდვილი ამბავი პოლკოვნიკების ფეროსა და დ'იუბერის გასაუბრებისა მოსკოვიდან უკანდახევისას. პოლკოვნიკი ფერო თითქმის სულ დაამუნჯა დაგროვილმა ჯავრმა. ტანდაბალსა და გაბურძგნულს სახე ჩაშავებოდა ტალახისა და წამოზრდილი უხეში წვერი-

საგან. გაყინული ხელები ჭუჭყიანი ძონძებით შეეხვია, მოაკონწიალებდა, იღბალს ყვედრიდა ბედის რჩეული, ღვთაებრივი კაცის ღალატისათვის. პოლკოვნიკ დ'იუბერს გრძელი ულვაშები ლოლოებივით ეკიდა დახეთქილი, გალურჯებული ტუჩების ორივე მხარეს, თვალთა გუგები თოვლის ბზინვისაგან დაწითლებოდა, ტანზე ეცვა ცხვრის ქურქი, დიდი გაჭირვებით გამოძრობილი რომელიღაც მოლაშქრის გვამისათვის, მიტოვებულ საზიდარში რომ გადაწყდომოდა. იგი უფრო სერიოზულად აფასებდა მოვლენებს. მოხდენილი ნაკვთები ჩაცვენოდა და ძვლებზე გადაკრული ტყავიღა იცქირებოდა ქალის ლურჯი ხავერდის თავსაბურავიდან, რომელზეც სადღაც, ცარიელი, ალბათ, ოფიცერთა ბარგის საზიდარი ურმის ქვეშ ნაპოვნი ქუდი ჩამოეფხატა. ცხვრის ქურქი მოკლე იყო მისებრ მაღალი კაცისათვის და წელს ქვემოთ ვეღარ წვდებოდა. შარვალი შემოხეოდა და ყინვისაგან გალურჯებული ფეხები მოუჩანდა. მაგრამ ეს არც დაცინვას ინვევდა და არც სიბრალულს. არავის ადარდებდა სხვისი გარეგნობა ან გრძნობები. თვითონ დ'იუბერი ყინვას კი უძლებდა, მაგრამ მეტისმეტად ითრგუნებოდა სამოსის უმართებულობის გამო. უგუნური კაცი იფიქრებდა, გარშემო ამდენი გვამები ეყარა გზაზე და უფრო ადვილი რაღა იყო, რომ შარვალი ეშოვაო. მაგრამ შარვლის გაძრობა გაყინული გვამისათვის არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება თეორეტიკოსთ მოეჩვენოთ. დრო და ჭაპანწყვეტა სჭირდება და შესაძლოა თანამებრძოლებს ჩამორჩე. პოლკოვნიკ დ'იუბერს კი ჩამორჩენა არ სურდა. ერთი თუ შეფერხდებოდა, ბატალიონს ვეღარ შეუერთდებოდა



და პირქუში განმარტოება და გაყინულ მკვდართან ჭიდაობა, შენს წვალებას საკუთარ სიხისტეს რომ დაუხვევრებს, შეურაცხყოფდა მის გრძნობებს. ერთ დღესაც, იღბლად, სოფლის ქოხებს შორის თოვლს რომ ქექავდა, გაყინული კარტოფილის ან ბოსტნეულის ქერქის ძებნაში, რათა გრძელსა და მორყეულ კბილებში მოეგდო, პოლკოვნიკმა დ'იუბერმა წყვილი გადასაფარებელი იპოვა, რუსი გლეხები ურმის გვერდებში ჩასაფენად რომ იყენებდნენ. დაფერთხა, გაყინული თოვლი გააცალა, შემოირტყა მოხდენილ ტანზე და წელზე დაიმაგრა; რაღაც ზარისმაგვარ გახეშხეშებულ ქვედატანს დაემგვანა, რამაც პოლკოვნიკ დ'იუბერს სიშიშვლე კი დაუფარა, მაგრამ უფრო გამოსარჩევი გახადა.

ასე გამოწყობილი იხევდა უკან და თავის ლტოლვას არ დარდობდა, სხვა რამ უფრო აწუხებდა. მომავლის ნათელი იმედები დაიმსხვრა. იგი განმსჯელი კაცი გახლდათ და ფიქრობდა, თუ დიდებისაკენ მიმავალი გზა ასეთი უნდა მოქცეულიყო, წინამძღოლი რაღა სანდო გამოდიოდა. პირად უბედურებას კი არ ჯავრობდა, პატრიოტული განცდა არ ასვენებდა და სულაც არა ჰგავდა პოლკოვნიკ ფეროს გაუაზრებელ ბოღმას ადამიანებისა და მოვლენებისადმი. და სამი კვირა გერმანიის ერთ პატარა ქალაქში რომ აღიდგენდა ძალებს, პოლკოვნიკმა დ'იუბერმა თავისდა გასაოცრად აღმოაჩინა, რომ მოსვენებით ყოფნა შეუყვარდა. მისი აღდგენილი ძალა უცნაური მშვიდობიანობით განწყობილიყო. იგი მალულად გაიაზრებდა თავისი ხასიათის უცნაურ ცვლილებას. ეჭვი არაა, მისი მოძმე ოფიცრებიც იმავე ზნეობრივ გამოცდილებას იძენდნენ. მაგრამ ჯერ ამა-

ზე ლაპარაკი ადრე იყო. შინაურთათვის გაგზავნილ ერთ ბარათში პოლკოვნიკი დ'იუბერი წერდა: – მთელმა შენმა გეგმებმა, ძვირფასო ლეონი, ცოლად შემერთო მომხიბვლელი გოგონა, მეზობლად რომ გამომიძებნე, მეტისმეტად შორს გადაინია. მშვიდობა ჯერ არ დამყარდება. ევროპა ახალ გაკვეთილს ითხოვს. ძნელი ამოცანა იქნება ჩვენთვის, მაგრამ უნდა შევძლოთ, რადგან იმპერატორი უძლეველია. ასე სწერდა პოლკოვნიკი დ'იუბერი პომერანიიდან თავის გათხოვილ დას, ლეონის, სამხრეთ საფრანგეთში რომ ცხოვრობდა. ამგვარი გრძნობები უცხო იყო პოლკოვნიკ ფეროსათვის, ვინც არავის სწერდა წერილს, მამამისი წერა-კითხვის უცოდინარი მჭედელი გახლდათ, არც ძმა ჰყავდა და არც და, არც არავის სურდა მისთვის მშვიდობიანი ცხოვრება და ახალგაზრდა მომხიბვლელ გოგონაზე დაქორწინება. მაგრამ პოლკოვნიკ დ'იუბერის ბარათი, ზოგიერთ ფილოსოფიურ განაზრებასაც შეიცავდა პიროვნების იმედთა გაურკვევლობის შესახებ, როცა ყველაფერი დამოკიდებულია ერთ, უეჭველად დიად, მაგრამ მაინც ადამიანზე. ეს აზრი აშკარა ერესად მოეჩვენებოდა პოლკოვნიკ ფეროს. მელანქოლიური უიმედობა სამხედრო საქმეში მისთვის სხვა არაფერი იყო, თუ არა ღალატი. პოლკოვნიკ დ'იუბერის და, ლეონი, კი დიდი კმაყოფილებით კითხულობდა ბარათს, ფრთხილად დაკეცავდა და თავისთვის შენიშნავდა, – არმანში, როგორც ჩანს, ბოლოს და ბოლოს კეთილგონიერება გაიმარჯვებსო. მას შემდეგ, რაც სამხრეთში გათხოვდა, მტკიცედ ირწმუნა, რომ კანონიერი მეფე დაბრუნდებოდა. იმედით სავსე და მღელვარე, დღედაღამ ლოცულობდა და ეკლესიაში



სანთელს ანთებდა ძმის გადარჩენისა და კეთილდღეობისათვის.

არ დაელეოდა მიზეზი, ერწმუნა, ჩემი ლოცვები შეისმინა უფალმაო. პოლკოვნიკმა დ'იუბერმა ისე გაიარა ლუტცენის, ბაუტცენისა და ლაიპციგის ბრძოლები, არცერთი კიდური არ დაუკარგავს, და სახელი კი მოიხვეჭა. თავის ქმედებას იმ დროის განწირულებას უხამებდა და არასოდეს გამოუთქვამს უკმაყოფილება. ყველაფერს ხალისიანი თავაზიანობის ნიღაბქვეშ მალავდა და ისეთ სასიამოვნო ხასიათს აჩენდა, კითხულობდნენ, ნეტა პოლკოვნიკმა დ'იუბერმა თუ იცის ყველა ამ უბედურების შესახებო. არამარტო ქცევა, გამოხედვაც არ შეცვლია. მისი შეუდრეკელი ცისფერი თვალები, ყველა ბუზღუნას აშოშმინებდა და აყოვნებდა სასოწარკვეთას.

მისი გამძლეობა თვით იმპერატორმა შენიშნა მოწონებით; ახლა პოლკოვნიკი დ'იუბერი უკვე მთავარსარდლის შტაბში მსახურობდა და რამდენჯერმე მოხვდა იმპერატორის მხედველობის არეში. ამან მეტისმეტად გააცოფა ისედაც წკიპზე მყოფი პოლკოვნიკი ფერო. მაგდებურგში სამსახურის საქმეზე გავლით მყოფი, პირქუში სახით იჯდა ციხე-სიმაგრის კომენდანტთან სადილზე და თავს უფლება მისცა ეთქვა თავის დიდი ხნის მტერზე: – ამ კაცს არ უყვარს იმპერატორიო; მის სიტყვებს დანარჩენი სტუმრები მდუმარედ შეხვდნენ. პოლკოვნიკი ფერო, ალბათ, თვითონვე შეაწუხა საკუთარმა ცილისწამების ულმობელობამ და იგრძნო, რომ საჭირო იყო ერთგვარი უკანდახევა საბუთის მოსაძიებლად. – ჩემზე უკეთ ვინ იცნობს მას, შესძახა და

გინებაც დააყოლა. – კაცი სწავლობს თავის მეტოქეს. ექვსჯერ მაინც შევხვედრივარ დუელში, რაც მთელმა არმიამ იცის. მეტი რაღა გინდათ? ეს ხომ კმარა, რომ თუნდ ბრიყვმა გამოიცნოს მეტოქე, მაშ ეშმაკმა წამიღოს, თუ იმას არ ვამბობდე, რაც კარგად ვიცი. თქვა და ბლვერითა და დაჟინებით მიმოიხედა სუფრაზე.

მოგვიანებით პარიზში, როცა პოლკოვნიკი ფერო მეტად ჩაფლულიყო თავისი პოლკის მოწესრიგებაში, შეიტყო, რომ პოლკოვნიკი დ'იუბერი გენერლად დაეწინაურებინათ. ამ ამბის მაცნეს ჯიქურ შეხედა, მერე გულზე გადაიჯვარედინა ხელები და ბურტყუნით გაბრუნდა, – ამ კაცისაგან აღარაფერი გამიკვირდებაო. ხოლო ხმამაღლა, მხარსუკან დასძინა, – ძალიან დამავალებთ, თუ პირველი შემთხვევისთანავე გადასცემთ გენერალ დ'იუბერს, რომ ეს დაწინაურება დროებით თუ იხსნის ჩემთან ფიცხელი შეხვედრისაგან. მე მხოლოდ იმას ველოდი, სადმე გადავყროდიო.

– პოლკოვნიკო ფერო, ნუთუ ამაზე ფიქრი შეგიძლიათ ამჟამად, როცა ყოველი სიცოცხლე საფრანგეთის გადარჩენისა და დიდებისათვის უნდა იყოს მიმართული?

მაგრამ სამხედრო საქმეების უიღბლობათა ჯაჭვმა სულ წაუხდინა ხასიათი პოლკოვნიკ ფეროს. სხვებისა არ იყოს, იგიც სულ გააბოროტა ხელის მოცარვამ.

– არა მგონია, გენერალ დ'იუბერის არსებობა რაიმეგვარად სჭირდებოდეს საფრანგეთის დიდებასა და უსაფრთხოებას. – ბოროტად გამოსცრა კბილებში. – თქვენ, ალბათ, არ დაიჟინებთ, რომ ჩემზე უკეთ იცნობთ მას – მე ხომ ექვსჯერ მაინც შევხვედრივარ



დუელში, ასე არაა? – ახალგაზრდა მოსაუბრე გაჩუმდა. პოლკოვნიკი ფერო ბოლთას სცემდა ოთახში.

– ახლა კინკლაობის დრო არაა, – თქვა მან. – არა მჯერა, რომ ამ კაცს ოდესმე ჰყვარებოდეს იმპერატორი. მან გენერლის ვარსკვლავები მარშალ ბერტიეს ჩექმების ლოკვით მოიპოვა. ძალიან კარგი. მე სხვაგვარად დავიმსახურებ და მაშინ კი დავასრულებთ ამ საქმეს, რაც რაღაც ძალიან გაჭიანურდა. – როდესაც გენერალმა დ'იუბერმა შეიტყო პოლკოვნიკ ფეროს აზრი, ისე აიჩეჩა მხრები, თითქოს აბეზარი ვინმე მოიწყვიტა თავიდანო. მას უფრო სერიოზული საზრუნავი დასწოლოდა. ოჯახის სანახავად ვერ მოეცალა. მისი დაიკო, ვისი როიალისტური ოცნებებიც დღითიდღე იზრდებოდა, თუმც ამაყობდა თავისი ძმით, მაინც წუხდა მის დაწინაურებას, რადგან მოგვიანებით ამას შესაძლოა უარყოფითად ემოქმედა მის კარიერაზე. დ'იუბერმა მისწერა, ყველაზე დაუნდობელი მტერიც კი ვერ იტყვის, რომ ჩინი დაუმსახურებლად მოვიპოვე. ჩემს კარიერას რაც შეეხება, მომდევნო ბრძოლის იქით გახედვას არც ვაპირებო.

საფრანგეთის კამპანია რომ დაიწყო, სულით ჯერაც მტკიცე გენერალი დ'იუბერი ლანთან ბრძოლის მეორე დღეს დაიჭრა. ბრძოლის ველიდან რომ გაჰყავდათ, მოესმა, რომ გენერლად ახლახან დაწინაურებული პოლკოვნიკი ფერო ჩაუდგებოდა სათავეში მის ბრიგადას. მან უნებურად დასწყევლა თავისი ბედი, რადგან არ შეეძლო განეჭვრიტა ის სიკეთე, რაც ამ ტიალმა ჭრილობამ მოუტანა. და მაინც მისი მომავალი სწორედ ამგვარი გმირული ფორმით ყალიბდებოდა. გენერალი

დ'იუბერი აუჩქარებლად მიუყვებოდა გზას თავისი დის მამულისაკენ, სანდო მოხუცი მსახურის მზრუნველობით გარემოსილი და გადაურჩებოდა იმ დამამცირებელ მორჩილებასა და დაბნეულობას, რაც ნაპოლეონის იმპერიის მსახურებმა გამოიარეს ამავე იმპერიის დაცემისას. სანოლში მწოლიარე, ფართოდ გადახსნილი ფანჯრებიდან პროვანსის მზე რომ დანათოდა, წვდებოდა იმ აშკარა მადლს, რაც პრუსიული ყუმბარის ბასრმა ნამსხვრევმა მოუტანა, ცხენი რომ მოუკლა და თეძო გაუგლიჯა, სამაგიეროდ საკუთარ სინდისთან დაპირისპირებას გადაარჩინა. თოთხმეტი წელი ცხენზე ხმლით ხელში გატარებამ და მოვალეობის ბოლომდე შესრულების შეგნებამ გენერალი დ'იუბერი დაარწმუნა, რომ მორჩილება იოლი სიქველე ყოფილა. მისი დაიკო კმაყოფილი იყო მისი კეთილგონიერებით. – ჩემს თავს მთლიანად შენ გაბარებ, ძვირფასო ლეონი, – უთხრა დ'იუბერმა.

ჯერ კიდევ ლოგინად იყო, როდესაც სიძის ოჯახის დახმარებით სამეფო ხელისუფლებისაგან არამარტო სამხედრო წოდების დასტური მიიღო, არამედ მოქმედ ოფიცერთა სიაშიც დატოვეს. ამას დაემატა შეუზღუდავი შვებულებაც, გამოჯანმრთელებამდე. ბონაპარტისტულ წრეებში მასზე არსებული არასახარბიელო აზრი, აქამდე მხოლოდ გენერალ ფეროს დაუსაბუთებელ გამონათქვამებს რომ ეყრდნობოდა, ახლა განმტკიცდა მოქმედ ოფიცერთა სიაში მისი დატოვებით. რაც შეეხება გენერალ ფეროს, მასაც დაუმტკიცეს წოდება, და ეს იმაზე მეტი იყო, რისი მოლოდინიც უნდა ჰქონოდა, მაგრამ მარშალი სულტი, იმდროინდელი სამხედრო მინისტრი, თანაგრძნობით ექცეოდა იმ ოფიცრებს, რომელნიც ესპანეთში მსახურობდნენ. თუმცა მარშლის პროტექციაც კი ვერ შეუნარჩუნებდა მოქმედ სამსახურს. დარჩა უქმად, შეურიგებელი და გაბოროტებული იაფფასიან რესტორნებს სტუმრობდა სხვა, ნახევარი ხელფასით დათხოვნილ ოფიცრებთან ერთად, ვინც დიდებით მოსილ სამფეროვან კოკარდებს ინახავდნენ გულის ჯიბეებში, და არ იხსნიდნენ აკრძალულ არწივგამოსახულ ღილებს გაცვეთილი უნიფორმებიდან იმ მიზეზით, ახლის ყიდვა არ შეგვიძლიაო.

ელბადან ტრიუმფალური დაბრუნების, ამ ისტორიული მოვლენის დროს, რაც ისეთივე საოცარი და მიუწვდომელი იყო, როგორც რომელიმე ნახევარ-ღმერთის გმირობაა, გენერალი დ'იუბერი ცხენზე კვლავ ვერ ჯდებოდა. არცთუ მთლად გამართული სიარული შეეძლო. მისი უძლურება დიდ იღბლად მიაჩნდა მადამ ლეონის, რასაც მისი ძმა ყოველგვარი უბედურებისაგან უნდა ეხსნა. შეშფოთებული აკვირდებოდა ძმის სულიერ მდგომარეობას, რასაც გონივრულს ვერაფრით დაარქმევდი. ფეხის დაკარგვის საფრთხეს ჯერაც არ გადაევლო. ერთ ღამეს გენერალი სასახლის საჯინიბოში იპოვა მეჯინიბემ, ვისაც შუქი რომ შენიშნა, ქურდები ეგონა და განგაში ატეხა. ყავარჯენი თივაში ეგდო, გენერალი ცალ ფეხზე ხტოდა და ცხენის შეკაზმვას ლამობდა, რომელიც ფრთხვინავდა და არ ემორჩილებოდა. თვით ასეთი მშვიდი ხასიათისა და დამჯდარი გონების კაციც კი ემორჩილებოდა იმპერატორის მაგიურ ძალას. საჯინიბოს ჭრაქის შუქზე გარს შემოერტყა მთელი ოჯახი, იყო ცრემლები, ვედრება, ყვედრება, წინააღ-

მდეგობა, აღშფოთება, ისეთ დღეში ჩააგდეს, გონება დაკარგა და უახლოესმა ნათესავებმა გადაიყვანეს ლოგინში. ვიდრე კვლავ ფეხზე დადგომას მოახერხებდა, ნაპოლეონის მეორე მმართველობამ, ასდღიანმა ციებ-ცხელებამ და ვაივაგლახმა ისე ჩაიარა, ვით ავმა სიზმარმა. ტრაგიკული 1915 წელი, რომელიც მღელვარებითა და სინდისის ქენჯნით დაიწყო, შურისმაძიებლური დევნით მთავრდებოდა. გენერალმა ფერომ თვითონაც არ იცოდა, თუ როგორ გადაურჩა სპეციალური კომისიის კლანჭებსა და დახვრეტას. ნანილობრივ იმის გამო, რომ ასი დღის განმავლობაში მეორეხარისხოვანი პოზიცია ეკავა. იმპერატორმა მას სარდლობა არ დაავალა, პარიზში დატოვა კავალერიის სადგურზე, რათა ნაჩქარევად გაეწვრთნა და ფრონტზე გაეგზავნა მხედრები. ფერო ამ დავალებას დამცირებად მიიჩნევდა და აშკარად უხალისოდ ასრულებდა; მაგრამ როიალისტური რეაქციისაგან მეტწილად გენერალ დ'იუბერის ჩარევამ გადაარჩინა.

იგი ჯერაც შვებულებაში იყო გამოსაჯანსაღებლად, მაგრამ რაკი მგზავრობა უკვე შეეძლო, დის თხოვნით პარიზში გაემგზავრა, რათა კანონიერ მეფეს წარდგომოდა. რადგან პარიზში არავინ უწყოდა საჯინიბოში მომხდარი ამბავი, იგი გამორჩეული პატივისცემით მიიღეს. სულით ხორცამდე სამხედრო იყო და დაწინაურების იმედი ნუგეშს აძლევდა სწორედ მაშინ, როცა ბონაპარტისტთა სიძულვილი შემოესია და ვერაფრით გაეგო, რას ერჩოდნენ. ამ დევნილი და გაავებული პარტიის მომხრენი თითს იშვერდნენ მისკენ, კაცისაკენ, ვი-



საც არასოდეს უყვარდა იმპერატორი, და ვინც არსებითად უარესი იყო, ვიდრე მოღალატე.

გენერალი დ'იუბერი გულგრილად იჩეჩდა მხრებს ამ ახირებულობის გამო. ძველი მეგობრებისაგან ზუგშექცეული და როიალისტური საზოგადოების დაპირებებისადმი უნდობლად განწყობილი, ახალგაზრდა და მოხდენილი გენერალი (ჯერ ორმოციც არ შესრულებოდა) ცივად და ხაზგასმული თავაზიანობით იქცეოდა და თუ ვინმეს ოდნავ უკმეხობას შეამჩნევდა, მაშინვე მკაცრი და ქედმაღალი ხდებოდა. ამგვარად აღჭურვილი გაემართა გენერალი დ'იუბერი პარიზისაკენ თავის საქმეებზე, თან გულით ატარებდა შეყვარებული კაცის სიამეს. დაიკოს მიერ შერჩეული მომხიბვლელი ქალიშვილი გამოჩენილიყო სცენაზე და ისე დაეპყრო იგი, ვით ყმაწვილქალს ძალუძს ორმოცი წლის კაცის თვალთახედვაში რომ მოხვდება. ისინი დაქორწინებას აპირებდნენ, როგორც კი გენერალი დ'იუბერი ოფიციალურად დაინიშნებოდა დაპირებულ პოსტზე.

ერთ საღამოსაც კაფე ტორტონის ტერასზე მჯდომმა გენერალმა დ'იუბერმა მის ახლოს მჯდარი ორი უცნობის საუბრიდან შეიტყო, რომ გენერალ ფეროს, ვინც მეფის მეორედ დაბრუნების შემდეგ დაეპატიმრებინათ სხვა მაღალჩინოსან ოფიცრებთან ერთად, სპეციალური კომისიის წინაშე წარდგომის საფრთხე ემუქრებოდა. როგორც მომლოდინე შეყვარებულებს სჩვევიათ, რაკი თავისუფალი დრო გამონახა, გენერალი დ'იუბერი მომავალზე ფიქრობდა და ტკბილ ოცნებას ეძლეოდა, მაგრამ საკმარისი იყო თავისი მუდმივი მეტოქის სახელი გაეგონა ხმამაღლა წარმოთქმული, რომ

ახალგაზრდა გენერალი თავის დანიშნულზე ოცნებისაგან გამოერკვა. უკან მოიხედა. უცნობებს სამოქალაქო სამოსი ეცვათ. გამხდრები იყვნენ და ქარდაკრულები, სკამებზე გადაწოლილიყვნენ და გარშემომყოფთ თვალებზე ჩამოფხატული ქუდქვეშიდან პირქუში და გამომწვევი ამრეზით უყურებდნენ. ძნელი არ იყო მათში ძველი გვარდიის იძულებით გადამდგარ ოფიცერთა გამოცნობა. ყოყოჩობისა თუ დაუდევრობის გამო ხმამაღლა საუბრობდნენ და გენერალ დ'იუბერს, ვისაც არავითარი საბაბი არ ჰქონდა ადგილი შეეცვალა, თვითეული სიტყვა ესმოდა. გენერალ ფეროს პირადი მეგობრები არ უნდა ყოფილიყვნენ, მისი სახელი სხვათა შორის ახსენეს. და ხელმეორედ გაგონებამ, გენერალი დ'იუბერის ტკბილი ოცნება მშვენიერი ქალის მიერ გასხივოსნებულ ოჯახურ მომავალზე შეცვალა მძაფრმა მონატრებამ საომარი წარსულისა, იარაღით დიდხანს კვეთების დამათრობელმა მოგონებამ, დიდება და უბედურება თანაბრად რომ მოჰქონდა და მისი თაობის განსაკუთრებული საკუთრება იყო. აუხსნელი სინაზე იგრძნო ძველი მეტოქისადმი და სხვა თვალით შეხედა იმ მომაკვდინებელ უაზრობას, რაც მასთან შეხვედრამ მოუტანა ცხოვრებაში. თითქოს ისედაც მწარე კერძში დამატებით ჩაურიეს სიცხარე. და ამ გემომ მოულოდნელი სევდა აღუძრა. ამ გემოს ვეღარასოდეს შეიგრძნობდა. დასრულდა. – თავიდანვე ალბათ იმიტომ გაბოროტდა, ბაღში რომ მივატოვე დაჭრილი, შემწყნარებლურად ფიქრობდა.

გვერდით მაგიდასთან მჯდარი ორი უცნობი გაჩუმდა, მას შემდეგ, რაც სამჯერ ახსენეს გენერალ ფეროს



სახელი. მოკლე ხნის შემდგომ ორიდან უფროსმა მწარედ აღნიშნა, გენერალ ფეროს აღარაფერი ეშველებაო. მერედა რატომ? იმიტომ, რომ იმ ბობოლებს არა ჰგავდა, საკუთარი თავის გარდა არაფერი რომ არ აღელვებთ. როიალისტებმა იციან, რომ ფეროს ვერ მოარჯულებენ. მას ხომ მეტისმეტად უყვარდა იგი.

იგი წმინდა ელენეს კუნძულზე გადაესახლებინათ. ორმა ოფიცერმა თავი დახარა, ჭიქები მიაჭახუნეს და შეუძლებელი დაბრუნებისა დალიეს. მერე ისევ უფროსმა გააგრძელა სარდონიკული ღიმილით, – მისი მეტოქე უფრო ჭკვიანი გამოდგაო.

– რომელი მეტოქე? – თითქოს დაიბნა ახალგაზრდა.

– არ გსმენიათ ორი ჰუსარის ამბავი? ყოველი დაწინაურების შემდეგ დუელი რომ ჰქონდათ. არ გსმენიათ 1801 წლიდან დაწყებული დუელის ამბავი?

ცხადია, სმენოდა. ახლა კი მიხვდა, რასაც გულისხმობდა მეგობარი: გენერალ ბარონ დ'იუბერს ახლა შეუძლია თავისი მსუქანი მეფის მფარველობით მშვიდად იცხოვროსო.

– მშვიდობაში მოიხმაროს. – წაიბურტყუნა უფროსმა. – ორივე მამაცი ვაჟკაცი იყო. დ'იუბერი არასოდეს მინახავს, გამიგონია, ერთი ინტრიგანი დენდიაო, მაგრამ მჯერა, რაც ფერომ თქვა მასზე, იმპერატორი არასოდეს ჰყვარებიაო.

წამოდგნენ და წავიდნენ.

გენერალი დ'იუბერი ისეთმა შიშმა შეიპყრო, თითქოს მთვარეული გამოფხიზლებულიყოს ტკბილი ძილისაგან და აღმოეჩინოს, ჭაობის საფლობში ვიძირებიო. შესძაგდა გზა, რომელსაც იკვალავდა და ამ გრძნო-

ბამ დაიმორჩილა. მშვენიერი ასულიც კი გადაავიწყდა, ისეთი სინდისის ქენჯნა დაეუფლა. მისი არსებობა და მომავლის იმედები ვერასოდეს მოიშორებდნენ ამ მწარესა და სამარცხვინო გემოს, თუ გენერალ ფეროს არ გამოიხსნიდა იმ საბედისწერო საფრთხისაგან, რაც მრავალ მამაცს ემუქრებოდა. ამ ავადმყოფური მოთხოვნილებით, რომ როგორმე გადაერჩინა თავისი მეტოქე, გენერალმა დ'იუბერმა, როგორც ფრანგები იტყვიან, ისე კარგად გაანძრია ხელ-ფეხი, რომ დღეღამეც არ დასჭირვებია, საგანგებო, პირად შეხვედრას მიაღწია პოლიციის მინისტრთან.

გენერალი ბარონი დ'იუბერი სრულიად უდავიდარაბოდ მიიღეს. მინისტრის კაბინეტში ბინდ-ბუნდი იდგა, სანერი მერხის, სკამების, მაგიდისა და ორი წყება სანთლის მიღმა, შანდლებში რომ კაშკაშებდნენ, გაარჩია ბრწყინვალე კოსტიუმში გამოწყობილი კაცი, მაღალი სარკის წინ რომ კოხტაობდა. ეს გახლდათ ფუშე, კონვენტის ყოფილი წევრი, იმპერიის სენატორი, ვინც უღალატა ყველას და ადამიანური ქცევის ყოველ პრინციპსა თუ მოტივს. ოტრანტოს ჰერცოგი, მეორე რესტავრაციის ცბიერი მოხელე ცდილობდა კოხტად მოერგო საკარო კოსტიუმი, რომლითაც მისი პორტრეტი უნდა დაეხატათ ფაიფურზე მისივე ახალგაზრდა და ლამაზი პატარძლის სურვილით. ამ კაპრიზით მომხიბვლელი ფანტაზიისა მღელვარედ ტკბებოდა მეორე რესტავრაციის პოლიციის მინისტრი. ეს კაცი, ვინც მოხერხებული ქცევის გამო ხშირად შეუდარებიათ მელიისათვის, მაგრამ მისი ზნეობრივი სახე სრულყოფილად მხოლოდ მაშინ დაიხატებოდა, თუ მყრალას შევადარებდით,



ისევე იყო იმ წუთისათვის გამიჯნურებული, როგორც გენერალი დ'იუბერი.

მსახურის დაუდევრობის გამო ამგვარ მდგომარეობაში ყოფნით აღძრული უხერხულობა მისთვის ნიშანდობლივი თავხედობით გადაფარა, რაც ხშირად დახმარებია ანგარებიანი კარიერის დაუსრულებელი ინტრიგების ხლართვისას. ოდნავადაც არ შერხეულა, აბრეშუმის წინდაში გამოწყობილი ერთი ფეხი წინ გადაედგა და თავი მარცხნივ გადაეხარა; მშვიდად დაუძახა, – აქეთ, გენერალო. გთხოვთ მომიახლოვდეთ. აბა? ყურადღებით გისმენთ.

ვიდრე გენერალი დ'იუბერი, თითქოს რაღაც სისუსტეში ემხილებინოთ, უხერხულად ცდილობდა, რაც შეიძლება მოკლედ გადაეცა თავისი თხოვნა, ოტრანტოს ჰერცოგი საყელოს ისწორებდა, ნაკეცებს ილაგებდა და ცდილობდა შეემოწმებინა, თუ როგორ შვენოდა სამოსს ზურგზე ოქრომკედი. მისი გაყინული სახე, გამჭრიახი თვალები ყოველივე ამისადმი მეტ ყურადღებას არ გამოიჩენდა, მარტოც რომ ყოფილიყო.

– განსაკუთრებული სასამართლოს საქმეებიდან ამოვიღოთ ვინმე ფერო, გაბრიელ ფლორიანი, 1814 წელს ბრიგადის გენერლად დაწინაურებული? – გაიმეორა ოდნავ გაკვირვებული კილოთი და სარკე ზურგი აქცია. – რატომ მაინცდამაინც იგი?

– საკვირველია, რომ თქვენმა ბრწყინვალებამ, ვინც ასე კარგად იცნობს თავის თანამედროვეთ, ღირსად სცნო ეს სახელი სიაში შეეტანა.

– ცოფიანი ბონაპარტისტია.

– ასეთია არმიის ყოველი გრენადერი და ჯარისკაცი, როგორც თქვენს ბრწყინვალებას მოეხსენება. ხოლო გენერალ ფეროს პიროვნების გავლენა ჩვეულებრივი გრენადერის გავლენას ვერ გადააჭარბებს. იგი შეზღუდული გონების მქონე, უნიჭო კაცია. წარმოუდგენელია ვინმეზე გავლენა მოახდინოს.

– თუმც ენას კარგად ატარტალებს, – ჩაურთო ფუშემ.

– მყვირალაა, გეთანხმებით, მაგრამ საშიში არ არის.

– არ შეგეკამათებით. მეტი არც არაფერი ვიცი მასზე. არსებითად მარტო სახელი.

– მაგრამ თქვენი ბრწყინვალება ხომ თავმჯდომარეა მეფის მიერ დანიშნული კომისიისა იმათ გამოსავლენად, რომლებიც სასამართლოს უნდა წარუდგნენ; – ისეთი კილოთი უთხრა, რომ მინისტრის ყურს არ გამორჩენია.

– დიახ, გენერალო, – თქვა მან, ვრცელი ოთახის ბნელ ნაწილში გადაინაცვლა და ღრმა სავარძელში ჩაეფლო, რამაც მთლიანად ჩაყლაპა და მხოლოდ ოქრომკედი და ფერმკრთალი სახე მოუჩანდა. – დიახ, გენერალო, იმ სკამზე დაბრძანდით.

გენერალი დ'იუბერი დაჯდა.

– დიახ, გენერალო, – განაგრძო მზაკვრობისა და მუხთლობის დიდოსტატმა, ვისი ორპირობაც, რის გამოც ხანდახან ისე ბეზრდებოდა საკუთარი თავი, რომ შვებას ცინიკურ გულღიობაში ჰპოვებდა ხოლმე. – მართლაც ვიჩქარე დამსჯელი კომისიის შექმნა და სათავეშიც ჩავუდექი. და იცით რატომ? იმიტომ, რომ მეშინოდა, თუ დავაგვიანებდი, შეიძლებოდა დასასჯელთა სიის სათავეში მოვქცეულიყავი. ასეთ დროში ვცხოვრობთ.



მაგრამ რაკი ჯერაც მეფის მინისტრი ვარ, გეკითხებით, ვითომ რატომ უნდა ამოვიღო ამ ვიღაც ფეროს სახელი სიიდან? თქვენ კი გიკვირთ, თუ როგორ მოხვდა იქ მისი სახელი? ნუთუ ასე ცუდად იცნობთ ადამიანებს? ძვირფასო გენერალო, კომისიის პირველივე სხდომაზე სახელთა ისეთი ნიაღვარი მოსკდა, როგორც წვიმა მოჩქეფს ხოლმე ტიულრის სასახლის სახურავიდან. სახელები! რა იცით, ეგებ სახელმა ფერომ, ვისი სიცოცხლეცა და სიკვდილიც საფრანგეთს არაფერში არგია, ვინმე სხვის სახელი გადაფარა?

სავარძლიდან ამომავალი ხმა შეწყდა. გენერალი დ'იუბერი გაუნძრევლად იჯდა, აჩრდილივით და მდუმარედ, მხოლოდ მისი ხმლის სუსტი ჩხარუნი ისმოდა. სავარძლიდან კვლავ მოისმა ხმა. – მოკავშირე ხელმწიფეთა მოთხოვნების დაკმაყოფილებასაც უნდა შევეცადოთ. გუშინ პრინცმა ტალეირანმა მითხრა, ნესელროდემ ოფიციალურად მაცნობა, მისი უდიდებულესობა, იმპერატორი ალექსანდრე უკმაყოფილოა მეფის მთავრობის მიერ შერჩეულ, სანიმუშოდ დასასჯელთა მცირე რაოდენობითო – განსაკუთრებით სამხედრო პირთა შორის. ამას კონფიდენციალურად გიმხელთ.

– სიტყვას გაძლევთ, – კბილებში გამოსცრა გენერალმა დ'იუბერმა, – თუ თქვენი ბრწყინვალება სხვა კონფიდენციალურ ცნობასაც გამიმხელს, არ ვიცი რას ვიზამ. მეტი რაღაა საჭირო, რომ ხმალი გადავიმტვრიო მუხლებზე და გადავყარო...

– როგორ გგონიათ, რომელ ხელისუფლებას ემსახურებით? – მკაცრად გააწყვეტინა მინისტრმა.

მცირე ხნის დუმილის შემდეგ გენერალმა დ'იუბერმა ჩამქრალი ხმით მიუგო, – საფრანგეთისას.

– თავს რატომ იმშვიდებთ ცარიელი სიტყვებით, გენერალო. სიმართლე ისაა, რომ თქვენ ემსახურებით დაბრუნებულ, განდევნილთა ხელისუფლებას, ადამიანთა, რომლებიც უსამშობლოდ ცხოვრობდნენ ოც წელიწადს. ადამიანთა, ვინც, სულ ახლახან, საძაგელი, დამთრგუნველი შიში გადაიტანეს... ამიტომ ფუჭ იმედებს ნუ ეპოტინებით.

ოტრანტოს ჰერცოგი გაჩუმდა. გული უკვე მოიფხანა და ოდნავ გათელა თავმოყვარეობა კაცისა, ვინც უხერხულ ყოფაში წაადგა თავს, როცა სარკესთან ოქრომკედით დამშვენებული საკარო მუნდირით კოხტაობდა. მაგრამ კიდევ რამდენი თავქარიანი იყო არმიაში; ისიც იცოდა, რომ არ ეგებოდა ერთ-ერთი პრინცის რეკომენდაციით მასთან მიღებაზე მყოფ გენერალს რაღაც თავზეხელაღებული რამ ჩაედინა მინისტრთან პირადი გასაუბრებიდან გასულს. კილო შეიცვალა და ჰკითხა, – ეს ფერო თქვენი ნათესავია?

– არა, არაფერი გვაკავშირებს.

– ახლო მეგობარია?

– დიახ... ახლოა. ჩვენ შორის ისეთი კავშირია, ჩემთვის ღირსების საკითხია, ვცადო...

მინისტრმა ზარი დარეკა ისე, რომ წინადადების დასრულება არ აცალა. მსახურმა ორი მძიმე, ვერცხლის შანდალი შემოიტანა, სანერ მაგიდაზე დაანყო და გავიდა. ოტრანტოს ჰერცოგი ადგა. კაშკაშა შუქით განათებული მკერდი ოქროსფრად უბრწყინავდა; კარადიდან ფურცელი გამოიღო, დასანახად დაიჭირა და შთამაგონებელი სირბილით თქვა. – ნულარ გაიმეორებთ, რომ ხმალს გადაიმტვრევთ მუხლზე, გენერალო. სხვას ალბათ ვეღარ იშოვით. იმპერატორი ამჯერად ვეღარ დაბრუნდება... ხორცშესხმული ქაჯი! რაღაც წუთები იყო, აქ, პარიზში, ზედ ვატერლოოს მერე რომ შემაშინა. ისე ჩანდა, მზად იყო ყველაფერი თავიდან დაეწყო, ნამდვილად. ხმლის გადატეხვაზე ხომ აღარ იფიქრებთ, გენერალო?

გენერალი დ'იუბერი იატაკს დაჰყურებდა და ხელი უიმედოდ გააქნია უარყოფის ნიშნად.

– აქ მხოლოდ ოცი გენერალია შერჩეული სანიმუშოდ დასასჯელად. ოცი. მრგვალი რიცხვია. მოდი ვნახოთ, ფერო... აი, ისიც. გაბრიელ ფლორიანი. შესანიშნავია. თქვენია. ცხრამეტიღა დარჩება, სამაგალითოდ.

გენერალი დ'იუბერი ისეთი გრძნობით წამოდგა, თითქოს გადამდები სნეულება გადაეტანოს. – თქვენო ბრწყინვალებავ, დაბეჯითებით გთხოვთ, ჩემი მონაწილეობა ამ საქმეში საიდუმლოდ შეინახოთ. დიდად მაღელვებს, რომ მან არ შეიტყოს...

– ნეტა ვიცოდე, ვინ უნდა გააგებინოს? – იკითხა ფუშემ და კითხვითვე მიაჩერდა გენერალ დ'იუბერის დაძაბულ, გაყინულ სახეს. – აი იმ კალამთაგან ერთი აიღეთ და თვითონ გადახაზეთ გვარი. ეს ერთადერთი სიაა. თუ მოინდომებთ და კარგად ჩააწობთ კალამს მელანში, ვეღარავინ გაიგებს თუ რომელი გვარია ამოშლილი. მაგრამ მომიტევეთ თუ პასუხს აღარ ვაგებ იმაზე, კლარკი რაღას უზამს შემდგომ; თუ ცოფიანობას არ მოიშლის, სამხედრო მინისტრი სადმე პროვინციულ

ქალაქში გაგზავნის და პოლიციის ზედამხედველობას დაუნიშნავს.

რამდენიმე დღის შემდეგ გენერალი დ'იუბერი თავის დას ესაუბრებოდა, მას მერე, რაც მისალმებას და მოკითხვას მორჩნენ, – ოჰ, ჩემო ძვირფასი ლეონი! მეგონა ველარ გამოვაღწევდი პარიზიდან.

– სიყვარულის გამო, – ეშმაკური ღიმილით შენიშნა ქალმა.

– თავზარისაგანაც, – დასძინა გენერალმა დ'იუბერმა, ღრმა სერიოზულობით; კინაღამ სული გამძვრა... გულისრევისაგან.

სახე ზიზღისაგან მოებრიცა და რადგან დაიკო ყურადღებით მისჩერებოდა, განაგრძო: ფუშე უნდა მენახა, შეხვედრა ვითხოვე, მის კაბინეტში ვიყავი. იქ ყოფნამ, მასთან ერთად საერთო ჰაერით სუნთქვამ ღირსება შემილახა, გამიჩნდა განცდა, რომ არც ისე სუფთა ვარ, როგორც ვისურვებდი... მაგრამ შენ ვერ გამიგებ.

ლეონიმ რამდენჯერმე დაუქნია თავი. პირიქით, ძალიანაც კარგად უგებდა. საფუძვლიანად იცნობდა თავის ძმას და ისეთი უყვარდა, როგორიც იყო. მეტიც, ეს იაკობინელი ფუშე ყველას ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა; იგი თავის სასარგებლოდ იყენებდა ადამიანთა სისუსტესა და სიძლიერეს, კეთილშობილებასა და მისწრაფებებს, მთელი თაობები მოატყუა და მივიწყებული გარდაიცვალა, როგორც ოტრანტოს ჰერცოგი.

– ძვირფასო არმან, – თანაგრძნობით ჰკითხა, – რა გინდოდათ იმ კაცისაგან?

– მხოლოდ კაცის გადარჩენა, – მიუგო გენერალმა დ'იუბერმა. – და გადავარჩინე. უნდა გადამერჩინა. მაგრამ ახლა ვგრძნობ, რომ ამას ვერასოდეს ვაპატიებ გადარჩენილს.



გენერალმა ფერომ, ვინც ვერაფრით მიმხვდარიყო თუ რა ხდებოდა მის თავს (როგორც ყველას გვემართება ხოლმე), სამხედრო მინისტრისაგან მიიღო ბრძანება სასწრაფოდ გადასულიყო ცენტრალური საფრანგეთის პატარა ქალაქში, რამაც მის თვალთა ბრიალი და კბილთა კრაჭუნი გამოიწვია. საომარი ცხოვრებისაგან, ეს ხომ ერთადერთი რამ იყო, რაც იცოდა, გაცლა და მშვიდობიანი მსოფლიოს შემზარავი ხილვა აშინებდა. იგი პატარა ქალაქისაკენ გაემართა მტკიცედ დარწმუნებული, რომ ეს დიდხანს არ გაგრძელდებოდა. იქ აცნობეს, რომ არმიიდან დათხოვნილი იყო და რომ მისი პენსია (გათვლილი პოლკოვნიკის ჩინზე) ეკიდა მის წესიერ ქცევასა და პოლიციის კარგ ანგარიშზე. მაშ არმიაში აღარ იქნება! თითქოს მიწა გამოეცალა ფეხქვეშ სხეულდაკარგული სულივით. როგორღა უნდა ეცხოვრა?! თავიდან არც კი სჯეროდა. შეუძლებელი იყო. ელოდა ცა დაიქცეოდა, მიწა იძვროდა, ბუნება ამბოხდებოდა, მაგრამ არაფერი მომხდარა. უსაშველო უქმობის სიმძიმე ტყვიასავით დააწვა გენერალ ფეროს, ვინც რაკიღა თავის თავში ვერაფერს გამოძებნიდა დასაყრდნობად, უღრმეს ნაღველში ჩაიძირა. დადიოდა პატარა ქალაქის ქუჩებში, იჭურებოდა გამოცარიელებული თვალებით, არად აგდებდა, შემხვედრნი ქუდს რომ უხდიდნენ; ხალხი ხელს წაჰკრავდა ერთმანეთს მის დანახვაზე და ჩურჩულებდა, – ეს ხომ საბრალო გენერალი ფეროა, გულგატეხილი. ნახეთ როგორ დარდობს იმპერატორზე. – სხვა ცოცხალი ნანგრევები ნაპოლეონის ქარიშხლისა უსაზღვრო პა-

ტივისცემით გროვდებოდნენ ფეროს ირგვლივ. თვითონ ფიქრობდა, მწუხარებამ გამანადგურაო. დროდადრო სურდა ეტირა, ეყმუვლა, სისხლისდადენამდე დაეკბინა მუშტები, მთელი დღეები ლოგინში იწვა ბალიშში თავ-ჩარგული; მაგრამ ყველაფერი ეს მოწყენილობის ბრალი იყო, უსაზღვრო, აღუწერელი, მიუწვდომელი გაბეზრებისა. მისმა გონებრივმა უძლურებამ, ჩაწვდომოდა თავისი ყოფის უიმედობას, თვითმკვლელობისაგან იხსნა. ამაზე არც კი უფიქრია. აღარაფერზე ფიქრობდა. მადა გაუქრა, არ შეეძლო გამოეხატა თავისი გრძნობების ყოვლისმომცველობა (იგინე რამდენიც გინდა, რა აზრი აქვს) და თანდათანობით სიჩუმეში ჩაიძირა, სამხრეთული ბუნებისათვის ეს იგივე სიკვდილია.

ამიტომ დიდი იყო გაკვირვება მოციცქნულ, ბუზებით სავსე კაფეში მყოფი ძველი სამხედროებისა, როცა ერთ ნაშუადღევს, „ამ საბრალო გენერალმა ფერომ" ლანძღვა-გინების ნიალვარი გადმოაფრქვია. მანამდე ჩუმად იჯდა თავის საპატიო ადგილას, კუთხეში და პარიზის გაზეთებს ისე ათვალიერებდა, როგორც სიკვდილმისჯილი ათვალიერებს ახალ ამბებს სასჯელის აღსრულების წინა დღეს. – აჰა, როგორც ჩანს, ჯერაც ცოცხალი ვარ, – დოგმატური კილოთი განაცხადა. – თუმც, ეს პირადი საკითხია. ძველი საქმე ღირსებისა. ეჰ! ვიღას ანალვლებს ჩვენი ღირსება. ყური გაგვიხვრიტეს და შემოგვყარეს აქ პოლკის ჩამოწერილი ცხენებივით, დაბაღის სასაკლაოსთვის გამოსადეგნი. მაგრამ ეს იქნება ელვარე გაბრძოლება იმპერატორისათვის... ბატონებო, მე ორი თქვენგანის დახმარება დამჭირდება.



ყველა წინ გამოვიდა. გენერალი ფერო ღრმად შეიძრა ამგვარი მგზნებარებით, და აღელვებულმა ერთი ცალთვალა, ვეტერანი კირასირი და ერთიც ცხენოსანი მონადირე გამოარჩია, რომელსაც ცხვირის წვერი რუსეთში დაეტოვებინა. სხვებს კი მოუბოდიშა ამ არჩევანის გამო.

– ხომ იცით, კავალერიის საქმეა.

პასუხად არეულ-დარეული ხმები გაისმა, – გასაგებია... სწორია... ცხადია, ჩემო გენერალო. – ყველა დაკმაყოფილდა. სამნი ერთად გავიდნენ კაფედან, ილბალზე გევლოთო, გააცილეს შეძახილებით. გავიდნენ თუ არა, ხელკავები გაუყარეს და გენერალი შუაში მოაქციეს. სამი გაქუცული, სამკუთხა, ბრძოლებში გამოვლილი ქუდი ავისმომასწავებლად გაუყვა ვიწრო ქუჩას. რუხი ქვით ნაგები და წითელი კრამიტით დახურული პატარა ქალაქი დასიცხული იწვა ლურჯი ცის ქვეშ, პროვინციულ ნაშუადღევში. ბონდერთა მიერ კასრებზე სარტყელთა მორგებისას დარტყმის ხმა ტრიალებდა სახლებს შორის. გენერალი ოდნავ ითრევდა ფეხს კედლების ჩრდილში.

– 1813 წლის წყეული ზამთარი გვარიანად ჩამიჯდა ძვლებში. არა უშავს. დამბაჩები უნდა ავიღოთ, სულ ეს არის. ცოტას გავისვრით. დამბაჩები გვჭირდება. მოვიწადირებ. თვალი ისევ მიჭრის. უნდა გენახათ, რუსეთში როგორ ვცელავდი მოთარეშე კაზაკებს ფეხოსანთა ძველი, ჟანგიანი მუშკეტით. ბუნებრივი ნიჭი მაქვს ცეცხლსასროლი იარაღისა.

ამ სიტყვებით მიაბიჯებდა გენერალი ფერო, თავაწეული, ბუსავით თვალებდაჭყეტილი და ცხვირმოკაუჭე-

ბული. მთელი სიცოცხლე მხოლოდ მოჩხუბარი იყო, კავალერისტი, მოხმალავე, დარწმუნებული გახლდათ, ომი მხოლოდ და მხოლოდ ჩხუბის მრავალრიცხოვანი სახეობაა, მშვენიერი დუელის სახეობაო. აქ კი საკუთარი ომი ჰქონდა. გაცოცხლდა. მშვიდობის აჩრდილმა ისევე ჩაუარა, როგორც სიკვდილის აჩრდილმა. ეს იყო გასაოცარი აღორძინება კაცისა, სახელად ფერო, გაბრიელ ფლორიანი, მოხალისედ რომ ჩაეწერა 1793 წელს და გენერალი გახდა 1814 წელს, უცერემონიოდ რომ დამარხეს – სამსახურიდან დაითხოვეს მეორე რესტავრიციის სამხედრო მინისტრის ხელმოწერით.



## თავი IV

ვერავინ კაცი მიაღწევს წარმატებას ყველა საქმეში, რასაც კი შეუდგება. ამ აზრით, ყველა ხელმოცარულნი ვართ. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, არ დავმარცხდეთ ჩვენი ცხოვრების წარმართვასა და მოწესრიგებაში. ამ საქმეში ამპარტავნება სწორ გზას გვაკარგვინებს. ისეთ ხიფათში შეგვარგავს, საიდანაც მრთელი ვერ გამოვაღწევთ; ამისდა საპირისპიროდ, სიამაყე გვიცავს, მარქაფად გამძლეობას მოიყოლებს, ვითა სიქველეს მხარდაჭერისა და შემწეობისა.

გენერალი დ'იუბერი ამაყი და თავშეკავებული კაცი გახლდათ. შემთხვევით სასიყვარულო თავგადასავლებს, წარმატებული იქნებოდა თუ წარუმატებელი, მისთვის ვნება არ მოუტანია. ომის ჭრილობებით სავსე სხეულში დაუკოდავი გული უფეთქავდა ორმოცი წლისას. მორჩილებით მიჰყვებოდა დაიკოს საქორწინო გეგმებს და გრძნობდა, ისე უსაშველოდ ეშვებოდა სიყვარულში, თითქოს სახურავიდან ვარდებაო. მეტად ამაყი იყო, რომ შეშინებოდა. ხოლო გრძნობა უზომოდ საამო იყო და საგანგაშო ვერ იქნებოდა.

ორმოცი წლის კაცის გამოუცდელობა გაცილებით სერიოზულია, ვიდრე ოცი წლის ჭაბუკისა, რადგანაც

ცხელი სისხლის ჩქეფა ვერ დაეხმარება. ასული იდუმალი ჩანდა, როგორც ყმაწვილქალები გამოირჩევიან მოხერხებულობითა და გონებამახვილობით; და ამ ყმაწვილი ქალის იდუმალება გამორჩეულად და მომაჯადოებლად წარმოუდგებოდა. არავითარი საიდუმლო არ იმალებოდა იმ საქორწინო გარიგებაში, რასაც მადამ ლეონი აგულიანებდა და შეეწეოდა. არც არაფერი გახლდათ განსაკუთრებული. ძალზე შესაფერისი კავშირი იყო და მეტად სასურველი ასულის დედისათვის (მამა გარდაცვლოდა) და ყმაწვილქალის ბიძაც ეთანხმებოდა – მოხუცებული ემიგრანტი გერმანიიდან დაბრუნებულიყო და ჯოხით ხელში მოარული ძველი რეჟიმის ხმელ აჩრდილს მოგაგონებდათ, როცა ყმაწვილი ქალის წინაპართა კარ-მიდამოში დააბიჯებდა.

გენერალი დ'იუბერი ის კაცი არ გახლდათ, მხოლოდ ქალი და ქონება ეკმარა, თუკი საქმე საქმეზე მიდგებოდა. მის სიამაყეს (სიამაყე კი მხოლოდ წარმატებას უმიზნებს) მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარული თუ დააკმაყოფილებდა. მაგრამ რადგანაც ჭეშმარიტი სიამაყე გამორიცხავს ამპარტავნებას, ვერაფრით წარმოედგინა, თუ რა მიზეზით უნდა ჰქონოდა მისადმი, ამ მიუწვდომელ, ღრმა და ბრწყინვალე იისფერთვალება ქმნილებას, იმაზე უფრო თბილი გრძნობა, ვიდრე განურჩევლობაა. ყმაწვილი ქალი (სახელად ადელი) იოლად იგერიებდა ყოველ მცდელობას ამ საკითხში გარკვევისა. მართალია მცდელობანი მოუქნელი იყო და მორიდებული, რადგან სწორედ ახლა შეიგრძნო გენერალმა დ'იუბერმა ცხადად თავისი ასაკი, ჭრილობები და მრავალი ზნეობრივი არასრულყოფილება – ამასთან, გამოცდილებამ



მიახვედრა, თუ რას ნიშნავს სიტყვა „მხდალი". იმის გაგებაღა მოახერხა, რომ ასული უსაზღვროდ ენდობოდა დედის სიყვარულსა და მზრუნველობას და რომ გენერალ დ'იუბერის პიროვნება დასაწუნად არ მიაჩნდა, ხოლო ეს სავსებით კმაროდა ასეთი კარგად აღზრდილი ყმაწვილქალისათვის, რომ ცოლქმრულ ცხოვრებას შედგომოდა. ამგვარი აზრი ტკივილს აყენებდა და სტანჯავდა გენერალ დ'იუბერის სიამაყეს. და მაინც, სხვა რისი გეიმედებოდაო, ეკითხებოდა საკუთარ თავს ერთგვარი ტკბილი იმედგაცრუებით. ისეთი მშვიდი და კრიალა შუბლი ჰქონდა, იისფერი თვალები მაშინაც უცინოდა, როცა ტუჩებისა და ნიკაპის კონტურები მომხიბვლელ სერიოზულობას ინარჩუნებდნენ. ყოველივე ამას მშვენიერი ოქროსფერი თმა შემოხვეოდა, ისეთი ქათქათა პირის კანი ჰქონდა და ისეთი გრაციოზული მანერები, გენერალ დ'იუბერს სადღა შეეძლო ეფიქრა თავისი სიამაყის მოთხოვნილებებზე. და უკვე ეშინოდა კიდეც ამგვარ ფიქრებში შეყოლა, რადგან ერთი-ორჯერ ისე გათანგა ვნებათაღელვამ, მიხვდა, იმდენად მიყვარს, მირჩევნია მოვკლა, ვიდრე დავკარგოო. ამგვარმა განცდებმა, რაც ორმოცი წლის კაცებსაც ახასიათებთ, იგი დაქანცა, მოარბილა, დაამორცხვა და დააბნია. მაგრამ საკმაოდ კარგადაც გრძნობდა თავს, როცა დროდადრო ღამ-ღამობით ღია ფანჯარასთან იჯდა და, მისტიკურ განსჯაში ჩაძირული, მორწმუნესავით ფიქრობდა, რა საოცრებაა, რომ ის არსებობსო. იმის თქმა არ იქნება, რომ მთელი ეს შინაგანი დუღილი ვინმემ შენიშნა. გენერალ დ'იუბერს სრულებითაც არ უჭირდა სახეზე ღიმილი ჰქონოდა გადაფენილი. იმიტომ, რომ მართლაც მე-

ტად ბედნიერი იყო. თავისი მდგომარეობის დადგენილ წესებს მისდევდა, დილაადრიან ყვავილებს უგზავნიდა (დაიკოს ყვავილნარიდან თუ სათბურიდან) და ცოტა მოგვიანებით თვითონაც ესტუმრებოდა, სამხრად ეწვეოდა საბედოს, დედამისსა და ემიგრანტ ბიძას. შუადღეს სეირნობასა ან ჩრდილქვეშ ჯდომაში ატარებდნენ. თავშეკავებული თავაზიანობა, სინაზის ყუნწზე ჩამოკიდებული რომ ქანაობდა, მისი მხრიდან მეტი სიახლოვის სურვილზე მიანიშნებდა; იგი ხუმრობდა და მალავდა თავისი მდგომარეობის გასაჭირს ასულის მიუწვდომელი სიახლოვის გამო. გვიან ნაშუადღევს გენერალი დ'იუბერი მარტო მოდიოდა ვენახებით დაფარული მინდვრებით, თავს ხან უბედურად მიიჩნევდა, ხან უბედნიერესად, ხანაც სევდიანობდა; მაგრამ განსაკუთრებული სიცხადით შეიგრძნობდა არსებობას, აღფრთოვანებას, ნიშანდობლივს პოეტთათვის, ხელოვანთა და შეყვარებულთათვის – კაცისათვის, ვინც შეუპყრია კეთილშობილ გრძნობას ან ხილვას მშვენიერებისა. იმ წუთებში გარესამყარო გამორჩევით არც არსებობდა გენერალ დ'იუბერისათვის. და მაინც, ერთ საღამოს ბორცვს რომ გადაადგა, საიდანაც ორივე სახლი მოჩანდა, გენერალმა დ'იუბერმა ორი სხეული დაინახა გზაზე, მოშორებით. ღვთაებრივი დღე იყო. საზეიმოდ განათებული და გაკაშკაშებული ცა ნაზ სხივებს ჰფენდა სამხრეთის ნოყიერ მიწას. რუხი კლდეები, ყავისფერი მინდვრები და მეწამული, დატალღული სივრცეები ერთმანეთს ერწყმოდა ფერთა შეხამებით და საღამოს სურნელს აფრქვევდა ირგვლივ. გზაზე მომავალი ორი სხეული ორი გაფშეკილ-გახევებული კაცი აღმოჩნდა, შავებში



გამოწყობილნი, ღილებშეკრულნი და დამტვერილნი. გენერალმა დ'იუბერმა გაარჩია გრძელი, სწორი სამხედრო მაზარები, ყელამდე ღილებშეკრული, სამკუთხა ქუდები; კაცები ხმელები იყვნენ, გამოჩორკნილი, მზედაკრული სახეები ჰქონდათ, ძველი ჯარისკაცები იყვნენ, ულვაშიანები! ორიდან უფრო მაღალს შავი საფენი აეფარებინა ცალ თვალზე; მეორის გამომშრალ, მკაცრ სახეს რაღაც უცნაური, საშიში გამომეტყველება აღბეჭდოდა და მოახლოებისას აღმოჩნდა, თურმე ცხვირის წვერი არა ჰქონია. ხელის აწევით, წამიერად მიესალმნენ სამოქალაქო სამოსში გამოწყობილ კაცს, ოდნავ რომ კოჭლობდა და მსხვილი ჯოხი მოემარჯვებინა და გენერალ ბარონ დ'იუბერის საცხოვრებელი იკითხეს და ისიც, თუ როგორ მოახერხებდნენ მასთან უკეთ საუბარს, მშვიდ გარემოში.

– თუ ამას მშვიდ გარემოდ მიიჩნევთ, – თქვა გენერალმა დ'იუბერმა და გახედა მეწამულ ჩარჩოში მოქცეულ ვენახებს, კონუსისებრ ბორცვზე შეფენილი სოფლის რუხ-ნაცრისფერ სახლებს, რასაც აგვირგვინებდა ეკლესიის კოშკის ბლაგვი წვერი; – თუ ამ გარემოს მშვიდად მიიჩნევთ, შეგიძლიათ ახლავე ესაუბროთ. გთხოვთ, მეგობრებო, ახდილად და დაუფარავად მომმართეთ.

ამის გაგონებაზე უკან დაიხიეს და ხელები ქუდთან მიიტანეს მკვეთრი ცერემონიულობით. შემდეგ ცხვირწაჭრილმა, ვინც ორივეს ნაცვლად ლაპარაკობდა, აღნიშნა, რომ საკითხი საკმაოდ კონფიდენციალური იყო და კეთილგონივრულად უნდა წარმართულიყო. აი, იმ დაწყევლილი გლეხუჭებით დასახლებულ სოფელში

გავჩერდით – ჯანდაბა მათ როიალისტ თავებს! – ცეცრად რომ გვიყურებენ სამ მორიდებულ ჯარისკაცს და მხოლოდ გენერალ დ'იუბერის მეგობართა სახელების გაგება გვსურსო.

– მეგობრების? – იკითხა გაკვირვებულმა გენერალმა დ'იუბერმა, ვისაც ვერაფერი გაეგო. – აქ მე სიძესთან ვცხოვრობ, აგერ იმ სახლში.

– კეთილი ერთი ეგ გამოდგება, – თქვა ცხვირწაჭრილმა ვეტერანმა.

– ჩვენ გენერალ ფეროს მეგობრები ვართ, – ჩაერია მეორე, – ვინც აქამდე მდუმარედ მისჩერებოდა ცალი თვალით კაცს, ვისაც არასოდეს ჰყვარებია იმპერატორი. სწორედაც რომ ღირდა ყურებად, რადგან იმ ოქრომკედით მოოჭვილ იუდებსაც, რომელთაც ინგლისელებს მიჰყიდეს, მარშლებსა და პრინცებსაც კი ოდესღაც უყვარდათ იგი. ხოლო ამ კაცს არასოდეს ჰყვარებია იმპერატორი, რასაც გარკვევით ამტკიცებდა გენერალი ფერო.

გენერალ დ'იუბერს გული შეეძრა. თითქოს დედამიწის ბრუნვა შეიგრძნო წამის რაღაც მონაკვეთში, შეაკრთო მსუბუქმა შერხევამ სამყაროს მარადიული მდუმარებისა. მაგრამ სისხლის ჩუხჩუხის ხმა მაშინვე შეწყდა ყურებში. უნებურად წაიჩურჩულა,

– ფერო! მისი არსებობაც კი დამავიწყდა.

– და მაინც, იგი არსებობს, მართალია ძალზე ურიგოდ, იმ მივარდნილ, ველურებით სავსე ფუნდუკში, – ცივად თქვა ცალთვალა კირასირმა. – აქ ერთი საათის წინ ჩამოვედით, საფოსტო ცხენებით და მოუთმენლად ელოდება ჩვენს დაბრუნებას. მოგეხსენებათ,



ვჩქარობთ. გენერალმა დაარღვია მინისტრის ბრძანება, რათა თქვენგან მიიღოს დაკმაყოფილება, რისი უფლებაც აქვს ღირსების კანონის მიხედვით, და ბუნებრივია, მოწადინებულია მიიღოს პასუხი, ვიდრე ჟანდარმები გეშს აიღებენ.

მეორემ, ოდნავ მეტი ნათელი მოჰფინა ვითარებას.

– ხომ გესმით, გვინდა უხმაუროდ დავბრუნდეთ! ფუი, რომ ვერავინ შეიტყოს. ჩვენც ხომ გამოპარულები ვართ. თქვენი მეგობარი მეფე ხალისით მოგვისპობს მათხოვრულ გროშებს, პირველი შემთხვევისთანავე. სახიფათოა, მაგრამ ღირსება უპირველეს ყოვლისა.

გენერალ დ'იუბერს დაუბრუნდა მეტყველების უნარი.

– ასე რომ, მთელი ეს გზა გამოიარეთ, რათა სამკვდრო-სასიცოცხლო ორთაბრძოლაში გამიწვიოთ იმ, იმ... – განრისხებისაგან ხარხარი აუვარდა, – ჰა! ჰა! ჰა! ჰა!

მუხლებზე მუშტებდაწყობილი თავშეუკავებლად ხარხარებდა; ისინი კი უძრავად გაჭიმულნი იდგნენ, თითქოს ხაფანგს მიუჭედებია მიწაზეო. სულ რაღაც ოცდაოთხი თვის წინათ ევროპის ბატონ-პატრონნი, თითქოს გარდასულთა აჩრდილებს დამსგავსებოდნენ, ნამდვილებს აღარ ჰგავდნენ გაცვეთილ მაზარებში გამოწყობილნი, ჩრდილებადღა დარჩენილიყვნენ თეთრ გზაზე – ოცწლიანი ომებისა და დაპყრობათა სამხედრო, გროტესკულ მოჩვენებს. არაამქვეყნიური გარეგნობა ჰქონდათ, ხმლის რელიგიის აუღელვებელი ქურუმებისა, და გენერალი დ'იუბერი, თვითონაც ევროპის ყოფილ ბატონ-პატრონთაგანი, დასცინოდა გზაზე მდგარ ამ პირქუშ აჩრდილებს.

ერთ-ერთმა თავი გადააქნია მისკენ მინიშნებით და თქვა, – მხიარული ყმაწვილია, არა?

– ზოგიერთ ჩვენგანს აღარც გაულიმია, მას შემდეგ, რაც იგი წავიდა, – შენიშნა მისმა ამხანაგმა.

დაუნდობელმა სურვილმა, წამომხტარიყო და ფერხქვეშ გაეგდო ეს უსხეულო აჩრდილები, შეაკრთო გენერალი დ'იუბერი. მაშინვე შეწყვიტა ხარხარი. ახლა სურდა, რაც შეიძლება სწრაფად მოეშორებინა თავიდან, ვიდრე თავშეკავებას დაკარგავდა. ეუცხოებოდა გულში მზარდი მრისხანება. მაგრამ ამ თავისებურებაში ჩაღრმავების დრო არ ჰქონდა.

– მესმის, რომ გსურთ, რაც შეიძლება სწრაფად მოათავოთ საქმე ჩემთან. დროს ნუ დავკარგავთ ფუჭ ცერემონიებზე. აი, იმ ტყეს ხომ ხედავთ, ფერდობის ძირას? დიახ, ფიჭვნარს. იქ შევხვდეთ ალიონზე. თან მექნება ან ხმალი, ან დამბაჩები, ან ორივე თუ ინებეთ.

გენერალ ფეროს სეკუნდანტებმა ერთმანეთს გადახედეს.

– დამბაჩები, გენერალო, – თქვა კირასირმა.

– ასე იყოს. ნახვამდის, ხვალ დილამდე. და ნება მიბოძეთ გირჩიოთ, იჩქარეთ, ვიდრე დაბნელდებოდეს, თუ არ გინდათ ჟანდარმერია დაინტერესდეს თქვენით. უცხოები იშვიათი ხილია ამ მხარეში.

ისინი უსიტყვოდ გამოესალმნენ. გენერალმა დ'იუბერმა ზურგი შეაქცია მიმავალთ, დიდხანს იდგა შუა გზაზე, ქვედა ტუჩს იკვნეტდა და მიწას დაჰყურებდა. მერე პირდაპირ წავიდა და მიუყვებოდა გამოვლილ ბილიკს, ვიდრე თავისი რჩეულის კარ-მიდამოს ჭიშკართან აღმოჩნდებოდა. მწუხრი წვებოდა. ღობის იქიდან უძრავად მდგარი უყურებდა სახლის წინკარს, ბუჩქებსა და ხეებს შორის რომ კაშკაშებდა. ნაბიჯების ხმამ ააჩხრიალა ხრეში და გამოჩნდა მაღალი, მხრებში მოხრილი ტანი, კარ-მიდამოს გვერდითი ხეივნიდან კედლის შიდა მხარეს რომ მოუყვებოდა.



შევალიე დე ვალმასიგს, სათაყვანო ადელის ბიძას, პრინცთა არმიის ყოფილ უმცროსი რანგის გენერალს, წიგნების ყდათა გადამკვრელს ალტონაში, შემდგომ ხარაზს (სახელგანთქმულს ქალთა დახვეწილ ფეხსაცმელთა დამზადებით), მეორე, პატარა გერმანულ ქალაქში, გამხდარ ფეხებზე აბრეშუმის წინდები, ვერცხლისშესაკრავიანი დაბალქუსლიანი ფეხსაცმელი და ფარჩის ჟილეტი ეცვა. გრძელი ფრანგული კამზოლი მოხრილ მხრებზე თალხნად ჩამოკიდებოდა. პატარა, სამკუთხა ქუდი დაპუდრულ, უკანშეკრულ თმაზე დაეკოსებინა.

– მისიე შევალიე, – ხმადაბლა დაუძახა გენერალმა დ'იუბერმა.

– რაო? დაბრუნდით, მონ ამი? რამე დაგავიწყდათ?

– ღმერთმანი! სწორედ ასეა. რაღაც დამავიწყდა და თქვენ უნდა გითხრათ. არა, გარეთ დავრჩები. კედლის იქით. ისეთი საძაგელი რამ არის, ვერ ვიტყვი იქ, სადაც ადელი ცხოვრობს.

შევალიე მაშინვე დაემორჩილა და გამოვიდა, ვით მოხუცები დაჰყვებიან ხოლმე ახალგაზრდების ახირებულობას. გენერალ დ'იუბერზე საუკუნის მეოთხედით უფროსი გულის სიღრმეში ჭირვეულ შეყვარებულ ყმაწვილად მიიჩნევდა. კარგად გაიგონა მისი საიდუმლოებითმოცული სიტყვები, მაგრამ დიდად არ შეუწუხებია იმას, თუ რა შეიძლება წამოისროლოს ორმოცი წლის

კაცმა. მისი განდევნილობის წლების, საფრანგეთში აღზრდილი თაობის აზრთა დინება გაუგებარი იყო მისთვის. მათი გრძნობები მეტისმეტად სასტიკად მიაჩნდა, ფიქრობდა, რომ დახვეწილობა და ზომიერება აკლიათ და მათი მეტყველება კი უსარგებლოდ გაზვიადებულიაო. მშვიდად გავიდა გზაზე გენერალთან ერთად და რამდენიმე ნაბიჯი გადადგეს ჩუმად; გენერალი ცდილობდა გული დაეცხრო და ხმა დაემორჩილებინა.

– დიახ, მართალია; რაღაც დამავიწყდა. აღარ მახსოვდა, ვიდრე ნახევარი საათის წინ შემახსენებდნენ, რომ მხრებზე მაწევს გადაუდებელი საქმე ღირსებისა. წარმოუდგენელია, მაგრამ ასეა!

წამით ყველაფერი დადუმდა. შემდეგ საღამოს სიჩუმეში გაისმა შევალიეს ოდნავ აკანკალებული ხმა: – მისიე! როგორ გეკადრებათ!

ეს იყო, რაც პირველად გაიფიქრა. გოგონა ხომ მისი გადასახლებისას დაიბადა, მისი საბრალო ძმის სიკვდილის შემდეგ, იაკობინელთა ბრბომ რომ გამოასალმა სიცოცხლეს; გაიზარდა და მისი დაბრუნების შემდგომ მოხუცი გულის ნუგეშად იქცა, გულისა, რომელსაც ამდენი წელი ენატრებოდა სიყვარული. – ყური დამიგდეთ, წარმოუდგენელი რამაა! კაცი ასეთ საქმეებს მანამდე აგვარებს, ვიდრე ყმაწვილქალს ხელს სთხოვდეს. რაო! ათი დღეც რომ დაგვიწყებოდათ, დაქორწინდებოდით და მერე გაგახსენდებოდათ? ჩემს დროში კაცი არ ივიწყებდა ასეთ რამეს, და არც იმას, რაც ყმაწვილი ქალის განცდებს აბიაბრუებს. მის განცდებს რომ არ ვცემდე პატივს, გეტყოდით, რასაც ვფიქრობ თქვენს საქციელზე და ისე გეტყოდით, არ მოგეწონებოდათ.



გენერალმა დ'იუბერმა მთელი გულით ამოიკვნესა. – დაე, ეგ ნუ შეგაშფოთებთ, ეს არ იქნება მისთვის სასიკვდილო შეურაცხყოფა. – მაგრამ ბერიკაცს ყურადღება არ მიუქცევია შეყვარებულის ამ აბდაუბდისათვის. უეჭველად, არც გაუგონია. – რა ხდება? – იკითხა მან, – რის გამოა...?

– უწოდეთ ამას სიჭაბუკისდროინდელი სიბრიყვე, მესიე შევალიე. უაზრო, უგნური შედეგი... – აქ კი შედგა. – იგი ხომ არ დამიჯერებს, გაიფიქრა, ეგონება, რომ ვასულელებ და შეურაცხყოფად მიიღებს. და გენერალმა დ'იუბერმა განაგრძო, – დიახ, ჭაბუკური სიბრიყვიდან მოდის და გადაიქცა...

– მაშინ უნდა მოაგვაროთ, – შეაწყვეტინა შევალიემ.

– მოვაგვარო?

– დიახ, რადაც უნდა დაუჯდეს თქვენს თავმოყვარეობას. უნდა გცოდნოდათ, რომ დანიშნული ხართ. ვფიქრობ, ეგეც დაგავიწყდათ, ისევე, როგორც წამოხვედით და დაგავიწყდათ, ნაჩხუბარი რომ ხართ. მსგავსი ქარაფშუტობა ჯერ არ მსმენია.

– ღმერთმანი, ბატონო ჩემო! ხომ არ გგონიათ, რომ ამ ჩხუბში ბოლო დროს პარიზში ყოფნისას გავეხვიე, ან რაღაც ამგვარი?

– აბა, რა მნიშვნელობა აქვს თქვენი უგნური ქცევის ზუსტ თარიღს, – ცხარედ წამოიძახა შევალიემ. – მთავარია მოაგვაროთ. – შენიშნა, რომ გენერალი დ'იუბერი მოუთმენლად ცდილობდა სიტყვა ჩაეგდო; მოხუცმა ემიგრანტმა ხელი აღმართა და ღირსების გრძნობით განაცხადა, – მეც ვიყავი ჯარისკაცი და ვერასოდეს მივცემდი თავს უფლებას, საეჭვო ნაბიჯის გადადგ-

მა მერჩია კაცისათვის, ვისი გვარიც ჩემმა ძმისწულმა უნდა ატაროს. გეუბნებით, წესიერი ხალხი ყოველთვის შეძლებს მორიგდეს.

– მაგრამ, დალახვროს ეშმაკმა, მისიე შევალე, ეს ხომ თხუთმეტი თუ თექვსმეტი წლის წინათ მოხდა, მაშინ ჰუსართა ლეიტენანტი ვიყავი.

მოხუცი შევალიე დააბნია ამ ცხარე კილოთი მოწოდებულმა ამბავმა. – თექვსმეტი წლის წინათ ჰუსართა ლეიტენანტი იყავით, – ჩაიბურტყუნა გაოგნებულმა.

– ჰო, რა თქმა უნდა! ხომ არ გგონიათ, აკვანშივე გენერალი გავხდი, სამეფო ოჯახის შვილივით.

მწუხრი მეწამული ფერით ეფინებოდი ვენახებით დაფარულ მინდვრებს, დასავლეთიდან კი მუქი ალისფერი ერეოდა; პრინცთა არმიის მოხუცებული, ყოფილი ოფიცერი შეეცადა თავშეკავებითა და თავაზიანად გამოეთქვა აზრი.

– ხომ არ მძინავს? ეს რა ხუმრობაა? ან გინდათ დავიჯერო, რომ თექვსმეტი წლის წინათ მომხდარი დავის გამო აპირებთ დუელში ბრძოლას?

– იმის თქმა მინდა, რომ მას შემდეგ არ დასრულებულა. თვით დავის ახსნა ძნელია. ცხადია, მას შემდეგ უკვე რამდენჯერმე ვიბრძოლეთ.

– რა ზნეობაა! რა საშინელი დაქვეითებაა ვაჟკაცობისა! ასეთი არაადამიანობა მხოლოდ რევოლუციის სისხლიანი სიგიჟის ბრალია, მთელი თაობა რომ გადააგვარა, – ფიქრებში ჩაძირული ბუტბუტებდა დაბრუნებული ემიგრანტი. – ვინ არის თქვენი მეტოქე? – ოდნავ აუწია ხმას.

– ჩემი მეტოქე? მისი სახელია ფერო.



თითქმის აღარც კი ჩანდა, თავის სამკუთხა ქუდიანად და ძველმოდური სამოსით, მოხრილი გამხმარი აჩრდილი რევოლუციამდელი რეჟიმისა, შევალიე მოგონებებში ჩაიძირა. – მახსოვს ქიშპი პატარა სოფი დერვალის გამო, დაცვის კაპიტან მუსიო დე ბრისაკსა და დ'ანჟორანს შორის (ჩოფურა კი არა, მეორე, ლამაზ დ'ანჟორანს რომ უწოდებდნენ). სამჯერ შეებრძოლნენ ერთმანეთს თვრამეტ თვეში და ღირსეული მეტოქეობაც გასწიეს. სულ იმ პატარა სოფის ბრალი კი იყო ყველაფერი, არ მოიშალა თამაში...

– მსგავსი არაფერია, – შეაწყვეტინა გენერალმა დ'იუბერმა და ოდნავ სარდონიკულად ჩაიცინა, – და არც ასე მარტივადაა, – დასძინა. – და ამის სანახევროდაც არაა ახლო გონებასთან, – გამოსცრა და მაგრად დააჭირა ერთმანეთს კბილები.

ამის მერე სიჩუმე დიდხანს არ დარღვეულა, ვიდრე შევალიე იკითხავდა უსიცოცხლოდ, – ვინ არის ეს ფეროო?

– ისიც ჰუსართა ლეიტენანტი იყო – ახლა გენერალია. გასკონელი. მჭედლის შვილი, მგონი.

– სწორედაც რომ! ასეც ვფიქრობდი. იმ ბონაპარტეს განსაკუთრებული მიდრეკილება ჰქონდა მდაბიოთა მიმართ. თქვენ არ გგულისხმობთ, დ'იუბერ. თქვენ ჩვენიანი ხართ, თუმც კი იმ უზურპატორის სამსახურში იდექით, ვინც...

– მოდი იმას თავი დავანებოთ, – ჩაერია გენერალი დ'იუბერი. შევალიეს გამხმარი მხრები აუკანკალდა. – ფეროს მსგავსები. მჭედლის ნასხლეტები. სოფლელი

ქაჯები. ხომ ხედავთ, სადამდე მივყავართ ამგვარ ხალხში გარევას.

– თქვენც ხომ კერავდით ფეხსაცმელებს, შევალიე.

– დიახ. მაგრამ მე ხარაზის შვილი არ გახლავართ. და არც თქვენა ხართ მისიე დ'იუბერ. მე და თქვენ ისეთი რამ გამოგვარჩევს, რაც თქვენი ბონაპარტეს პრინცებს, ჰერცოგებსა და მარშლებს არ გააჩნიათ, რადგან მინიერი ძალით ამის ბოძება არ შეიძლება, – იმ კაცის გზნებით შეედავა გამოცოცხლებული ემიგრანტი, ვისაც საბუთი მოეპოვება. – ის ხალხი არ არსებობს, მთელი ეს ფეროები. ფერო! რა არის ფერო? მანანწალა, გენერლად დანინაურებული კორსიკელი ავანტიურისტის მიერ, იმპერატორობას რომ თამაშობდა. არ არსებობს ამქვეყნიური მიზეზი, რამაც დ'იუბერი უნდა აიძულოს დუელში გავიდეს ამგვარ პიროვნებასთან. მშვენივრად შეგიძლიათ მიაბრძანოთ. და თუ ის გლეხუჭა ვერაფერს გაიგებს, უბრალოდ უარი უთხრათ შეხვედრაზე.

– თქვენ ამბობთ, რომ შეიძლება ასე მოვიქცე?

– გეუბნებით, – სუფთა სინდისით.

– მისიე შევალიე! როგორ გგონიათ, სად დაბრუნდით ემიგრაციიდან?

ეს ისეთი შემაშფოთებელი კილოთი იყო ნათქვამი, ბერიკაცმა მკვეთრად ასწია დახრილი თავი, რომელზეც ჭაღარა მოუჩანდა პატარა სამკუთხა ქუდს ქვემოდან. მცირე ხანს დუმდა.

– ღმერთმა იცის! – თქვა ბოლოს, დინჯი და საზეიმო მოძრაობით გაიწოდა ხელი გზისპირა მაღალი ჯვრისაკენ, ქვების გროვაზე რომ იყო დამაგრებული და გაჭედილი რკინის მკლავები გაეწვდინა ცის მენამული



ზოლისაკენ, ნელ-ნელა რომ მუქდებოდა. – ღმერთმა იცის! ეს ნიში რომ არა, ბავშვობიდან რომ მახსოვს ამ ადგილზე, არ მეცოდინებოდა, თუ რას დავუბრუნდით ისინი, რომელთაც ერთგულება შევინარჩუნეთ ჩვენი ღმერთისა და მეფისადმი. თვით ხმებიც კი შეეცვალათ ადამიანებს.

– დიახ, საფრანგეთი შეიცვალა, – თქვა გენერალმა დ'იუბერმა. თითქოს დამშვიდდა კიდეც. ოდნავ ირონიული კილო გაურია. – ამიტომაც ვერ მივიღებ თქვენს რჩევას. ამასთან, როგორ უნდა გადააფიქრებინო კბენა ძაღლს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გიკბინოს? ეს შეუძლებელია. დამიჯერეთ – ფერო ის კაცი არ არის, ბოდიშებით ან უარით დაკმაყოფილდეს. მაგრამ სხვა გზაცაა. მაგალითად, შემეძლო შიკრიკი გამეგზავნა და მეცნობებინა ჟანდარმერიის ბრიგადირისათვის სელნაკში. მასა და მის ორ მეგობარს დაუყოვნებლივ დააპატიმრებენ, ერთი რომ ვუბრძანო. არმიაში მითქმა-მოთქმა ატყდება, მოქმედშიც და დათხოვნილშიც – განსაკუთრებით დათხოვნილში. ეს ხომ ბრბოა! ერთ დროს არმან დ'იუბერის ჯარის ამხანაგები იყვნენ. მაგრამ რაში ადარდებს დ'იუბერს არარსებული ხალხის აზრი? ან ხომ არ აჯობებს, ჩემი სიძის დახმარებით სოფლის მერი მოვიწვიო და ერთი სიტყვა გადავუკრა. მეტი არაფერი იქნება საჭირო ამ სამი „ყაჩაღის“ გამოსარეკად, ფინლებითა და კომბლებით შეიარაღებული გლეხების დახმარებით, და რომელიმე ღრმა რუში ჩასაყრელად – და ვერც ვერავინ ვერაფერს გაიგებს! ასე დაემართა ათიოდე მილის მოშორებით სამ საბრალო გვარდიელ, წითელ ულანს, დათხოვნილები შინისაკენ

რომ მიღიოდნენ. რას გეუბნებათ სინდისი შევალიე? შეუძლია დ'იუბერს ასე მოექცეს სამ კაცს, რომლებიც არც კი არსებობენ? – ბუნდოვანი ცის ლურჯ კაბადონზე რამდენიმე კრიალა ვარსკვლავი დაჩნდა. – რატომ მეუბნებით ამას? – იკითხა მკაცრად შევალიემ. გენერალმა მტკიცედ მოუჭირა ხელი მოხუცის ხელს. – იმიტომ, რომ თქვენსავით ვერავის ვენდობი. ვინ ეტყვის ადელს, თუ არა თქვენ? ხომ გესმით, თუ რატომ ვერ გავენდობი ჩემს სიძეს ან თუნდ დაიკოს. შევალიე! ისე ვტრიალებდი ხოლმე ყოველივე ამაში, ახლაც მაკანკალებს. თქვენ არ იცით, რა მძიმეა ეს დუელი ჩემთვის. მაგრამ თავს ვერ დავაღწევ.

მცირე ხნის შემდეგ ჩაიდუდუნა, – ეს ბედისწერაა, – ხელი გაუშვა შევალიეს უძლურ ხელს და ჩვეულებრივი, სასაუბრო ხმით თქვა, – უსეკუნდანტებოდ წასვლა მომიწევს. თუ დავეცემი, თქვენ მაინც გეცოდინებათ ყველაფერი, რისი ცოდნაც შეიძლება ამ ამბავზე.

რევოლუციამდელი დროის აჩრდილი თითქოს კიდევ უფრო შემოიჭრა საუბარში. – როგორ უნდა ვუყურო თვალებში, ვითომც არაფერიაო, ამ ორ ქალს? – დაიკვნესა მან. – გენერალო! გამიჭირდება ამის პატიება თქვენთვის.

გენერალმა დ'იუბერმა არაფერი უპასუხა.

– მართალი მაინც თუ ხართ ამ საქმეში?

– უდანაშაულო ვარ.

ამჯერად იდაყვს ზემოთ ჩაავლო ხელი შევალიეს გამხმარ მკლავს და მძლავრად მოუჭირა. – უნდა მოვკლა! – წაისისინა, ხელი გაუშვა და გზას გაუდგა.



სათაყვანო დაიკო ისეთი დახვეწილი ყურადღებით ექცეოდა ძმას, არავითარი უხერხულობა რომ არ ეგრძნო სახლში, სადაც სტუმრად იმყოფებოდა. შინ შესასვლელად საკუთარი პატარა კარი ჰქონდა, ფორთოხლის ბაღის კუთხეში. ამიტომ იყო, რომ იოლად მოახერხა თავისი მღელვარება დაემალა სახლში მყოფთაგან. ამან გაახარა, რადგან ეგონა, ერთი თუ პირი გავაღე, სახიფათო და უმიზნო სიშმაგე დამეუფლება, ავეჯს დავამსხვრევ, ფაიფურსა და ჭურჭელს დავლეწავო. იმ წუთიდან, რაც თავისი კარი გააღო და ოცდარვა საფეხური აიარა დახვეულ კიბეზე, გავიდა თავისი ოთახისაკენ მიმავალ დერეფანში, სრულად გაისიგრძეგანა დამამცირებელი სცენა, როცა გაცოფებული, შეშლილი, ჩასისხლიანებული თვალებით, პირზე დუუმომდგარი არბევს ყველაფერს, რაც ხელში მოხვდება მდიდრულად გაწყობილ სასადილო ოთახში. თავისი ოთახის კარი რომ შეაღო, შეტევამ გადაუარა, მაგრამ ისე დაქანცულიყო, სკამის საზურგეს ჩაეჭიდა, რომ ოთახი გაევლო და მძიმედ ჩაშვებულიყო დაბალსა და ფართო დივანში. ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო. ამ მხეცურმა გრძნობებმა, რაც მხოლოდ მაშინ სწვევია, როცა მტერს უტევდა ხმლით ხელში, განაცვიფრა ეს ფრმოცი წლის კაცი და ვერ გამოიცნო ხიფათში მოხვედრილის ინსტინქტური მრისხანება. მაგრამ გონებრივმა და ფიზიკურმა გადაქანცვამ განწმინდა ეს გრძნობა და სევდიან განცდად გადააქცია, რომ მანამდე უნდა მომკვდარიყო, სანამ ამ მშვენიერ ასულს თავს შეაყვარებდა.

იმ ღამეს გენერალი დ'იუბერი ან პირალმა იწვა თვალებზე ხელებაფარებული, ან პირქვე ემხო სახით ბალიშში ჩარგული და გზას უხსნიდა ემოციებს. გულს ურევდა ზიზღი მდგომარეობის აბსურდულობის გამო, ეჭვი ეპარებოდა, რომ შეეძლო თავისი არსებობა თვითვე წარემართა, აღარ ენდობოდა თავის საუკეთესო თვისებებს (მაინც რა ჯანდაბამ წამიყვანა ფუშესთანო) – და რიგრიგობით განსჯიდა ყველაფერს. – ბრიყვი ვარ, არც მეტი, არც ნაკლები; – ფიქრობდა იგი – მგრძნობიარე ბრიყვი, ავყევი ორი კაცის საუბარს კაფეში... ბრიყვი, რომელსაც ტყუილებისა ეშინია – ამქვეყნად ხომ მარტო სიმართლეს უნდა ენდო.

რამდენჯერმე ადგა, ფეხისწვერებზე დადიოდა, ქვემოთ რომ არავის გაეგონა და დალია მთელი წყალი, რაც კი იპოვა სიბნელეში. და მტანჯველი ეჭვიანობაც ეწვია. ადელი სხვას გაჰყვება. გული შეეკუმშა. ვიღაც ფერო ჩაბღაუჭებია და დევნის, ვიღაც სულელი მხეცი, და დაუნდობელი ბედისწერის აუტანელ სიმძიმედ ქცეულა. დაცარიელებული დოქი დადგა და გააკანკალა. – მომიხელთებს, – ფიქრობდა. გენერალ დ'იუბერს ყველა ამქვეყნიური განცდა სწვეოდა. გამომშრალ პირში შიშის ბლანტ გემოს გრძნობდა; არა საპატიო შიშს ყმაწვილქალის წრფელი და გაკვირვებული გამოხედვის წინაშე, არამედ სიკვდილის შიშს, ღირსეული კაცის შიშს სიმხდალის წინაშე.

მაგრამ ჭეშმარიტი სიმამაცე ისაა, პირისპირ რომ შეხვდე საძულველ ხიფათს, რასაც ერთიანად უკუაგდებენ ჩვენი სხეული, სული და გული; გენერალმა დ'იუბერმა სიცოცხლეში პირველად გამოსცადა ეს



გრძნობა. თავდავიწყებულს შეუტევია არტილერიის ბატარეისა და ფეხოსანთა ნაწილებისათვის, ტყვიების წვიმაში გაუვლია და ცნობა მიუტანია და არასოდეს შეყოყმანებულა. ახლა კი უნდა გაპარულიყო დილით, სისხამზე ბუნდოვანი, აღმაშფოთებელი სიკვდილის შესახვედრად. გენერალი დ'იუბერი არ ყოყმანობდა. ორი დამბაჩა ჩადო ტყავის ჩანთაში და მხარზე გადაიკიდა. ვიდრე ბაღს გაივლიდა, პირი კვლავ გაუშრა. ორი ცალი ფორთოხალი მოწყვიტა. ჭიშკარი რომ მიხურა, მხოლოდ მაშინ იგრძნო ოდნავი სისუსტე.

ოდნავ წაბარბაცდა, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევია, რამდენიმე იარდი გაიარა და კვლავ მყარად დადგა ფეხზე. უფერო და გამჭვირვალე ალიონმა გამოკვეთა ფიჭვების რიგები და მათი მუქი მწვანე, კარვისებრი ფორმები რუხ კლდეთა ფონზე. იგი ყურადღებით ათვალიერებდა და თან სიარულისას ფორთოხალს წუწნიდა. სიმტკიცე და გულგრილობა საფრთხის წინაშე, რამაც იგი თავის ჯარისკაცთა საყვარელ ოფიცრად აქცია და მეთაურთა ყურადღება მოაპოვებინა, თანდათანობით იღვიძებდა მასში. თითქოს ბრძოლაში მიდიოდა. ტყის ნაპირს რომ მიადგა, ლოდზე ჩამოჯდა, მეორე ფორთოხალი მოიმარჯვა და საკუთარ თავს გაუწყრა, რა სასაცილოა, ასე ადრიანად რა მომარბენინებდაო. თუმც დიდი დრო არ გასულა, რომ ბუჩქების შრიალი და ნაბიჯების ხმა მოესმა მყარ მიწაზე; გარკვევით გაიგონა ლაპარაკის ხმა. ვიღაცამ მის ზურგს უკან წაიტრაბახა, – მოვინადირებ მე მაგას. – აჰა, მოვიდნენ, – გაიფიქრა, – რა უნდა მოინადირონ, ჩემზე ამბობენ? – მეორე ფორთოხალი გაახსენდა, ხელში რომ ეჭირა, და ფიქრი

გააგრძელა, – კარგი ფორთოხლებია. ლეონიმ გააშენა. სჯობს ესეც შევჭამო, ხომ არ გადავაგდებ! ბუჩქებიდან და ლოდებიდან რომ გამოაღწიეს, გენერალმა ფერომ და მისმა სეკუნდანტებმა დაინახეს, გენერალი დ'იუბერი იჯდა და ფორთოხალს ფცქვნიდა. შეჩერდნენ და დაიცადეს. მერე სეკუნდანტებმა ქუდები მოიხადეს, ხოლო გენერალმა ფერომ ხელები ზურგზე დაიწყო და განზე გააბიჯა.

– იძულებული ვარ ერთ-ერთ თქვენგანს ვთხოვო, ბატონებო, იყოს ჩემი მოწმე, მეგობრები არ მომიყვანია. რას იტყვით?

– უარის თქმა არ გამოვა, – განსაჯა ცალთვალა კირასირმა.

– და მაინც, უხერხულია, – შენიშნა მეორე ვეტერანმა.

– ამ მხარის შეხედულებებს თუ გავითვალისწინებთ, ვერავის ვენდობოდი და გავუმხელდი თქვენი აქ ყოფნის მიზანს, – თავაზიანად აუხსნა გენერალმა დ'იუბერმა.

თავი დაუკრეს, ირგვლივ მიმოიხედეს და ორივემ ერთად შენიშნა:

– შეუფერებელი ნიადაგია.

– არ ვარგა.

– მინაზე, მანძილსა და დანაჩენებზე რატომ უნდა იდარდოთ? მოდი გავამარტივოთ ყველაფერი, დავტენოთ დამბაჩები. მე გენერალ ფეროსას ავიღებ, მან კი ჩემი აიღოს. ან უმჯობესია, შერევით ავირჩიოთ, – ორივე წყვილიდან. შევიდეთ ტყეში და ვესროლოთ ერთმანეთს, დანახვისთანავე. თქვენ გარეთ დარჩით. აქ ცერემონიებისათვის ხომ არ მოვსულვართ, საომრად



მოვედით, სამკვდრო-სასიცოცხლოდ. ამისთვის კი ყველანაირი ნიადაგი კარგია. თუ მე დავეცემი, დამტოვებთ ადგილზე და აქაურობას გაეცლებით, თქვენს ჯანმრთელობას არ მოუხდება, თუ ჩამოგაკონწიალებენ ყველაფრის შემდგომ.

მცირე ხნის მსჯელობის მერე გენერალი ფერო სიამოვნებით დათანხმდა პირობებზე. ვიდრე სეკუნდანტები დამბაჩებს ტენიდნენ, იგი უსტვენდა და ხელებს იფშვნეტდა ფრიად კმაყოფილი. მაზარა ცოცხლად გაიძრო, გენერალმა დ'იუბერმაც გაიხადა, ფრთხილად დაკეცა და ქვაზე დადო.

– წაიყვანეთ თქვენი ფალავანი ტყის მეორე მხარეს და ზუსტად ათი წუთის შემდეგ შემოუშვით ტყეში, – ისე მშვიდად ურჩია გენერალმა დ'იუბერმა, თითქოს საკუთარ სიკვდილით დასჯის განკარგულებას იძლევაო. – მოიცადეთ, ჯერ საათები შევაჯეროთ.

ამოიღო თავისი საათი. ცხვირწაკვეთილი ოფიცერი გენერალ ფეროსთან მივიდა და საათი გამოართვა. თავი დახარეს და დააცქერდნენ.

– ამრიგად, თქვენი საათის მიხედვით, ექვსს რომ ოთხი წუთი დააკლდება, ჩემი საათით კი – შვიდი.

კირასირი გენერალ დ'იუბერთან დარჩა, და ერთადერთი თვალი არ მოუშორებია საათის თეთრი ციფერბლატისათვის, გაუნძრევლად რომ ეჭირა ხელში. უკანასკნელი წამი რომ გავიდა, პირი გააღო და ამოთქვა, – წინ. გენერალი დ'იუბერი დაიძრა, პროვანსული დილის ნათელი მზის გულიდან ფიჭვების გრილსა და სურნელოვან ჩრდილში შეაბიჯა. გზას მიიკვლევდა მოწითალო ხეებს შორის, ხეები ხშირი იყო და სხვა-

დასხვა მხარეს გადახრილი, რამაც თავიდან თვალები აუჭრელა. ბრძოლაში შედიოდა. სარდლის თავდაჯერებულობამ თავისთავად გაიღვიძა მასში და კიდეც ჩაეფლო საქმეში. საჭირო იყო მოეკლა მეტოქე. მეტი ვერაფერი გაათავისუფლებდა ამ უაზრო კოშმარისაგან. – დაჭრა ვერ გააჩერებს ამ ცხოველსო, ფიქრობდა გენერალი დ'იუბერი. გამჭრიახი ოფიცრის სახელი ჰქონდა. წლების წინათ მეგობრებმა სტრატეგი შეარქვეს. აშკარაა, რომ მტრის პირისპირ მდგომს ფიქრი შეეძლო. მაშინ, როცა ფერო მხოლოდ მებრძოლი იყო, თუმც, სამწუხაროდ, ტყვიას ტყვიაში აჯენდა.

– უნდა ვაიძულო, რაც შეიძლება შორიდან მესროლოს, – ჩაილაპარაკა გენერალმა დ'იუბერმა.

სწორედ იმ წამს დაინახა, რაღაც თეთრი რომ მოძრაობდა მოშორებით – მისი მეტოქის პერანგი. მაშინვე გადადგა ნაბიჯი, გამოჩნდა ხეებს შორის და წამუსწრაფესად მოეფარა ხეს. სარისკო მოძრაობა იყო, მაგრამ გაამართლა. თითქმის მაშინვე გაისმა სროლის ხმა და ტყვიისაგან აგლეჯილმა ნაფოტმა ყური ატკინა.

ერთი ტყვია რომ დახარჯა, გენერალი ფერო გაფრთხილდა. გენერალი დ'იუბერი ცდილობდა ხის რომელიმე მხრიდან გაეხედა, მაგრამ ფეროს ვერ ხედავდა, ეს კი დაუცველობის განცდას უჩენდა. გვერდიდან და უკნიდან დაუცველი იყო. კვლავ რაღაც თეთრმა გაიელვა, აჰა, მეტოქე კვლავ მის წინ იმყოფებოდა. ეშინოდა, გვერდიდან არ მომიაროსო, მაგრამ გენერალი ფერო არც კი ფიქრობდა ამაზე. გენერალი დ'იუბერი ხედავდა, როგორ ინაცვლებდა ერთი ხიდან მეორისაკენ, და დიდად არ ჩქარობდა, ისე უახლოვდებოდა. დ'იუბერმა



ძლივს აიძულა თავი, ხელი არ აეწია. ჯერ შორს იყო. იცოდა, ჩუბინობით არ გამოირჩეოდა. უნდა დალოდებოდა და მოეკლა.

ხის სიმსხო უპირატესობას ანიჭებდა, ამიტომ მიწაზე დაეშვა და მთელი სიგრძით გაიშოტა თავით მტრისაკენ მიბრუნებული. ამგვარად სავსებით დაცული გახლდათ. ახლა გამოჩენა აღარ შეიძლებოდა, მეტოქე მეტისმეტად ახლოს იყო. ვარაუდობდა, რომ ფეროს აჩქარებით რაღაც შეცდომა მოუვიდოდა და ეს ფიქრი სალბუნად ეცხებოდა გენერალ დ'იუბერის გულს. პირქვე იწვა თავაწეული, რაც მეტისმეტად დამღლელიც იყო და მოუხერხებელიც. გაიხედა, სულ ოდნავ გაჰყო თავი კრთომით, მაგრამ საშიში ნამდვილად ცოტა იყო, რადგან მტერი აბა რას მოიფიქრებდა, ასე დაბლა დაეწყო ძებნა. გენერალმა დ'იუბერმა თვალი მოჰკრა ხეებს შორის ფრთხილად მომავალ გენერალ ფეროს. – არად აგდებს, რომ ვესვრიო, გაიფიქრა, გამჭრიახი ჭკუით გამოიცნო მეტოქის ფიქრი, რაც გამარჯვების საწინდარია. მიხვდა, უძრაობის ტაქტიკა ამართლებდა. ზურგის აღქმაც ისევე რომ შემეძლოს, როგორც წინა მხარისაო! მღელვარებით ფიქრობდა და შეუძლებელს ნატრობდა.

თავს ძალა დაატანა, დამბაჩები ძირს რომ დაეწყო; რაღაცამ უკარნახა და ნელა დაილაგა აქეთ-იქით. ჯარში ისე უყურებდნენ, როგორც დენდის, რადგან ბრძოლის წინ წვერის გაპარსვა და სუფთა პერანგის ჩაცმა უყვარდა. საერთოდაც ბევრს ზრუნავდა თავის გარეგნობაზე. ყმაწვილ, მომხიბვლელ ასულზე შეყვარებული ორმოცი წლის კაცისათვის ეს საქებარი თვისება ისეთ სისუსტეებში გადაზრდილიყო, რომ თან ატარებდა პა-

ტარა, კოხტა ტყავის ყუთს, რომელშიც ციცქნა, სპილოს ძვლის სავარცხელი იდო და გარედან სარკე ჰქონდა დამაგრებული. გენერალმა დ'იუბერმა, რაკი ხელები თავისუფალი ჰქონდა, ჯიბეში მოძებნა გრძელი და აბრეშუმივით ულვაშებისათვის საჭირო ეს უცოდველი ინსტრუმენტი. ამოიღო და მოხერხებულად გადაბრუნდა ზურგზე. ამ ყოფაში, ოდნავ თავწამოწეულმა, სარკე ხის იქით გაჰყო და ცალი თვალით გაჰხედა, ამავე დროს მეორე მხარესაც ათვალიერებდა. ასე დადასტურდა ნაპოლეონის ნათქვამი, ფრანგი ჯარისკაცისათვის სიტყვა „შეუძლებელი" არ არსებობსო. ხის უკნიდან მარჯვედ მოჩანდა მთელი მინდორი პატარა სარკეში.

– თუ ხის უკან გამოჩნდება, ფეხებს დავინახავ და, რაც უნდა იყოს, მოულოდნელად ვერ წამადგება თავზეო. კმაყოფილებით ფიქრობდა. და მართლაც, წამით დაინახა გენერალ ფეროს ჩექმები, უეცრად ყველაფერი რომ გადაფარეს სარკეში. და მდებარეობაც შეიცვალა – შესაბამისად, მაგრამ ამ ცვლილების დროს ის კი ვეღარ გაითვალისწინა, რომ გენერალმა ფერომ მისი ტერფები და ფეხის ნაწილი შენიშნა.

გენერალ ფეროს გაოცება იპყრობდა, თუ როგორი გასაოცარი მოხერხებულობით ემალებოდა მტერი. სისხლმოწყურებული სიზუსტით გამოარჩია სწორედ ის ხე. სრულიად დარწმუნებული იყო. მაგრამ ჯერ ყურის კიდეც კი ვერ დაენახა. აბა როგორ დაინახავდა, როცა მიწიდან ხუთი ფუტის სიმაღლეზე ათვალიერებდა, და სწორედ ეს აოცებდა გენერალ ფეროს.

და როგორც კი ფეხსა და ტერფებს მოჰკრა თვალი, სისხლი მოაწვა სახეზე. აძაგძაგდა ხის უკან და



ძლივს დაიმშვიდა თავი. მტერი მიწაზე იწვა, მაშ რა უნდა ყოფილიყო? მიწაზე! უძრავად! მოჩანს! რა უნდა იყოს?.. და მაშინ მოაფიქრდა, პირველივე ტყვიით დავაწვინეო. და ეს აზრი უმძაფრდებოდა, ყურადღებით რომ აკვირდებოდა, ყველა სხვა ვარაუდი გაჰქრა, დარჩა მხოლოდ გამარჯვების ველური სიხარული.

– ვირი არა ვარ, რომ ვიფიქრე, ავაცდინე-მეთქი, – ბურტყუნებდა თავისთვის, – ეს ბრიყვი ხომ მთელი ორი წამი სამიზნედ იდგა.

გენერალი ფერო მისჩერებოდა უძრავ კიდურებს და გაკვირვების კვალიც კი უქრებოდა დამბაჩის სროლაში თავისი ოსტატობით უსაზღვროდ აღფრთოვანებულს.

– ვერ გავაჭიმინე ფეხები! ომის ღმერთის მადლმა, აი, ნასროლი! – ზეიმობდა გონებაში. – თავში გავარტყი, სადაც ვუმიზნებდი, დატრიალდა ხის უკან დაეცა და მოკვდა. – მისჩერებოდა! მისჩერებოდა გაუნძრევლად, თითქმის შეშინებული და სიბრალულაღძრული. მაგრამ ვერაფერი გადააფიქრებინებდა ამქვეყნად ამის ჩადენას. აი, ნასროლი! აი, ნასროლი! ზურგზე დაეცა და მოკვდა. სწორედ ზურგზე უძღური გდება იყო პირდაპირი საბუთი გენერალ ფეროსათვის! თავშიც კი არ გაუვლია, რომ ასე შეიძლება ცოცხალი კაცი შეგნებულად წოლილიყო. წარმოუდგენელი იყო. გონიერი კაცი ასე არ მოიქცეოდა. რატომ უნდა მოქცეულიყო ვითომ?! და, ისიც უნდა ითქვას, რომ გენერალ დ'იუბერის ტერფები მკვდრისას ჰგავდა. გენერალმა ფერომ ერთი კი ჩაისუნთქა, რომ დაექუხა და სეკუნდანტები მოეხმო, მაგრამ მეტისმეტი წესრიგისმოყვარეობის გამო ცოტა ხანს შეიცადა.

– ჯერ მივალ და ვნახავ, ეგებ ჯერაც სუნთქავს, – ჩაიბურტყუნა თავისთვის და საფარიდან დაუდევრად გამოვიდა. ეს მოძრაობა მაშინვე აღიქვა მოხერხებულმა გენერალმა დ'იუბერმა. იფიქრა, ადგილს იცვლისო, მაგრამ ჩექმები რომ გაჰქრა სარკეში, შეცბუნდა, გენერალი ფერო მხოლოდ ხეს მოსცილდა, მაგრამ მეტოქემ ვერაფრით მოისაზრა, რომ ახლა უკვე დანდობილად მოდიოდა. გენერალი დ'იუბერი გაოგნდა, რა დაემართაო, და მოულოდნელად მტრის გრძელი, ცისკრისეული ჩრდილი ფეხებზე დაეფინა, ნაბიჯების ხმაც კი არ გაუგონია ხეებს შორის რბილ მიწაზე.

ეს მისებრი გულმაგარი კაცისათვის კი მეტისმეტი გახლდათ. დაუფიქრებლად წამოხტა და დამბაჩები მიწაზე დარჩა. უბრალო კაცს, ალბათ, დაუოკებელი სურვილი აღეძვროდა (თუ სასოწარკვეთა სავსებით არ გააშეშებდა), დასწვდომოდა იარაღებს და მეტოქეს სროლის მეტი რაღა დარჩებოდა. ინსტინქტი, რა თქმა უნდა, გაუაზრებელია. ასეთია მისი განსაზღვრება. მაგრამ ღირს იმაში ჩაღრმავება, მოაზროვნე კაცის ინსტინქტებს ჩვეული აზროვნება ხომ განსაზღვრავს. ახალგაზრდობაში, როცა არმან დ'იუბერი გონიერი, იმედისმომცემი ოფიცერი გახლდათ, ერთი აზრი შეიმუშავა, რომ ომის დროს დაშვებული შეცდომის გამოსწორებას არ უნდა შეეცადო. ამ იდეას იცავდა და ავითარებდა მრავალრიცხოვანი მსჯელობებისას და გონებაში ისე მტკიცედ ჩაეჭედა, მისი პიროვნული აზრების ნაწილი გახდა. და ისე ღრმად ჩანერგვოდა, რომ ინსტინქტურად კარნახობდა, ან უბრალოდ იმიტომ, რომ, როგორც თვითონ ამბობდა შემდგომ, – ისეთი შეშინებული ვიყავი,



დამბაჩები არც კი გამხსენებიაო. ფაქტია, რომ გენერალი დ'იუბერი არც კი დახრილა მათ ასაღებად და შეცდომის გამოსწორების ნაცვლად, ხის მრგვალ ტანს შემოაწყო ხელები და ისე სწრაფად მოეფარა, დამბაჩის ხმასა და ტყვიასაც კი გაასწრო და მეორე მხარეს ამოჰყო თავი, გენერალი ფეროს პირისპირ. ის კი სრულიად ძალაგამოცლილი მკვდარი კაცის ასეთი სიმარჯვით, ჯერაც კანკალებდა. მსუბუქ კვამლში, მის სახეს რომ ეფარებოდა, ჩანდა, როგორ ჩამოვარდნოდა ყბა, შეშლილივით.

– კი არ ავაცდინე?! – გამშრალი ხორხის სილრმიდან ამოაყრანტალა. ამ ბოროტმა ხმამ თითქოს ჯადო გაფანტა და გამოაფხიზლა გენერალი დ'იუბერი, – ჰო, ააცდინე – მიჯრით კი მესროლე, – გაიგონა თავისი ხმა მანამდე, სანამ მდგომარეობის უპირატესობას შეიგრძნობდა. გრძნობა შეეცვალა და მკვლელობის მრისხანებამ დაუარა, მთელი სიცხადით გაუცოცხლდა ცხოვრების მანძილზე დაგროვილი აღშფოთება. წლობით აშფოთებდა და თრგუნავდა ამ კაცის ველური ახირების უაზრო სისასტიკე.

გარდა ამისა, გენერალი დ'იუბერი ამჯერად უკვე ისე გულსუნადინოდ წავიდა სიკვდილის შესახვედრად, გადატანილმა ტანჯვამ მოკვლის ჟინი გაუჩინა. – და მე კი ორი გასროლა დამრჩა, – დაუნდობლად ამოთქვა მან. გენერალმა ფერომ ცოფისაგან გადალესილი სახით გამოსცრა კბილებში, – მიდი, – ბოროტად უპასუხა მან.

ეს მისი უკანასკნელი სიტყვები იქნებოდა, გენერალ დ'იუბერს დამბაჩები რომ სჭეროდა ხელთ. მაგრამ დამბაჩები მიწაზე ელაგა, ფიჭვის ძირში. გენერალ დ'იუ-

ბერს წამი დასჭირდა გასააზრებლად, რომ მოკვლა სურდა არა როგორც კაცს, არამედ როგორც შეყვარებულს; არა, როგორც საფრთხეში მყოფს, არამედ როგორც მეტოქეს; არა მისი სიკვდილის მოსურნე მტრისა, არამედ მისი ქორწინების დამაბრკოლებლისა. და აჰა! მტერი დამარცხებულია! დამხობილი, განადგურებული, ხელმოთავებული!

მექანიკურად აკრიფა იარაღები და იმის ნაცვლად, მკერდში დაეხალა გენერალი ფეროსათვის, თავის ფიქრებს გაუხსნა გზა, – თქვენ მეტად ვეღარ იბრძოლებთ დუელში.

მისი ხმის სიმშვიდე და გამოუთქმელი კმაყოფილება მეტისმეტი აღმოჩნდა გენერალ ფეროს სტოიციზმისათვის. – მაშ რაღა ფეხს ითრევ, შე წყეულო, ცივსისხლიანო, შტაბის კოხტაპრუწა. – ამოიხრიალა მან, გაჭიმული იდგა, უგრძნობი სახით.

გენერალმა დ'იუბერმა დამბაჩების ფეხები ფრთხილად დაუშვა. ამ საქციელმა გენერალი ფერო დააბნია. – თქვენ ორჯერ ამაცდინეთ, – ცივად თქვა გამარჯვებულმა და ორივე დამბაჩა ერთ ხელში გადაიტანა. – ბოლოს, მეტ-ნაკლებად, ერთი ნაბიჯის სიშორიდან მესროლეთ. ორთაბრძოლის ყველა წესით, თქვენი სიცოცხლე მე მეკუთვნის. და ეს არ ნიშნავს, რომ ახლა მინდა მივიღო.

– არ მჭირდება თქვენგან ვადის გაგრძელება, – დაიღრინა გენერალმა ფერომ.

– ნება მიბოძეთ მოგახსენოთ, რომ ეგ სულაც არ მადარდებს, – თქვა გენერალმა დ'იუბერმა, რომლის თითოეული სიტყვაც ზედმიწევნით გამოხატავდა მის



გრძნობას. მრისხანებისას შეეძლო მოეკლა ეს კაცი, მაგრამ საღ გონებაზე მყოფი ვერაფრით დაამცირებდა ამ უგნურ ქმნილებას – მეგობარ მხედარს, დიდი არმიიდან, დიადი სამხედრო ეპოსის სიდიადისა და საშიშროებათა მხარდამხარ გადამტანს. – ხომ არ აპირებთ კვლავ მიკარნახოთ, თუ როგორ მოვექცე ჩემს საკუთრებას, რასაც თხუთმეტი წელი სჩადიოდით. კეთილი და პატიოსანი. ახლა ჩემი გადასაწყვეტია, და ვაპირებ სწორედ ისევე მოვექცე თქვენს სიცოცხლეს. რამდენსაც გადავწყვეტ, იმდენ ხანს შევინახავ. არც მეტი, არც ნაკლები. თქვენი ღირსების საკითხია დაელოდოთ ჩემს სიტყვას.

– ჰო! მაგრამ, ეშმაკმა დალახვროს! ასეთ მდგომარეობაში იმპერიის გენერლის ჩაყენება უაზრობაა! – შეჰყვირა გენერალმა ფერომ სულის სილრმემდე თავზარდაცემული კაცის კილოთი. – მაშ, დარჩენილი ცხოვრება უნდა ვიჯდე, უჯრაში დატენილი დამბაჩა მედოს და ველოდო თქვენს სიტყვას. ეს, ეს ხომ სიგიჟეა, მასხრად ამიგდებენ.

– უაზრობა? – სიგიჟე? ასე გგონიათ? – ცბიერი სერიოზულობით ჩაეკითხა გენერალი დ'იუბერი. – ალბათ. მაგრამ ვერაფერს გიშველით. რაც უნდა იყოს, ამ ამბავზე საუბარი აღარ მსურს. არავინ არაფერი უნდა იცოდეს. ისევე როგორც დღემდე, დარწმუნებული ვარ, არავინ არაფერი იცის ამ ჩხუბის საწყისის გამო... მორჩა, გათავდა, – დაუმატა აჩქარებით – და ვეღარც გავაგრძელებ ამ საკითხზე მსჯელობას კაცთან, ვინც, დარწმუნებული ვარ, არც კი არსებობს.

როცა ორი დუელანტი გაშლილ მინდორზე გამოვიდა, გენერალი ფერო ოდნავ ჩამორჩებოდა და თითქოს

ბურანში მოაბიჯებდა; სეკუნდანტები მათკენ გამოექანნენ, თვითეული თავისი ადგილიდან, ტყის ორივე ბოლოში. გენერალმა დ'იუბერმა მიმართა მათ; ხმამაღლა და გარკვევით ლაპარაკობდა, – ბატონებო, გენერალ ფეროს თანდასწრებით გიცხადებთ, რომ ჩვენი უთანხმოება ბოლოს და ბოლოს მოგვარდა. შეგიძლიათ ყველას აცნობოთ ამის შესახებ.

– შერიგდით ბოლოს და ბოლოს! – ერთად აღმოხდა ორივეს.

– შევრიგდით? მთლად ასეც არაა. უფრო მეტად გავრიგდით, ასე არაა, გენერალო?

გენერალმა ფერომ მხოლოდ ოდნავ დახარა თავი, თანხმობის ნიშნად. ძველმა მეომრებმა ერთმანეთს გადახედეს. იმ დღესვე, მოგვიანებით, როცა მარტო დარჩნენ და ხუშტურებიან მეგობარს არ ესმოდა, კირასირმა წამოისროლა, – საზოგადოდ, ჩემი ცალი თვალით ისევე ვხედავ, როგორც ადამიანთა უმრავლესობა, მაგრამ აქ ვერაფერი გავარჩიე და ისიც არაფერს ამბობს.

– ღირსების ამ საკითხში, ჩემი აზრით, თავიდან ბოლომდე რჩებოდა რაღაც, რაშიც ვერავინ გაერკვა მთელ არმიაში, – განუცხადა ცხვირდაზიანებულმა მონადირემ. საიდუმლოებით დაიწყო, საიდუმლობით გაგრძელდა, როგორც ჩანს, საიდუმლოებითვე დასრულდება.

გენერალი დ'იუბერი გრძელი და სწრაფი ნაბიჯით მიიჩქაროდა შინისაკენ, გამარჯვების სიხარული არ ეტყობოდა. გაიმარჯვა, მაგრამ ეჩვენებოდა, რომ ბევრი ვერაფერი მოიგო ამ გამარჯვებით. წინა ღამეს წუხდა თავისი სიცოცხლის გამო, რაც ბრწყინვალე ფერებში ესახებოდა და რაც ღირსი იყო გადარჩენისა მშვენიერი



ასულის სიყვარულის მოსაპოვებლად. რაღაც წუთებში ეგონა, ეს სიყვარული უკვე მოვიპოვეო, და სწორედ ამ ბრწყინვალე შესაძლებლობის გამო ეთაყვანებოდა სიცოცხლეს. ახლა, როცა მის სიცოცხლეს საფრთხე აღარ ემუქრებოდა, ის განსაკუთრებული ბრწყინვალება დაიკარგა. ახლა უკვე ხაფანგად ეჩვენებოდა და ფიქრობდა, ვილას რაღაში ვჭირდებიო. მან უკვე შეიცნო ნამდვილი ბუნება მოპოვებული სიყვარულის იმ ბრწყინვალე ილუზიისა, მღელვარე ღამეს რომ ეწვია, იმ ღამეს, რომელიც შესაძლოა უკანასკნელიც ყოფილიყო მისთვის დედამიწაზე. ეს მხოლოდ ახირებულობის ბოდვა იყო. ამრიგად, კაცი დაასევდიანა დუელში გამარჯვებამ, სიცოცხლემ ხიბლი დაკარგა, რადგან აღარაფერი ემუქრებოდა.

სახლს უკანა კარიდან მიუახლოვდა, ბაღისა და ბოსტნის გავლით და არ შეუმჩნევია აურზაური, იქ რომ ტრიალებდა. ერთი სულიც კი არ შეხვედრია, მხოლოდ დერეფანში ფრთხილად ჩავლისას შეამჩნია, რომ სახლს ელვიძა და ჩვეულებრივზე მეტად ხმაურობდა. იყო აღმა-დაღმა, შიგნი-გარეთ სირბილი და გაისმოდა მსახურთა სახელები. ცოტა შეცბუნებულმა შენიშნა, რომ მისი ოთახის კარი შეღებულიყო, თუმც დარაბები ჯერ არ გაელოთ. ეიმედებოდა, რომ მისი ადრეული გასეირნება შეუმჩნეველი დარჩებოდა. იფიქრა, რომელიმე მსახური იქნება შესულიო; მაგრამ ღრიჭოებში შემოპარულ მზის შუქზე რაღაც ჩრდილი დაინახა თავის დაბალ დივანზე; ერთმანეთს გადახვეული ორი ქალის სხეულს ჰგავდა. გენერალმა დ'იუბერმა ფართოდ გააღო უახლოესი დარაბა. ერთი ქალთაგანი წამოხტა. მისი და იყო.

ერთ წამს შედგა, თმა ჩამოშლოდა და ხელები თავზე შემოერტყა, და მერე შეკავებული კივილით ჩაუვარდა მკლავებში. დ'იუბერიც მოეხვია და ამავე დროს შეეცადა მოეცილებინა. მეორე ქალი არ ამდგარა. პირიქით, უფრო ᲩᲘᲙᲣᲜᲭᲐ დივანზე და სახე მუთაქებში ჩამალა. მშვენიერი. ქერა თმა მასაც გაშლოდა. გენერალმა დ'იუბერმა იცნო და მღელვარებისაგან გაშეშდა. მადმუაზელ დე ვალმასიგი! ადელი! ტიროდა!

იგი მეტად შეშფოთდა და მკვეთრად მოიშორა დის მკლავები. მადამ ლეონიმ ხალათიდან გამოჰყო მშვენიერი შიშველი მკლავი და დრამატულად გაიშვირა დივნისაკენ. – ეს საბრალო, შეშინებული ბავშვი შინიდან გამოიქცა, ფეხით, ორ მილზე, მთელი გზა მორბოდა.

– რა მოხდა ამგვარი? – იკითხა გენერალმა დ'იუბერმა დაბალი, აღელვებული ხმით.

მადამ დე ლეონი კი ხმამაღლა ყვიროდა. – დიდი ზარი დარეკა ჭიშკართან და მთელი სახლი ფეხზე დააყენა, ჩვენ ჯერაც გვეძინა. წარმოგიდგენია, რა დაგვემართებოდა... ადელ, ჩემო გოგონა, წამოჯექი.

გენერალი დ'იუბერის გამომეტყველება სულაც არ იყო იმ კაცისა, ვისაც „წარმოდგენა" შეუძლია. მხოლოდ იმასღა მისწვდა ვარაუდების ქაოსიდან, რომ ალბათ მისი მომავალი სიდედრი გარდაიცვალა მოულოდნელად, მაგრამ მალევე უკუაგდო ეს ვარაუდიც. ვერ მიმხვდარიყო, თუ რა დიდი უბედურება უნდა მომხდარიყო, რაც აიძულებდა მადმუაზელ ვალმასიგს, ვინც მსახურებით სავსე სახლში ცხოვრობდა, რომ ამბავი თვითონ მოეტანა ორი მილის მანძილზე, მინდვრების გავლით, სირბილით.



– მაგრამ ამ ოთახში რატომღა ხართ? – შიშით იკითხა მან.

– რა მექნა, სანახავად ამოვირბინე, და ეს ბავშვიც... ვერ შევნიშნე... ამომყოლია. სულ იმ ჩერჩეტი შევალიეს ბრალია, – განაგრძო მადამ ლეონიმ, თან დივნისაკენ იყურებოდა... – თმა როგორ გასჩეჩია. წარმოგიდგენია, იმდენიც კი არ შეიცადა, მსახურისათვის დაეძახა ჩასაცმელად... ადელ, ძვირფასო, წამოჯექით... მოხუცმა ყველაფერი დილით ექვსის ნახევარზე უამბო. ადელს სისხამზე გაუღვიძია, დარაბები გაუღია სუფთა ჰაერის ჩასასუნთქად და დაუნახავს ბაღის სკამზე, დიდი ხეივნის ბოლოს მოკრუნჩხული მოხუცი. ასე ადრიანად – წარმოიდგინე! წინა საღამოს უთქვამს, შეუძლოდ ვარო. ადელს რაღაც წამოუსხამს და მასთან ჩაურბენია. ვინ არ შეწუხდებოდა. გოგონას უყვარს იგი, მაგრამ ასეთი უგნურება! მოხუცს მთელი რამე იქ გაუტარებია ჩაცმულს, საბრალო. იმდენიც კი აღარ შესძლებია, რაიმე საპატიო ამბავი შეეთხზა... შენც კაი მესაიდუმლე შეგირჩევია! ჩემი ქმარი გაცოფდა. ასე თქვა, ველარ ჩავერევითო. რაღა გვეღონა, ვისხედით და გელოდით. საშინელებაა. ეს საბრალო ბავშვი სახალხოდ მორბოდა, გაშლილი თმით! ვილაცებს დაუნახავთ მინდორში. მთელი სახლი ფეხზე დააყენა. აბა, რას იტყვიან მასზე. კიდევ კარგი, მომავალ კვირას უნდა დაქორწინდეთ... ადელ, წამოჯექით. კაცი თავისი ფეხით მოვიდა შინ... ველოდით, რომ საკაცით მოგიტანდნენ, – აბა, რა ვიცი! წადი და ნახე, ეტლი თუ მზადაა. ახლავე უნდა წავიყვანო სახლში. მისი აქ გაჩერება წუთითაც აღარ შეიძლება.

გენერალი დ'იუბერი არ განძრეულა. თითქოს არაფერი გაუგონია. მადამ ლეონიმ გადაიფიქრა. – წავალ და თვითონ ვნახავ, – წამოიძახა, – ჩემი მოსასხამი სადაა. – ადელ – დაიწყო მან, მაგრამ აღარ დაუყოლებია, წამოჯექითო. გავიდა და მხიარული ხმით დაიძახა, – კარს ღიას ვტოვებ.

გენერალი დ'იუბერი დივნისაკენ დაიძრა, მაგრამ ადელი წამოჯდა და დ'იუბერი ადგილზე გაშეშდა. – ამ დილით არ მიბანავია, ალბათ ბებერ მანანწალას ვგავარ, ზურგი მიწიანი მაქვს და თმაში ნიწვები გამჩრია.

– მიხვდა, ამ მდგომარეობაში სიფრთხილე მართებდა.

– დიდად ვწუხვარ, მადმუაზელ, – გაურკვევლად დაიწყო მან და მაშინვე შედგა. ადელი დივანზე იჯდა, ლოყები უჩვეულოდ უღაჟღაჟებდა, ხოლო ბრწყინვალე, ოქროსფერი თმა მხრებზე ეფინებოდა, ასეთი რამ არასოდეს ენახა გენერალს. ოთახი გადასერა, უსაფრთხოებისათვის ფანჯარაში გაიხედა და წრფელი იმედგაცრუებით თქვა, – ვშიშობ, ფიქრობთ, რომ შეშლილივით მოვიქეცი. – შემდეგ მსწრაფლ შემობრუნდა და დაინახა, რომ ადელის თვალები მისჩერებოდა და დაბლა არ დაუხრია, როცა შეხედა. მისი სახის ასეთი გამომეტყველებაც არ უნახავს აქამდე. იტყოდი, გამოხედვა შეცვლიაო. ღრმად დაფიქრებული თვალები მისჩერებოდნენ, ხოლო პირის დახვეწილი ხაზი თითქოს ღიმილს იკავებდა. ეს ცვლილება მის ტრანსცენდენტურ მშვენიერებას ნაკლებ იდუმალს ხდიდა და უფრო მისაწვდომს კაცისათვის. განსაცვიფრებელი სიმსუბუქე დაეუფლა გენერალს, თავისუფლად ამოძრავდა.



ოთახი ისეთი სასიამოვნო აღტაცებით გაიარა, თითქოს სიკვდილის მთესავ, ცეცხლისა და ბოლის მტყორცნელ ბატარეას გადარჩენოდეს; მერე იდგა და ღიმილიანი თვალებით დასცქეროდა ასულს, ვისთან დაქორწინებაც (მომდევნო კვირას) ასე გონივრულად დაუგეგმა ბრძენმა, კეთილმა და მომხიბვლელმა ლეონიმ.

– აჰ, მადმუაზელ, – თქვა მან თავაზიანი წუხილით, – ნეტა დარწმუნებული ვიყო, რომ ამ დილით ორი მილი მხოლოდ დედათქვენის სიყვარულის გამო არ გამოგირბენიათ!

მშვიდად და შინაგანი აღტაცებით დაელოდა პასუხს და გაიგონა მორცხვი ჩურჩული, მომაჯადოებლად თვალებდახრილი ასულისა, – ნუ იქნებით ნურც შეშლილი და ნურც ბოროტი.

ახლა კი გენერალი დ'იუბერი ისე გაექანა დივნისაკენ, ველარაფერი შეაჩერებდა. ავეჯის ეს ნაწილი კარიდან მთლად არ მოჩანდა, მაგრამ მოსასხამში გახვეულმა, დაბრუნებულმა მადამ ლეონიმ, ნაქსოვი შალი რომ მოჰქონდა ადელისათვის გაშლილ თმაზე დასახურად, თვალი მოჰკრა, რომ მისი ძმა მუხლმოყრილი იდგა და წამოიჭრა.

– წამოდით, ძვირფასო ბავშვო, – დაუძახა კარიდანვე.

გენერალმა კი, ვისაც უკვე დაბრუნებოდა სრული შეგნება, წარმოაჩინა მზადყოფნა კავალერიის მოსაზრებული ოფიცრისა და კაცთა წინამძღოლისა. – შენ გგონია, ეტლამდე მისვლას შეძლებს? – აღშფოთებულმა იკითხა მან, – ვერ შეძლებს, მე ჩამოვიყვან დაბლა.

და ნელ-ნელა ჩაიყვანა ხელში აყვანილი, უკან სასოებით მიჰყვებოდა მორჩილი დაიკო; აი უკან კი ქარივით ეამოიქროლა, რათა ჩამოებანა შფოთიანი ღამისა და ომიანი დილის ნარჩენები, ჩაიცვა საზეიმო სამოსი გამარჯვებულისა და გაეშურა სატრფოს სახლისაკენ. იქით მიეჩქარებოდა, თორემ გენერალი დ'იუბერი საჭიროდ მიიჩნევდა ცხენს მოხტომოდა, დასწეოდა თავის მეტოქეს, რათა გადახვეოდა მეტისმეტი ბედნიერებით აღვსილი.

– ამას ხომ იმ უტვინო ცხოველს ვუმადლი, – ფიქრობდა იგი. – მან გამაგებინა ის, რასაც წლობით ვერ ჩავწვდებოდი, რადგან მორცხვი სულელი ვარ. არავითარი თავდაჯერებულობა არ გამაჩნია. ნამდვილი მხდალი ვარ. და შევალიე! დალოცვილი ბერიკაცი! – გენერალ დ'იუბერს სურდა მასაც გადახვეოდა. შევალიე ლოგინად ჩავარდნილიყო. რამდენიმე დღე შეუძლოდ იყო. იმპერიის მამაკაცებმა და პოსტრევოლუციურმა ახალგაზრდა ქალებმა ხელი მოუთავეს. ქორწინების წინადღეს წამოდგა და, რადგან ბუნებით ცნობისმოყვარე იყო, დისწული გაიხმო ცალკე სალაპარაკოდ. ურჩია, შეეტყო თავისი ქმრისაგან ნამდვილი ამბავი ღირსების საკითხისა, რომლის სიმძიმემა და დამთრგუნველობამ კინაღამ ტრაგედიამდე მიიყვანა. – ცოლს უნდა უთხრას, უთუოდ. ერთი თვისა თუ მეტის შემდეგ შეგეძლება ყველაფერი შეიტყო მისგან, რასაც მოისურვებ, ძვირფასო შვილო. – მოგვიანებით, როცა ნეფე-დედოფალი პატარძლის დედას მოსანახულებლად ეწვივნენ, გენერლის მეუღლე დ'იუბერმა უამბო საყვარელ ბიძას ნამდვილი ამბავი, რაც ძალზე იოლად შეიტყო თავისი ქმრისაგან.



შევალიემ ბოლომდე დიდი ყურადღებით მოუსმინა, ბურნუთის მწიკვი დაყნოსა, თამბაქოს მარცვლები ჩამოიბერტყა პერანგიდან და დინჯად იკითხა, – სულ ეს იყო?

– დიახ, ბიძია, – მიუგო მადამ გენერალმა, და ფართოდ გახელილი მშვენიერი თვალებით შეხედა. – ხომ სასაცილოა? რა სიგიჟე არ შეუძლიათ ჩაიდინონ კაცებმა!

– ჰმ! – უპასუხა მოხუცმა ემიგრანტმა. – კაცებს გააჩნიათ. იმ ბონაპარტის ჯარისკაცები ველურები იყვნენ. სიგიჟეა. როგორც ცოლმა, ძვირფასო, ყველაფერი უნდა დაიჯეროთ, რასაც ქმარი გეტყვით.

ხოლო ლეონის ქმარს კი გულწრფელად უთხრა, რასაც ფიქრობდა. – თუ კაცს შეუძლია ასეთი ზღაპარი უამბოს ცოლს და თანაც თაფლობის თვეში, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, ვერასოდეს ვერავინ გაიგებს ამ საიდუმლოს შესახებო.

კარგა ხანი გავიდა და გენერალმა დ'იუბერმა მიიჩნია, რომ დრო დადგა და შესაძლო იყო წერილი მიეწერა გენერალ ფეროსათვის. წერილი იმით დაიწყო, რომ უარს ამბობდა ყველანაირ მტრობაზე. – არასოდეს მსურდა, – წერდა გენერალი ბარონი დ'იუბერი, – თქვენი სიკვდილი მთელი ამ სამწუხარო ქიშპობისას. ნება მიბოძეთ, – აგრძელებდა იგი, – უკან დაგიბრუნოთ თქვენგან ართმეული სიცოცხლე. უმჯობესი იქნება ჩვენ ორმა, ვინც მხარდამხარ მოვიპოვეთ ამდენი მხედრული დიდება, საჯაროდ გამოვუცხადოთ მეგობრობა

ერთმანეთსო. – იმავე წერილში აცნობებდა თავის შინაურ ამბავს. სწორედ ამის შესახებ დაუბრუნა პასუხი გენერალმა ფერომ გარონის ნაპირზე მდებარე პატარა სოფლიდან, იგი სწერდა, – თქვენი ბიჭისათვის სახელად ნაპოლეონი ან ჟოზეფი, ან თუნდ იოახიმი რომ დაგერქმიათ, უფრო გულთბილად მოგილოცავდით. რაკი უმჯობესად მიიჩნიეთ მისთვის შარლ ანრი არმანი, უფრო მეტად ვრწმუნდები, რომ არასოდეს გყვარებიათ იმპერატორი. ფიქრი იმ ბრწყინვალე გმირზე, კლდეზე რომაა მიჯაჭვული მღელვარე ოკეანეში, ისე აუფასურებს სიცოცხლეს, რომ სიხარულით მივიღებდი თქვენგან განკარგულებას, ტყვია მეკრა შუბლში. თვითმკვლელობის უფლებას ღირსება არ მაძლევს. მაგრამ გატენილ დამბაჩას მაინც ვინახავ უჯრაშიო.

მადამ გენერალ დ'იუბერმა უიმედოდ აღაპყრო ხელები, ეს პასუხი რომ წაიკითხა.

– ხომ ხედავ, მისი შემორიგება შეუძლებელია, – უთხრა ქმარმა. ვერასოდეს უნდა მიხვდეს, საიდან მისდის ფული. არ შეიძლება. ვერ გადაიტანს.

– რა დიდსულოვანი ხარ, არმან, – მოწონებით უთხრა მადამ გენერალმა.

– ძვირფასო, უფლება მქონდა ტვინი გამესხმევინებინა, მაგრამ არ ვქენი, ახლა შიმშილით ხომ არ მოვკლავთ. პენსია დაკარგა და თავის შენახვა არ შეუძლია. მალულად უნდა ვიზრუნოთ მასზე სიცოცხლის ბოლომდე. განა მას არ ვუმადლი ყველაზე ამაღელვებელ წუთს ჩემი ცხოვრებისა?.. ჰა! ჰა! ჰა! მთელი გზა სირბილით, მინდვრებში, ორი მილი! ყურებს არ ვუჯერებდი!.. მისი ბრიყვული სიმხეცე რომ არა,



წლები დამჭირდებოდა ამის გასაგებად. განსაცვიფრებელია, თუ როგორ შეძლო ამ კაცმა ჩამჯდარიყო ჩემს უღრმეს გრძნობებში.

# ნათელი წყვდიადს მიღმა

## მთარგმნელთა ბოლოსიტყვად ჯოზეფ კონრადის სამგოთხრობიან კრებულზე

არაფერს, რაც ოდესმე წამიკითხავს,
არ მოუცია ჩემთვის იმდენი,
რაც კონრადის თვითეული წიგნისაგან შემიძენია.

**ერნესტ ჰემინგუეი**

ტომას სტერნზ ელიოტის ერთ ყველაზე განთქმულ, ეპოქის ტრაგიზმის გამომხატველ ლექსს – „კაცის ფიტულები“ – ამგვარი ეპიგრაფი წამძღვარებია:

„მისტერ კურცი – იგი მკვდარია“.

მითითებული არ არის, თუ საიდან ამოულია პოეტს ეს სიტყვები და გაუთვითცნობიერებელი მკითხველი უთუოდ დაიბნევა: ვინ არის ნეტა ეს მისტერ კურცი და რა მოხდა მერე ამისთანა, თუკი მკვდარიაო.

არადა, მოგეხსენებათ, ასე მაშინ ხდება, როდესაც დარწმუნებული ხარ, რომ მკითხველი ისედაც ადვილად ამოიცნობს ავტორსაც და თხზულებასაც.

ელიოტსაც სჯეროდა, რომ სრულიად ზედმეტი გახლდათ პირველწყაროს აღნიშვნა, რადგანაც მისი მკითხველისათვის ნაცნობი უნდა ყოფილიყო ჯოზეფ



კონრადიც და მისი რომანიც „წყვდიადის გული“, შედევრი შედევრთაგანი.

მისტერ კურცი მკვდარია.

ზეკაცი სიცოცხლეს გამოთხოვებია. ნიცშეანური გმირი წუთისოფლის საზღვრებს გადასცილებია და... მაშ რაღა გაგიკვირდეს, ეს ქვეყანა კაცის ფიტულებს თუ დარჩენიათ, თივით დატენილებს.

კონტრასტისათვის, ორი პოლუსის ნათელსაყოფად და კიდევ უფრო შორს გასახედადაც სწორედ შესაფერისი გახლდათ ამ პერსონაჟის გახსენება, შესაფერისი განწყობილების შექმნისა და ლექსის მხატვრული მრწამსის შეუმცდარად გახსნისათვის.

თუმც ამჯერად მთავარი ისაა, რომ ჯოზეფ კონრადის სახელი და მისი ეს ნაწარმოები – ელიოტის თვალთახედვაში – ერთი ყველაზე მახლობელთაგანია მკითხველისათვის – თანადროულისთვისაც და მომავალ თაობათათვისაც, თორემ მათთვის მაინც დაისაჭიროებდა პირველწყაროს მითითებას.

„ბერწი მიწისა“ არ იყოს: ამ პოემის მესამე ნაწილში, „ცეცხლმოდებული ქადაგება“, ასოციაციურად რომ შემოვიდოდა პასაჟი „წყვდიადის გულიდან“, ამჯერადაც პოეტი განათლებული მკითხველის იმედად იქნებოდა და ლირიკული ხილვების სათავეს აღარ გაუშიფრავდათ.

თდრემ თვითონვე განსაჯეთ:

ეს პასაჟი „ბერწი მიწიდან“ (ციტატა მოხმობილია ოთარ ჩხეიძის თარგმანიდან) –

ბარჟები მიმოაქვს
ქვევით და ზევით
უბეში წითელი აფრები

რხევით
ელიან ამინდის გაფრენას.
ბარჟებს არ აწვიმს
დრეიფობს თანდათან
გრინვიჩის
გასწვრივ ძაღლების კუნძულთან.

ეს ნაწყვეტი აშკარად შთაგონებულია „წყვდიადის გულის“ მეორე თავის დასაწყისით:

„ჩვენ წინაშე გაშლილიყო ტემზის შესართავი, როგორც სასრულმიუწვდომელი საზღვაო გზა. ჰორიზონტთან ცა და ზღვა ერთმანეთს შეერწყმოდა უნაწიბუროდ და განათებულ სივრცეში მუქად მოჩანდა, თითქოსდა უძრავად, წითელ ჯგუფებად ჩამომწკრივებული, მოდრეიფე ბარჟების წაწვეტებული აფრები, კაშკაშებდნენ მბზინავი რანგოუტებით. მთვლემარი მოსვენება გაწოლილიყო დაბალ სანაპიროზე, ზღვაში რომ გადაჰქონდა და კარგავდა ურყევ სიბრტყეს. მოღრუბლული ცა დაჰყურებდა გრეივსენდს და სიღრმეებშიც მგლოვიარე სიბნელე მოჩანდა, თავს რომ დასწოლოდა უდიდეს და უდიადეს ქალაქს დედამიწის ზურგზე“.

1923 წელს ერნესტ ჰემინგუეი რეპორტიორად მუშაობდა „ტორონტო დეილი სთარში“; იგი მასალის შესაგროვებლად გააგზავნეს ჰურონის ტბაზე, სადაც ხარბად კითხულობდა კონრადის წიგნს. ამის შემდეგ თავი კონრადის მემკვიდრედ გამოაცხადა.

მომდევნო წელს, პარიზში ყოფნისას, თანამშრომლობა დაუწყია ფორდ მადოქს ფორდის ტრანსატლანტიკური მიმომხილველის კონრადულ დამატებასთან.



ამ ხანას ეკუთვნის მისთვის ნიშანდობლივი უტაქტო ხუმრობა, რაც „ბერწი მიწის“ გამოქვეყნების შემდგომ გაუვრცელებია; იგი ერთმანეთს ადარებს კონრადსა და ელიოტს და ამბობს: „რომ ვიცოდე, მრ. ელიოტის დაფქვით კარგი მშრალი ფხვნილი გამოვიდოდა და მრ. კონრადის საფლავზე მისი მოყრით მრ. კონრადად ადგებოდა და გაღიზიანებული იძულებითი დაბრუნებით წერას შეუდგებოდა ხელახლა, ხვალ სისხამზევე გავეშურებოდი ლონდონისაკენ, ხორცსაკეპი მანქანით შეიარაღებული“.

თუმც ესეც ხომ ჰემინგუეის სიტყვებია: არაფერს, რაც ოდესმე წამიკითხავს, არ მოუცია ჩემთვის იმდენი, რაც კონრადის თვითეული წიგნისაგან შემიძენიაო.

უილიამ ფოლკნერისთვისაც რჩეული სახელი რომ აღმოჩნდებოდა „წყვდიადის გულის“ შემოქმედი, საჯარო საუბრებისას არაერთხელ ამიტომაც ახსენებდა და თავის წინამორბედთა შორისაც შერაცხავდა, სულიერ ნათესაობასა და საკუთარი სტილის ერთგვარ მსგავსებასაც რომ იპოვნიდა ჯოზეფ კონრადთან, თუმც ცოტა იუმორისტულ ახსნას კი მოუძებნიდა, სადღაც ჭეშმარიტების მარცვალიც რომ უნდა დაგვეგულებინა.

„სიმძიმეს“ აღნიშნავდა ორივე სტილისას, მაინცდამაინც არ გაუჯიქდებოდა კრიტიკოსებს, როგორ თუ „მძიმე“ გეჩვენებათ ჩემი სამწერლო მანერაო, და თავს იმით „იმართლებდა“: სისტემური განათლება არ მიმიღიაო, – ჯოზეფ კონრადს კი იმით „შეუმსუბუქებდა ცოდვას“: რაც უნდა იყოს, მოგვიანებით ისწავლა ინგლისური ენა და ეს გარემოება გვხვდება ხოლმე თვალში მისი თხზულებების კითხვისასო.

რა გასაკვირია ან ტომას ელიოტის აღტაცება ჯოზეფ კონრადით, ან ერნესტ ჰემინგუეის და ან უილიამ ფოლკნერისა, კიდევ არაერთი დიდებული შემოქმედისაც, ცხადია, – გარდა იმ ზოგადი შთამბეჭდაობისა, რასაც იწვევს დიდი მწერლის მხატვრული ქმნილება, ყოველგვარ ლიტერატურულ სკოლასა თუ მიმდინარეობაზე ამაღლებული ეს მხატვრული მონაპოვარი იმ მხრივაც აინტერესებთ ხოლმე ახალი თაობის შემოქმედთ, რამდენად უახლოვდებიან ერთმანეთს სულიერი ნათესაობით და რა შეიძლება გამოიყენო შენს ქურაში გადასადნობად წინამორბედ მწერალთაგან.

და აი, ჯოზეფ კონრადიც – სხვა თანამოკალმეებთან ერთად – სათავეში ჩაუდგებოდა ლიტერატურის განახლების პროცესს, მოდერნიზმად სახელდებულს – დიახ, არა მარტოდენ მოდერნისტულ პროზას, არამედ მთელს მოდერნიზმს ახლებური ხედვისა და წერის ახლებური ტექნიკის წყალობით, ძალდაუტანებლად რომ ესადაგებოდნენ და მსჭვალავდნენ ერთიმეორეს გადანაცვლებული რაკურსი და სტილური მანერა, და თვალნათლივ ადასტურებდნენ სახარებისეულ შეგონებას: ნურავინ ჩაასხამს ახალ ღვინოს ძველ ტიკებშიო.

კონრადი ეთანხმება ჰენრი ჯეიმზს, რომ მხოლოდ ვიქტორიანული ეპოქის თხრობის თანამიმდევრული ნაკადის ამარა ვერ დარჩებიან და იწყებს ექსპერიმენტატორობას; იგი აღარ წერს ე. წ. „განვითარების რომანს“. მის რომანებსა და მოთხრობებში აღრეულია დროის თანამიმდევრობა და ამას აკეთებს არა ავტორი, როგორც ყოვლისშემძლე მთხრობელი, არამედ პერსონაჟი, მეორე მთხრობელი ავტორის გარდა, ვინც სტატისტი კი



აღარ არის, მთავარი მთხრობელია და ავტორსაცა და მკითხველსაც თვითონ უამბობს, განსაზღვრავს თხრობის ლოგიკასა და მიმართულებებს.

კონრადი იყენებს ე. წ. „თხრობის ჩარჩოს“ ანუ „ჩინური ყუთის“ ტექნიკას, როცა თხრობას იწყებს ავტორი, შემდეგ აგრძელებს პერსონაჟი და შემდეგ სხვა პერსონაჟი. მათი რაოდენობა იცვლება კონრადის სხვადასხვა თხზულებაში.

ჯოზეფ კონრადი წინარე მოდერნისტადაა მიჩნეული, მას პროტომოდერნისტადაც იხსენიებენ, რადგან სწორედ ამ და სხვა ექსპერიმენტთა გამო გახდა იგი სანიმუშო მწერალი ინგლისელი, ამერიკელი და ევროპელი მოდერნისტი პოეტებისა და პროზაიკოსებისათვის, და არა არნოლდ ბენეტი ან ჯონ გოლზუორთი.

კონრადისათვის უცხო არაა სოციალური და პოლიტიკური თემებით დაინტერესება, მაგრამ მას ადამიანის, პიროვნების გულსა და გონებაში ჩაღრმავება უფრო იტაცებს. პიროვნების ცხოვრება, მისი სწრაფვა, მისი ტანჯვა და მცდელობა, დაარღვიოს ადამიანურობის საზღვრები, კონრადის გმირებს რომანტიკულ განწყობილებებთანაც აახლოებს და ნიცშეანურ იდეალთანაც ზეკაცისა.

რომანტიკულ სკოლასთანაც რომ დააკავშირებდნენ, გინდა თუ არა, ნეორომანტიკოსიაო?

მთლად გამოგონილიც არ უნდა იყოს ეს მოსაზრება, რადგან კონრადის მოთხრობებსა და რომანებში დიდი რამ ძებნა არ ესაჭიროება რომანტიკული მიმდინარეობის ნიშნებს, მაგრამ ამ ნიშნებს მაინც გადაფარავს მოდერნიზმისათვის დამახასიათებელი ტენდენციები, ჩვე-

ნი ლიტერატურული ცხოვრებისა არ იყოს, ალექსანდრე ყაზბეგსაც, ვასილ ბარნოვსაც და ვაჟა-ფშაველასაც ნეორომანტიკული სკოლის ჩარჩოებშიც რომ მოაქცევდნენ და ეს განსაზღვრება რაღაც უჩვეულოდ შესაძლოა არც გამოიყურებოდეს, მაგრამ თუ უფრო ზუსტი და შეუმცდარი შეხედულების შემუშავებას ვესწრაფვით, უნდა ვიცოდეთ, რომ ვასილ ბარნოვიც და ვაჟა-ფშაველაც უპირველესად მოდერნისტები არიან (იდუმალად გადაჯაჭვულნი დასავლურ სამწერლო პროცესებს!), ალექსანდრე ყაზბეგი კი – მოდერნიზმის წინამორბედი.

ახალ ღვინოს – ტიკიც ახალიო.

ხოლო მისტერ კურცი რომ მკვდარია...

* * *

ჯოზეფ კონრადი (მისი ნამდვილი გვარ-სახელია თეოდორ იოზეფ კონრად ნალეხ კორჟენიოვსკი) ფინ დე სიეცლეის [საუკუნის დასასრული] სახელგანთქმული ჯგუფის წევრებს მიეკუთვნება. ამ ლიტერატურულ ჯგუფში მასთან ერთად შედიოდნენ: სტივენ კრეინი, რობერტ ლუის სტივენსონი, ჰერბერტ ჯორჯ უელსი და ჰენრი ჯეიმზი.

დაიბადა რუსეთის მიერ ოკუპირებულ პოლონეთის უკრაინაში, 1857 წელს. იყო პოლონელი არისტოკრატისა და ნაციონალისტის, გრაფ აპოლო კორჟენიოვსკის ვაჟი. აპოლო კორჟენიოვსკი განათლებული კაცი გახლდათ, თარგმნილი ჰქონდა ჰიუგოსა და დიკენსის



თხზულებანი პოლონურ ენაზე; რუსებმა ვოლოგდაში (სხვათა შორის: დიმიტრი ყიფიანის პირველი გადასახლების ადგილას) გადაასახლეს 1862 წელს. ჯოზეფი შვიდი წლისა იყო, დედა რომ გარდაეცვალა ტუბერკულიოზით; მამა გადასახლებაში 1869 წლამდე იმყოფებოდა, შემდეგ ცარისტულმა მოხელეებმა სამხრეთისაკენ გადასახლების ნება დართეს. მაგრამ სულ მალე გარდაიცვალა და თერთმეტი წლის ჯოზეფი დედის ბიძამ, კეთილმა თადეუშ ბობროვსკიმ იშვილა. თექვსმეტი წლისა იყო, როცა დაიწყო მისი თავგადასავლები ზღვაზე. საფრანგეთის სავაჭრო გემზე მუშაობდა, როცა ბრალი დასდეს კარლისტურ შეთქმულებაში, ესპანეთის ტახტზე მადრიდის მთავრის დასმის მცდელობაში.

ბევრი გაჭირვების გამოვლის შემდეგ, მათ შორის, დუელისა თუ თვითმკვლელობის მცდელობისაც, ჯოზეფ კონრადი ინგლისურ სავაჭრო გემზე მოეწყო.

ვიდრე ოცდაერთი წლისა შესრულდებოდა, ინგლისური ისწავლა „ლონდონ ტაიმსის“, ტომას კარლაილის „სარტორ რესარტუსისა“ და უილიამ შექსპირის პიესების კითხვით... 1884 წელს კონრადი ბრიტანეთის მოქალაქე გახდა და მაგისტრის წოდებაც მიიღო. მომდევნო ათი წლის განმავლობაში იმოგზაურა სინგაპურსა და ბორნეოზე; ამ მოგზაურობებმა შესძინეს ის შეუდარებელი ცოდნა ჯუნგლებსა და ეგზოტიკურ მხარეებზე, რის შესახებაც წერდა 1896 წელს, როცა მეზღვაურობას თავი დაანება და დასახლდა ეშფორდში, კენტის საგრაფოში, თავის ახალ ცოლთან – ჯესი ჩემბერსთან – ერთად.

თუმცა თავდაპირველად სათავგადასავლო წიგნების ავტორად მიიჩნევდნენ, დღეისათვის ჯოზეფ კონრადი აღიარებულია ღრმა ზნეობრივი ცნობიერების მკვლევარ დიდოსტატად. მისი მთხრობელობითი ტექნიკა შეუდარებელია. უპირატესად მაინც განიცადა ჰენრი ჯეიმზის გავლენა. მისი საუკეთესი წიგნებია: „ნოსტრომო“ (1904), „წყვდიადის გული“ (1899) და „ლორდი ჯიმი“ (1900). მისი ადრეული რომანები, მათ შორის: „ალმაიერის სისულელე“ (1895), „კუნძულელი განდევნილი“ (1896), „ზანგი გემ „ნარცისიდან“ (1897), აღვსილია რომანტიკით, იდუმალებითა და მძიმე განსჯით. ნოველათა კრებულებში, როგორებიცაა „მშფოთვარე ამბები“ (1898), „სიყმაწვილე და სხვა მოთხრობები“ (1902) და სხვანი, ჩნდება ისეთი გამორჩეული თხზულებანი, როგორიცაა, ვთქვათ, „ტაიფუნი“, და კიდევ არაერთი, სადაც ნაჩვენებია ადამიანური ხასიათი უკიდურესი ხიფათისა და სიძნელის ჟამს.

კონრადის შემოქმედებაში ძირითადად აღწერილია ზნეობრივი პრობლემები, პიროვნების გარიყვა და მისი გამოცდა, შინაგანი ბრძოლა ჯგუფებსა თუ ინდივიდებში.

ჯოზეფ კონრადის საზღვაო ცხოვრება იოლი არ ყოფილა. ბელგიის კონგოში მოგზაურობამ მალარიის რევმატიზმი შესძინა და ხანდახან ისე სტკიოდა მაჯა, წერა უჭირდა. არასოდეს წერდა სწრაფად; მიიჩნევდა, დღეში 350 სიტყვა თუ დავწერე, კარგიაო. პირველი წიგნი რომ გამოსცა, რომლის წერას ხუთი წელი მოანდომა, მწერალმა, კრიტიკოსმა და გამომცემელმა, ედუარდ



გარნეტმა ჰკითხა: მეორეს რატომ არ წერო? – და კონრადმაც გადაწყვიტა წერით ეშოვა ცხოვრების სახსარი.

თუმცა ჰერბერტ უელსი და ჯონ გოლზუორთი ადიდებდნენ, ინგლისელმა მკითხველმა მაინც მოგვიანებით აღიარა.

კონრადი თავის შემოქმედებაში აანალიზებს მაკროკოსმოსს (ქვეყნიერებას) მიკროკოსმოსის (გემის ეკიპაჟის) ცხოვრების ჩვენებით. ახალგაზრდობიდან მოცილებული იყო ოჯახს, მეგობრებსა და თავის ქვეყანას; ამიტომ გულსა და სიყვარულს უძღვნის ზღვასა და ეგზოტიკურ მხარეებს. განმარტოებულობის გრძნობა და განსაკუთრებულობა გამოარჩევდა თავის მეგობარ ზღვაოსანთაგან – ასაკი, კულტურა, ენა, განათლება და გამოცდილება თავისებურ ზღუდესავით იდგა მათ შორის.

იგი ინგლისელი მკითხველისაგანაც შორს დგას, არ იცის, რა სურთ მათ, როგორ უნდა დაწეროს პოპულარული რომანი, მაგრამ ამან – ამ ერთგვარმა გაუცხოებამ – მის შემოქმედებას მეტი რეალისტურობა შესძინა.

კონრადი ხშირად მანევრირებს, რათა მკითხველი თავის პერსონაჟებს დააშოროს და უფრო მიუდგომლად განსაჯოს ისინი. მაგალითად, 1912 წელს ზამთარში დაწერა „ორი ჯადოქრის ფუნდუკი“ ჟურნალებისათვის „ლონდონ პელ მელ“ (1913) და „ნიუ იორკ მეტროპოლიტან“ (1913 მაისი) და მათ კვლავ ჩინური ყუთი შესთავაზა (შიგ რომ კიდევ ყუთია, მერე კიდევ და კიდევ და კიდევ...). XX საუკუნის დამდეგს წიგნების კოლექციონერი იხსენებს, რომ რამდენიმე წლის წინათ იპოვა მანუსკრიპტი, რომელშიც იყო პირველ პირში დაწერი-

ლი მოთხრობა. და აქედან განისაზღვრება მოთხრობის ქარგა.

აქაც, ისევე როგორც ყველგან, სამყარო კონრადის მიერ დანახულია, ვითარცა დაუსრულებელი დაპირისპირება, ერთი მხრივ, ბნელი და ბოროტი ძალებისა და, მეორე მხრივ, სიმამაცისა, ძმობისა და პასუხისმგებლობისა; ეჭვი ჩნდება, რომ ეს ადრექრისტიანული ერესია ანუ მანიქეიზმი (როგორ არ გაგვახსენდეს, რომ მანიქეველობის კვალს დაეძებდა პავლე ინგოროყვა შოთა რუსთველის ბიოგრაფიაშიც და „ვეფხისტყაოსანშიც"). კონრადი კაცობრიობას ჰყოფს მეოცნებეებად, რომელნიც ყოველთვის ახალგაზრდები არიან, მიუხედავად მათი ქრონოლოგიური ასაკისა, და ცინიკოს რეალისტებად. ფიქრობს, რომ ადამიანი უკვე მკვდარია, თუკი იდეალებსა და ოცნებებს დაკარგავს. მის მოთხრობებში ყოველთვის არის ზღვა; ზღვა მასთან ინდივიდის ფიზიკური, ემოციური და მენტალური გარემოს სიმბოლოა.

ჯოზეფ კონრადი გვიჩვენებს, თუ რაოდენ ზედაპირულია ცივილიზაცია და რაციონალური ზემოქმედება ინდივიდისა.

მასზე ენციკლოპედიური ცნობებისათვის შევარჩიეთ ფილიპ ვ. ოლინგემის, ლეიკჰედის უნივერსიტეტის პროფესორის (განათლების ფაკულტეტი) მიერ შედგენილი ეს მოკლე ტექსტი, ყველაზე უკეთ რომ მიანიშნებს ჩვენს მკითხველს ამ დიდებული მწერლის თავისებურებას; ეგაა, ვოლოგდისა და მანიქეიზმის ხსენება ძალაუნებურად გამოიწვევდა ჩვენებურ ასოციაციებს.



ამ მოკლე ენციკლოპედიურ ცნობებში არაერთი პასაჟი თუ დეტალია გასაშლელი, მაგრამ ამჯერად ვიკმაროთ ჰაროლდ ბლუმის, თვალსაჩინო კრიტიკოსის, დაკვირვების გახსენება ესეიდან „ჯოზეფ კონრადის „წყვდიადის გული". ეს იმ ადგილას, ფილიპ ვ. ოლონგემი ჰენრი ჯეიმზის გავლენას რომ გვამცნობს კონრადის პროზაზე. თურმე „წყვდიადის გულის" შემოქმედს გაუსწრია თავისი წინამორბედისათვის ახალთაობაზე ზემოქმედების მხრივ:

კონრადის ორიგინალობა უფრო შთამაგონებელია ვიდრე ჯეიმზისა და გვეხმარება ავხსნათ თუ რატომ მოახდინა კონრადმა უფრო მეტი გავლენა, ვიდრე ჯეიმზმა, ამერიკელ რომანისტთა თაობაზე, რომელთა შორისაც არიან: ჰემინგუეი, ფიცჯერალდი და ფოლკნერი. სამყარო „მზე ალმოხდებისა", „დიდი გეტსბისა" და „სული რომ ამომდიოდასი" [კონრადის] „წყვდიადის გულიდან" და „ნოსტრომოდან" უფრო მომდინარეობს, ვიდრე [ჯეიმზის] „ელჩებიდან" და „ოქროს თასიდან".

* * *

„პრინცი რომანი" მეორეხარისხოვანი თხზულებაა, — ასე აფასებს თანამედროვე ინგლისური სალიტერატურო კრიტიკა ჯოზეფ კონრადის ამ მოთხრობას და ეს განწყობილება არეკლილია კონრადის „რჩეული ნოველების" 1997 წლის გამოცემის წინასიტყვაობაშიც, რომელიც კენტის უნივერსიტეტის პროფესორს კეით

ქარაბაინს ეკუთვნის, – მაგრამ ღირს მისი წაკითხვა სიუჟეტისა და, აქედან გამომდინარე, მკითხველის თანაგრძნობის იმედად, თუნდაც ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დარჩესო, – ამასაც დასძენს.

წაკითხვა ღირსო...

კიდევ კარგი, არ გვირჩიეს, ტყუილუბრალოდ ნუ მოცდებითო.

არადა, „პრინცი რომანი", მთლად „წყვდიადის გული" თუ არ არის, ინგლისური ნოველისტიკის შესანიშნავი ნიმუშია, გულისშემძვრელი ამ ისტორიული პიროვნების ბედისწერის ღრმა და განზოგადებული გააზრებითა და პოლონეთის 1831 წლის აჯანყების რელიეფური წარმოსახვით, ისეთი რეალიების მარჯვე მიგნებითა და წამოწევით, მკითხველის ცნობიერებაში ამბოხის სრული სურათი რომ აიგება.

მითუფრო დამაფიქრებელია ამ საუკეთესო ქმნილების ასეთი გამეტება თვით მისივე თაყვანისმცემლისაგან, მეორეხარისხოვნებას რომ სწამებს და ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დარჩენას უწინასწარმეტყველებს.

მიზეზი?

მიზეზი პოლონური პატრიოტიზმის გამჟღავნებაა, რაც ასე ხელშესახებად მოჩანს ნოველაში და ყოვლად მიუღებელი გახლდათ ინგლისური საზოგადოების იმ წრეებისათვის, რომელთა შეგნებაშიც რატომღაც გაიგივებულა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა და ფაშისტური თუ ნაცისტური მოძრაობანი, და ფანატიზმი ანტიჰუმანურ და ამორალურ მოვლენად მიაჩნიათ. ამიტომაც მათთვის შემაცბუნებელია კონრადის მტკიცება,



რომ: ფანატიზმი ადამიანურია, – და რომ: ზნეობრივიცაა და მომდინარეობს იმათ გამოუთქმელ მისწრაფებათა და საიდუმლო აუცილებლობიდან, ვისაც სწამთ.

ქარაბაინი დასძენს, რომ ეს თემა თავს იჩენს კონრადის სხვა თხზულებებშიც, ყოველთვის, როგორც კი მწერალი გადაუხვევს ინგლისურ შეხედულებებსა თუ შეფასებებს. ასეთია პროფესორი „საიდუმლო აგენტში", სერვინი „ანარქისტში", ჰოლდინი თუ ანტონოვნა, რუსი რევოლუციონერები, წიგნში „დასავლური თვალთახედვით".

ჯერ კიდევ ნაციზმფაშიზმის გამოჩენამდე ნაციონალიზმი აფრთხობდა ინგლისის ხელისუფლებასა და, მის კვალდაკვალ, მკითხველსაც, ფანატიზმი მათ არსებაში უნდობლობას იწვევდა და კონრადი ამიტომაც მოითხოვდა მკითხველისაგან „ერთგვარ სიდიადეს სულისა" და „გრძნობათა სიწრფელეს, უარყოფილს თანადროული აზროვნების მდაბიო მოდის მიერ", რადგანაც მხოლოდ ამ შემთხვევაში თუ გაუგებდნენ პატრიოტიზმს, მის დიად უბრალოებას, მომდინარეს ადამიანთა და საგანთა ბუნებისაგან.

„გაფრთხილებული და განწმენდილი მკითხველი მომზადებულია ამ უშუალო, ჰეროიკული ამბისათვის და ჩაეშვება პრინცის მგზნებარე საბედისწერო სიყვარულში მშვენიერი მეუღლისა და მამაცი ერისადმი" (კეით ქარაბაინი).

მართებული დაკვირვებაა. და მით უფრო გასაკვირია, რომ კრიტიკოსი თვითონაც იმათ მხარეს ყოფნას ამჯობინებს, ვინც შემკრთალი დგას იმგვარად მოთხრობილი აჯანყების წინაშე, მეამბოხეებს გმირებად რომ

სახავს და არა სახელმწიფო დამნაშავეებად, და არა სურს განარჩიოს, რომ პრინცი რომანი თავის ქვეყანას კი არ უჯანყდება, არამედ რუსეთის იმპერიას, ვისი ძალმომრეობის ქვეშაც თანდათან იკარგება პოლონელი ერის თვითმყოფადობა და სულიერება და ინავლება იდეა სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

როგორი გადასატანია, როდესაც თავს შეიგრძნობ იმ ერის შვილად, რომელიც იმდენად ცოცხალი არ არის, რამდენადაც გადარჩენას ცდილობს, და ჯიუტად აგრძელებს ფიქრს, სუნთქვას, მეტყველებასა და იმედოვნებას საფლავში – შემოზღუდული მილიონი ხიშტითა და სამგზის დაბეჭდილი სამი დიდი იმპერიის ბეჭდით.

ფიქრი და იმედოვნება... საფლავში!..

თავზარდამცემი ხილვა და განცდაა.

და ესეც... ესეც კი ეზედმეტებათ – თუ საფლავია, მაშ სუნთქვაც უნდა შეწყვიტო და ჯიუტად აღარ ებლაუჭებოდე არსებობას საკაცობრიო რუკაზე, და მსოფლიოს ჩუმი დრტვინვა და ფარული თანაგრძნობა კაბალის გარღვევის წადილს არ უნდა გიღვივებდეს.

გაგიღვივებს და: გამოუსწორებლის იარლიყსაც მოგაკერებენ და ცეცხლითა და მახვილითაც დაგატყდებიან თავს, და არამარტო რუსთათვისაა გაუგებარი შენი პოლონური პატრიოტიზმი, არამედ ინგლისელთა შორისაც შეცბუნებას იწვევს.

ბოლოს და ბოლოს, ეს ერთადერთი ნოველა შექმნა ჯოზეფ კონრადმა პოლონურ თემაზე, ამით სცადა ერთგვარად გამოესწორებინა ის ღალატი, რაც მისი კულტურის წინაშე ჩაიდინა, როდესაც სამწერლო ენად ინგლისური აირჩია და იმათი ლიტერატურის მონაწილედ გადაიქცა. და ესეც არ აპატიეს – დაამუნათეს და მიყრუებითაც მიუყრუეს.



არადა, „პრინცი რომანი“ თითქოს შემთხვევით უფრო დაიწერა.

კონრადი „დასავლურ თვალთახედვას“ უჯდა და, რომ შეატყო, ჩიხში ვემწყვდევი და სხვა რამეზე გადართვა მჭირდება, რათა „საწვავი“ აღვიდგინოო, მასალების შეგროვებას შეუდგა მემუარული ჩანაწერებისათვის „რემინისცენციები“, და ნოველის პირველი ვარიანტი – 1908 წელს მოხაზული – ჩვეულებრივ მოგონებას წარმოადგენდა. იგი ხომ თვითონ შეხვდა მოხუცებულ პრინცს თავისი ბიძის თადეუშის მამულში, 1868 წელს, როდესაც ათი წლისა იყო.

ამ თემაზე საკმაო მასალაცაა დაგროვებული და ნინა ტეილორი, კონრადის ნოველის კვალდაკვალ, აღადგენს პრინც რომან სანგუსკოს პირადსა და საზოგადოებრივ ცხოვრებას, მიგვანიშნებს პოლონეთის ეროვნული ბედისწერის „ტიპოლოგიაზე“, აგრეთვე, იმ სიდუხჭირესა და „მარტიროლოგიაზე“, რამაც აღამაღლა პოლონური ღირსების, მოვალეობისა და პატრიოტიზმის გრძნობა.

ნოველას ორი მთხრობელი ჰყავს და, როგორც უკვე შეუნიშნავთ, ამგვარი სტრუქტურა მწერალს მანამდე გამოეყენებინა სხვა ნოველებშიც: „კარაინი: მოგონება“ და „ილ კონდე“, – ოღონდ „პრინცი რომანი“ ამ მხრივ უფრო წარმატებული აღმოჩნდებოდა.

მართლაც ძნელი გასარჩევია, სად ამთავრებს მთხრობელი და სად იწყებს ავტორი, და ამის მიზეზს იმით ხსნიან, რომ კონრადი ორად იყოფა: ერთი მხრივ, თავისი სიყმაწვილის მოგონებას გვიზიარებს

პრინცზე, მეორე მხრივ კი, თავისი ოჯახის ისტორიას მოგვითხრობს შუახნის პოლონელის მეშვეობით, ვინც თანამემამულეთა ერთ ჯგუფს მიმართავს და ავტორიც მათ შორის იგულისხმება.

1831 წლის აჯანყება რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მართლა რაღაც წადუდუნებასავით გამოვიდა?

მაგრამ ამგვარ „წადუდუნებათა“ თანმიმდევრულმა სიჯიუტემ, რომანტიკულმა სულმა და სწრაფვამ დააღწევინა თავი პოლონელებს ამ კაბალისაგან და შემდგომშიც, საბჭოთა იმპერიის არსებობისა და ძლევამოსილების ჟამს, აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური ბანაკის რღვევა პოლონელთა წინააღმდეგობის მოძრაობით დაიწყო.

წადუდუნებაო და: პოლონეთის აჯანყების მონაწილეთაგან ბევრს საქართველოშიც რომ გადმოასახლებდნენ, ისინი არამცთუ ხელს არ აიღებდნენ რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაზე, სულაც ქართველ შეთქმულთა შორის გაერეოდნენ და მონდომებით ჩაერთვოდნენ ჩვენს იატაკქვეშა მოძრაობაშიც – ამბოხების დღეს კი თავისუფლების მოედანზე, ცხადია, ისინიც აპირებდნენ გამოსვლას იარაღით ხელში.

პრინცი რომანი იძულებით ასცდებოდა ჩვენს შეთქმულებაში გარევას, იგი ხომ ციმბირის საბადოებზე გაისტუმრეს, სადაც იშვიათად თუ დაუსხლტებოდა სიკვდილს ტუსაღი; ხოლო როდესაც რაღაც სასწაულით გადარჩებოდა და კავკასიაში გადმოიყვანდნენ რიგით ჯარისკაცად, ჩვენი შეთქმულნი ამ დროს უკვე გაემწესებინათ შორეული გზებისათვის – ვის სად ერგებოდა გადასახლება რუსეთის გუბერნიებში და ვის სად.



არადა, ჯერ კიდევ 1831 წლის აჯანყებისას გულდასმით ადევნებდნენ თვალს ჩვენი წინააღმდეგობის მოძრაობის მონაწილენი პოლონელ პატრიოტებს და მათ კვალდაკვალ აპირებდნენ თვითონაც ამბოხების დროშის აფრიალებას ტფილისის თავზე. არამარტო საგაზეთო ცნობებს უკვირდებოდნენ, სტრიქონებს შორისაც ლამობდნენ რეალობის ამოკითხვას და მის ირგვლივ სჯა-ბაასი არა წყინდებოდათ.

როგორ იყო, მანანა ორბელიანს რომ აცილებდით თქვენ, ლუარსაბ ორბელიანი, ელიზბარ და გიორგი ერისთავები და ალექსანდრე ჭავჭავაძე და გზაში სულ პოლონეთსა და იმათ შეთქმულებაზე ლაპარაკობდითო? – ამასაც ეკითხებოდნენ გამოძიებისას ალექსანდრე ორბელიანს და იგი არც უარყოფდა და უარყოფას ან რა აზრი ჰქონდა, ეგაა, არ დაუზუსტებდათ, ვის რა მოსაზრება გამოეთქვა: მას შემდეგ დიდი ხანი გავიდა და აღარ მახსოვს, ვისგან რა ითქვაო.

ტფილისს ერთხანს პოლონელი პეტრე ზავილეისკი რომ გუბერნატორობდა და ხალხს აშკარად ავიწროებდა, ალექსანდრე ორბელიანი და ელიზბარ ერისთავი თანამზრახველებს არწმუნებდნენ: განგებ იქცევა ასე, შეგნებულად ცდილობს მღელვარების გამოწვევას, რადგანაც ჩვენშიც სურს არეულობის მოხდენაო. უმაღლესი მთავრობა მასობრივ კრივს რომ აკრძალავდა საქართველოში და ზავილეისკი კი პოლონელთა აჯანყების თანადროულად აღადგენდა კრივს ტფილისში, რითაც გამომწვევად დაარღვევდა კანონს, ჩვენი შეთქმულნი ამ აქტს მხარდაჭერად ჩაუთვლიდნენ: ჩვენ გვიადვილებს ამბოხების დაწყებასო.

ელიზბარ ერისთავი პოლონელ ჯარისკაცებს რომ გადააწყდებოდა, რომელნიც მოწყალებას თხოულობდნენ, მაშინვე გამოემცნაურებოდა, თითო აბაზსაც აჩუქებდათ და გამოჰკითხავდათ: აქეთ რა ქარმა გადმოგაგდოთო.

– სამშობლოს გულისათვის, ბატონოო! – მიუგებდნენ გაუბედურებული ჯარისკაცები, ვინ იცის, პრინცი რომანის გვერდიგვერდ ნაბრძოლნიც, ყოველ შემთხვევაში, იმ დიდი მღელვარების მონაწილენი, ამხელა გამოხმაურება რომ მოჰყოლოდა ევროპაში და რომანტიკულ აჯანყებათა მსოფლიო ციკლის აუცილებელი რგოლიც შეიქნებოდა ჩვენს შეთქმულებასთან ერთად.

ელიზბარ ერისთავი თანდათან სხვა პოლონელებსაც დაუახლოვდებოდა და აჯანყების მთავარსარდლობას რომ ჩაიბარებდა, 500 პოლონელი მებრძოლის იმედადაც იქნებოდა თავისუფლების მოედანზე.

პოლონელ მეზარბაზნეებსაც შეიგულებდა, და იასე ფალავანდიშვილი – შეთქმულთა გამცემი – დიმიტრი ერისთავს ნიშნისმოგებით რომ გადაუკრავდა: შეთქმულნი ზარბაზნებს ვერ მოიხმარენ, რადგან ქართველთაგან არტილერიის საქმე არავინ იცის და ასე მალეც ვერავინ ისწავლისო, – დიმიტრი თავს გამოიდებდა:

– პოლიაკები ბევრნი მოვლენ იმ ღამეს ჩვენის მხრით გაზრდილნი და მცოდნენი ამისანი.

სამშობლოს გულისათვისო, – მაშინაც უთუოდ ამას იტყოდნენ, ზარბაზნების დაქუხება რომ მოესწროთ.

ვარშავის დაცემა ქართველ მეამბოხეთაც წაუხდენდა გუნებას და ერთხანს აჯანყების გადადებასაც განიზრახავდნენ. თუ რატომ არ გადაიდებოდა ამბოხი



და რატომ აღმოჩნდებოდნენ საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის მებრძოლნი ყაზარმასა და პატიმრობაში, ამჯერად შორს გაგვიტყუებს მსჯელობის ქარგიდან, ისე კი 1832 წლის შეთქმულების საგამოძიებო მასალების გაცნობისას კიდევ არაერთხელ ამოვიკითხავთ პოლონელებსა და მათ აჯანყებაზე: თუნდაც დიმიტრი ბატონიშვილი პეტერბურგში ქართველებს რომ ჰკიცხავდა: ძალიან აჩაგვრინებენ თავს რუსებსო, – პოლონელთა სიმხნევესა და გაბედულებას მოიხმობდა პატრიოტიზმის ნიმუშად: აი, ვის უნდა მივბაძოთო... ანდა დიმიტრი ყიფიანი რომ გაიხსენებდა მემუარებშიც, თუ როგორ კითხულობდა სოლომონ რაზმაძე შეთქმულთა წრეში ადამ მიცკევიჩის გახმაურებული ლექსის – „ფარისი“ – თარგმანს...

როგორ დაეფრთხო ინგლისის ხელისუფლება და ინგლისელი მკითხველი ფანატიზმის ხსენებას, მისი ადამიანურობის მტკიცებას, და რა დაემართებოდათ, აკაკი წერეთლის შეგონებისათვის რომ მოეკრათ ყური: სადაც ფანატიზმი არა ყოფილა, იქ საქმეც არ გაკეთებულაო.

არ დაგიდევდა აკაკი წერეთელი ფილისტერების, სნობებისა თუ თავთავიანთ ნაჭუჭში გამოკეტილი მკითხველის გემოვნებას და მაინც ფანატიზმის აუცილებლობას გაიმეორებდა, თუნდაც ამისათვის გზა თვალწინ ჩაჰკეტოდა ინგლისის საზოგადოებისაკენ.

– მე შევუერთდი ეროვნულ აჯანყებას რწმენით! – გარდუვალი სიკვდილის საფრთხეს არაფრად ჩააგდებდა პრინცი რომანი.

– სამშობლოს გულისათვის, ბატონო! – ეამაყებოდათ ის მღელვარე დღეები და კვლავ რუსული ძალმომრეობის დამხობაზე იოცნებებდნენ საქართველოში გადმოკარგული პოლონელი აჯანყებულნი.

– ხუთასი დარჩეული პოლონელიც გამოვა მოედანზე, ზარბაზნებს სულაც მათ ჩავაბარებო, – თავის ფიქრებს შესთამაშებდა ელიზბარ ერისთავი.

და ჯოზეფ კონრადს ერთხელ, ერთადერთხელ მიეხედა სამშობლოსაკენ, გულისგულში გამოკრულ სანუკვარ მოგონებას აეფორიაქებინა მისი არსება, ნოსტალგიას შეეძრა და პრინცი რომანის აჩრდილიც ასვეტოდა თვალწინ.

ერთხელ, ერთადერთხელ...

ამასაც არ ანებებდნენ.

მეორეხარისხოვანი თხზულებაა, მაგრამ წაკითხვა ღირსო, – გვარწმუნებენ ინგლისელი კრიტიკოსები.

და თუ მართლა უპირებენ ინგლისური სამწერლო ტრადიციის მიღმა დატოვებას, ჩვენი ლიტერატურული ტრადიცია შეიკედლებს მის ქართულ ორეულს, ასე მახლობელს ჩვენი ისტორიისთვისაც, ზედ გადაჯაჭვულს 1832 წლის შეთქმულების ტრაგიკულ ხვედრზე, მსოფლიო რომანტიზმის ერთ თვალსაჩინო გასხივოსნებაზე.

ასე რატომ გამოვიდეთ მისთვის თავი, ბრიტანული კრიტიკისაგან დაწუნებული ამ მოთხრობისათვის?

სამშობლოს გულისათვის, ბატონო!.. სამშობლოს გულისათვის!..



* * *

„წყვდიადის გულს“, ამ მართლაც მძლავრ თხზულებას იმპერიალიზმის შესახებ, ჯოზეფ კონრადი 1899 წელს გამოაქვეყნებდა ჟურნალში და 1902 წელს შეიტანდა მოთხრობების კრებულში „სიყმაწვილე“.

მალკოლმ ბრედბერი ყურადღებას მიაქცევს, რომ თხრობა იწყება იმპერიულ ქალაქ ლონდონში, ტემზაზე, მწუხრის სინათლეებში. ბოლოს ყველაფერი სოციალური პროზისათვის დამახასიათებელი სცენით – სასტუმრო ოთახებში – მთავრდება. შუაში შემოდის ცბიერი ალეგორია წყვდიადში ჩაძირული სინათლისა, ჩაშვებული აფრიკის გულში, და იმავდროულად – ადამიანური სულის ძრწოლის ბნელ სიღრმეში.

1890 წელს მწერალი მონაწილეობას მიიღებდა ექსპედიციაში, რომელიც აფრიკაში შეღწევას ცდილობდა, შემოივლიდა ბელგიის იმპერიის საზღვრებს მდინარე კონგოზე; იქიდან დაბრუნდებოდა დასნეულებული, დაქანცული, ზნეობრივად შეძრწუნებული სისასტიკისა და კორუფციის ხილვით.

კონგომდე უმანკო ცხოველი ვიყავიო, ამბობდა იგი.

რომანში გადმოცემულია გამოცდილება და თავგადასავალი, რაც თავს გადახდა მის პერსონაჟს, ჩარლზ მარლოს, ვისაც ლონდონის მწუხრიდან გადავყავართ პირქუშ ბრიუსელში და მერე დაუნდობელსა და სასტიკ მდინარე კონგოზე და მიგვიძღვის მის სიღრმეში, სავაჭრო კომპანიის შიდა სადგურისაკენ. ამ მოგზაურობას სალიტერატურო კრიტიკაში გაიაზრებენ, როგორც სწრაფვას ცივილიზაციიდან ამაოებისაკენ, სიცარიელი-

სა და ბოროტებისაკენ, წყვდიადისაკენ, ძარცვისა და სამყაროს საწყისებისაკენ.

კონგოზე მარლო უნდა შეხვდეს თავის ტრაგიკულ ცალსა და ანტიპოდს, მისტერ კურცს; იგი იდეალისტია, ვისაც სურს ცივილიზაციის შეტანა აფრიკაში და თვითონვე გადაიქცევა ველურად, „უდაბურება მოუთათუნებს თავზე“ და ილუპება, წყვდიადში ჩაეშვება შეძახილით: „ძრწოლა, ძრწოლა“.

ესეც ის მისტერ კურცი, ტომას ელიოტის ლექსის მინაწერშიც რომ გადაინაცვლებდა, როგორც განზოგადებული სიმბოლო.

სხვათა შორის:

კურცის პროტოტიპად არაერთ პიროვნებას ვარაუდობენ, ვინც იმ დროს ცენტრალურ აფრიკაში საქმიანობდა, მათგან ყველაზე შესაფერისია: ჰენრი მორტონ სტენლი (1841-1904) – უელსელი ჟურნალისტი და მკვლევარი. მან გამოიკვლია ცენტრალური აფრიკა და მიაგნო დაკარგულ მკვლევარს, დევიდ ლივინგსტონს. სტენლიმ გამოიკვლია ნილოსის სათავე. ბელგიის მეფის ლეოპოლდის დავალებით გაიარა და აითვისა კონგოს აუზი. რაინდობა მიანიჭეს 1899 წელს.

მარლო ყოველივე ამას უმალავს კურცის საცოლეს, მაგრამ უმხელს თავის მეგობრებს, რჩეულ იმპერიულ სამეულს: ვექილს, ბუღალტერსა და კომპანიათა დირექტორს.

მარლო მთხრობელია, ცოტა არ იყოს ირონიული და ალაგ-ალაგ სარკასტულიც. პირველად ეს პერსონაჟი კონრადის ადრეულ მოთხრობაში „სიყმაწვილე“ გამოჩნდება.



კონრადი ამბობდა, – ამ კაცთან [მარლოსთან] წლების განმავლობაში ძალზე დავახლოვდი. იგი მეწვევა ხოლმე, როცა მარტო ვარ, დუმილით მივაყრდნობთ ერთმანეთს თავებს და ვსაუბრობთ ჰარმონიულად; და როცა დავშორდებით, არასოდეს ვარ დარწმუნებული, რომ უკანასკნელად არ შევხვდით ერთმანეთსო.

„მარლოს შემოყვანა ეფექტური მეთოდია ამბის თხრობისა; იგი გამოცდილებას კი არ მოგვითხრობს, არამედ აგებს, იგონებს, დაშიფრავს და შეიჭრება ამბავსა და მკითხველს შორის. ეპიზოდის აზრი შიგნით კი არ არის, როგორც ბირთვი, არამედ გარედან გამოახვევს ამბავს, რომელიც მასვე მოაქვს, როგორც ხვატს – ნისლი, და იმ ბუნდოვანი გვირგვინივით გამოისახება, მთვარის შუქის თამაში რომ წარმოშობს“, – ამბობს კონრადი.

და ამ მოსაზრებას რომ დაიმოწმებს მალკოლმ ბრედბერი, დაურთავს:

„ამგვარად ჯოზეფ კონრადი თითქოს რომანტიზმს ესარჩლება, მაგრამ მის ეპიზოდებს ერთი, უბრალო აზრი არ გააჩნია, მრავალმხრივ იტოტებიან, და სწორედ ესაა, რაც კონრადის მოყვარულ მკითხველებს უძნელებს მასთან მიახლებას“.

– უძნელებს ვითომ?

თუ სწორედაც პირიქით – ამითაა ძვირფასიც და მნიშვნელოვანიც კონრადი ჩვენთვის, როგორც მწერალი, რომელიც წინასწარმეტყველურად ჭვრეტს მომავლის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ რეალობას და უკიდურესი სიმძაფრით ეხმაურება ადამიანის ძალმომრეობრივ

შეჭრას ბუნების საიდუმლოებებში, და საერთოდაც – ბუნებრიობის თანდათანობით მინავლებას.

„წყვდიადის გული“ გაფრთხილებაა, რათა შეიგრძნოთ კატასტროფის ზღვარზე ყოფნაც და ამ ვითარებიდან თავდაღწევის აუცილებლობაც, თორემ მერე და მერე პროცესთა მდინარებას ვეღარაფერი შემოაბრუნებს, როგორც უკვე უმართავს.

ამიტომაც ვიდრე გვიან არ არის, ყური დავუგდოთ მწერლის ღაღადისს სამყაროს მრავალფეროვნების გადასარჩენად, ყოველი ერის თავისთავადობისა და თვითმყოფადობის შესანარჩუნებლად, ადამიანური უკეთურობის დასათრგუნავად და იმ ხიდზე შესადგომად, წყვდიადის გამოვლით რომ აახლოებს და ადუღაბებს კაცობრიობას და მოასწავებს მის სასიკეთო ფერისცვალებას.

იმპერიალისტური ქვეყნების პოლიტიკოსებს ეს სწრაფვა ძალიან აქვთ გაადვილებულიც და თავიანთ ნებაზე მორგებულიც – დემოკრატიის საბურველქვეშ, სიკეთის დროშითა და ამაღლებული იდეალებით რომ ლამობენ იმ მრავალფეროვნების წაშლასა და გაარაფრებას, სამყარო რითაც მშვენობს, და დამკვიდრებას უსახური რეალობისა, რომელიც, შინაგანი უსულგულო და გამოფიტული, ერთიან ნებასაა დამორჩილებული და, ამდენად, სამუდამოდ განწირული ამ ყოფისათვის, ვერასოდეს რომ ვეღარ დაუსხლტებიან ხელიდან იმ მტკიცე ნებას.

როგორ არა, მათ ჭკუაზე რომ იყოს!..

ეს ერთი შეხედვით მტკიცე ნება ხომ ერთბაშად ხდება მყიფე, როგორც კი ეროვნული თავისებურებანი იჩენენ თავს და საკუთარი არსებობის დამკვიდრებას



მოინდომებენ – თითქოსდა მტკიცედ აგებული წესრიგი იშლება და მთელი სამყარო თუ არა, ის სივრცე მაინც კვლავინდებურად უბრუნდება იმ სახეს, ყველაზე ბუნებრივი რაც არის და ღვთისაგან დადგენილი.

ღვთის სიტყვა ადამიანებამდე მოაქვთ მის მსახურთ: სასულიერო პირთაც და მწერლებსაც, რომელთა შორისაც ამჯერად ჯოზეფ კონრადი გამოვარჩიეთ, როგორც ერთი ყველაზე სანდო შემნახავი და მომფენი ამ სიტყვისა.

ღმერთი მოკვდა?

აგერ ნიცშეანური გმირიც შეიძლება მოკვდეს მის კვალდაკვალ – მისტერ კურცი... მაგრამ ადამიანური არსებობა არც და ვერც შეეგუება ამ ჟამის სამუდამო დადგომას – მართლა სიკვდილს უფლისა, და ისწრაფვის კვლავაც ღვთის უბეში ჩასაძირად, მით უმეტეს – კონრადისნაირ სანდო მეგზურთა იმედად.

* * *

გახსოვთ ჯოზეფ კონრადის ბიოგრაფიის ის ეპიზოდი თუ შტრიხი, დუელი რომ მოუხდა?

ამ მრავალმხრივ მნიშვნელოვან რეალიას, ცხადია, სასხვათაშორისოდ ვერ გადავატარებდით.

1878 წლის ზამთარში, მწერლის ბიძას, თადეუშ ბობროვსკის სასწრაფო ტელეგრამა მიუღია საფრანგეთიდან:

„კონრადი დაჭრილია, გამოაგზავნე ფული, ჩამოდი“.

ბობროვსკი, ვინც დისშვილზე მისი მშობლების გარდაცვალების მერე ასერიგად ზრუნავდა, გაემგზავრა მარსელში, სადაც ჭაბუკმა თავისი საზღვაო კარიერა დაიწყო ოთხი წლით ადრე. ბობროვსკიმ იქ ორი კვირა დაჰყო და ყოველმხრივ იზრუნა თავისი დისშვილის მდგომარეობის გამოსწორებაზე.

მოგვიანებით კონრადი არწმუნებდა თავის ოჯახსაც და ნათესავებსაც, ჭრილობა დუელში მივიღეო.

ნაწილობრივ ავტობიოგრაფიულ თხზულებაში, „ოქროს ისარი" (1919), მისიე ჟორჟი (კონრადის მეტსახელი მარსელში) დუელში ებრძვის კაპიტან ბლანტს და დაიჭრება მკერდის მარცხენა ნაწილში. დუელის მიზეზია რიტა, ლამაზი და ცივსისხლიანი ავანტიურისტი ქალი, ვინც ორივეს უყვარს.

თვითონ კონრადი ამტკიცებდა, ნაწარმოების გმირებიც და ფაქტებიც რეალური ცხოვრებიდანაა აღებულიო.

დამაფიქრებელია, რომ 1957 წელს პოლონეთში გამოქვეყნდა ბობროვსკის წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, კონრადმა თავის მოკვლა სცადა ვალების გამოო.

დამაფიქრებელი ვითომ?..

ასეა თუ ისე, ამ წერილის სინამდვილე ეჭვქვეშ დაყენეს და დღემდე არ იჯერებენ კონრადის თაყვანისმცემლები.

ხოლო თავისი მოთხრობის, „დუელის" შესახებ ჯოზეფ კონრადი წერდა კრებულის „ექვსი მოთხრობა" წინასიტყვაობაში:

„ამ მოთხრობის წარმოშობა ძალზე მარტივია. საფუძვლად უდევს სამხრეთ საფრანგეთის გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია, რომელიც იუწყებოდა ნაპოლეონის დიდი არმიის ორი ოფიცრის დუელთა სერიის შესახებ იმ დიადი ომების დროს. დუელთა მიზეზი არასოდეს გამხელილა. ასე რომ, მომიხდა მე თვითონვე შემეთხზა; უნდა გამომეგონებინა ორი ოფიცრის ხასიათებიც და დამაჯერებელი გამეხადა მთელი ამბავი, და გამომეაშკარავებინა ამ დუელის აბსურდულობა".



ოფიცერთა სახელებია: ფურნიე, რაც ფეროდ გარდაისახა კონრადთან, და დიუპონი, ვინც მოთხრობაში დ'იუბერია.

მოგვიანებით მკვლევარებმა გაარკვიეს, რომ ამ დუელის შესახებ უფრო დაწვრილებითაც ყოფილა ცნობილი და ყოფითი თავგადასავალი ძალიან ჰგავს კონრადის მიერ მოთხრობილ ამბავს, თუ დ'იუბერის ქორწინებასა და სასიყვარულო გრძნობებს არ ვიგულისხმებთ.

არადა, მთავარი მოთხრობაში სწორედ ეს მოტივი თუ ნაკადია, რომელიც სულ სხვა სულით მსჭვალავს თხრობას და მარტივ ამბავსაც ღრმა განზოგადებას ანიჭებს და დ'იუბერის ხასიათსაც მონუმენტურს ხდის.

მოთხრობა სიყვარულის კიდევ ერთ მომხიბლავ საგალობლადაც გადაიქცევა და გმირის პიროვნული ბუნების უღრმესი შრეებიც თვალნათლივ და რელიეფურად იკვეთება, და დაბეჯითებით რწმუნდები, თუ რატომ შეიძლებოდა მთელი სიცოცხლე ეთმინა იმ აბეზარი კაცის გაუთავებელი შულლი და მტრობა და, არამცთუ სამაგიერო მიეზღო ცხოვრების გაწამებისათვის, ეზრუნა ფეროს დასახსნელად გარდუვალი სასჯელისაგან და პენსიითაც სამუდამოდ უზრუნველეყო.

დუელებისათვის ის უჩვეულო ჟესტი თუ შტრიხიც ნუ გამოგვრჩება:

გმირი ინახავს გადამწყვეტი სროლის უფლებას.

ძალდაუტანებლად წამოგაგონდებოდათ ალექსანდრ პუშკინის ნოველა „ნასროლი“ „ბელკინის მოთხრობების“ ციკლიდან – გმირი აკი იმით გამოირჩევა დუელანტთა თვალმიუწვდენელ რიგში, გადამწყვეტი სროლის უფლებას რომ ინახავს.

ადვილი შესაძლებელია, რომ რუს მწერალსაც სცოდნოდა ის ნამდვილი ამბავი, ფრანგულ გაზეთში დაბეჭდილი ქრონიკა იმ დუელანტთა შესახებ, რომელთა გაუთავებელმა რკენამაც მოგვიანებით გაინგლისელებული პოლონელი მწერლის ცნობისწადილიც გააღვივა და გარდასული მღელვარება ორიგინალურ სიუჟეტურ ქარგაშიც მოაქცია.

ორი დამოუკიდებელი თხზულება:

„ნასროლი“ და „დუელი“.

და თურმე შესაძლებელია, რომ ორივეს შთაგონება ერთ მარტივ გადმოცემას გამოეწვიოს.

იმ გარემოებასაც მივაქციოთ ყურადღება, რომ ალექსანდრ პუშკინის ნოველა რომანტიკული საბურველითაა შემოსილი, ჯოზეფ კონრადის მოთხრობა კი გაძარცულია რომანტიზმისაგან – ნაცვლად ამ ზოგადსტილური ხედვისა თუ მანერისა, თვალწინ გადაგვეშლება დაუფარავი ირონია, ალაგ-ალაგ სარკაზმში გადაზრდილიც, როგორც მწერლური განაჩენი ამ სოციალურ-ფსიქოლოგიური მოვლენის მიმართ, დუელი რასაც წარმოადგენს და ვინ მოთვლის, რამდენი ადამიანი შეიწირა, ვიდრე სულს დაღაფავდა – და სწორედაც გაპამპულება მოუღებდა ბოლოს, თორემ მანამდე ვერავითარი სასჯელი ვერ დააოკებდათ დუელანტებს,



სულ უბრალო საბაბითაც რომ შეიძლება ელვარათ და ელვარათ ერთიმეორის სისხლი.

თვითონ ალექსანდრ პუშკინიც დუელს არ შეეწირა?

ჯოზეფ კონრადი უვნებლად გადაურჩა და დაე, ნურავინ შეეცდება გაიზიაროს ის ცნობა, თითქოს ჭრილობა მწერალს ორთაბრძოლაში კი არ მიეღოს, არამედ თვითმკვლელობის მცდელობისას, ვალები რომ დაახრჩობდა და უკეთეს გზას ვეღარ იპოვიდა მოვალეთაგან თავდასახსნელად.

ეჭვის ჭია მაინც შემოგვრჩენია: ეგებ დუელის ამბავი ქალის გულისათვის მწერლური წარმოსახვის ნაყოფიაო?

ჩვენ მაინც კონრადს უფრო დავუჯეროთ, ბოლოს და ბოლოს თუკი მართლაც შეეთხზა ეს დრამატული ეპიზოდი, ისე შეითვისებდა, ისე გაიშინაგანებდა, თვითონვე ირწმუნებდა, სინამდვილეშიც ასე მოხდებოდაო. და ამდენად დუელი მაინც მისი ბიოგრაფიის სრულუფლებიანი რგოლი თუ ნაწილია.

ეს – ვისაც ეჭვი შეგიჩნდებათ, თორემ ჩვენს თვალთახედვაში ჯოზეფ კონრადი ისაა და მხოლოდ ის, თვითონ რასაც გვიამბობს და გვარწმუნებს საკუთარ თავზე.

* * *

კვდება ღმერთიც – სულდაშრეტილ სინამდვილეში ანკი რაღა გააძლებინებს.

და კვდება მისტერ კურციც – ღმერთის ჩანაცვლებას რომ ესწრაფვის.

მაგრამ მისი სიკვდილი კიდევ უფრო შემაძრწუნებელიცაა, რადგან ნაშთად მისი თავგადაკლული სწრაფვისა შესაძლოა დარჩნენ მხოლოდ კაცის ფიტულები, თივით გამოტენილნი, და ეს გარდუვალი პერსპექტივაა კაცობრიობისა, თუკი არ გავაცნობიერებთ, რომ ღმერთის სიკვდილი ნიშნავს მის აღსასრულს ჩვენს სულებში; და თუკი არ მოვინატრებთ უფალს და კვლავინდებურად არ შევეფარებით მის მშობლიურ წიაღს, და დიდი და გადამწყვეტი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენების წინაშე მდგარნი შევეფარებით სნორედაც წყვდიადის გულისგულის გამოვლით.

და ჯოზეფ კონრადის მეგზურობითაც, კიდევ ერთხელ რომ შეგვაგრძნობინებს, თუ რას ნიშნავს ჭეშმარიტი მხატვრული სიტყვა, იმ პირველქმნილი სიტყვის უშუალო ექო თუ ნატეხი, იმ ძალისა და მადლის შემანარჩუნებელი, სამყაროს უსაზღვროებასა და იდუმალებას ასე ხელშესახებად და უკიდურესი სიმძაფრით რომ აირეკლავს.

**პაატა ჩხეიძე**
**როსტომ ჩხეიძე**

**ჯოზეფ კონრადი** – პოლონური წარმოშობის ინგლისელი მწერალი, დასავლური მწერლობის რჩეული სახელი, მოდერნიზმის სათავეებთან მდგომი და შემაერთებელი ხიდი რომანტიკულ და მოდერნისტულ ეპოქებს შორის. მის დიდ ზეგავლენას ახალი დროის პროზაზე – და საერთოდაც, ზოგად მხატვრულ ტენდენციებზე – აღიარებდნენ უილიამ ფოლკნერი, ტომას სტერნზ ელიოტი, ერნესტ ჰემინგუეი...

„წყვდიადის გული" 1899 წელს დაიწერა და მიჩნეულია ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ინგლისურენოვან რომანად. ჩარლზ მარლო, წიგნის მთავარი პერსონაჟი, ლონდონის მწუხრიდან ჯერ პირქუშ ბრიუსელში, შემდგომ კი დაუნდობელსა და სასტიკ მდინარე კონგოზე აღმოჩნდება და მიილტვის მის სიღრმეში, სავაჭრო კომპანიის შიდა სადგურისაკენ. კონრადის მკვლევრებისა და აღიარებული ლიტერატურისმცოდნეების აზრით, ესაა სწრაფვა ცივილიზაციიდან ამაოებისაკენ, სიცარიელისა და ბოროტებისაკენ, წყვდიადისაკენ, ძარცვისა და სამყაროს საწყისებისაკენ; კონგოზე მარლო თავის ტრაგიკულ ანტიპოდს, მისტერ კურცს ხვდება – იდეალისტს, რომელსაც აფრიკაში ცივილიზაციის შეტანის დაუოკებელი წყურვილი თანდათან ველურ და სახიფათო არსებად აქცევს.

ამ წიგნში შესული სამივე ნაწარმოები კარგად წარმოაჩენს ჯოზეფ კონრადის მხატვრული აზროვნების მასშტაბურობასა და თავისებურებას, ასევე ადასტურებს მის სტილურ არტისტიზმსა და შთამბეჭდაობას.

ISBN 978-9941-478-64-2

9 789941 478642

არტანუჯი